

მნათობი



114
1935/2

6

შინაარსი

პოეზია

ვ. რუხაძე

ზიორაგი ქაჭახიძე

ვიქტორ კიუგო

ზაინზულ ცეცხლაძე

ვლადიმერ კოვალსკი

მიკოლა ხვიდობროვიჩი

ა. ალექსანდროვიჩი

სანდრო იული

ა. ადამია

პროზა

დონა შენგელაია

რაფაელ გვებაძე

ი. დიოშელი

იოსებ ტაბიშვილი

უცხოეთის ლიტერატურა

მ. მენაბდე

ლიტერატურის ისტორია

მიხ. ჯანდუგელი

კრიტიკა და კუმპლიციისტიკა

ვ. ლუარსაბიძე

გუს. ძღვინი

მოგონებანი

ი. მანუშტაშვილი

ბიბლიოგრაფია

მკითხველი

მ. ზ.

1

9

3

5

პროლეტარებო უხელო ქვეყნისა, უბირთღით!



ქართული
ბიბლიოთეკა

მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიბრაბურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საკოლიტიკო ჟურნალი


44168
1654

6

წელიწადი მეთორმეტე

სახელგამი

1935



პ/შპ. რედაქტორი გიორგი ურულაშვილი

საკრედიტო კოლეჯია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკოლოზ ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ბრ. მუშიშვილი
შალვა რაფიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლევო ქიაჩელი
ვანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემან შენგელაია



ქართული
ნიშნული

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შიხაბლის ქ. № 13, ტელ. № 3 — 55 — 25.
ფან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7, პერიოდისექტორი.

სახელგამის პირველი სტაჟა, პლენარის პროსპექტი № 91.
შთავლ. რწმუნ. № 7097. შეკვ. № 330. ტირაჟი 6000.



3. რუხაძე

ს ა უ ბ ა რ ი

ბათომო! გახსოვს, ალბათ, ის წამი
მე რომ პირველად გესროლე რითმა?
ეს მოხდა მაშინ, როცა ზღვის ნაპირ
მარგალიტებად გვაპკურა ზვირთმა;
როცა ვებრძოდით მპყრობელ ურჩ ძალას...
დღესაც მოვედი, უფრო ხმამაღლა
რომ ვესაუბრო შენს ზღვას, ლურჯთვალას,
მაგრამ სათქმელი სულ სხვა მაქვს ახლა.
მაშინ ქვეყანას ბორკილი ედო,
მაშინ ყველაფერს ფარავდა ნისლი...
ხომ გახსოვს გულო, ოცნებებს გედო,
შენ ამ ქუჩებზე დაღვრილი სისხლი?
რამდენი გმირი დაეცა მტვერში?
რამდენი დედის გული აწივლდა?
როგორ ხარობდა წყვეული მტერი,
როცა ტყვიები თავზე გვაწვიმდა?...
ახლა სულ სხვაა: შეტევა მკაცრი
და მშენებლობა ახალაზალი,
ქვეყანას ეამთა მტვერს და ობს აცლის
და გაქანება მოაქვს მაღალი!
და ყველა სახე, ძველი, ხნიერი,
თოვლივით დნება... ვიპყრობთ მწვერვალებს:
მოდის ცხოვრება სულ სხვა იერით,
ამ დიდ ზღვასავით მძლე და მღელევარე!
ზღვავე ბობოქარო! გინდება ჩქერა,
მაგრამ შესწყვიტე ამბოხი გიჟის:
მათხოვე წუთით ყური და ცქერა,
გაფიცებ მაგ მზეს, გულში რომ გიზის;
გაფიცებ შენს სულს — უტებ ქარიშხალს,
გაფიცებ კენჭებს — შოთას სტრიქონებს,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ფერადების გაშლილ ხალიჩას,
ერთხელ მნახველი სულ რომ იგონებს.
მსურს ჩაგახედო ჩემს სულის ზღვაში
და მთელი განცდა შენს წინ დავედვარო,
რომ შენც იცოდე, თუ რას ვგრძნობ მაშინ,
როცა ვუცქერი ამ ლურჯ სამყაროს:
აქ ჩაი — ცაა, ნარინჯი — მზეა,
დღეს რომ მგოსნები უძღვნიან ლექსებს,
და აჭარელი ასული, ზია,
ვარცხნის ყოველ დღე და უაღერსებს...
ახ, ახლა ვიცი, შურისძიებით
თუ რად შეგყურებს მტერი, ტიალი:
მას აფრთხობს ჩაის პლანტაციების
და ამ ნარინჯის ტყეთა შრიალი!



დამნა შენგელაია

ს ტ ე ლ ლ ა

რომანი*)

10

ქარბკომში არავენ იყო.

ცარიელ ოთახში ტელეფონი თავდავიწყებით რეკდა.

თინამ მილაკი ჩამოიღო და:

— ალლო! ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხანა. ვინ არის? აა, თქვენა ხართ, ამხ. ბაგრატი? ეს მე ვარ, — თინა. ქარბკომში არავენ არის. წუხელ ჩამოველ. შეეკველად ამოვალ. კარგი, ძალიან კარგი! შეგიძლიათ დამტვირთოთ, ამხ. რაიკომო! — გაეხუმრა თინა მოსაუბრეს ღიმილით და მარცხენა მუჭი როტფრონტული წესით მალლა ასწია.

— ნახვამდის, ამხანაგო, ნახვამდის! — მილაკი ღიმილით კაუჭზე ჩამოჰკიდა და მიიხედ-მოიხედა.

თუთუნის ბოლი ჯერ კიდევ ლეგად ინისლებოდა და, როგორც ეტყობოდა, ოთახი ხალხისაგან სულ რამდენიმე წუთის წინად დაკლილიყო. მაგიდაზე ეყარა ნახაზები, ქალალზე მანქანით ნაბეჭდი დირექტივები, ოქმები და ცირკულარები. წიგნის დაბალ კარადის თავზე იდგა მისი სამკროს ოსტატის კობეშავეიძის მიერ ქარბკომისათვის საპირველმართო საჩუქრად „III“ სერიის მძლავრი ორთქლმავალის მოდელი. აქა-იქ ჩაფენილ ცელულოზის გამჭვირვალ ფურცლებში მოსჩანდა ლოკომოტივის შიგა არმატურა და რთული მექანიზმები.

ოთახში მზე ოქროს ზვინივით შემოხევებულიყო და თვალებს არილით სჭრიდა.

ყველაფერი აქაური ნაცნობი იყო მისთვის, ნახევები და ახლობელი. იმდენად ახლობელი, — ერთის წუთით სულ გადაავიწყდა, რომ ერთი თვეა აქ არ ყოფილა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის ამ ორიოდ საათის წინ წავიდა აქედან, ახლა ისევ აქ არის, რალაც სა-

*) გავრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

სწრაფო საკითხი ჰქონდა შესათანხმებელი, მაგრამ აი, არაფერი დახვდა.

საწერ მაგიდის წინ სიგრძით მიდგმულ წითელ ჩითვალფარებულ, მელნით დაწვეთილი მაგიდა უწესრიგოდ მიდგმული, ჩაქვითი ნაწინდართულ სკამებით. ყოველი მათგანი დგას ისე, როგორც დასტოვებს და ყოველი მათგანი, ისე, როგორც ხელის მოწერა, ატარებს ხასიათს იმ ადამიანისას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ზედ იჯდა.

არაფერი არ არის ისე სვედიანი, როგორც სხდომის შემდეგ დატოვებული ოთახი, სადაც ადამიანთა სუნით, მათი ყაყანი, თუთუნის ბოლით ჯერ კიდევ გაჟღენთილია ჰაერი და ხალხი, — არ არის. ეს წიგნის დაშლილ ფურცლებივით გაფოთლილი ზედმეტი რადიატორიც რაღაც სვედას იწვევს ამ სიციხეში და ახლა ის იმდენადვე ზედმეტია და უადგილო, რამდენადაც თბილი და ინტიმური ზამთარში. როცა გარეთ ცივა, შენ ზიხარ აქ და შუა სხდომის დროს არახუნდება ხოლმე იგი ხანდახან უადგილოდ და თინა იკუჭება, უხარია მაშინ, რომ ეს კრუხივით გაბურბებული გამათბობელი ოთახისა ამ რახუნით თითქოს კიდევ უფრო მეტ სიმშრეალეს იკრებს, რათა მეტის თავდავიწყებით აფშვინოს იგი და მიმოაბნოს სითბო და მყუდროება. ახლა ამ რადიატორივით უადგილოდ შემოპარულ სვედაში ეს უცხო პალმები გულში სიცილივით ხალისიანად იჭრება და თინას ახსენდება იქ. დასაკარგავში ჩაეიწყებული ზღვა და სივრცეებზე შედგმული სივრცეები.

— შემართება, სიბარული და... გაუელვა მას საიდანაც ამოტივტივებულმა აზრმა.

თინას არ ესმის სად გაჰქრა ასე უცებ ეს ხალხი, ამ რამდენიმე წუთის წინ რომ აქ ბაასობდენ, დავობდენ და რაღაც საკითხში ვერ რიგდებოდენ.

მერე დაწესებულების, ისიც პარტიული ორგანიზაციის ასე უპატრონოდ დატოვება შეიძლება? საქმის მწარმოებელიც რომ არ ჩანს!

— სად უნდა იყვნენ? — იკითხა თავისთვის და თავი უეცრად იმ ტელეფონივით იგრძნო, წელან რომ ცარიელ ოთახში რეკავდა, მაგრამ სახიდან უეცრად წამოჭროლილი ბინდი გადაიჩეკა.

როგორც ზაფხულში სათიბებში გალაღებული ცხენი არიდებს ხოლმე თავს შესაბურობად გადმოქნულ ჭამანდს, ისე არიდებდა ისიც კურორტზე გათაუშებული თავს მუშაობას, მაგრამ ახლა ამ ოთახში, ჭარხნის გუგუნმა და კომბინიზონებიანი მუშების დანახვამ ისევე ჩააგდო იგი თავის ძველ კალაპოტში, გული ისევე უწინდებურად აუჩქროლდა, დატრიალდა ჯერ ნელა სანამ შვივზე შემოგდებული უსასრულო ღვედი მანქანას მკვდარ წერტილიდან დასძრავდა, მოიქნევედა და შემდეგ გაქანდა ისე რომ მქნევარას სოლები აღარ სჩანდა, მხოლოდ თუჯის სალტე ელავდა თეთრად.

გადასწყვიტა პირდაპირ საამქროში წასულიყო და ეს გადაწყვეტილება უბრალო სურვილი კი არ იყო, არა, ეს შეგნება იყო, რომ თუ არ წავიდა

და ერთი თვის წინად შეჩერებულ დღეს, ეს დღე მალე არ წაბა, მოკვდება, სიცოცხლე აზრს დაჰკარგავს.

კარი გაიხურა და დაბინდულ დერეფანში გამოვიდა, მანქანის კაპანება არც ქ იყო, მხოლოდ იქ, დერეფნის ბოლოში, დამლოცველი ქალი თუჯის ნივარაზე ტრიშინით მიშვებულ წყალში ცოცხსა რეცხავდა და რომელიღაც ოთახიდან ისმოდა საბეჭდავ მანქანის რახუნნი.

— მიტინგზე თუ არიან? — გაიფიქრა და ის იყო კიბისკენ აპირებდა წასვლას, რომ ამ დროს საფინანსო განყოფილების კარი გაიღო და ქარხნის ეკონომისტი ელიზბარ ტურაბელიძე გამოვიდა. ელიზბარმა იცნო თუ არა ქალი, ქალაღდების ფრიალით მისკენ გამოემართა.

— აა, სტელლა, თინა სტელლა! — მიესალმა იგი და ქალიშვილს ხელი დუნედ ჩამოართვა.

თინას არ მოეწონა მისი ეს „სტელლა“.

როცა მუშები ასე ეძახდნენ, მას უხაროდა ეს სახელი, მაგრამ ამ ქალაღდის კაცის ხელში სტელლა კი არა მზეც ხუნდებოდა.

— სასიამოვნოა, ამხანაგო თინა, ძლიერ სასიამოვნო თქვენი ჩამოსვლა. მით უფრო რომ ჩემ მეგობართან ერთად გიმგზავრიათ. ამ დილით დამირეკა.

— დამირეკაო? — კინალამ ამოხდა თინას და სახეზე ერთიანად აიღეწა, მაგრამ შეატყუო თუ არა, რომ წითლდებოდა, კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო თავი. გული მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა.

ჯერ ისედაც არ უყვარდა ეს კაცი. ახლა ეს ინტიმური კილო და ორ-აზროვანი შემოხედვა კიდევ უფრო აბრაზებდა მას, უნდოდა მკვახედ მოეტყრა, მაგრამ:

— დიახ, ერთად ვიმგზავრეთ. — სთქვა მან მისდა მოულოდნელად უბრალოდ, თითქოს მეგობრული კილოთი და ამან კიდევ უფრო გამოიყვანა მოთმინებიდან, სახეზე ერთიანად წამოქარხალდა.

— კიდევ კარგი რომ ბინდია ამ დერეფანში!

მათ შორის გაცნობის პირველ დღიდანვე ოფიციალური დამოკიდებულება ჩამოვარდა. ელიზბარმა რამდენჯერმე სცადა ამ ახტაჯანა გოგოსთან დაახლოვება, მაგრამ ის მკვახე ტყემალივით სჭრიდა კბილებს, რაც ელიზბარს განზრახვაზე ხელს აღებინებდა.

ელიზბარს უნდოდა რაღაც ეთქვა მისთვის, მგონი ქათინაურიც კი უთხრა, მაგრამ თინას არც გაუგონია ისე შებრუნდა და კიბეები რომ სწრაფად ჩაირბინა, მისი ყურადღება მისასვლელ კარებთან აკრულმა კინოს აფიშამ მიიქცია.

პლაკატის თავზე შპალიერის ქალაღდი იყო გაკრული და ზედ კარმინით ეწერა:

„ჩ ა პ ა მ ე ნ ი“

კოლექტიური ნახვა



— ჩაპაევი!.. — და გაოცებული, გახარებული გამხდარი ნეტარი კაცს გაფაციცებით მიაჩერდა და, რამდენად მეტად აკვირდებოდა, იმდენად მეტად სცნობდა იგი საყვარელ ადამიანის სახეს და ისე იყო, თითქოს დიდი ხნის უნახავ ძვირფას მეგობრის ნაცნობ სახეს ხედავდა. მას უხაროდა, რომ ის ასე ადამიანურად უბრალო იყო, ასე ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივიც, რომ ის არაფრით არ განსხვავდებოდა მისი საამქროს რომელიმე დამკვერელ მუშებისაგან და მათი ამ ათასეულ ჩაპაეების გმირობაზე ჰლალადებენ ცენტრის, რაიონისა და ქარხნის გაზეთები, ყიყინობენ საამქროს კედლის გაზეთები და წითელი დაფები. ყოველი აქაური მუშათაგანი ჩაპაევი იყო და გრძობა, რომ ასეთ გმირულ ეპოქაში ცხოვრობ და მუშაობ გმირებთან ერთად კიდევ მეტის სიამაყით ავსებდა მის გულს. გაახსენდა მოწაფეობის დროს როგორის შურით უტყუროდა სამოქალაქო ომების გმირთა პორტრეტებს. მაშინ ის იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ ეგონა გმირობა მხოლოდ ომში და ხელჩართულ ბრძოლაში შელადენდებოდა და მათი ასპარეზიც მხოლოდ იქ იყო. დღეს გმირობა და თავგანწირვა ყოველდღიურ მოვლენად არის ქცეული, იმდენად ყოველდღიური, რომ არავისში გაკვირვებას არ იწვევს. ეს კაციც ასეთივე იყო და რომ არ დაღუპულიყო, ახლა რომელიმე ქარხნის დამკვერელი იქნებოდა, ისიც ისეთივე სადა იქნებოდა, როგორც ყველა ისინი, რომელთაც ის თავის საამქროში იცნობს, უყვარს, პატივსა სცემს. თვალებიც ასეთივე აქვთ ლუმელებივით აგიზგიზებული, — გატაცებული, სიცოცხლეს დახარბებული და რწმენით აღსავსენი, გაბედულნი და შემმართებელნი, ხიფათისა და სიძნელების გადამლახველნი.

უეცრად, საიდანღაც რეზო ამოტივტივდა:

— ხედავ, ელიზბარისთვის უთქვამს!.. ალბათ, რეზო... — მაგრამ უთავბოლოდ შემოჭრილ სახეს ისევ ეს პლაკატი აეფარა და ტყვიამფრქვევის პნევმატიურ ჩაქუჩივით რახუნში გაისმა თეთრი გამხდარი ცხენის ფლოქების თქარუნი.

ჯერ კიდევ იქ, ზღვის პირას, კითხულობდა იგი გაზეთ „პრავდაში“ ამ სურათის ბრწყინვალე გამარჯვების ამბებს, მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდი ქებისა, ვადასწყვიტა მაინც არ ნახოს იგი.

ახლაც, პლაკატს რომ შეხედა, იმდენად მიმზიდველი იყო ეს სურათი, რომ ერთი პირობა შეეყოყმანდა

— ნახოს, თუ არ ნახოს?

— ნახოს, თუ არ ნახოს?

მას ხშირად დაჰმართნია ასე: ლიტერატურული შთაბეჭდილება ფილმს გაუქარწყლებია და არ უნდოდა ახლაც ფურმანოვის შესანიშნავი წიგნისაგან მიღებული ალტაცება გაენიავებინა, მაგრამ ცდუნება იმდენად

ძლიერი იყო, რომ ერთხელ მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება დაერყა, ცნობისმოყვარეობამ დასძლია. წავა, ნახავს თავის ჩაბანს, ის იმდენად ბრწყინვალეა, რომ ვერაფერი მას ვერ გაახუნებს. დასმ კვანძულებით, ეზოში რომ გამოვიდა, თვალს ტენდერების საამქროს კედელზე ამართული დიქტის პლაკატი აეფარა:

„და ვ ე უ ფ ლ ო თ ტ ე ქ ნ ი კ ა ს!“

11

რიგში ჩამდგარ ტენდერებს რომ გასცდა, ჩრდილიც გათავდა და უკვე მოძალებულმა შუადღის მზემ თავში დააქირა, მაგრამ თინა მთელის ტანით სვამდა ამ ცხუნვარებას.

ჩამომსხმელთა საამქროს რომ ჩაუარა, თვალი რუინის მალალი ბადით შემოზღუდულ ტენისის მოედანზე შერჩა.

პლაცი წითელი ქვიშით იყო მოტკეპნილი.

თეთრ „ლანებით“ დახაზულ კვადრატებსა და პარალელოგრამებს ქარხნის კვარტლისაგან ნირი უკვე შესცვლოდათ.

თვალით რომ აზომ-დაზომა:

— რა ხალხია! — ამოხდა. — ხარჯს ეწევიან და სულ უბრალო რამ ვერ გაუსაზრებიათ! ეს რანაირად დაუდგამთ?

მართლაც მოედანი ვერ იყო სწორად გამართული.

სიგრძით ის აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართებოდა და ასეთი მდებარეობით მოთამაშეთათვის გადაულახავ უხერხულობასა ჰქმნიდა: დილით აღმოსავლეთის მზე ატყრელებდა თვალს მოთამაშეს და წამოქნულ ბურთს არ დაანახებდა, საღამოთი კი დასავლეთის ჩამავალი მზის სხივები არ მისცემდა საშველს.

ეზოში არავინ იყო.

აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა ვინმე და ისევ მიიმალებოდა.

შაბაში დასრულებულიყო, მიტინგიც და ქარხანა ყველა საამქროებით ერთხმად გუგუნებდა ხეთწლედის ინდუსტრიალურ სიმღერას. აქა-იქ მიწის ქვეშ გატარებულ მილებიდან შიშინით სცემდა გადამუშავებული ორთქლი: ეს ქარხანა სუნთქავდა მთელი თავისი ფილტვებით.

გული ისევ სავსე იყო სიხარულით, მუშაობის წყურვილით. თინა ბეჭეტრმა ოცნებამ ვაიტაცა და ამ ოცნებაში იყო ერთგვარი თეატრალიზა. გულუბრყვილობა და დასრულებულ ადამიანისათვის შეუფერებელი ფიქრები, ფიქრები, რომლებიც შემდეგ გაწითლებენ, უხერხულობას გაგრძობინებენ გახსენებისას თავისი მიაშიტობითა და გარდამეტებათა გამო. მაგრამ ადამიანი ხომ ლოგარითმების შიმში არ არის, რომ მასში ყველაფერი ზუსტად იყოს გაანგარიშებული? ვანა იგი ფრანგული ენის გრამატიკასავით არ არის სავსე უმართებულო ზმნებით? თინა კაცი იყო, ადამიანი და ეს უსწორო ზმნები შემოეჯარენ ახლა მის საერთო სიყვარულით ვანებიერებულსა და გაამპარტავენებულ სულს.

— რა არის მერე კუდი ოცნებაში? — იკითხა მან ქორეველს და კუპრივით თმები უკან რომ გადიყარა, წარმოუდგა: — აი საცაა მივა თავის საამქროშიც... მუშები მოჰკრავენ თუ არა თვალს, განსჯის რწმუნებით მიესალმებიან:

— აა, თინას გაუმარჯოს! სტელლას გაუმარჯოს!... — სტელლაც ჩამოივლის ყველას და, ვისაც ხელი თავისუფალი აქვს, ხელს ჩამოართმევს, განიერ მაზოლიან ტორებში ჩაუდებს თავის პატარა და ღონიერ ხელს, თუ მოუხერხა, მეგობრულადაც მოუჭერს და ხალისით მიესალმება საწარმოო გეგმისათვის თანამებრძოლებს:

— გამარჯობა თქვენი, ამხანაგებო! — და დაზგები, ჩარხები, უროები, ბრიგადები, საოსტატოები გაშლილ სოციალისტური მუშაობით შეეგებებიან.

ამ დღემდე ოცნებობდა იგი იქ ტექნიკუმის მერხზე ამხანაგებთან ერთად ორუცნობიან განტოლებასა და ილია ჭავჭავაძის მგზავრის წერილებს რომ სწავლობდა, დღევანდელი დღის მოლოდინით ცოცხლობდა იგი ინსტიტუტში და დასაშვებ ჭინვათა და ცხენის ძალათა ანგარიშში, მას მეორე ჭინვათა და ძალების ანგარიშიც არ ეპარებოდა ყურადღებიდან. — ეს მისი გული იყო, მისი კუნთები და მისი შეგნება დღევანდლობისა.

საამქროში რომ შედიოდა, კარებთან თარგამაძის კვამლსაწვევ მიღობდა ბრიგადის ორი კომკავშირელი შეხვდა. მათ მილები მხარზე გაედოთ და წინა ამხანაგი უკანასი ოდნავი ბიძგს აყოლებული მიდიოდა ოდნავი ტორტმანით.

ეს ამხანაგები მის პოლიტწრეში მეცადინეობდნენ და თინას გაუხარდა მათი დანახვა, მაგრამ დატვირთულ ახალგაზრდებს ვზა რომ დაუთმო, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა:

— ეს რას ჰგავს? ჭარხანა მექანიზირებულია და სიმძიმეებს ისევე ზურგით ეზიდებიან?

უნდოდა გაჯავრებოდა, საყვედური ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

უხერხული იყო: ჯერ არც მოსულა, მუშაობაც არ დაუწყია და ახლავე საყვედურები. მით უფრო რომ ეს მის სადღესასწაულო გუნებას არც შეესაბამებოდა.

კომკავშირელებმა შევბულებიდან დაბრუნებული ამქრის ინჟინერი რომ დაინახეს, ერთი პირობა თვალები სიხარულით გაუბრწყინდათ, მაგრამ ეს ბრწყინვალეობა დიდხანს არ დარჩენილა მათ სახეზე, ისევე უეცრად ჩაქრა და თინამ აშკარად იგრძნო რომ ისინი ცდილობდნენ შეუმჩნეველად ჩაეარათ.

— რა დაეშართათ? — შეეკითხა თინა თავის თავს, მაგრამ მალე თვითონვე დაასკვნა:

— ალბათ იმიტომ... მილებს რომ ზურგით ეზიდებიან!... — და:

— გამარჯობა თქვენი, ამხანაგებო! — მიესალმა გულგაშლილად.

— გაგიმარჯოს! — უპასუხეს კომკავშირელებმა შემკრთაღოდ და წინა ამხანაგმა უკანას, რადგან მხარზე გადებული სიმძიმე კისერს მოსაბრუნებლად შეღავათს არ აძლევდა, მოუხერხებლად მარჯვნივ, თან ეს გასატილებელი მიღები ისე მძიმე იყო რომ, თუ არ დაიმორღუნ და დანიშნულ ადგილას მალე არ მიიტანდენ, მხრებს დააწყვეტდა. უკანამ თითქოს იგრძნო ამხანაგის უხერხულობა, მდგომარეობისაგან რომ ეხსნა, მიღებს უსიტყვოდ მიაწვა და მით ამხანაგი წინ წაივლო.

თინას გული მოუვიდა და, გზა რომ დაუთმო:

— წადით, იარეთ, — შეუტია მან გაგულისებულმა.

მუშებმა უსიტყვოდ ჩაიარეს, მაგრამ თინა მაინც არ მოეშვა მათ, ისევ შეაჩერა და მხოლოდ ხხლა შეეკითხა:

— მიღები მხრებით რათ მიგაქვთ?

— ავტოკარები არა გვაქვს.

— როგორ თუ არა გვაქვს? — გაიოცა თინამ, თერთმეტი ავტოკარი დასტოვა საამქროში და რა იქნა? რას ჰგავს ეს დამოკიდებულება? რა შია საქმე? რა მოხდა უმისოდ ამ ერთ თვეში?

ხასიათი წაუხდა, მოეშვა და, ასე მოშვებული საამქროში რომ შევიდა, — დაზგები, ოწინარები, ონკანები, უროები, ავტოგენი მადულები ელვით, სტვენით, ზათქითა და შხულით დაეჯახა. ხმაურს გადაჩვეული ყური ერთბაშად დაუგებდა.

ხელის გული ყურზე მაგრა მიიჭირა და ისე მოისრისა, მაგრამ არა გამოუვიდა რა.

— გამარჯობა, სტელა! — მოესმა საერთო ზანზარში.

თინამ შეუხედავად იცნო თავისი მოადგილე, უფროსი ოსტატი ერიკ შულცი.

მიზრუნდა და, ქერა ვაჟაკს შავი თვალები მუგუზლებივით ჯიქურ რომ შეუბღლილა:

— გაგიმარჯოს, ერიკ! — ჩამოართვა სალამი ხალისიანად და მზისაგან ბრინჯაოსფრად დაშწვარი სახის მთელი ნაკვეთებით რომ გაუღიმა, მიჯრით მიწყობილმა თეთრმა კბილებმა თვალისმომჭრელად გაიელვა.

ვაჟაკი შეკრთა.

ეშხიან თვალთა ჩინჩხლები გულს თაკარა ღველკივით შემოეყარა და, საოკარი, სად იყო აქამდე, რატომ არასოდეს არ შეუშინებია ამ ქალაბიქაში ესოდენ ქარბი ქალოვანება, სილბილე და სიასამური?!

თვალით რომ მთლიანად ელამუნებოდა, ოდნავ უკან დაიწია და ისე ახედა ამ ზარზოშის მომგვრელ მწიფე ტანს თავით ფეხამდე.

— რაა ეს?.. — იკითხა ვაჟაკმა მოტეხილი და უცნაურად მორჩილი ხმით. თავისივე კითხვამ თვითონვე შეაკრთო და, როცა თინამ კითხვა კითხვითვე მოუჭრა:

— რაი, ერიკო?

— არაპერი, თინათინხენ, არაპერი! — ამოხდა მას და ხელი კი არ ჩაიჭნია, აასავსავა ისე, თითქოს ვილაცას იგერიებდნო.

თინამ იგრძნო, თუ რაც სჭირდა ვაჟაკს და, სიტბო რომ უკუტანტელივით შეეპარა სხეულში, ნამატროსალს ეშმაურ ინტენსივობით გაუღიმა. ამ ღიმილში იყო რაღაც დედური გრძნობის მსგავსი დამაყვავებლობა, სიტბო და ეშმაკმა იცის კიდევ რა!

ისედაც სავსე გული პირამდე აეგსო და ამ გავანია მუშაობაში, ამ ნაცნობ გარემოში, ღვედების ტყრშიალში და დიქტმოფარებულ ავტომატულების იისფერ ელვაში იქ, წიაღში, რაღაც ზამბარაკის მსგავსად დრეკადი და მოჭილი სრულ უარამდე მოიმართა და, წუთით სუნთქვა რომ შეუკრა, — ნელი შლა იწყო.

— უუჰ, ეს რა ჯოჯოხეთია — წამოიძახა თინამ ფუფუნებაში განებივრებული ხელთეთრი ქალის გამოჯავრებით უფრო იმიტომ, რომ ეს სატიალედ შეტაცებული სული მოეთქვა და:

— დიდაია, ჩემი სიკეტილი! — რომ შეჰკივლა (ესეც ვილაცის დაცინვით), ერთი ისეთი გადაიკისკისა, რომ იქვე, მათ მახლობლად, მომუშავეთა ყურადღება მიიქცია.

მერე ერთი შეფრთქილდა, უნდოდა ტრანშეებისაკენ სიხარულით აწივლებული გაქცეულიყო, მაგრამ მაზუთიან ტალახში ფეხი მოუცურდა და კინალამ წაიქცა.

მიიხედ-მოიხედა, — შერცხვა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ აქ, პლაკი კი არა, საამქროა და სახეწამოფაკლულმა ნავთობში დასვრილი ფეხი მშრალ მიწაზე ასმით გაიწმინდა. მერე ამიზნებელი ბავშვივით ფეხები უცნაურად მოიქცია და ასე სასაცილოდ დაფორხილებული უკანვე გამობრუნდა. სიყვარულით მოჩერებული ნაცნობი მუშები რომ დაინახა, ხელი მალა ასწია და ისე დაუქნია.

— გამარჯობა თქვენი, ამხანაგებო!

— გაგიმარჯოს! — უპასუხეს მუშებმა ღიმილით.

თინამ მუშტები აიღო და ისე რომ მოკუმშა, თითქოს ორივე მუჭში კაკალს კაკალზე სტეხსო, დაიძახა:

— აი ჩამოველ... თქვენ ახლა ნახეთ, როგორ ვიმუშავებთ!..

— ხედავ? — მოუბრუნდა იგი გერმანელს. — ისევ აქა ვარ, ერიკ! — სთქვა და უეცრად შეკრთა.

ვილაც მუშა მოძრაობის გადამცემ ბერკეტის თითბრის შვერზე უროს გამეტებით სცემდა და მთელი მექანიზმი ყურის დამსერავად ელარუნობდა. კიდევ რამდენიმე დარტყმა და შვერი ისე დაიყეებოდა, რომ არაფრის მოსახმარი არ იქნებოდა.

შულცმა შეყვირებაც ვერ მოასწრო, რომ თინა მუშის გვერდით გაჩნდა და მოსაქნევად უკან გადაღერებულ უროს ტარში ხელი რომ უტაცა:



— შენ, ეი, ამხანაგო, რას სჩადიხარ? — შეუტია.

მუშამ უცნობ ქალს რომ მოხედა, ერთი მტრულად ქმედებულ მხარზე დაშვებული მძიმე ურო მკლავზე დუნედ ჩამოუცურდა და მძინარე ნებით დაადგო.

ვერც თინამ იცნო იგი.

— ალბათ ახალია! — გაუელეა და მხარზე ხელი დაყვავებით დაადგო. ვაქცაცმა ერთი უხიაგად შეხედა ამ მეტიჩარა გოგოს, უნდოდა შეეტია, მაგრამ ენა პირში უდიერად ვერ მოაბრუნა.

— ორი კვირაა! — სთქვა მან უკმეხი პასუხის მაგიერ წესიერად.

— როგორ? — გაოცდა თინა. — ორი კვირაა? როგორ თუ ორი კვირა? — მიუბრუნდა ახლა იგი შულცს. — კაცი ორი კვირაა წარმოებაში და ასეთ სამუშაოს აძლევთ? რას ჰგავს ეს, ამხანაგო შულც? ახლავე ოსტატს დამიძახეთ!

ოსტატიც მოვიდა.

თინა გააფთრებული დაეტაკა მას.

— ამხანაგო კაპანაძე, რა არის ეს? ვინ აგებს პასუხს გაფუჭებულ დეტალზე? იქნებ გგონია, რომ შენ? ან შენ, ამხანაგო შულც, ანდა ეს გამოუცდელი მუშა? არა, ამხანაგებო, ორთქლმავალი აგებს პასუხს, ორთქლმავალი! — სთქვა მან გაფიცებით.

ოსტატმა თავის გასამართლებლად დამხმარეთა სიმცირე ახსენა, მაგრამ თინას ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისათვის და შულცს ისე მიუბრუნდა:

— კობეშვიძე სად არის? ახლავე მის ბრიგადაში გადაისროლეთ! სადაური ხარ, ამხანაგო? — შეეკითხა მოულოდნელად მუშას.

— ზიზაბაერიდან — მიუგო ახალგაზრდამ.

— ჰო და გამოუცდელი ყოფილხარ, ამხანაგო! ჯერ უნდა ისწავლო! ხარს რომ რკინის სახრე მოუქნის, როგორი იქნება? თითბრის ნაწილებს ეგეთი უროთი როდი სცემენ. რკინა მაგარია, ფიცხია და დაეყვავს. ტყვიის ურო უნდა დაარტყა, ამხანაგო, ტყვიის ურო! ტყვია რბილია და თითბერს არ დააზიანებს! — სთქვა მან დაყვავებით, რომ ახალი კაცისათვის გული არ წაეხდინა და მერე უეტრად შულცს მიუბრუნდა, რომელიც თინას განკარგულებას უბის წიგნში იწერდა.

— მაშ ეგრე. ახლა წავიდეთ, ამხანაგო ერიკ! ენახოთ, რა გიკეთებია ან გიფუჭებია უჩემოდ! — სთქვა მან ხუმრობით და ამ სიტყვებით თავის მოადგილეს კომბინეზონის არტახში ხელი მაგრა რომ ჩასქიდა, ტრანშეებისაკენ გაემართა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



გიორგი კაჭახიძე

ეკალიპტები

დატოვეს წყნარი სამხრეთის ზეცა,
დაემშვიდობენ მეგობრებს ნაზებს,
გამოყვენ პირველ მხიარულ მერცხალს,
დასხდენ გემზე და დაიძრენ ზღვაზე.
დაჰკარგეს მიწა, ნაპირის ხრეში,
წყალი უსაზღვრო ჰორიზონტს შლიდა...
ყვავილობის დროს მოვიდენ ჩვენში
და კოლხიდაში დასახლდენ მშვიდად.
პრესის კაცებმა ქვეყანას ამცნეს
ეკალიპტების ლაშქარის მოსვლა...
ნერგთაგან სევდა არ ჰქონდა არცერთს,
შლიდენ კვირტებს და ეძებდენ მგოსანს.
რიონის ახლო, მეთევზის ქობთან,
სადაც ტბას სიო აღელვებს ისევ,
ვნახე ისინი — ხეები კობტა,
ტანშალალნი და წასულნი ცისკენ.
უნდოდათ თითქოს მზის ქვეყნის ნახვა,
ეგრძნოთ სითბო და სინათლე მეტი...
გავდა გარემო ტალანტის ნახატს,
განვიცადე და გამიხსნა მკერდი...
ვეება ბადე შრებოდა მზეზე,
იჭერდა ლობის უეკლო ტანი.
პატრონი ჩრდილში იწეა, და თევზებს
გობზე გოგონა ფატრავდა დანით.
წვივთან მოზრდილი იარა აჩნდა,
ტყეში გატროდა უეცრად წალდით...
ჯერ ბავშვი იყო, თამამი კაცთან
და უმზადებდა მამილოს სადილს.
ცეცხლს მიუმატა კუნძები თხმელის,
აღრინდელ ფიჩხსაც დაუწყო მტკრევა...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მოიკალა, მანიშნა ხელით
 ეკვალიტები და მათი რხევა.
 მიჭო ბევრი და ნატრობდა თანვე:
 ჰქონოდა მათებრ ლამაზი ტანი,
 დამსგავსებოდა მაისის მთვარეს
 და არ ჰყოლოდა დედილო მკვდარი.
 ხენი ქებულნი იდგენ და მალლა
 ტოტებზე უსხდათ ფოთლები ჩვილი,
 შორს გასცქეროდენ ნარინჯის ბაღნარს
 და ძირს დაეგდოთ პატარა ჩრდილი.
 ჩემში ისინი ხატავდენ ნათლად
 წიგნებით განცილდნ შორეულ მხარეს,
 სადაც აკლია ძაღლონე ზამთარს,
 არის ხილი და მიწასაც ზნავენ.
 ხეები იგი სახლობენ ტბასთან,
 რომ გაუსინჯონ ნიადაგს სისქე,
 მოეჭკენ ჭობს მანქანის მსგავსად:
 შესვან წყალი და გაუშვან ცისკენ.
 იმ დღეს არ ეგრძნობდი რატომღაც შიმშილს,
 დღე მილიმოდა ლიმონის ბაგით.
 მიმოვდიოდით... და ჩუმად ფიქრში
 წამოშებარა სალამო კარგი.
 როცა დაღამდა და ბოსლის კარებს
 მეთევზის ქალი ადებდა ბოჭლომს, —
 მალალ ხეებზე აინთო მთვარე
 და დააყარა ბალახებს ოქრო.

1935 წ.



მრი ლექსი

ნუ გძინავთ

დროა, რომ აღსდგეთ! ნუ გძინავთ, კმარა!
 უკვე ასკდება ნაპირებს წყალი,
 ჩვენ არ გვაშინებს მათი ყუმბარა,
 დე, ამოვარდეს კვლავ ქარიშხალი.
 სწრაფ ხალათები დაიკაპიწეთ.
 ომი ციხეებს, მაღალ ჯალათებს.
 ოთხმოცდა ცამეტ წელსა გაფიცებთ —
 თავისუფლებას ნუ უღალატებთ.
 ზომ დაამსხვრიეთ ტიტანი წინად,
 ნუ თუ გაშინებთ თქვენ ეს ტიკინა?
 ძირს შეფე მისი მხდალი ამალით,
 მისი ხუცებით და ნატამალით.
 და თქვენთვის არის კანონი ერთი —
 თავისუფლების მგრგვინავე ღმერთი;
 მის წინაშეა ამაოება
 გარდასულ წელთა მკრთალი დროება;
 მის წინ კანკალებს თვითონ აფთარი,
 ვეშაპი ზღვაში — მძლე, ნაზავთარი;
 — არბევს საყდართა, კერპთა დიდებას,
 ხატების ნგრევას არ ერიდება:
 თავისუფლება მუდამ მჭროლავი,
 ჯალათებისგან ჩაუჭროლავი.
 და თუ არა გაქვთ თქვენ იარაღი,
 ჩაჭურს და უროს მოჰკიდეთ ხელი.
 ქუჩას მოსტაცეთ ქვების მარაგი,
 სწრაფად გასჭერით ქუჩის კედელი.
 და ბრაზიანი ხმობით, იმედით
 ერთბაშად თავი თქვენ გაიმეტეთ,
 რომ მტრებისაგან იხსნათ პარიზი.
 ათროლოებულნი უღმობელ ბრძოლით
 და შემომქმედის მრისხანე როლით —




ქართული
ნიგელიოთეკა

ნახეთ თქვენი გზა და ასპარეზი.
რა საჭიროა მოგონება როიალისტების,
შენ, ხალხო, მუდამ
აჯანყების ცეცხლში იზრდები.
შენი მკლავების ძლიერება
მტრისთვის შანთია.
ველარ უარყოფს შენს სიმტკიცეს
თვითონ ვანდია.
ველარ უარყოფს ამას ბრეტანი,
ამას ლალაღებს
ბარიკადა და მოედანი.
შენ არ გაშინებს
მტერი მსუნაგი,
და მორტირები
მძიმე მთქნარებით.
დე, იყოს შენს წინ
ზარბაზნების მთელი ბუნაგი,
აჯანყდი მაინც
შიშველ სარებით.
მაგრამ თუ კიდევ
ნამდვილი ფრანგი
არ გაიმეტებს
თავს საბრძოლველად,
მაშინ დაიმსხვრეს
ეს ჩემი ჩანგი,
და დაიდალოს
ჩემ ზიზლით ყველა!
დიდ წინაპრების
არა ხართ ტოლი.
თქვენ გეშინიათ,
ლაჩრებო, ბრძოლის,
თქვენ გადაგვარდით,
ვით სხვა ტომები.
აუტანიხართ
შიშის ციებას,
თქვენ აღარ ეტრფით
შურისძიებას.

ო. როგორ მობენს
კურდღლებს ლომებზე
თარგ. ფრანგულში

საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

49114





ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან იგრძნო ჩემმა ბაგემ
აღვსებული თასი შენი,
ვინაიდან მე შენს ხელზე
მკრთალი შუბლი დავაყრდენი;
ვინაიდან მე დროდა-დრო
ვისუნთქავდი სუნთქვას ტკბილსა,
სურნელებას შენის სულის
რაიც შეენახა ჩრდილსა;

ვინაიდან ვაევიგონე
მე შენი ხმა ვით სიმღერა,
რომელშიაც გაისმოდა
იდუმალი გულის ძგერა;
ვინაიდან ხან მტირალს და
ხან ღიმილით მოციალეს
ვგრძნობდა შენს ტუჩს ჩემს ტუჩებთან
და ჩემს თვალთან სათნო თვალებს.

რადგან აღტაცებულს თავზე
დამნათოდა დაუმცხრალი,
სხივი შენი მნათობისა
დაფარული. იდუმალი
მჩქეფ ზვირთებში ჩემ ცხოვრების
რადგან ვნახე ჩამოვარდა
შენს დღეებზე მოწყვეტილი
უტურფესი ნორჩი ვარდი;

ახლა შემიძლია ვუთხრა
სწრაფ წარმავალ დღეებს და წლებს:
— თქვენ იდინეთ თქვენთვის მარად.
აწ მე რალა მომახუცებს.
წადით, წადით, გაიარეთ,
თქვენი მკენარი ყვავილებით
მე სულში მაქვს ყვავილი და
მას კი ველარ შეეხებით.

8119

მე რომ თასი ხელთ მიპყრია
 მძაფრ წყურვილის მოსაკლავად,
 მას თქვენი ფრთა ვერ დამიღვრის
 რაგინდ დაეჯახოს ავად.
 ჩემს სულის ცეცხლს თქვენი ფერფლით
 ვერ დაჰფრავთ, არ იჭნება,
 ჩემს გულს ტრფობა მეტი შესწევს,
 ვინემლის თქვენ — დაეწყება.



თარგ. ფრანგულიდან ზრ. ცეცხლაძის



გრიგოლ ცეცხლაძე

მრისხანე ქარი

პოემის შესავალი

ყოველი ჩემი თანამედროვე
ბიოგრაფიით არის მდიდარი,
ეპოქის განცდებს ვერ მოაგროებს
ერთი კალამი ვერავითარი.
ციხე, სიმშლილი, მკვლელობა, ომი...
სიკვდილის ფრთები ვის არ ჰფენია.
ქანგს იმარჯვებდა ავი ფანტომი
და ვრცელდებოდა ნევრასტენია.
ყოველ ჩვენგანის სულია მღვიმე
და მოგონებებს არა აქვთ ბოლო,
ჩვენ მხრებზე გვედო ეპოქა მძიმე,
ჩვენ არ ვცხოვრობდით — ვიბრძოდით მხოლოდ.
სკოლაში შესვლაც ვერ მოვასწარიტ,
რომ აჯანყების გვესმა გუგუნე
და შევისწავლეთ „მრისხანე ქარი“ —
პირველი ლექსი ამ საუკუნის.
ჩვენ ვატარებდით ნორჩი არსებით
თავისუფლების ალამის ტრფობას
და გვიხაროდა როცა მასები
ქვეყნის მტარვალებს უთვლიდენ გმობას.
ცისკრის ნათელ სხივს ეჯიბრებოდა
მიწის ოცნება და სიხარული
და რომანტიზმით იმოსებოდა,
ვით სატრფოს სახე, კრება ფარული.
უთანასწორო იყო ის ბრძოლა,
მზის სხივს ჩაგრაედენ შავი ღრუბლები,
მაგრამ არ იყო შიში და ძრწოლა,
განათებული ჩანდენ შუბლები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიადაგს ქმნიდენ აჯანყებები;
 რადგან იგრძნო ჩემა ბაგემ
 რომ ზედ მომავალს დაედგა ფეხი,
 ენტუზიასტთა ისმოლენ ხმები
 და მტკიცდებოდა ნება უტეხი.
 სიცოცხლე ჰფეთქდა წინსვლის ხალისით,
 სიძნელე სურვილს ზრდიდა კელავ მეტად,
 უერთდებოდა ზღვაურს დაისი
 და აღვივებდა იმედს პლანეტა.
 ბევრჯერ დაეცა და გაიკაწრა
 სიმართლისათვის მებრძოლი ძალა,
 მაგრამ კელავ აღსდგა, ქვეყანა დასძრა,
 წითელი დროშა ფართედ გაშალა.
 დღეს აღარა ვგრძნობთ ბედის ავობას
 მშრომელთა მხარეს დაუდგა დარი,
 მაგრამ ვუამბო მსურს ნორჩ თაობას
 რა რიგად ჰყეფდა მრისხანე ქარი.
 დრო იაგუნდსაც სკამს და ამცირებს,
 ქვეყნად არაფერს არ ინდობს ბედი;
 მაგრამ ეპოქას გმირს და მის გმირებს
 მე მინდა შეჰჩინეთ შარავანდელი.

1935 წ.



რატომ გვებაძ

ლაშაური სალომე

გაგრძელება *)

უცნობ ძალის ცხოდება

1925 წ. აპრილის 11

„დედაჩემი თვალს მარიდებს. აღარც შეაღერსება, აღარც ზრუნავს ჩემზე. სულ ამაღო ხელი. თავი უდაბნოში მგონია — ირგვლივ სიცალიერა და უკუნი. ჩემი ტოლები-კი ვარსკვლავებს ეთამაშებიან, თვალეშაიაც ვარსკვლავები უბრწყინავთ და სახედან ღიმილი არ ცილდებათ.

მართო მე ვარ უბედური.

ერთი დედა მყავს და იმანაც მომიძულა.

იწნებ არც ისაა ჩემი ღვიძლი დედა?

ვაიმე.

აპრილის 13

წუხელის ადრე დავწეე, რადგან ზეზე ყოფნა სულ აღარ შემეძლო. მთელი სხეული მტკიოდა. უღონოსა და რეტიანს თითოეული საგანი ორად მეჩვენებოდა. მეგონა გულის მაგიერ ჩვარი მედვა მკერდში და ჩემი თავი შემეცოდა, იმავ დროს ვინატრე: ისე დამძინებოდა, რომ თვალი აღარ გამეხილა, აღარ მენახა ჩემი პირუტყვი მამინაცვალი, აღარც დედა, რომლის სიყვარული ლამპარით მინათებდა ბნელით მოცულ ცხოვრების გზას.

ახლა?..

უეცრად ცრემლის ნიაღვარი წამსკდა.

ძველ საბანში ზღარბათ ვიჭეცი, სახე ბალიშში ჩავფალი, ვცდილობდი ჩემი კენესა დედაჩემს არ გაეგონა, მაგრამ მეტი ველარ ავიტანე და ხმა მალალი ქვითინი ამივარდა, თანაც სიმწარისაგან თითებს ვიკბენდი.

დედაჩემი კარგახანს მიცქეროდა შორიდან.

*) იხ. „მნათობი“ № 4 და 5.

ბოლოს მოვიდა, დამადგა თავზე და ცივად მკითხა:

— რა გატირებს!

მისმა გულგრილობამ გამაოცა, თავი მაღლა ავწიე, ცრემლში თვალები მივაპყარი და ვიგრძენი, რომ ის ხმა დედაჩემის არ იყო. წავავლე ხელი კაბაზე, ლოგინთან ახლო მივიყვანე და გულამომჯდარი ტირილით მუხლებზე მოვეხევი.

— ჩემო დედა, ჩემო კარგო დედა, რა დაგიშავე, რომ ასე ერთბაშად წემოძულე, რომ ასე უცხოსავეთ მიცქერი. მითხარი რომ შენი შვილი ვარ, რომ შენ ჩემი ნამდვილი დედა ხარ. მითხარი, თორემ გავგიყვებდი, თავს მოვიკლაე! — ვლულულულებდი ცრემლის ყლაპვით და კაბის კალთებს ვუკოცნიდი.

დედა მოლბა და გვერდით მომიჯდა. მიტკალივით სახე გათეთრებულმა ერთი შემომხედა, მერე თვალები დახუჭა და ისიც ატირდა, მაგრამ უხმოდ. დახუჭულ თვალების წამწამებზე დაკიდებული მსხვილი ცრემლები ცვარ-ცვარად ეცემოდა ოდესღაც ლამაზ, მაგრამ ახლა კორტობებად ქცეულ ლაწვებზე.

უცნაურმა კანკალმა ამიტანა და დამკნარ ძუძუებში მაგრად ჩაეხუტე.

სიყვარულის ნიშნად დედამ გამხდარ თითებით თმის დაშლა დამიწყო და თავის კანზე მისმა სუსტ ფრჩხილების შეხებამ საამურ ერუანტელთან ერთად მალე რულიც მომგვარა.

არ მახსოვს რამდენხანს ვიყავი დედის უბეში ასე გაყუჩებული.

როცა გამედვიძა, ოთახში უკვე დღის სინათლე იყო.

დედას კატასავით ეძინა ჩემს ფეხებთან.

მამინაცვალიც გაუხდელი, დაწოლილიყო და საბერველივით ქშენდა.

აპრილის 17

რამდენიმე დღე იქნება ჩემი „დღიური“ არ გადამიშლია. უშანგიმ ისე დამტვირთა, რომ ხეირიანად გაკვეთილების მომზადებასაც ვეღარ ვასწრებ. ლამაზი ხელი გაქვსო და მთელი კედლის გაზეთის გაკეთება მართო მე დამაკისრა.

— ამხანაგო უშანგი, — შევეხევეწ ერთხელ განგებ, — მომახმარე ვინმე. თორემ ყველა მასალის გადაწერას თავის დროზე მე ერთი ვერ მოვასწრებთქო.

— ვისაც კომკავშირელობა უნდა, მას მუშაობაც უნდა უყვარდესო, — მიპასუხა მკაცრად.

ნამდვილი დათვია. სულ არ ვეცოდები.

გუშინ დამშვიდობებისას ისე მაგრად მომიჭირა ხელი ხელზე, რომ კინალამ თითები დამიმტვრია.

აპრილის 18



ჩემს მამინაცვალს ხეიბარების არტელში მოუხერხებინა ჩემს ცხელს მშობს და შავებულ ფეხს ისე დაათრევს, თითქოს ძალიან ნატყენი ქონდეს. დღეს ერთი ტომარა პაპიროსები და წითლად შეღებილი ყუთი მოიტანა. მოსვლისთანავე დედას ძველი ხავერდის ნაჭერი მოაძებნინა და მით ყუთი ერთ საათს ფერა, მერე ვახსნა და შიგ პაპიროსები საგანგებოდ ჩაალაგა.

უნდა გენახათ როგორი გამომეტყველებით უტრიალებდა ყუთს ირგვლივ. მგონი ხუთჯერ-კი ვაალო და დაკეტა მასზედ დაკიდებული პატარა ბოჭლომი. თანაც ყუთის სახურავზე თეთრი ასოებით წაწერილ სიტყვას — „გლარჯა“ — წარამარა ამზობდა ხმამალა.

იშოვა საქმე.

ალბათ ამ ყუთს უნდა ეუმაღლოდეთ, რომ ბოლოდროს ჩემი მამინაცვალი ღვინის სმას ერიდება, არც დედაჩემს ეჩხუბება და აღარც მე მიცქერის მგელივით.

აპრილის 24

მოვისვენეთ. ჩემი მამინაცვალი მთელი დღეობით არაა შინ. დილას ადრე მოიკიდებს ყუთს და მიდის. სალამოს გვიან ბრუნდება. მოვა თუ არა, დაჯდება კუთხეში მოფარებით და ითელის ფულს. შუალამემდე ანგარიშობს რამდენი პაპიროსი გაყიდა, რამდენი დარჩა და რამდენი მოიგო. შემდეგ ადგება უხმოდ, შეჭამს რამდენიმე თავ ხახვს და ერთ ოყა შავ პურს, ზედ დააყოლებს ცხელ წყალს, მაგიდაზე დაცვენილ პურის ნამცეცებს ყვავივით აკენკავს და კარგ რესტორანში ნავახშმივით დაწვება. ვიდრე დაიძინებდეს, რამდენჯერმე ნახავს ბალიშ ქვეშ შენახულ ყუთის გასაღებს და ფულიან ქისას.

სულ აღარ იღებს ხმას.

წინათ ისე როგორ მილულავდა თვალს, რომ ჯერ საშინელი უბედურება არ დაეთია დედაჩემისათვის, ან მე არ გავეთათებ, ან-და კომუნისტების გინებით გული არ ეჯერებია.

ახლა მის შინ ყოფნას არც-კი ვგრძნობთ.

აღარც ჩვენ გვერჩის და აღარც საბჭოთა ხელისუფლების ძვირს ლაპარაკობს.

ამასთან ერთად წარმოუდგენელი ძუნწი ვახდა. კაპეიკს კაპეიკზე ადებს და სადღაც ინახავს. პაპიროსის წვეაც-კი მიატოვა, ხანდახან ყუთში შემთხვევით ჩაყრილ თუთუნს თუ გაახვევს გაზეთის ნაფლეთში.

რამდენიხანია ჩვენსას კერძი არ გაკეთებულა.

ოღონდ ხელი აღარ გვახლოს და მეტი არც გვინდა.

საკვირველი კიდევ ისაა, რომ ყოველ საღამოს ჯიბეებში საკმარისად სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის დაქანგულ კლიტეები, დღესმეორეობით, ნალებით, ძველი რკინებით და თუნუქის კოლოფებით დაკრძალული მთელი სახლი აავსო ამ ხარახურით. რა ეშმაკად უნდა ნეტავი! ან სად პოულობს ამდენ რამეს?

დღეს უშველებელი ბორბლის რკინის სალტე მოათრია. ეტყობა მისმა სიმძიმემ მზარი ატკინა, რადგან ახლაც იკიდებს ზედ ხელს.

ჯანდაბას მაგის თავი, რაც უნდა ის ქნას, რას დაეცემა.

ერთი თვე კიდევ და მთაწმინდაზე ფეხსაც აღარ დავადგამ.

სკოლას დავამთავრებ, სამსახურს ვიშოვნო, ან მუშაობას დავიწყებ სადმე და სულ მივატოვებ ამ ჯურღმულს.

კომკავშირში მიღების შემდეგ მაინც არ დამედგომება აქ.

ერთ პატარა ოთახს როგორ არ მომცემენ.

დედასაც თან წავიყვან. მაგრამ წამომყვება კია? ისე უყვარს ჩემი უემური მამინაცვალი, რომ საექვოა უმისოდ გაძლოს. მგონია მასზე უფრო ადრე მე შემეღევა.

ეპ...

ნეტავი უშანგი რას აკეთებს ახლა?

აპრილის 30

გუშინ ჩემი მამინაცვალი უყუთოდ წავიდა და მთელი დღე-ღამე სადღაც იყო. მხოლოდ ამ საღამოს დაბრუნდა შინ.

შემზარა მისმა შეხედვამ: თვალეში გუგების ნაცვლად ხორცის ნაკრები ეწყო. ცხვირიც უცნაურად გაწითლებოდა. პირიდან ისეთი მყრალი ონშივარი დიოდა, რომ სათოფედ ვერ მიეკარებოდა კაცი. ახლაც მისი ოგინიდან საზიზღარი სუნი მოდის და გული მერევა.

არაყითაა გაღეშილი.

ასე უზომოდ მთვრალი დიდხანია აღარ მინახავს.

მოსვლისთანავე ხელში მომაჩერა გაზეთში გახვეული კაბა და ფეხსაცმელები.

არ მინდოდა ჩამომერთმია.

თუმცა უკვე ცხელა და მე კიდევ ვერ გამიხდია გახუნებული პალტო, რადგან ძველი კაბა სულ შემომადნა ტანზე. აღარც ფეხსაცმელები მივარგა. — რამდენიმე დღეა ლიმონადის სინით ვაკერებ, რომ ფეხის თითები არ გამოიჩინდეს, მაგრამ ისევ მიჩრეენია შიშველი დავდიოდე, ვიდრე ჩემი მამინაცვლის ფულით ნაყიდი სამოსი მეცვას.

შემატყო ყოყმანი და ძალა დამატანა.

უარი არ გამივიდა. დიდი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ გაებედე.

მოკვიდე თუ არა ხელი კაბასა და ფეხსაცმელებს, რატომღაც დედაჩემს შეეხებდე და გავქვავდი: საინო და კეთილ დედის ნაცვრის ვეცდით მედგა უცხო, ქორივით მაცქერალი და შურიტ აღსასე ქალი.

ველარ ვიცანი დედაჩემი.

დავიბენი. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა მამინაცვალმა თავის ბინძური თითები ნიკაპზე მომკიდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მზაკერულად მითხრა:

— ხვალ პირველი მაისია... მუშების დღესასწაული. ჩვენ რა მათზე ნაკლები ვართ... თელი უნდა დავეუყენოთ კომუნისტებს... ჩაცმა-დახურვა და პირის გემო ჩვენ გვეკითხონ. მაშ... ცოდვა არაა შენისთანა ვარსკვლავით გოგო ამ ძონძებში დადიოდეს!.. ნუ გეშინია, ისე მოგრთავ, თვითონაც ისე კობხად გამოვეწყობი... რომ... არა, ასეთ საჩუქრებისთვის ტკბილი მოპყრობა მეკუთვნის... ააა!..

კაბა და ფეხსაცმელები ფეხებთან დაეუყარე და კარებისაკენ გავიქეცე, მაგრამ წინ ვადამიდგა:

— სად მირბიხარ... არ გინდა, ნუ გინდა... ძალას ვინ ვატანს... სხვადროს იყოს... შენი კოცნის თავი ახლა არცა მაქვს. ერთი დამინება მთელ ქვეყანას მიჩვენია. ეი, დედაკაცო, ბაიყუშით რომ გაჩერებულხარ, ვერა ხედავ ფეხზე დგომა მიჭირს?... სმირნააა... ხე-ხე-ხე...

დედაჩემი მხარში შეუდგა და ძლივს მიიყვანა ლოგინამდე. ჩექმებიც არ გაუძვრია ისე დააწვინა. ჭამარი და საყულო გაუხსნა მხოლოდ. მერე მობრუნდა, კაბა აიღო და ცხვირთან მომიტანა:

— ძვირფასი კაბაა. აბა შენ იცი როგორ მოაწონებ თავს მამინაცვალს. ლახვარივით მომხდა გულზე დედაჩემის ნათქვამი და მუხლები რომეკვეთა.

იქვე უსასოოდ ჩაკეცილს, იქვით გაბოროტებულმა დედამ, დაქმუქნილი კაბა კალთაში ჩამიგდო და გარედ გავიდა.

მშორის სუნი ვიგრძენი. სუნთქვა შემეგუბდა. უნებლიედ კაბას დავეყნოსე და მაშინვე შორის ვისროლე — თითქოს გახრწნილ მკედარს ცმოდა, ისე საძვგლად ყარდა.

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ტანის ზიდვა გამიჭირდა.

დედის ხელით შხამ შესხმულს კეფაზე რალაც ჩატეხივით მცემდა და ყურები აწიოკებულ წიწილებივით მიწიოდენ.

კარგახანს ვიყავი ნაცემ ძალღივით კარებთან ჩაკუცქული.

ბოლოს როგორც იქნა ავდექი და ბარბაცით მივედი ჩემს პატარა მავიდასთან.

ჩეულებრივზე ადრე დაბნელდა.

ლამფა ავანთე, მოტეხილ თავის ნაცვლად შუშას რვეულის ფურცელი გავუყეთე და დავჯექი.



მაგიდაზე ნიდაყვებ დაყრდნობილს მთავარი სული ალარ მედგა.
 საღლაც თარს უკრავდენ. ჩემამდე ძლივს აღწევდნა მისსამ ელერა
 და ბაიათის ხმა: ნიგლეჩოთეკე

წყალში ვფავარ
 ცაცხლი მიკიდა.

თვალეებში ნაცარ ჩაყრილივით მეწოდა ჭუთუთოები და ვგრძნობდი
 ერთი კურცხალი მწუხარებას გამინახევრებდა, მაგრამ გამოფიტულსა და
 ჩვირათ ჭკეულს ტირილის უნარიც ალარ მჭონდა.

გულის მოსაოხებლად ისევ „დღიურს“ მივმართე და ვწერ ახლა ამ
 სტრიქონებს.

უკვე შუალამა.

მაისის 1

ეკლებზე მწოლარეს ტყვილა მჭონდა თვალეები დახუჭული. წარამარა
 ვიცვლიდი გვერდს. ერთხელ ჩამთვლიმა და მაშინაც ყრუ ხმაურმა გამი-
 კრთო ძილი. ამ ხმაურით შეშინებულმა სარკმლიდან შემოსულ მთავარის
 შეჭვზე ლანდი დავინახე.

უეცრად ლანდმა ასანთს გაკრა.

ვიცანი ჩემი მამინაცვალი.

თავი მოვიმძინარე. მან ჯერ დედაჩემს გადახედა, შემდეგ მე მომა-
 პყრო ყური და ასანთს მეორედ გაკრა. ეტყობოდა რალაცას ეძებდა. ფე-
 ხის ცერებზე დადიოდა. კარგახანს იბორიალა. ბოლოს კარი ფრთხილად
 გამოალო და წავიდა.

სული მოვიტყვი.

მხოლოდ ახლა ვიგრძენი რა ჩქარა მიცემდა გული.

თვალი კარისკენ მეჭირა, მაგრამ გადიოდა დრო და ჩემი მამინაცვა-
 ლი არ ჩანდა.

დავარწმუნე თავი, რომ ის ალარ დაბრუნდებოდა. ვცადე დაძინება.
 ველარ მოვახერხე. მხოლოდ ალიონზე მომეკიდა რული.

მალე ძილში წელის მწვავე ტკივილი ვიგრძენი და ძალაუნებურად
 გამოვფხიზლდი. როგორ—ღა წავიდე დღეს დემონსტრაციასზე, — გაეფიტ-
 რე, — და ირგვლივ უმწეოდ მიმოვიხედე.

დედაჩემი უკვე ფეხზე იყო და პირს იბანდა.

ძლივს ავიღე წელი.

არ მაქვს ბედი — რალა დღეს მომივიდა ეს ოხერი. მერე როგორ მო-
 მაქცევს ხოლმე. აღარაფრის თავი არ მაქვს.

— ფუ ჩემ გაჩენას.

— რატომ არ იცვამ ახალ კაბას, საცაა შენი მამინაცვალი მოვა და
 ეწყინება მაგრე შილიფად რომ დავინახავს, — დაცნვით მითხრა დედა-

ჩემმა და სახის შემშრალების შემდეგ გატეხილ სარკეს მიუჯდა.

რალაცამ ყელში წამიჭირა.

გარედ დავაპირე გასვლა და თან ბრიყვეულად გვეწმინდებოდა.

— მართლა და სად გაქრა კაბა და ფეხსაცმელები? რას ეძებდა წუხელი ჩემი მამინაცვალი? ნუთუ ისევ უკან წაიღო?

ალბათ დედაჩემმა დამიშალა. კარგიც უქნია.

ღმერთმა მოახმაროს.

მაისის 3

ჩემმა მეგობრებმა რომ იცოდნენ თუ რა ჯოჯოხეთში ვიმყოფები, დავიჯერო არ მომცემენ თავშესაფარს, ან ერთ ლუკმა პურს დამამადლიან?

მაგრამ ვის უთხრა საკუთარ დედის ძვირი. ვინ დაიჯერებს ჩემ მამინაცვალის მხეცობას. შეიძლება ისევ მე გამამტყუნონ და კიდევაც ამითვალწუნონ. მაშინ?

საშინელებაა.

დედაჩემის საქციელმა ყველაზე გამიტეხა გული.

მაისის 7

როცა დღეს სკოლიდან გამოვედი, შიმშილის გამო ერთი წლის ნაავადმყოფარივით ვგრძნობდი თავს. სული რომ ვინმეს შეებერა, წავიქცეოდი. ხახა აბედევით მქონდა მშრალი და ენის განძრევა ტკივილს მგვრიდა. უკანასკნელ გაკვეთილზე მაინც მთლად მოვსაფიქრე. მიბრძვებილებდა თვალები და მთაწმინდის აღმართზე მეკეცებოდა მუხლები.

ღრუბლიანი ამინდი იყო და თქორი მოდიოდა. უნებურად პირი დავაღე და ცას მივეუშვირე, მაგრამ წვიმის რამდენიმე წვრილმა წვეთმა მხოლოდ ენა ამიწვა.

მიუეხალოვდი სახლს, თუმცა რას ვამბობ, ეს სახლი კი არა პირველყოფილი ადამიანების ბუნაგია. ჩვენი ბინა ნახევრად კლდეშია შეჭრილი. წინა კედელი ხორხი ქვით ყორესავითაა ნაშენი და ძველი კასრის ფიცრებისაგან გაკეთებულ კარის გარდა დატანებული აქვს ერთი ციდა სარკმელი. წინ, ეზოდ მოვაკებულ პატარა ბეტობიდან მთელი ტფილისი როგორც ხელის გულზე ისე ჩანს. ამ სოროს სასახლეს ვარჩევდი, რომ შიგ მოსიყვარულე მშობლების გული მიმელოდეს, მაგრამ, საუბედუროდ ესეც სანატრელად მაქვს გადატყეული.

ძლივს გადავაბიჯე ფეხი საძირკველს. ერთბაშით ნაფტალინის მძაღლე სუნი მეცა. ნაფტალინით გაფენთილ ჰაერში ჩემდა გასაკვირად შემწვარი ხორცის სუნიც ვიგრძენი და ნერწყვი მომივიდა.

წიგნები ლოგინზე დავყარე და უცებ ღონე მომატებულმა მსუნაგ კატასავით მივარდი მაგიდასთან, ცალი ხელი ხორცის ნაჭერს დავავლე, მეორე პურის ნატებს და ხარბად დავიწყე ჰამა. დაჯდომა არც-კი გამხსენებია.

როცა დავნაყრდი, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე: ჩემს მამინაცვალს, სკივრი გაეხსნა და თავის გენერლის ტანისამოსი ამოელაგებია. დედაჩემი კაბის კალთით მუნდირის ფოლაქებს ფერავდა, ხოლო იჭყეჩქოქლე მამინაცვალს მკლავზე მალაყლებიანი ლაქის ჩექმა წამსტვტვს! ტანსაცმლის ნაჭერით გულდაგულ წმენდდა.

მე არცერთი არ მაქცევდა ყურადღებას.

რა მოეჩვენათ ნეტავი!

რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

ფიჭრის თავი აღარ მქონდა. ნაშიმშილებ გულზე ჩქარი ქამის შემდეგ ისეთი დაღლილობა ვიგრძენი, რომ მივედი თუ არა ლოგინთან, ზედ ნამორვით დავეცი და მაშინვე დამეძინა.

მ ა ი ს ი ს 8

გუშინ ნაშუადღევს დაწოლილს მხოლოდ ამ დილით გამეღვიძა და გაოცებული დავრჩი, როცა თვალის გახელისათანავე, თვალში მეცა გენერლის ტანისამოსში გამოწყობილი მამინაცვალი, რომელსაც დედაჩემი უცნაური ღიმილით უტრიალებდა ირგვლივ.

ველარცკ ვიცანი: ბუქებში გასწორებულიყო, თითქოს სიმაღლეს მომატებოდა, წვერი გაეპარსა, უღვაშები ყურებამდე გადაეგრიხა და ისეთი გამომეტყველება ქონდა, როგორითაც ჩემს პატარაობაში დადიოდა.

სიზმარი მეგონა, თვალები მოვიფშვნიტე და შიშით წამოვდექი. მამინაცვალმა მთელი სახით გამიცინა, მაგრამ ისევ მალე მიიღო ამაყი იერი.

ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად გონზე მოსული, როცა ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. დედაჩემმა სტუმარს კარი გაუღო და ჩვეულებრივად ხალისიანი სახით შემოვიდა ჩვენს ახლო მცხოვრები ყოფილი გარადოვოი ნიკალა, მაგრამ როცა უეცრად გენერალი დაინახა, ფერი ეცვალა და მაშინვე სასაცილოდ გაეჯგვიმა წინ ჩემს მამინაცვალს ისე, როგორც ამას ჩადიოდა ოდესღაც ყოველ გენერალსა თუ ბოქაულთან შეხვედრის დროს.

ჩემი მამინაცვალი ჭანდაკად იქცა. ნიკალას გულუბრყვილო მოქმედებამ მთელი წარსული მოაგონა. მდიდარი და ფერადი სურათები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს და მათმა წარმოდგენამ ერთ წუთს სინამდვილე დაავიწყა.

ნიკალამ, რომელიც ჩემი მამინაცვლის პირისპირ ბოსტანში გაკეთებულ საფრთხობელასავით იდგა, უცებ მხრებზე დაიხედა და ხელი მოტეხილ ტოტივით დაეკიდა.

მან დარცხვენით მოარიდა გენერალს მწვანე დაჩხვლიტილი სახე და რაღაცა გულდაწყვეტილ ბავშვივით წაილულლულა. ახლა ნიკალა უფრო გამზდარი ჩანდა, ღორის ყბებს ძლივს უფარავდა ქუქყიანი და თხელი წვერი. ის ათრეული ნაბიჯით მივიდა დედაჩემთან, რომელიც მოწიწებით

უყურებდა ქმარს, რამდენიმე პაპიროსი გამოართვა და ამოკერწილ ბეჭებში ჩამალულ თავით გავიდა გარედ.

ჩემი მამინაცვალი კიდევ დიდხანს იდგა ტირში დახატულ გენერალივით, ბოლოს ქუდი მოიხადა, ბელატ თავზე თეთრ ხელსაბნაში ხელი გადაისვა და ზანტად დაიწყო ტანისამოსის გახდა.

სიბრალულთან ერთად ამაზრზენი ზიზღი ვიგრძენი მისდამი, უცებ ზურგი შევაქციე და სკოლაში წასასვლელად თავდარიგს შევუდექი. როცა წასვლა დავაპირე, ჩემი მამინაცვალი უკვე ჩვეულებრივად იყო ჩაცმული და თეთრ ქარქაშიან ხმაღს გაზეთში ახვევდა, ხოლო დედაჩემი გენერლის ტანისამოსს გვერდებ გამოხეულ ტყავის ჩემოდანში აწყობდა.

აღბათ, ყიდიან, მაგრამ ვის რად უნდა ახლა გენერლის სამკაულები?

მაისის 15

ჩემი მამინაცვალი კინოში თამაშობს თავის თავს და მშვენივრადაც თამაშობს თურმე, ალ. წუწუნავეა ძალიან კმაყოფილი ყოფილა. ჩემს მამინაცვალს სიხარულით ფრთები გამოსხმია, როცა წუწუნავეს უთქვამს: „ჯანყი გურიაში“ უშენოდ ჯანყი კი-არა უბრალო ჩხუბი იქნებოდაო. უცნაური ხალხია ეს კინო რეჟისორები.

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ჩემი მამინაცვალი მსახიობად გამოდგებოდა, ეს-კი აღარ მეგონა.

მაისის 24

დღეს სკოლიდან თინა გამომყვა.

მასთან ბევრი არაფერი მაქვს საერთო, მაგრამ ისეთი მზიარული და ენაწყლიანია, რომ ძალაუნებურად სიამოვნებით ვუგდებდი ყურს მის ლაპარაკს.

განსაკუთრებით ერთი ამბავი ჩამრჩა გონებაში და ახლაც თვალწინ მიდგია:

ქალებით გაჩირალდნებული ოპერის თეატრი. მიდის ოპერა ჩიო-ჩიო-სან. წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულა.

ადრეა.

ფოიეში ქმართან ერთად სეირნობს ახალგაზრდა თვალწარმტაცი ქალი. ყველა გაოცებულია მისი გარეგნობით.

ყველას ყურადღებას იქცევს მისი რონინი.

იშვიათ გემოვნებით შეკერილ შავ კაბაში ისე მსუბუქად ერბევა ყოველი ნაკეთი, თითქოს გამჭვირვალე და სიფრიფანა გიშერი ეცვას კენარ ტანზე.

ქალებს ეხარბებათ ამ ყოველ-მხრივ შემკულ ქალის ყისმათი და მოკაზმულობა, ამიტომ უცქერიან ასე დაურიდებლად. თანაც ზოგიერთი მათგანი ცდილობს კარგად დაიმახსოვროს მისი კაბის თარგი.

უცხო ქალის სილამაზით მოხიბლული მამაკაცები აშკარად გამოთქვამენ თავიანთ ალტაცებას.

მაგრამ ერთ მათგანში მისი ხილვა სიხარულის ნაცვლად შოთის იწვევს.

ეს კაცი დიდიხანია მარტო დგას ფოიეს ბოლოში და ისეღი გამომეტყველება აქვს, თითქოს ძალად მიეყვანოს ვინმეს თეატრში. არავის აქცევს ყურადღებას. მის წინ უდარდელად მოფუსფუსე ხალხის იქით, სადღაც, თეატრის გარეთ იცქირება ის მწუხარებით საესე თვალებით. მაგრამ დაინახავს თუ არა ქალს, თვალეზზე ხელს მოისვამს, მერე თვითონაც არ იცის რატომ, ყელსახვევს გაისწორებს და მშვიდად მოსეირნე კოლქმარს უკან აედევნება. ის ქურდულად უთვალთვალებს ქალს, ხან წინ გაუსწრებს, ხან ჩამორჩება და რაც მეტს აკვირდება, იმდენად უფრო და უფრო ემჩნევა მღელვარება.

მალე კოლქმარი ლოჯიაში შედიან.

ლოჯია ლარნაკს გავს და შიგ მყოფი ახალგაზრდა კოლქმარი ორ უცხო ყვავილს.

იღება მეზობელ ლოჯიის კარიც და უცნობი კაცი ახლა აქედან იწყებს ქალის ზვერვას.

ქალი მაშინ შენიშნავს მის დაჟინებულ ცქერას, როცა დარბაზში დაბნელდება.

სცენიდან წამოსულ შუქზე ქალი გარკვევით ჩანს და უცნობს კვლავ მისკენ უჭირავს თვალი.

ნაცვლად სიამოვნებისა, რომელსაც, — თინას აზრით, — ყველა ქალი განიცდის უცხო მამაკაცის ყურადღების მიპყრობის დროს, მას უცნაური და უხეში გრძნობა ეუფლება.

შიშველ კისერზე ქალს ეკალივით ჩხელეტს უცნობის მახვილი ცქერა, უნდა გვერდზე გაიხედოს. მაგრამ რატომღაც ვერ ბედავს. ზის გაქვავებული და იმდენად შეწუხებულია, რომ სრულიად შეუმჩნეველი რჩება რაც სცენაზე ხდება.

მუსიკა უამარ ქვეწარმავალთა სისინს აგონებს.

როდის-როდის ფარდა დემონის ფრთებივით გაიშრიალებს, დარბაზი ნათლდება და ქალი შვეებით მოითქვამს სულს.

ოდნავ ფერმკრთალია, მაგრამ ქმარი ამას ვერ ატყობს და პაპიროზის მოსაწევად გადის.

უცებ ქალთან შედის უცნობი და გვერდით მოუჯდება.

— რა გნებავთ, რად მიცქერით ასე? — მორთოლვარე ხმით ეკითხება ქალი.

— მე თქვენ არ გიცქერით, არც თქვენი სილამაზე მაინტერესებს ამჟამად. მე მხოლოდ მინდა გავიგო სად იყიდეთ, ან ვინ შეგიყვართ ეს

კაბა. — შეკავებული მღელვარებით ეუბნება უცნობი და კაბაზე თვალს არ აშორებს.

— რაში გეკითხებათ თქვენ ჩემი კაბის ამბავზე? ^{ერკუნული} უბრალოდ კაბლავ გაეთრით აქედან... — მკვახედ ესვრის მოთმინებიდან გამოსული ქალი.

— ნუ ცხარობთ, თქვენთვის ჯობია. ალბათ მეკითხება. მაქვს უფლება... ამ კაბით სამი კვირის წინათ მე დავმარხე ცოლი, ახლა-კი თქვენს ტანზე ვხედავ. უნდა მითხრათ, როგორ მოხდა ეს.

ქალი ერთს შეკვივლებს და გულწასული დაეცემა ლოვის მოაჯირზე. ირგვლივ უცნაური ჩოჩქოლი ატყდება.

ფეხზე წამომდგარი პარტერიც გავცეხული იცქირება მათკენ. ამ დროს გიყვივით შემორბის ქმარი და ცოლს დაუწყებს მობრუნებას. მან არ იცის თუ რა მოხდა, რამ გამოიწვია მისი ცოლის ასეთ მდგომარეობაში ჩადგება და იქვე ბოძივით მდგარ უცნობს ვერც-კი ამჩნევს. გონდაკარგული ქალი ლოვიდან გაყავთ.

თურმე ის კაბა, — ამთავრებს ამ საშინელ ამბავს თინა, — ქმარს უყიდა საკომისიო მაღაზიაში, სადაც სხვისი გვარით მიუტანია ვილაცას.



ვილაცა კარზე მაგრად აკაკუნებდა.

მეწყინა, რომ იძულებული გავხდი დღიურის კითხვა შემეწყვიტა, სულ ცოტა-ლა დამრჩა, მაგრამ სტუმრებს ხომ არ ვავაბრუნებდი.

ყოველ შემთხვევისათვის „უცნობ ქალის ცხოვრება“ უჯრაში შევიწინაზე და უხალისოდ გავსწიე კარის გასაღებად.

— გივი რომ იყოს, დაუკითხავად შემოვარდებოდა, ალბათ უცხოა ვინმე, რა ჯანდაბა უნდა ნეტავი! — ვფიჭობდი და თანაც ოპერაში მომხდარი ამბავი თავში მიტრიალებდა.

პირქუშად გავაღე კარი და ერთბაშად ცა გამეხსნა, საიდანაც ორმა ბრწყინვალე ვარსკვლავმა უხვად მომაყარა სხივები.

— მობრძანდით, მობრძანდით. რამ მოგაგონათ ჩემი თავი. დიდად მოხარული ვარ. — დავიბენი: ხან თმას ვისწორებ, ხან სალამურ ხალათის საყელოს ვიწივ, რომ შიშველი კისერი დავიფარო, ხანაც მოულოდნელ სტუმარს დაუგეშავ მწევარივით შევცქერი.

— ფეხდაფეხ მოვდიოდით და როცა გულბათმა თქვენი ბინის განათებული ფანჯრები დამანახვა, ვიფიქრე რაიბული ჯერ შინ ყოფილათქო და გეწივ. გულბათიც თან ვიახლე. მე მგონია კარგად მოვიქეცი! — მოგონილ გულბრყვილობით მითხრა ზეინაბმა და ირიბად გამომხედა.

ახლა შევნიშნე მხოლოდ ეს ზათი, რომელიც ჩემს საწერ მაგიდასთან იდგა და რომელიღაც წიგნს ფეხს უკლავდა.

— მაშ გულბათს უნდა ვუმადლოდე თქვენს სტუმრობას, ასე გამოდის.

— დიახ, დიახ. ჩემი მადლიერი უნდა იყო არა მარტო ახლი, ყოველთვის, მაგრამ ამის ნაცვლად შენ სულ მარტენალ ხარევეთუ მუსტერი. — უფხო ხუმრობით თქვა გულბათმა და მეორე წიგნი ~~აქლუზი~~ ~~მისი~~

— გაიხადეთ პალტოები, დაბრძანდით. — სიტყვას ბანზე ვაგდებ, გულბათთან პაექრობისათვის სხვა დროა საჭირო. თუმცა რას ვერჩი არ ვიცი.

— არა, რაიბულ, დაგვაგვიანდება. ლაშა ალბათ მოუთმენლად გველის, დღეს ხომ გამოსასვლელის წინა დღეა. პალტოების გახდა აღარ ღირს, ისევ აჯობებს შენ ჩაიცვა ჩქარა. — თავაზიანად მეუბნება ზეინაბი და პაპიროსს უკიდებს.

— პო, პო, ხვალ გესტუმრებით, ან ზეგ. — კვერს უკრავს გულბათი. ბიკოს, რატომ ასე სხვა კილოზე ლაპარაკობს გულბათი, რაშია საქმე? წინააღმდეგობის გაწევას ველარ ვახერხებ და ბოდიშით გავდივარ მეორე ოთახში. გული კი მათთან მრჩება.

გჩქარობ, მაგრამ რაც მეტს ვცდილობ, უფრო მაგვიანდება: ხან საყელოს ვიკეთებ ცუდათ, ხან ყელსახვევის გამოსკვნა მიჭირს, ბოლოს შარვალზე ფოლაქიც ამაწყდა და იატაკზე კაპეიკიანივით გავგორდა. რაღა ნახანს იმას, ან სად მაქვს თერძობის თავი იმ დროს, როცა აგერ, მეორე ოთახში ზეინაბი გულბათის ამარაა. შებნევისას არ ამწყვეტია და ახლა რა მოეჩვენა ამ ეშმაკის თვალს, მიკვირს!

— ნუ მოგვკალი ლოდინით, რაიბულ. — მესმის გულბათის ხმა და მთლად შებორკება ხელი.

როგორც იქნა დავიკერე ფოლაქი. ნემსი საღდაც ვისროლე და გაოფლილი გავედი სტუმრებთან.

— ეტყობა კარგი უნდა იყოს ეს „კალევალა“ — შესვლის უმაღლესი უბნება ზეინაბი და ფინურ ეპოქის წიგნს ხურავს.

— არც იმდენად, — ჩემს მაგიერად უბასუხებს გულბათი.


— უთუოდ საინტერესოა, — ვეჭომაგები ზეინაბს და ევრჩევ წაითხოს.

წასასვლელად მოვემზადეთ.

— დღევანდელი თქვენი სტუმრობა არაა სათვალავში ჩასაგდები. ვწუხვარ, რომ თქვენი პირველი მოსვლა ჩემს ბინაში ასე ნაუცბათევედ მოხდა. — ყურში ვეუბნები ზეინაბს და ბოტებს ჩემი ხელით ვაცმევე.

არ მანებებს, მაგრამ ვძალობ.

— სავეირველია, საიდან გჭირს თქვენ ეს „ოქროს ახალგაზრდობის“ სენი, მე სრულიადაც არ ვარ მადლიერი ამ თქვენი თავაზიანობით. — უქმაცოფილოდ ჩამძახის ყურში მის წინ ცალ მუხლზე ჩაჩოქილს და თანაც ცდილობს ბოტი ჩემ დაუხმარებლად ჩაიცვას, რის დროსაც წელში მობრძღლს უცბად ლოყაზე მსუბუქად ვკოცნი.



ზეინაბი გაწყრა და აღარ დამიცადა.

მართლაც რა აღერსია, ან რა ზრდილობაა დაჩოქილმა ვეცმა ქალის წინ ერთი საათი იწვალო და ისიც აწვალო ბოტის ჩაცმის შემდეგ, უკვე უკვე ცოცხი“ თუ გინდა ესაა. — ვამბობ გულში და საქციელწამდარი მუხლით თავს ვიფერთხავ.

კიდევ კარგი გულბათი უკვე გარეთ იყო და ჩემი უნირო კტევა არ დაუნახავს.

ვერ მომივიდა კარგად. — ვესაყვედურები თავს და ზეინაბს დარცხენილი მივეყვები შორიახლო, თან ორკეცად განვიციდი იმ ქრუანტელს, რომელიც ვიგრძენი მაშინ, როცა ამ რამდენიმე წუთის წინ ყანწივით მეჭირახელში ზეინაბის ფეხი.

უთუოდ ლექსის ღირსია, ვინც ეს ბოტი მოიგონა.

— როგორ ერთბაშად დათბა, — თითქოს თავისთვის ამბობს წინ მიმავალი გულბათი.

— ტფილისში მარტი უკვე გაზაფხულია. — უბასუხებს ზეინაბი, რომელსაც ხმაზე ვატყობ, რომ არც ის უნდა იყოს მაინცდამაინც ბოტის შომგონის მაწყვევარი.

— მარტი არაა სანდო, ისე როგორც ქალის გული. — მჭირდავად წამომცდა და ზეინაბს მხარში ამოვუდექი.

— ეს ძველი ანდაზაა. — ბურთივით მაჩრის პირში ზეინაბი, მაგრამ იმავე დროს ღიმილით იბრუნებს ჩემსკენ სახეს და ოდნავ გასაგონი ხმით მეუბნება: — თავხედი!

ხელს მაგრად ვუჭერ მკლავზე.

ვეგრძნობ ჩვენი გულები თანაბრად ძვერენ და მუხლებში ქარი მიდგება.

გულბათი უკან არც-კი იხედება.

მიდის მარტო, ჭიდილში დამარცხებულ ყოჩივით.

— სად ხართ ეს ერთი კვირაა, დიდი ამბავი იქნებოდა შემოგველოთ ჩემთან? — ზეინაბის საყვედური უცხო მუსიკასავით მესმის.

სულ შინ ვზივარ, ვმუშაობ, გარდა ამისა, თქვენი ბინის მისამართი არ ვიცი და ხშირად თქვენი ნახვის სურვილი სურვილად მრჩება. — ვიმართლებ თავს.

— ცრუობ! — კვლავ მისაყვედურებს და მკლავზე უფრო მეყრდნობა. ჩავათავებთ აკრიამულეზული პროსპექტი.

საოცარია ტფილისის ბუნება, რამდენიმე დღე თუ იქნება მას შემდეგ, რაც მკაცრი ყინვების გამო დღისითაც უჭირდა კაცს გარეთ გამოსვლა. ახლა-კი ისე თბილა, ისეთი წყნარი და ტკბილი საღამოა, რომ შინ უკვე აღარავის უჩერდება გული.

შევეცივით შიო ჩიტაძის აღმართს.

ეჰ, რა მალე დაილია ეს ოხერი გზა. ნეტავი ლაშას ბინა ფუნქიკუ-
ლორზე იყოს.



პირველად გულბათმა შეალო კარი.

ზეინაბის დანახვაზე ლაშას შარავანდები დაადგა თავზე.

რა გვეშველება ამდენ რაყიფებს, არ ვიცო!

გივი ბუხართან იდგა და ხელში რაღაც ხელთნაწერი ეჭირა.

პაატა ჯერ არ ჩანდა.

ბუხარი უკვე აღარ იყო მიმზიდველი, მაგრამ ისევ მის ახლო ვარჩიეთ
ჯდომა.

— გივი, გეტყობა ახალი ლექსი დაგიწერია, წაგვიკითხე, თუ ძმა
ხარ, — ვუთხარი მას, როცა კარგად დაეუნახე ხელში ქაღალდი.

— ჩემი არაა, მაგრამ ვისიც არი მშვენიერია, უფრო იმითაა შესანიშ-
ნავე, რომ ბავშვის დაწერილია. — სიამოვნებით თქვა მან და ცალხაზიან
რვეულის ფურცელს თვალი გადაავლო.

ამ დროს პაატა შემოვიდა.

— აგერ პეტრე მოციქულიც. — წამოიძახა ლაშამ და პაატას წინ მი-
ეგება.

— მე-კი მოვედი, მაგრამ იუდას ვერ ვხედავ, — სიცილი ისროლა პა-
ატამ და როცა გულბათი დაინახა, განგებ გაიკვირვა: ისიც აქ ყოფილა?
მაშ შეგვიძლია დავიწყოთ სერობა... ქრისტე უფალო, — მიუბრუნდა ის
ლაშას, — ყურად იღე ვედრებანი ჩემნი და მომიტევე ცოდვანი ჩემნი,
რამეთუ განმიზრახავს ქალწულთა შორის ამ პირმშვენიერის, — უთითებს
ზეინაბზე, — მარიამ მაგდალინელის გვერდით დავიმკვიდრო სასუფე-
ველი.

ყველას სიცილი წაგვსკდა.

— რა უკბილო ხუმრობა იცი შენ საწყალო, — ცივად უთხრა გულ-
ბათმა.

პასუხის ნაცვლად პაატამ გულბათი გადაკოცნა და შემდეგ ზეინაბის
ახლო დაიდგა სავარძელი.

— აბა, წაგვიკითხე შენი ნაქები ლექსი, — მიმართა ზეინაბმა გივის.

— ჯერ გვითხარი ვინაა ავტორი. — მოითხოვა გულბათმა.

— ამ ლექსის ავტორი 15 — 16 წლის ყმაწვილია.

— ოჰო, — იუცხოვა პაატამ.

— სამი-ოთხი დღის წინად მწერალთა სასახლეში შემოვიდა უმანკო
შესახედაობის ყმაწვილი, თან მოიტანა საბა-სულხან ორბელიანის ლექსი-
კონის ძველი ხელთნაწერი. საბას ხელი არ უნდა ყოფილიყო. ყმაწვილმა
რატომღაც პირდაპირ მე მომაშურა და თავზიანად მკითხა: მწერალთა
კავშირი ხომ არ შეიძენს ამ ლექსიკონსაო. დამაინტერესა ცალკერძ ხელთ-
ნაწერმა, ცალკერძ ყმაწვილის ვინაობის ვაგების სურვილი აღმეძრა. ის

თიანეთში გადმოსახლებულ სვანის შვილი გამოდგა, მერვე თო მეცსრე კლასის მოწაფე. ყმაწვილის გარეგნობამ და ლაპარაკმა ჩემზე გამსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი სახის ყმაწვილს ვერხვად ლექსებს უნდა წერდესთქო, — გავიფიქრე, და მართლაც ~~წამოწვილი~~ წამოწვილი საბას ლექსიკონით მუხუცში გავაგზავნე. იმავე დროს ვუთხარი გაციონო ჩემთვის თავის ლექსები.

დღეს მივიღე მისი მოკრძალებული წერილი და რამდენიმე ლექსი. ყველაზე უფრო შესანიშნავი მათ შორის, თან წამოვიღე თქვენთვის წასაკითხავად.

— საინტერესო ამბავია. — ჩაილაპარაკა ლაშამ.

— წაგვიკითხე, წაგვიკითხე, — შეეძახეთ დანარჩენებმა.

გივიმ წყნარი და ხვეერდის ხმით დაიწყო:

თეთრი მინა

დღედა-მეწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემგებნენ ატეხილი მთები,
მასხოსს შენი ვენდობა უხელათინო ხელით,
ახლაც მინდა შენი ნახვა,

ახლაც მელანდებო.

ეს სურვილი ძლიერია როგორც კარიშხალი
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა.
მომაკონდა შენ სახეზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს

შენი გულიც მინდა.

რ ე ზ ო გ ე ლ ო ვ ა ნ ი.

გივიმ დაამთავრა ლექსის კითხვა და ყველა სათითაოდ შეგვათვალიერა.

— გადასარევი აქ არაფერია, ისე ლექსს არა უშავს, მხოლოდ დროზე უნდა იმ ბავშვს პატრონობა. თორემ დაიღუპება. — დაასკვნა ლაშამ.

— რა დაღუპავს? — გაოცებით იკითხა გივიმ.

— სიმბოლისტურ პოეზიის გავლენა, თქვენი, ყოფილ სიმბოლისტების ხმა მაგ ლექსში საკმაოდ ისმის, — განმარტა ლაშამ.

— გულწრფელად ვამბობ, რომ ასეთ შაქარყინელიან ლექსების მოსმენა, რაგინდ ნიჭიერადაც არ უნდა იყონ ისინი დაწერილი, უკვე აუტანელია. ან ვის ჭირდება ახლა მელანქოლიური, საკუთარ გრძნობათა ეწრო ნაქუცში მომწვედელი ლირიკა. ეს არცაა ლირიკის მთავარი დანიშნულება. ცდება ვინც ფიქრობს, თითქოს ლირიული ლექსში არ შეიძლებაოდეს გეროიკა, ჯანსაღი სული, მოვლენების და საგნების სხვანაირად დანახვა. — გამომწვევეად თქვა პაატამ და ლიკიორი დაისხა.

— ამ ლექსში სრულიად არაფერია ავადმყოფური, პირიქით, მე მასში ვგრძნობ ახალ პოეზიის თვალსა და ნერვს, — ბეჭედიდან უტყუარებს პაატას გივი.

— ლექსი უთუოდ ლამაზია, თუმცა, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი წყობა თავისუფალი არაა დეკადენტიზმისაგან. — მორიდებით უტყუარს ზეინაბი მხარს ლაშას.

— დაანებეთ ერთი თავი დისკუსიას. ამბებს მოყვით ჯობია. — გვირჩევს გულბათი.

არც ლაშას უნდოდა კამათის გაღრმავება, რადგან იცოდა, ასეთ დავას ხშირად უსიამო შედეგი მოსდევდა, ამიტომ გულბათის წინადადებას მაშინვე გამოეჭომაგა და პაატას ღიმილით მიმართა:

— მართლა, დღეს შენი ჯერია პაატა. გვიამბე თუ კაცი იყო რამე.

— სრულიად არ ვარ, ჩემო პატივცემულო მასპინძელო, ოქროპირობის გუნებაზე. გთხოვთ გამანთავისუფლოთ ამ საპატიო მოვალეობისაგან. — განგებ იუარა პაატამ.

— თქვენი სურვილის შემწყნარებელი არაეინ არის აქ. მოვალეობა, მოვალეობაა. — გაეხუმრა ზეინაბი.

— ეჰ, თქვენს ხელში ჩავარდა, მართლა, ჩემი მტერი. რა გაეწყობა. შევეცდები მოგიყვეთ ერთ ამბავს ახალ სოფლის ცხოვრებიდან. არა ეს დიდი თემაა, ამის დაძლევის სხვა ნიჭი და ხერხი უნდა. მე თქვენ ვიამბობთ მხოლოდ ერთი უბრალო კაცის, უბრალო მაგრამ იმავე დროს საგულისხმო თავგადასავალს. — დაგვევა ნებას პაატა და ცოტახნის დაფიქრების შემდეგ დაიწყო ამბავი:

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



ბელორუსული პოეზიიდან

ვლადიმერ კოვალსკი

ა ლ ლ ა

(რკალიდან „ჩრდილოეთის ვზები“)

მკერდში გიკრავ, მკერდზე გმაღავ,
თვალს წამწამი დაიფარე:
დაიძინე ჩემო ალლა,
დათვიც ხუჭავს თოვლში თვალებს.

და ამტყნარებს ზამთრის ღამე,
ყინულებში მიდის, სცურავს:
შენ ყურს უგდებ უცხო ამბებს
და უცქერი სიზმრის სურათს.

ჩვენ ალლასთან ღამის ძილმა
დედის ნანაც მიაყუჩა;
ზეცა ძირს ყრის ბამბის ფთილას,
ზეცას კარი აღარ უჩანს.

ჩელუსკინელ გოგოს — ალლას,
კომკავშირის ენახავთ წრეში:
გაიზრდება ეს ცქრიალა
დედის მკერდზე დღეს რომ ხენეშის.

დაინგრევა ღამის ბურჯი,
მოედება ზეცას ალი.
იქნებ შავი, იქნებ ლურჯი
გაიღიმებს ბავშვის თვალი.

ეტყვის დედას, იწყებს ტიტინს:

— ნუ თუ დათვიც დგება დილით?..

როცა მოვა ძია შმიტი.

სურს მოგლიჯოს მკერდზე ლილი.



როგორც მამის ხელი ნაზი

ბოლშევიკის ხელი მტკიცე

ბაეშვის ხალისს უცებ გაზრდის

სათამაშოს როცა მისცემს.

მერე ეტყვის შმიტი მოცდით

თან უკოცნის ალლას ხელებს:

— ვერას გვიზამს ჩვენ ნორდ-ოსტი,

ჩვენ გავარღვევთ ყინვის ველებს.

ტოროსები თუმც ზღვას ჰქარგავს

არ გაშინებს ყინვა ნისლი.

შენ რომ მითხარ მახსოვს კარგათ

„ვართ ორივე კომუნისტი“.

თარგ. მ. პატარაძის



მიქოლა ხვედოროვიჩი

ესკადრონის უფროსის გუსაროვის დაღუპვა

თორმეტი მშვიერი დღე,

მხოლოდ ცა, ბალახი, ველები.

თორმეტი მშვიერი დღე,

გვახრჩობდა წყურვილით მზე,

ღმუოდა ქარი გახელებით.

ვდიოდით, ვდიოდით წინ:

უნდა დაგვერბია ჩვენ მახნოველები.

მივყავდით ამხანაგ გუსაროვს,

მივყავდით წინ და წინ!

ბუჩქი თითოეული ფარავს

მტერს რომ აიბუჭვა მგლად.



ერკუნული
კინეზოთერაპია

სამშობლომ ჩვენ გამოგვატანა
პურის ნატეხი და წყალი,
სამშობლომ ჩვენ მოგვცა შაშხანა
და გზა დაგვილოცა მწყრალი.

ვიცოდით სულით და გულით
ომის უღმობელი წესი,
ჩვენი ამოცანა რთული,
და ჩვენი ნამდვილი გეზი.
ვზოცავდით ჩვენ მახნოველებს,
ვანთავისუფლებდით ველებს;
გლოვობენ გუსაროვს ქარები,
გლოვობენ მეტი მწუხარებით.

მგლებივით გარბიან გზები.
ლაყვარდი... და არსად მთები.
აკენესდა მახნოველის ტყვია,
გუსაროვი ბალახზე გდია.
დაიღუპა ძმა თავგანწირული,
ეს იყო ლაშქრობა გამირული.

მებრძოლი ჩვენთან არ მოვა,
იტირეთ მოზერის ტყეებო;
გმირის ქოხს უთბარით გლოვა
იჭ, პოლესიეში, სივრცეებო.
ტრამალის ქვიშაზე მწველად
სისხლი დაიდვარა ნელა.
გუსაროვს — ამხანავს, ბელიდს,
ჩვენ გამოვეთხოვეთ ყველა.

ჩვენ არ გვწამს ცრემლების უღელი.
იტროო? ვისთვის და რად?
მაგრამ უსაზღვროა წუხილი —
მისგან ჭვა იქცევა მტვრად.
მისგან იფერდლება მიწა.
გვახსოვს საშინელი დღე.
ჩვენი სევდისაგან
დაბნელდა მზე.

ისევ განვაგრძობდით შეტევას.
მტვრის აღარ უჩანდა ბოლო.
შიმშილმა ბევრი წააქცია,
ტყვიებმა ბევრი ჩააქოლა.



ქართველთა
წიგნების კავშირი

ტყვიებით, ხმლებით, სიმახაცით
აყვავებთ მტრების ურდოები,
რომ უკეთ აყვავდეს ლამაზი
სიცოცხლე ჩვენი საბჭოების.

ზაფხულის გვეწვავს პაპანაქება,
ციმციმებს ლაევარდი ცაზე,
სხივით გაელენთილა მტვერი,
ბალახი ყვავის მიწაზე.
არ მყოფნის ცქერა გაბანგული,
რომ მოვეაღერსო ყანას.
ზღვებად მოშრიალე თავთუხს
ნიაფი ეტბნება ნანას.

ზღვასავით ნებივრობს ქარში
ხშირი, მობიბინე ჭვავი-
ყვითელი თავები მიწამდე
იხრება როგორც ვარსკვლავი.
მკიან და მღერიან, მღერიან
ქალები მშვენიერ მხნეობით
იქ, სადაც ბალახი მეფობდა
ყანა სდულს კოლმეურნეობის.

გაისმის ჩემი სიმღერა
შენს ძვირფას, დაკარგულ საფლავზე,
ჩემი აწეული ფრთები
გაჩნდება ღრუბლების თავზე.
და ჩვენში გმირობა სიცოცხლობს,
დღეები, სისხლით დაკირული.
ჩვენ გვიყვარს საბჭოთა ქვეყანა
და მისი შვილები გმირული.

დაე, გამორეკოს ქარმა
ავ დასავლეთიდან ღრუბლები,
ჩვენ შუაღამისას გვსმენოდეს
რკინიან ნალების ხმები;
მიწაზე ურტყამდნენ ტორებს
ჩვენი შეკაზმული ცხენები,
ჯიშოანი, ცეცხლთვალა, ფრთამალი,
საბჭოთა ტრამალებში მონაშენები.

თარგ. მ. ბაფრინდაშვილის

ა. ალექსანდროვიჩი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ ი ჭ ვ ი

I

სად მთას ქარი ნისლში ხვევს,
 იზრდებოდა ფიჭვის ხე,
 თავის დებთან,
 თავმოშწონე, ტანადი.
 შრიალებდა —
 მაგრამ დღეს,
 დიდ ეზოში ვხედავ ხმელს,
 ქარხანის წინ,
 გაშავებულს, დაეარდნის.
 ახიხინდა ხერხი და,
 ფიჭვმა კენესით შეხედა,
 და ნახერხი
 ცრემლებია ჩვილები.
 ტანჩამოჭილ ხეთ იღვა,
 ლაქვარდს ამოეხიდა.
 მასთან იღგენ
 დები აშოლტილები.
 იზრდებოდა ამაყად,
 სურდა ზღვების დანახვა,
 იანვარის თოვლში
 მწვანეთ ბზინავდა.
 ზოლოდ ქარი ხანდახან,
 იღმუელებდა ხრამდახრამ.
 ცივი სუნთქვით
 შტოებს შეუყინავდა.
 იქ ფრინველთა კრებული,
 დილის მზემდე ხლებული,
 ატლერებდა
 თითქოს მწვანე ჩანგებით.
 ახლა ძირს დაგდებული,
 კლდისებრ გაქვავებული,
 წევს მდუმარი,
 შტოებ გაჩანაგებით.

II

ჰეი ფიქვო, ფიქვო იცან,
 ქუში დღე გითენდება.
 თუ ფიცარი გასდევს ფიცარს,
 ახალ ქობად შენდება.
 და ქობის შორი სივრცე,
 გადაქარგულ ველებით,
 რიქრაქივით თითქოს გვიცქერს,
 მწვანე, ლურჯი ფერებით.
 მოვსპეთ ძველი,
 ახლა სხვა დრო
 დადგა ჩვენ რომ ვეტრფოდით,
 ქობიდან ველებს ფართოს
 გადავხურავთ ბეტონით.
 ჰეი, ფიქვო, ფიქვო იცან,
 ქუში დღე გითენდება.
 თუ ფიცარი გასდევს ფიცარს
 ახალ ქობად შენდება.



III

ო, ძნელია, ძლიერ ძნელი,
 ბრძოლით გადალახვა.
 ლარიბთ ჯარი უძლეველი
 კქმნის ქვეყანას ახალს.
 გმირთ კოლონა ფოლადური,
 წინ მიიწევს ურჩი.
 მუშების ხმა ღამეს ფერავს,
 სიმღერების ძღერით.
 ჰე, უსმინე ამ სიმღერას,
 მუშა,
 მუშა მღერის:

IV

აბა მკვეთრად,
 აბა მკვეთრად,
 დავეჯახოთ
 ღონით, ერთად



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბა' კიდევ,
კიდევ,
დასცხეთ...
მზე გვიღებავს
წითლად ლაწვებს.
მზნედ,
მამაცად...
ყველა ჩვენთვის
აშენდება,
დასცხეთ
— ერთი...

ჰეი ფიქვო, ფიქვო იცან,
ჭუში დღე გითენდება.
თუ ფიცარი გასდევს ფიცარს
ახალ ჭობაში შენდება.
სად ჭობის ყარტლი იდგა,
ტყე ალიონის გაზარის
ფიქვთან ფიქვი ამოვიდა,
ფიქვი ახლად-ახალი.

თარგ. ბელორუსულიდან ლ.ვ. ბაჩინილაძის



ი. ღიოშაძე

თანამედროვე ქრონიკები

თავი მესამე *)

ჩატარდა პოლონეთის ფრონტიდან დაბრუნებული არმიების ნაწილობრივი დემობილიზაცია. დარჩენილი ნაწილები გაგზავნილ იქნენ სამხრეთ ფრონტზე. შუადღემოდა წითელი არმიის ანალებში უდიდესი ეპოპეა — პერეკოპი.

დემობილიზაციის შემდეგ გიორგიმ რამდენიმე ამხანაგთან ერთად გადასწყვიტა რევოლუციონურ-პარტიულ სამუშაოზე საქართველოში წამოსვლა. ბაქოში ჩამოსვლისას ის შეხვდა ტფილისელ ამხანაგებს, რომელნიც მენშევიკური რეაქციის მიერ, მის მამასთან ერთად, რევოლუციონური მუშაობისათვის გადასახლებულ იქნენ საქართველოს ფარგლებიდან. გიორგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ისმენდა მათგან საქართველოს რევოლუციონურ მუშათა კლასის თავგანწირულ ბრძოლას კომპარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს ოქტომბრისათვის.

მათვე აცნობეს გიორგის მამის დალუპვა თეთრებთან შეტაკებისას ჩრდილოეთ-კავკასიაში. გიორგისათვის იმდენად შოულოდნელი იყო ეს ცნობა, რომ მან ამბის დაწვრილებით გამოკითხვაც კი ვერ მოახერხა.

მამა მოჰკლეს, აღარ არის, — იმეორებდა თავის ფიქრებში მღუმარე გიორგი და აგონდებოდა ტანჯული წარსული, მეფისა და მენშევიკური პოლიციის მიერ შევიწროებული ოჯახი. ღრმა ტკივილით იგონებდა გიორგი მუდამ მწუხარებაში მყოფ თავისი დედის შორეულ სახეს. ამჟამად იგი ისევ ტფილისში ცხოვრობს და მუშაობს საავადმყოფოში მომვლელად. მასთან მხოლოდ ვალერია დარჩა.

ბაქოში დიდხანს არ შეჩერებულა გიორგი. ამხანაგების დახმარებით მან მოახერხა საქართველოს საზღვარზე უვნებლად გადასვლა. უახლოვ-

*) იხ. „წათობა“ № 5.

დებოდა ტფილისს, საიდანაც 19 წელს სრულიად ჰაბსბურგთა და
სადაც ოცნებობდა განდევნილი მებრძოლი მამის მომავალ შეხვედრაზე,
გმირულ წითელ არმიასზე.

გარეული
მარტინული
გონიერებისა

ახლა ისევ ტფილისი!

ის სევდიანი გასცქეროდა ლაგვარდოვან ცის კაბადონს და ელექტრო-
შუქის ციმციმს ქალაქის სხეულზე. მტკვარი არ სჩანდა, იგი ღრმად ჩა-
წოლილიყო მთის ძირში.

ქალაქს აპკროდა თრიალეთის მთის ლანდი, რომელსაც ეორეულებო-
და გაღმა ბეჭობზე პირქუშად გამომდგარი ბნელი სილუეტი მეტეხის ცი-
ხისა. მეტეხი, სადაც მენშევიკ ჯალათების მიერ გამომწვევდელი იყვნენ
საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლნი.

ერმოლოვის ყაზარმულ გენიას მეტეხი გადაექცია თვითმპყრობელობის
ციტადელად, რომლის ბნელ ჯურღმულეებში უნდა ჩამკვდარიყო კავკა-
სიის ხალხთა თავისუფალი სული. ჩრდილოეთის იმპერიის უცივესი კონ-
სული არ იყო მოკლებული ერთგვარ გემოვნებასაც; მას ეზმანებოდა ირა-
ნის პლატო და უთუოთ არ ივიწყებდა ვარიაცთა მიერ ნაიავარებ ბოს-
ფორის ნაპირებს. აქედან ითვლის მეტეხი თავის ახალ ისტორიას. ყოველ
რევოლუციონერს ახსოვს ალბათ ის საზარი შთაბეჭდილება, რომელსაც
სტოვებს ქედზე გადმომდგარი ციხე.

ცნობისმოყვარეობით გატაცებული გიორგი დიდხანს დადიოდა ქა-
ლაქში. ქუჩაში ხალხი ბლომად ირეოდა. გახუნებულ მუნდირებიანი
ოფიცრები დაყიალობდნენ პროსპექტზე.

შეუდგა აღმართს მთაწმინდისაკენ, სადაც ცხოვრობდა დედამისი.
ბნელ აღმართზე რაც უფრო მიიწევდა ზევით, მით უფრო ბოღმიანად
გადმოხედავდა ქალაქს.

უკვე დაღამებული იყო როცა გიორგი შინ მივიდა. იგივე ეზო და
სახლი. შევიდა ოთახში და დაინახა დედა, რომელიც პატარა ლამფის
შეჭზე ხელსაჭობდა. კარის ვალებისათანავე მან მიიხედა და დაინახა თუ
არა უცნობი, იკითხა.

— ვინ გინდა, შვილო?

— დედი, ვერ მიცან? — უპასუხა გიორგიმ და გაეჭანა მისკენ.

— შვილო გიორგი, შენა? საიდან, როგორ, მოჩვენება ხომ არა ხარ?

— დამშვიდდი, დედი.

საბრალო დედა მღელვარებისაგან ვერ გამოფხიზლებულიყო, ათრთო-
ლებული ხელებით ძლიერად იხუტებდა გიორგის თავის მკერდზე და,
თვალეებზე ცრემლმომდგარი, ქვითინით ეუბნებოდა:

— შვილო გიორგი, რა ბედმა მომგვარა შენი თავი? რად დამტანჯე,
გენაცვალოს დედა? რად არ მოიწერე, რომ ბრუნდებოდი სამშობლოში?

ამდენი ხნით მიტოვებულმა თქვენგან, რამდენი გაჭირვება, რამდენი დამცირება...

— დედი, ვალერია სად არის? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ შეეკითხა გიორგი.

— რამდენიმე დღეა, სკოლიდან დაითხოვეს ფულის გადაუხდელობის გამო. დადის ამხანაგთან, რომ არ ჩამორჩეს კლასს. შეიძლება მოკლე ხანში რაიმეს გავხდეთ.

— დედი, ჩემი მოსვლის შესახებ საჭირო არ არის ვინმემ იცოდეს...

— ვაიშე შეილო, რა ამბავია შენს თავს?! აქ ახლა ცუდი დროა, ბრუნდს და მართალს ყველას იტყონ. გუშინ ჩვენს ეზოშიც იყო ჩხრეკა, ხომ გახსოვს ტრამვაის მუშა ისიდორე, მეზობლად რომ ცხოვრობდა, სწორედ ის დააპატიმრეს. სოფლებშიც ასეთივე ამბებია, შეილო, — თქვა და მერე ჰკითხა შეილს: — გიორგი, მამაშენი სადაა? რა გაიგე, ჩვენ დიდი ხანია მისი არა ვიციტ რა.

ამ სიტყვების გაგონებაზე გიორგიმ თავი დახარა და აღელვებული დედის შეხედვას მოერიდა. დედამ თითქოს იგრძნო შეილის სიჩუმის დაფარული მიზეზი და თვალზე-გაშტერებული წამით-წამზე მოელოდა თავზარდამცემი სიტყვების გაგონებას.

სიჩუმემ კარგს ხანს გასტანა. ბოლოს ისევ გიორგიმ დაიწყო:

— დედი, უბედურება ჩვენს თავზე ახალი არაა. შენ გაწევა ყოველთვის მთელი გაჭირვება კისერზე. არავინ დამხმარე, არავინ გამკითხავი. ახლაც გმართებს დედი სიმტკიცე...

— შეილო, მამაშენი აღარ არის? — მკერდიდან ღრმად ამოვარდნილმა ხმამ კიდევ უფრო შეაკრთო გიორგი.

— დედი არ იკვილო, როგორმე გადაიტანე უკანასკნელი უბედურებაც... საცაა, ჩვენთვისაც გათენდება. ხომ გახსოვს, ჩემი ჩამოსვლა არავინ არ უნდა გაიგოს.

— შეილო, უპატრონოდ უცხო ქვეყანაში სიკვდილი, რა უბედურებაა ჩვენს თავზე!..

— დედი, მოიგონე მთელი ის ტანჯვა, რომელიც მამას გამოუვლია რევოლუციისთვის. ახლა კი თეთრებთან შეტაკებისას ის გმირულად დაილუპა. ეს შითხრეს მისმა მეგობრებმა, რამდენიმე დღის წინათ...

— შეილო გიორგი, ქვეყანა უთქვენოთაც გასწორდებოდა, ჩვენ უბედურების მეტი არაფერი გვინახავს...

— დედი, ყველას რომ ასე ეფიჭრა, ქვეყნის საქმე მაშინ არ გაკეთდებოდა და არც რევოლუცია მოხდებოდა.

— შეილო, ვმადლობ განგებას, რომ შენი თავი შენ მშვიდობით დამბრუნდა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ კარები სწრაფად გაიღო და ოთახში ვალერია შემოვიდა. უცხოს დანახვაზე წუთით შეჩერდა.

რებული, ის ერთხანს ვერ გამორკვეულიყო. რომ დააკვირდა, ^{გაბარებულ-}მა ვალერიამ წამოიძახა:

— გიორგი, გიორგი! — და გადახვეული, სიხარულით ^{წაქაჩინებდა.}

— ვალერია, დაწყნარდი, რა მოგივიდა? ^{ბიზუსიონისა}

— მაშინ ისე გაიპარე, რომ არავის არა გაუგია რა. ახლაც ასე მოულოდნელად მოსვლა. დედას მაინც ვაცნობებდი შენს ამბავს. ნუ თუ არ შეგეძლო ერთხელ მაინც მოგეწვდინა ხმა?

— სასწაელებლიდან გამოგრიცხეს, ვალერია?

— დედამ უკვე გითხრა, არა. ეს რამდენიმე დღეა აღარ დავდივარ, ფული ვერ შევიტანეთ.

— კარგი, ვალერია, გულს ნულარ გაიტეხ, ჩაილაპარაკა გიორგიმ. — პო მართლა, ვალერია, ვახტანგი ხომ გახსოვს, ჩემი ამხანაგი გიმნაზიაში, ტფილისში თუა?

— აქაა, სწორეთ გუშინ შევხვდი. მეკითხებოდა შენს შესახებ, — უბასუხა ვალერიამ.

— შენ უნდა წახვიდე მასთან, ვალერია, და მოიყვანო აქ. ეტყვი, რომ ჩამოვედი. იცოდე, მარტო მას გადაეცი პირადად. თუ ვერ ნახო, სხვას ნუ დაუბარებ.

— კარგი, კარგი! ვერ წარმოიდგენ, რა გაეხარებდა; მგონი არც დამიჯეროს. — სთქვა ვალერიამ და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან.

ვალერია გაეშურა ამიღლების ქუჩისაკენ, სადაც ცხოვრობდა ვახტანგი.

ვახტანგის ბინასთან არც იყო მისული, რომ ვალერია ქუჩაში შეხვდა მას.

— ვახტანგ, გამარჯვება! რა კარგია, რომ სწორეთ ქუჩაში შემხვდი, — უთხრა ვალერიამ.

— რა ამბავია, ვალერია, ცუდი რამ ხომ არა გაგიგიათ რა?

ვალერიას აღელვებამ მას ყველაზე სწრაფად თავისი გადაკარგული მეგობარი მოაგონა, მათი ჭაბუკური გატაცებით აღსავსე ცხოვრება.

— ვახტანგ, იცი, გიორგი მოვიდა ამ საღამოს და უნდა წამოხვიდე ეხლავე ჩვენთან. გიორგი გელოდება.

— გიორგი! როგორ, როდის? იცი, ვალერია, ამ დღეებში ჩემდა უნებურად სულ გიორგის მოგონებაში ვიყავი. რა იყო ეს, წინათგრძნობა თუ სხვა, არ ვიცი. სევდასთან ერთად ბრაზიც კი მომდიოდა, რომ არ გავყვევი მას მაშინ.

— ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო მისი მოსვლა. ვინ ელოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ამ საშინელ წლებში რუსეთს გადახვეწილი, ცოცხალი დაბრუნდებოდა!

— საბრალო დედა თქვენი, როგორ სწუხდა და რა სიხარული იქნება ახლა მის გულში. გახსოვს, გიორგის დაკარგვის პირველ ხანებში რო-

გორი ყურადღებით ისმენდა ნუგეზის ყოველ სიტყვას; მაგრამ მის გონიერ თვალემაში მაინც სჩანდა საშინელი უიმედობისა და ღონისძიება-რების მძიმე კვალი. მე მაშინ ძალიან მიმიძიდა მისი სიტყვები.

— ვახტანგ, გიორგის გადაკარგვამ საშინლად იმოქმედა დედაზე.

— ვალერია, მე სწორეთ შენთან მოვდიოდი ამ საღამოს. უსათუოთ უნდა მენახე. გახსოვს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა, როცა გადაგიშალე ჩემი გულის ნაღები. იცი, რომ დღემდე შენთან საუბარი ერთგვარად მიმიძიდა. დიდი მწუხარება გქონდათ გამოვლილი და ბოლოს გიორგის გადაკარგვაც ხომ დაერთო ამას. დღეს მოისპო ფიქრისა და მწუხარების მიზეზი შენთვის და ამიტომ უფრო თამამად ვარ. იცოდე, რომ მიყვარხარ, ვალერია.

ვალერია უძრავად იდგა. ვახტანგი აღფრთოვანებული შესცქეროდა. ვალერია გრძნობდა ჯერ განუცდელ ნეტარებას, რალაც შორეულის მოახლოებას.

— ვახტანგ, ვახტანგ, ჩემო ძვირფასო! — გაისმოდა ათრთოლებულ ვალერიას ვნებიანი სიტყვები.

ოქტომბრის ცხოველმყოფელი საღამო იდგა, სიმხნისა და ხალისის აღმძვრელი საღამო. თითქოს მოწყურებული ხარ და გინდა დაეწაფო უწმინდეს ეთერის შენს ირგვლივ განფენილ ზღვას.

საიდანღაც სროლის ხმა გაისმა. ალბათ სადმე რესტორანში ჭეიფობენ მენშევიკი მინისტრები და მთავრობის სადღეგრძელოს სვამენ. შეიძლება ბანდიტებიც არიან. ტფილისი სავსეა უსაქმური და დეკლასიური ელემენტებით.

„მგზავრის წერილებში“ ერთი პერსონაჟი ერის განათლებასა და კულტურას ბუასილიანი გენერლების რიცხვით განსაზღვრავდა. დრონი იცვალენ და დრომოკმული კლასები საქართველოში კულტურას ბურჟუაზიული პარლამენტის მელოტ დებუტატების რიცხვით ზომავდენ.

უკვე მიუახლოვდენ ბინას. ვახტანგმა გადახედა მის წინ გადაშლილ ქალაქს და უთბრა ვალერიას.

— ამ სიმალიდან რომ გადავიხედავ ხოლმე ღამის სივრცეში, ჩემს სულში მუდამ ეიმეორებ პოეტის რისხვიან თქმას: „ქალაქო დიდო, ცეცხლი როს წაგეკიდება“... ვინ იცის, ვალერია, შეიძლება სულ მალე, სულ მალე!

მთვარე გადაცურდა მამადავითის თხემს გადაღმა და ქალაქში მძიმე ღამე ჩამოწვა. ვალერია და ვახტანგი მიიმალენ სახლის კარებში.

დიდი ხნის უნახავი მეგობრები ერთმანეთს მდუმარედ გადახვეოდენ. მიულოდნელი, მაგრამ მით უფრო ძლიერი წაში იყო...

— მომილოცავს გიორგის მოსვლა დედი! — მიმართა ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა გიორგის დედას. — გახსოვთ, რომ არაფერი?

— მაღლობ, შეილო. მე იმედი დაკარგული მქონდა, ჰქვია იხილა არეულ-დარეული, რომ ვინ იფიქრებდა რუსეთიდან გიორგის მშვიდობით დაბრუნებას. თავი ახლაც სიზმარში მგონია.

— დედი, აბა ერთი რაც ვითხარი! — მიუბრუნდა გიორგი დედას.

— ახლავე, შეილო! კალათი მომინახე, ვალერია, სანამ რამეს გადავიცვამდე.

— კარგს იხამ, ვალერია, დედას რომ წაყვებოდე, მარტო გაუქირდება ამ აღმართში, — უთხრა გიორგიმ.

— პირველად მოვედი, მაშინვე გამაგზავნე, ახლა მოვედი, ისევ მაგზავნი, მეც მინდა ცოტა ხნით გიყურო, — უპასუხა თითქოს ნაწყენმა ვალერიამ.

— მე წავევბოდი სიამოვნებით, რომ შეიძლებოდეს.

— მივდივარ, მივდივარ! — სთქვა ვალერიამ და გაჰყვა კალათით ხელში დედას.

— ახლა უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, — დაიწყო გიორგიმ. — აბა მოყევი, რაც იცი, რა არის აქ ახალი?..

— არც კი ვიცი, როგორ დავიწყო, გიორგი, ერთბაშად ხომ ყოველივეს ვერ მოიგონებ! ერთი კია, რომ ტკივილებს უფრო მეტად განვიცდიოთ, ვიდრე მაშინ. ჩვენი „ეგრეთწოდებული საზოგადოება“ უფრო ფუჭაფუტურია, ვიდრე ოდესმე იყო.

— რა შეუძლიათ მენშევიკ ხელისუფალთ, რომ სამემკვიდროდ დასტოვონ? მხოლოდ სისხლიანი მოგონება და სხვა არაფერი.

— ცხადია, ეს წვრილბურჯუაზიული მასა უხერხემლოა. სტუდენტების ბურჯუაზიული ნაწილისათვის საშინლად დამახასიათებელია გენიომანია: მისი ორიგინალობის სურვილი ესაზღვრება სულაერ სიმბინიჯესა და დონკიხოტობას. მე, ხომ იცი, ახლა უნივერსიტეტში ვარ და ვერკვევი აქაური სტუდენტობის განწყობილებაში. ერთმა სტუდენტმა, ფუტურისტმა, ასეთი ჯილაგიც ურევია, საჯარო დისპუტში განაცხადა: „თამარი კოცნისთვის ჰქმნიდა პოლიტიკას“—ო. უფრო ნიჭიერად რომ გამოეთქვა სიტყვისა და აზრის ჰიგიენის უქონარ ფუტურისტს, ეს თქმა შეიძლება შესდევნებოდა პასკალის შესანიშნავ პარადოქსს: „კლეოპატრას გრძელი ცხვირი რომ ჰქონოდა, მსოფლიო ისტორია სხვა იქნებოდა“.

— ყოველივე ეს ისტორიის მკვლავატურაა და მალე ბოლოც მოეღება. ხსნა მხოლოდ საქართველოს ოქტომბერშია. მე ჩემს მიზანს ნაწილობრივ



მივალწიე. ხომ გახსოვს, როგორ ვოცნებობდი წითელ ბრძოლაზე, მის გმირულ ბრძოლებზე. რუსეთში მოხალისედ ჩავეწერე და მთელი ცხოველური ძეგლი დიდი ომებისა. აი ნიშანიც! — და გიორგიმ გადასწია ნიშანიც და უჩვენა ვახტანგს.

ვახტანგი მოჯადოებულად უსმენდა. მის თვალში გიორგი ახალგაზრდა გმირის წარაგანდებით იმოსებოდა, გმირის, რომელიც გამხდარიყო უკვდავ მსოფლიო მოვლენათა მონაწილედ.

— ვახტანგ, ნურაფერი ნუ გაფიქრებს. სამკელი ჩვენშიაც ბევრია. ჩვენც წავალთ აქ უკანასკნელ შტურმზე. აქაც ისეთივე მიმიე იქნება მუშათა კლასისათვის ბრძოლა, როგორც სხვაგან იყო.

ამ დროს დაბრუნებული ვალერია და დედამისი შევიდნენ ოთახში. მაგიდაზე დააწყეს მიტანილი ღვინო და ცოტა ხნის შემდეგ სუფრაც გაშალეს.

— ღვინო მაინც ბევრია ალბად საქართველოში, — დაცინვით თქვა გიორგიმ.

— უწინ საქართველოს მთავრები მაჰმადიან ხელისუფალთ ძღვნად ღვინო ჯარს უგზავნიდნენ. ახლა ჯარს ძღვნად ალბად ღვინო უგზავნიდნენ. ახლა ჯარს ძღვნად ალბად ღვინო უგზავნიდნენ. ახლა ჯარს ძღვნად ალბად ღვინო უგზავნიდნენ.

— იკითხოს საწყალმა ხალხმა, თორემ ბატონებს რა უჭირთ!

— იცოცხლე. ბანკეტებზე იმერული საცივითა და გურული ღვინოთ თავს იწონებენ კუჭმაგარ ინგლისელებისა და გასტრონომ გერმანულ-ფრანგების წინაშე.

სუფრას ოთხივე შემოსხდომოდა. ოჯახის სიხარული გიორგის დაბრუნების გამო უნდა აღნიშნულიყო. ერთი რამ იყო აქ ხელშემშლელი — გიორგის მამის დაღუპვის გაგება, რომლის შესახებ ვალერიამ არა იცოდა რა. გარემოება ალბად ითმენდა. გიორგიმ ანიშნა დედას და თვითონ გაბედულად უამბო ყოველივე, რაც იცოდა. მამის დაღუპვის გაგონებაზე, ვალერია წამოიჭრა და შეპკივლა. დედა უცებ სწვდა სახეში, რაღაც ჩაუღებარა ვალერიას. ალბად თუ უთხრა გიორგის სახიფათო მდგომარეობის შესახებ. ვალერიამ შესძლო თავის შეკავება. მას სულ სხვა შხრავ აღებდა დაკრული გრძნობები. სუფრაზე კარგა ხანს მწუხარე სიჩუმი იდგინებდა ისევ საუბარს შეკვეთს, მოკლე სადღეგრძელოებში გამოსთქვამდნენ თავიანთ გულის ნადებს. ვალერიას მწუხარება ვერაფერმა ვეღარ გაფანტა. მალე დასტოვა კიდევ სუფრა და მეორე ოთახში გასულმა უძილო ღამე ქვეთინში გაატარა.

დედამ გიორგისა და ვახტანგს ერთად გაუშალა ტახტზე საწოლი და მალე მანაც მარტოდ დასტოვა მეგობრები...

— გახსოვს, გიორგი, გიმნაზიაში ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელი როგორ შეგვეკითხა, ისტორიაში ვინაა თქვენთვის ყველაზე საყვარელი გმირი?

— მასწავლებლად მგონი ნ. პ — ი იყო, რომელსაც მოწაფეები ზედმეტ სახელად პიპინ მოკლეს ვუძახოდით.

— ახირებული კი იყო ის ჩვენი პიპინა! ერთხელ ^{მასწავლებლებს} გვაამბობდა. თავად პატარა ტანისა იყო და როცა წარმოთქვა, ბონოპარტე დაბალი ტანისა იყო, ვილაცამ „ფხუო“ შესძახა და ატყდა მთელ კლასში ხარხარი. მასწავლებელი სახტად დარჩა და შემდეგ აღარას გვიამბობდა. პო, პასუხები თუ გახსოვს? მე რატომღაც აღარ მაგონდება.

— როგორ არ მახსოვს: შენ უპასუხე — სპარტაკია ჩემი საყვარელი გმირი, მეორემ შილერის ყაჩაღები დაასახელა, მესამემ, მგონი, მაკედონელი ახსენა. ისე არეული იყო ერთმანეთში ოცნება და სინამდვილე, რომ ხშირად მოწაფეები ველარ ვარჩევდით ლიტერატურისა და ისტორიის გმირებს.

— საქართველოში ისტორიას ყველაზე ცუდად ასწავლიდენ.

— მთლიანი კურსიც კი არ მოგვეპოვება საქართველოს ისტორიისა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ინტელიგენციას სულ მუდამ ერი და მისი ისტორია აკერია მოჩლექილ ენაზე.

— რა უჭირთ! საკმარისია, რომ სამი სიტყვა ერთი და იმავე ასობით იწყება: „საქართველო — სამშობლო — სიყვარული“.

— ამჟამად მენშევიკი ისტორიოგრაფები უმატებენ სიტყვა „სოციალიზმსაც“ და ტრიო იქცევა, ცხადია, კრილოვის არაკის კვარტეტად.

— მე მასწავლებლის შეკითხვა იმდენად არ გამკვირებია, რამდენადაც მეორე თუ მესამე დღეს თვით დირექტორის შემოსვლა ჩვენს კლასში და მომართვა — სად არიან აქ ყაჩაღები და სპარტაკებიო. ყველას გაგვიკვირდა. შენ, მგონი, არც ყოფილხარ იმ დღეს გიმნაზიაში. ახლა რომ ვუკვირდები, ასეთ კითხვებს უფრო სხვა დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე უბრალო ცნობისმოყვარობა ჩვენი პიპინასი. ყაჩაღები გაიოზმა ახსენა, ხომ გახსოვს?

— სადაა ახლა გაიოზი?

— გაიოზი უნივერსიტეტშია. სიბრძნის დარგი აირჩია და ფილოსოფოსობს. ამისათვის ზედმეტ სახელად „გაიოზ ბერი“ შევარჩევით. ლეთისმეტყველებასაც ასწავლიან საქართველოში ჩვენი ქრისტიანი პროფესორები. ყურანზედაც წაიკირხავენ ლექციებს, ფული რომ მისცე, მაგრამ ფულზედაც რომ ჰიქოთაა ეს მენშევიკური რესპუბლიკა...

— რაეა, ნუ თუ ახლაც მაგ ჰქუაზუა გაიოზი?

— მაინც დიდი ორიგინალია და თავისებური კაცი. ერთხანს ანარქისტობდა, ტოლსტოისაც პატივით იხსენიებდა. ფეხსაცმელის კრიზისის დროს ეპოქის შესაფერი ნილილისტობა უკანა რიცხვით ქალამნების ჩაცმასა და კახური ქუდის დახურვაში გამოხატა.

— აკლია მართო სალამური, რომ მწყემსად გადაიქცეს და იმღეროს სადმე: „ჯერ არსად სჩანან, დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს თუ მოჰკრეფს ყური“, ჰა, ჰა, ჰა!

— ჩვენს ეპოქას დაეკარგა ფილოსოფიური სინდისი, ამიტომ ვაიოზი და ამიტომ ჩვენი დროის უდიდესი ამოცანა ღმერთის მიებაშიაო.

— ჯერ დაიცადონ...

— როგორც მხილება ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისისა, ეს ვარემოებაც საინტერესოა უთუოთ. რევოლუციას კარანტინი არ დასჭირდება მათ წინააღმდეგ. რევოლუციონური სინამდვილე თვით ჩაჰკლავს მათს რეაქციურ მისტიციზმს.

გიორგიმ ჭიჭები აავსო ღვინით და დალია მომავალი კომუნისტური კულტურის სადღეგრძელო. ეს, მისი სიტყვით, იქნება მზისა და სიცოცხლის უმალლესი ჰიმნი. მანამ კი ბრძოლა, უსასტიკესი და დაუნდობელი.

— ვახტანგ, საქართველოში ახლოვდება გადამჭრელი დღეები, ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ ბრძოლაში. შენ ალბათ ჩემზე უკეთ იცი, რომ გლეხთა უკმაყოფილება უკვე მასიურად გადადის შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე ხელისუფლების მიმართ. ქალაქში მასიური გაფიცებისა და საპროტესტო დემონსტრაციების სისტემატიურ ხვრეტას აქვს ადგილი. მალე ჩვენშიაც უნდა იფეთქოს აჯანყების აღმა.

— მუშების მდგომარეობა ქალაქებში და გლეხობისა სოფლად აუტანელია. მდგომარეობას ვეღარ უშველიან ათასი ერაქები პლიუს ხონელი სპეკულიანტები. გლეხობა შემოსავლის 60%-ს იჯარაში აძლევს მემამულეებს და ეს იმ ქვეყანაში, რომელსაც განაგებენ ევრეთწოდებულ „სოციალისტები“. დაკრა ბოლოს ჩვენშიაც სანეტარო ეამმა.

— მე მინდა შევქმნა რაზმი ჩვენს მაზრაში, რომ აჯანყებას მომზადებული შევხვდეთ.

— ადგილებზე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ტფილისელი ამხანაგების დახმარებით ჩვენ ადვილად შევალთ მათთან კავშირში.

— მანამ მეც ვიცხოვრებ ფარულად. ახლა უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო. ბუზი შემოდგომაზე უფრო მწარედ იკბინება.

— რასაკვირველია, გიორგი.

— უკვე ღამის სამი საათია, ვახტანგ. უკანასკნელად ახლა დავლიოთ საქართველოს წითელი განთიადის სადღეგრძელო, თან მოვიგონოთ ბრძოლაში დაღუპული ამხანაგების უკვდავი სახელები...

ოთახში ღამის მბუტბავ სინათლეზე უკვე დაწოლილი მეგობრები ერთხანს კიდევ საუბრობდნენ. მრავალი ატარებდა მაშინ საქართველოში უძილო ღამეებს...

ფიქრობდნენ უკანასკნელ ბრძოლაზე და უდიდესი რევოლუციის გამარჯვებაზე.

ციხეებში გამომწყვდეული მებრძოლნიც მოელოდენ მძიმე ბარკილების დამსხვრევას და მოახლოვებულ განთიადს.

შენ კი, მარიანა, ძრწოდე! დღენი შენნი დათვილილ გერჩია მუდამ ნადრახი სიცოცხლე.

გ. მ. ბ. მ. მ. მ. მ.

ტფილისში შემოდგომის მიწურული იყო.

კოჯრის გზით ქალაქში მოეშურებოდენ სოფლელები. რუხ-ფარაჯებიანი გლეხები მოერეკებოდენ სახედრებს, მოჰყვებოდენ მძიმედ დატვირთულ ურძებს.

ქალაქში შემოსვლისთანავე იწყებოდა მათი ყვილი, ქუჩაში გაისმოდა: „მაწონი, მალაჭა“.

„ნახშუგლი, ოხშუგლი“.

სოფლელებს ეხმაურებოდენ შემწვანილები და ხილის დამტარებელნი. „ვიიოგრად, იაბლოკ, ყურძენი, ვაშლი“.

მცირედი ინტერვალის შემდეგ შეუკურობებდა დამტარებელი ვირსაც და ბიჭსაც. მას ძველი ტფილისელი შოქალაქის შავი კაკარდიანო ქუდი ეხურა. საკინძე შემოხსნილ წითელ პერანგზე ვერცხლის ქამარი შემოვრტყა. სადმე შეჩერებული იგი გრძელ ყალიონსაც გააბოლებდა და მუშტარს ქალაქური კალამბურებით ყარაჩოდელთა კილოზე გაართობდა...

დილა იყო. კოჯრის სანახებიდან სიო უბერავდა.

მოჩანდა ნარიყალა, ზემოთ ციხის ნანგრევები. მოშორებით პირქუშობდა ქალაქს ზევიდან დამყურე მეტეხის ციხე.

ამაღლების ქუჩაზე, მეორე სართულის აივანზე რამდენიმე ახალგაზრდა გადმომდგარიყო. ვახტანგი აქ ცხოვრობდა. მისი შინაურები დროებით კახეთს წასულიყვნენ, წავლთ რალაც ნივთები, რომ სოფლად გადაეცვალათ და ზამთრისათვის ცოტა რამე მოემარაგებიათ.

ვახტანგთან ამ დილით რამდენიმე ამხანაგი მისულიყო. ისინი სტუდენტები იყვნენ და ერთმანეთთან ხშირად იკრიბებოდენ.

ვახტანგმა გადასძახა ხილის დამტარებელს:

— ყურძენი, ყურძენი!

— დაიცა, ბიჭო, შე ვერანაე შენა! — გაისმა ქუჩაში. — რამდენი გინდა? — ეკითხება უკვე მისულ ვახტანგს და მის ამხანაგს.

— ასწონე სამი გირვანქა.

— ვაა, ქორწილი გაქვთ! — უპასუხა მეხილემ, ალბათ, აივანზე ახალგაზრდათა სიმრავლით შთაგონებულმა.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ... აწონე ჩქარა! — უთხრა ვახტანგმა.

— რა გაჯავრებს შვილოსან, გვარდიელი ხომ არა ხარ? — და თან აწონილი ყურძენი და ვაშლი გადასცა ვახტანგს.

ვახტანგმა ბონები გადაუთვალა და მებილეს ფულუქიმფულუქლულუჯა შერჩა ხელში. ერთ ხანს დაფიქრებული, ის მიმავალ ფხვრამას უფხვნებოდა:

— ვა, ნიკოლაის ფულს მაძლევ რაღა! ესეც ფულია, მე მაგის პატრონი! — შეუყურთბა მადიანად და ბიქს გადასძაბა, — წა ვირო!

— ვახტანგ, შარზე არ იყო ის დალოცვილი, — უთხრა შოთამ, — გვარდიელი ხომ არა ხარო.

— მენშევიკურ ფულსაც რომ მადიანად შეუყურთბა, — უპასუხა ვახტანგმა და ამხანაგებს უამბეს ყოველივე იმ ინტერვიუს შესახებ, რომელიც მათ ჰქონდათ ტფილისელ მოქალაქეთა შორის საინტერესო პერსონაჟთან.

— ბიუჯეტის საკითხი ალბათ უკეთ ესმის ამ ყარაჩოღელს, ვიდრე დამფუძნებელი კრების პოლიტიკოსთ, — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— ადამიანების უბედურება იმაშია, რომ კომედიის უფრო დიდი ტრაგედიაა, ვიდრე თავად ტრაგედიაში, — წარმოსთქვა გაიოზმა და თან ყურძნის მტევანს რამდენიმე მარცვალი შეაცალა. — უწმინდესი ნაყოფთა შორის, — ამბობდა თითქოს თავისთვის.

— ეჰ, მოჰყვა ბერი ლოცვას! რაღა გვეშველება ამხ-ბო? — უკბინა სანდრომ.

— და მართლაც ვანა კომედია არაა, შენ და მაკედონელს ერთი და იგივე სახელი გერქვათ?

— მოგსპო, ძმაო! შეხე, ბერებიც იკბინებიან თურმე, — უთხრა სიცილით ვახტანგმა.

გადაკრული, სიტყვიერი ფარიკაობა კიდევ გაგრძელდებოდა, რომ აივანზე გაზეთი „ერთობა“ არ შემოეგდო დამტარებელს. პირველად სანდრომ აიღო გაზეთი და დაიწყო მისი გადათვალისწინება.

— რამ დაგაინტერესა ასე, კაცო, ლიტერატურული გაზეთი ხომ არაა?

— დაიცადე, არჩილ, ამ გაზეთში კომედიაზე მუდამ იწერება, ლიტერატურაზე თუ არა, — უპასუხა სანდრომ.

— მენშევიკები და მხიარული ქანრი ვის გაუგონია?!

— მე მართლა გეუბნები, აქ კომედიაზე მუდამ იწერება. ყოველთვისაა ანგარიში დამფუძნებელი კრების სხდომის შესახებ.

— ყველაზე უფრო სამწუხარო ისაა, რომ მენშევიკი ხელისუფალნი ჩვენს ხალხს მრავალ მიუწვდომელ ფიქციას უნერგავენ. ერთი ამგვარი ფიქციაა „აქა ამბავი ევროპისა სიყვარულისა მენშევიკურ საქართველოსადმი“.

— საქართველოს მშრომელთა ინტერესებისათვის — მიუტევებელი დანაშაული იყო სოციალისტურ რევოლუციასთან კონტაქტის გაწყვეტა. მით უმეტეს, რომ ერთა განთავისუფლების უძლიერესი ლოზუნგი, სწორედ

დიდმა ოქტომბერმა წამოაყენა და განახორციელა, — აღნიშნა თავის მხრივ გიორგიმ.

ჩვენშიც ახლოვდება მუშათა კლასის რევოლუცია, რომელიც უკვე დადგენს გაწყვეტილ კავშირს რევოლუციონურ რუსეთთან.

— არც რევოლუცია და არც კაპიტალისტური ევროპა, ვახტანგ! — გამოეძაღა შოთა.

— ეს შეუძლებელია. მეჯოგეს, რომელსაც ჰყავს ულაცი ვირი და ფაშატი ცხენი, შეუძლია თქვას: არც ვირი, არც ცხენიო, მას მაინც გამოუვა ჯორი. გვეყო გაჯორვა ინგლისელებისაგან პლიუს მათი ხერგა-ხერგა ჯორები, — იოხუნჯა სანდრომ.

— გახსოვთ თუ არა, მენშევიკური მთავრობის სასახლის გვერდით ინგლისელებმა ნიფხვები რომ გამოკიდეს პროსპექტზე? ინგლისელი ვენერალი ალბათ ფიქრობდა, რომ აზიაში პატივს მხოლოდ ძალას სცემენო, და აზიაც ხომ აქ იწყებოდა, თუმცა „სოციალისტებმა“ შინაც მოაბეზრეს თავი, არა თუ აქ, ტრანსკავკასიაში. მენშევიკ პარლამენტორებს იგი მაგიდაზე ფეხებშეწყობილი ლებულობდა...

— ინგლისელები დაუნდობელი და ეგოისტი ხალხია!.. — თქვა შოთამ.

— ვინ იფიქრებდა, რომ დამოუკიდებლობის საკითხი სატახტო ქალაქში ინგლისელი ჯარისკაცების ნიფხვებშიც კი გაირეოდა? — სარკაზმით შენიშნა გიორგიმ.

— ინგლისი განთქმულია კარგი რკინით, ფლოტითა და ბანკებით. ისინი ერთად აღებულნი კართაგოელნი და რომაელნი არიან. ჰენიმ ინგლისის წყლის გველი უწოდა, ცივი სისხლით და ლორწოიანი გარსით. გეოგრაფიულ განაპირებასა და მძიმე ბურუსში ისახება მათი ქედმაღლობა და დაუნდობლობა. ჩვენს პოზიტიურ ხანაშიც კი გაუგებარია ის ფიცი, რომელიც მიაღებია კონტინენტზე მოწვეულ საქსთა მეფისწულს... ვილჰელმ დამპყრობელმა, გვირგვინოსანმა პირატმა და ნორმანთა კონუნგმა, — ამბობს შოთა, რომელიც მუდამ გატაცებით ლაპარაკობდა სხვადასხვა ეროვნების როლზე ისტორიაში.

— დიდი დანაშაულობანი, სისხლი და მახვილი ინგლისის მიწაზე ასულდგმულებდა შექსპირის ვულკანურ გენიას. ამიტომაც, რომ ინგლისში პამლეტი ყველაზე ნაკლებად ესმით. მისი გამოჩენილი კომენტატორები მხოლოდ კონტინენტზე არიან. საერთოდ ინგლისს ყოველთვის უფრო უსმენდენ, ვიდრე ის უსმენდა ვინმეს. შექსპირი დიდი ლიტერატურული ბრიტანეთია, ისე, როგორც ჰეგელი მეტაფიზიკური ემპირიის შემქნელი, — გააწყვეტია გაიოზმა შოთას სიტყვა.

— მოიცა, გაიოზ! რა იცი, რომ ნაკლებ საინტერესოს ვიტყვი ინგლისის ლიტერატურაზე. ჩემი ფიქრით, შექსპირი უიდეალო მწერალია, მიუ-

ხედავად მისი ტიტანური გენიისა, უცნაოდ შეუძლებელი იქნებოდა „იულიოს კეისრის“ ავტორი. შეიძლება შექსპირი ნამდვილად ჩახავდა თავის თავს იმ ანდერძში და ეპიტაფიაში, რომელიც მან დასტურდა სტრედფორდში. შექსპირზე დიდი სიმბოლო ბაირონია. მისი ხსენება მხოლოდ ერთ-ერთ პირადი მისი ცხოვრება უკვდავი ლეგენდარული პოემაა. დღეს, მეტერლინკები და უაილდები ლიტერატურულ ფერფლად გადაიქცენ. ტფილისის რესტორანების ყანწის ნალექებში ჩაჰკლავენ უკანასკნელად უაილდს. ჩვენ ყანწელებს ხომ უყვართ ლიტერატურული პარაკლისების მოწყობა...

— ჰო, იმაზე მოგახსენებდით, რომ ინგლისი მუდამ მოხერხებულად მოქმედებდა ჯვართ, ხმლით, ოქროთი. ბიბლიას, ფლოტს და კაპიტალს არა ნაკლებ დახმარებას უწევდენ შექსპირი, მილტონი, ნიუტონი, სპენსერი, მაკოლეი და სხვები. ინგლისელის ტიპი ბატონობდა ერთ დროს ევროპის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, მაგრამ ახლა დაბერდა ქოფაკი და საყელოც გაუმწვირიანდა. საქართველოში მათ დასტოვეს რალაც ლურჯი შაქარი. „ბოროტი“ ხმები ამბობენ, რომ ამ შაქარს ისინი მხოლოდ ხედავს აძლევენო.

— ყველა ინგლისელს თავი ჯენტლმენი ჰგონია და მუდამ ფიქრობს პიტზე და ნელსონზე. სულიერად ასხმული აქეთ რალაც სხვა ჯავშანი. მათი ლოზუნგია „ან გამარჯვება ან ვესტმინსტერი“, — დაემოწმა გაიოზი.

— მათგან უნდა ვისწავლოთ მთელი ენერჯის დაქიშვა, რაიმე მიმართულებით სისტემატიური და ღრმა მუშაობა, თორემ პროფანებად დავრჩებით, თუნდაც ასოცდაათ უნიჭო დეპუტატს ერთი ამდენიც რომ მივეუმატოთ, — წამოიძახა თავის მხრივ არკადიმ.

— ძალი ძალის ხორცს არ შესჭამსო, ნათქვამია, — დაიწყო ვახტანგმა. — გორისა და კიათურის თავადაზნაურობამ არზა-საჩივრებით მიმართა გერმანიის ჯარის სარდალს, რომ აელაგმა საქართველოს გლეხები. გერმანელებმა სასტიკი გაფრთხილებით მიმართეს მენშევიკურ მთავრობას, რომ დაემყარებია წესრიგი, ე. ი. დაეცვა თავადებისა და აზნაურების ინტერესები. მენშევიკები სწორეთ ასეც მოიქცენ და ლაქტულით ბოდიშოც მოიხადეს.

— გერმანელი გენერლები დიდი წარმოდგენისა არ იყვნენ მენშევიკ სახელმწიფო მოღვაწეებზე. სამაგიეროდ საქართველოს მენშევიკები ფეხქვეშ ეგებოდნენ გერმანელ გენერლებს.

— მენშევიკები კონტრ-რევოლუციონურ პოლიტიკას აწარმოებენ. საქართველოში მათ რეაქცია გაამეფეს, — მკვახედ ჩაერია სანდრო.

— მენშევიკურ დამოუკიდებლობას ისინიც თითქოს ისტორიის ანეგდოტად სთვლიან, იმდენად არ სჯეროდათ სავლევებიდან პავლეებად გადაქცევა.

— დღევანდელი კომედიანტები ამ ფარსს სისხლიანი ტრავმების ფასად დაუსვამენ ქართულ ხალხს. მომავალი არ აპატიებს მენშევიკებს რევოლუციისადმი ღალატს და გამცემლობას! — უპასუხე, ვიუუუუუუ!

— მენშევიკი პოლიტიკოსები, ვითომდა მემკვიდრეები ჩვენი წინაპრების, ერეკლეების, თამარის პარლამენტების, თავიანთ პოლიტიკას შემდეგნაირად განსაზღვრავენ: „ჩვენი პოლიტიკა გამძრომ-გამოძრომის პოლიტიკაა“. ამ თქმაში სისულელე ესაზღვრება ცინიკურ გულახდილობას, — დაემოწმა ვახტანგი.

— მენშევიკური დამფუძნებელი კრებასავით გაიჭიმა ჩვენი საუბარი! ასე ყოფილა, ასეა ახლაც საქართველოში: თუ შეიკრიბებიან, მაშინვე დაიწყებენ ლაპარაკს პოლიტიკაზე. მარტოობაში არც ფიქრობს ვინმე ერის პოლიტიკურ სვებედზე. კონსტიტუციაც ვეღარ შეიმუშავეს აქამდე, — თქვა შოთამ.

— რა უჭირთ, სამაგიეროდ არწმუნებდნენ რუსეთის მენშევიკთა ც. კ.-ს, რომ დამოუკიდებლობა ისე, მენშევიკური ტაქტიკური მოსაზრებით ჩაიშასქნეს, თორემ ჩვენ უთქვენოდ სიცოცხლეს კი არა, ალბათ, სიკვდილსაც ვერ შევძლებთო, — შენიშნა ირონიულად ვახტანგმა.

— ამაზეა ნათქვამი, მკედარი მკედარს აეკიდა, საფლავის კარამდი მიმიტანეო, — წამოისროლა სიცილით სანდრომ.

— იმ ხანად რუსი მენშევიკები სულ უფრო და უფრო იყურებოდნენ კავკასიონის ქედისაკენ. კავკასიონის მთებს დიდი ისტორიული სტაფი აქვთ და ვინ იცის, შეიძლება ოქტომბრის ძლიერი ქარიშხლით დაღეწილი გემი განუწყვეტელი რუსეთის „დემოკრატიისა“ შერჩენოდა სადმე კავკასიის მთის თხემებს. ბიბლიას და არარატს თუ იგონებდნენ ამიერიდან უკვე კათაკმეველნი, — დაიწყო არკადიმ.

ახლო რესტორანში ვილაც ხმა ჩაზღეჩილი „ნარიმანა გოცაძეს“ კუბლეტებს გაჰკიოდა. სიჩუმე ერთხანს არავის დაურღვევია.

მხოლოდ სანდრომ დაიწყო სევდიანი და ნელი ხმით ლილინი, რომელსაც არჩილიც აჰყვა თავისი ბოხი ხმით. მღეროდნენ:

„სწრაფია, ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი,
მოკვდებით, დაგმარებენ ცივ სამარეში,
მაშუბე, ამობილო, სულ გამოცალე“...

— სანდრო, როგორ ათავსებ სევდასა და ბაკუნინს? — მიმართა შოთამ.

— რა გიკვირს, შეე კაი კაცო, რომესპიერი სიკვდილის განაჩენს მოაწერდა ხელს და მერე თავის კაბინეტში ჩაეკტილი ტიროდა თურმე, — გამოესარჩლა მფარველობითი ტონით არჩილი.

— ეჰ, ძმაო, ქვეყნად იმდენი ანარქიზმია, რამდენიც ანარქისტი, მაგათგან ხეირი არ იქნება! — თქვა თავის მხრივ არკადიმ.

— რატომ, კაცო! ყოველივე დიდი საქმე უდიდესი უარყოფით იწყება. ქრისტე და ბუდა თავიანთი დროის უკიდურესი ნილილისტები იყვნენ და, თუ გნებავთ, ანარქისტებიც, — უპასუხა შოთამ.

ერქვენული

— ანარქიზმი სოციალური ლირიზმია, — თქვა გაიჩნდა

— თქვენი აზრები, — დაიწყო გიორგიმ, — ანარეკლია იმ იდეური კაობისა და აზროვნების გაყინვის, რომელიც ეგზომ დამახასიათებელია მენშევიკურ საქართველოსათვის. მსჯელობთ, როგორც ბურჟუა-მეშინები, მოკლებული ხართ ახალი ისტორიული ძვრების გრძობას, ველარა სწვდებით ისტორიის კანონზომიერებას, მის შემოქმედებით გაქანებას. ისტორიის თვალსაზრისით, ანარქიზმი, როგორც ძალა არც კი არსებობს. აუცილებლობის ძალით იქნავებენ ანარქისტები წვრილბურჟუაზიულ რეაქციასა და პროლეტარულ რევოლუციას შორის.

— პარტიებმა დააქციეს საქართველო. ჩვენ პარტიას უარვყოფთ, უნდა მოისპოს სახელმწიფო, რომელიც ამაზინჯებს სულიერად ადამიანებს! — შეუტია სანდრომ.

— კავენიაკებისა და გალიფეების, ჩინგისხანების წინააღმდეგ ძალაა საჭირო და ამას ვერაფერ ვერ შესძლებს თუ არა სახელმწიფო ორგანიზაცია, — უპასუხა არჩილმა.

— უნიადაგო იყო მუდამ ჩვენი ინტელიგენცია, — დაიწყო მორიგი ტირადა შოთამ. — ახალი თაობაც მამების კვალს მიჰყვება. სულს და გულს, რაზე არ ლაპარაკობენ, ხოლო რეალური საქართველო, მისა საჭიროებანი მივიწყებულია. მაგონდება ერთი ნიუანსი, ჩვენი ინტელიგენციის დამახასიათებელი, რომელიც შ. არაგვისპირელის მინიატურებშია აწერილი. „ქეიფში ისვრიან მოწინავე ჩვენი ინტელიგენტები მარქსს, ბოკლს, სპენსერს, ნიცშეს, მიხაილოვსკის და სხვებს“. ასე ყოფლა და ასე იქნება მუდამ ჩვენში.

— ჩვენს ისტორიას ძლიერი შუაგამკრავი ქარი სჭირდება. საჭიროა გადახალისებას მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია შესძლებს საქართველოში.

— რევოლუციისათვის საჭიროა ისეთი ღრმა და ვრცელი ზღვა, როგორც ერთ დროს საფრანგეთი იყო და დღეს კი რუსეთია. ამ უძლიერესი შემოქმედებითი სტიქიის აღერსს ჩვენ ველარ გაუძლებთ. ჩვენ გადავტყდებით და ზელში სულის ნამსხვრევები შეგვრჩება მხოლოდ. ქირურგიას თერაპია უნდა ვარჩიოთ. საქართველოსათვის საუკეთესო გამოსავალი ჩიხიდან კომპრომისია ისევ რევოლუციასთან. ჩვენ უნდა შევძლოთ ამ დემონიური სტიქიის ათვისება — სთქვა არკადიმ.

— რევოლუცია ექსპორტ-იმპორტის საგანი არ არის, არკადი. ამაში ძალიან ცდები. საქართველოში დიდი ხანია რევოლუცია იბრძვის, კანონს გარეშე გამოცხადებული რაიონები, გადამწვარი სოფლები ამის საბუთია.

ნერასტენიკებს, მაღალი „შტილის“ მოყვარულთ მივეუთითებთ ტრადიციონალურ „Тяжелый крест“, იქაა კულტი სატანისებური სადიზმისა.

მენშევიკ პრეტორიანელთა, გვარდიის უფროსმა და ხელმძღვანელმა, როცა აჯანყებულთა სოფლები მისი ბრძანებით ცეცხლს აუწყეს, წამოიძახა „მე მესმის ნერონიო“, — შეეკამათა არკადის ვახტანგი.

— ვის აუხვევენ თვალს „დემოკრატიული“ ბუტაფორიების მომწუბონი? ევროპამ ძალიან კარგად იცის პოლიტიკური ეკონომია და ორმაგი ბუხპალტერია, რევოლუციას კი სახმილის მგზნებარე თვალი აქვს, — დაემოწმა გიორგიც.

— ამბობენ, მენშევიკები აპირებენ სტუდენტობაში პოლიტიკური წმენდის ჩატარებასაო. კომუნისტური ახალგაზრდობა გარეულა მასაში და ქმნის უკმაყოფილებისა და კრამოლის სულს სტუდენტობაშიო. ეს ჩვენ მემარცხენეთა ხარჯზე გადაიარს, — თქვა სანდრომ.

— შენ მაინც ვინ გითხრა ეგ, კაცო, ვინ ენდო ანარქიას? — სიცილით უთხრა არჩილმა.

— მემარცხენეთა ხარჯზე ჩატარდება წმენდა, ცხადია, მაგრამ შენ მისადგომი ნაპირი გეშლება. სანდრო, შენსა და ვახტანგის მეტს, მაგათ ყველას მშვიდად შეუძლიათ იყონ, — უთხრა გიორგიმ.

— რატომ, კაცო? — შეეკამათა არჩილი. — აქ ყოველივე კრიტერიუმის საქმეა.

— ჩვენმა სტუდენტებმა იციან მეტეხის ციხის აშენების თარიღი, მის არქიტექტურულ სტილზედაც აქვთ უთუოთ წარმოდგენა. არ იციან მხოლოდ, თუ რა ხდება დღეს მეტეხის კედლებს შუა, აგრეთვე მის მსგავს საქართველოს ციხეებში, — დაიწყო ვახტანგმა.

— როგორ, ქართველი სტუდენტობა ნაკლებია თუ? — უპასუხა არჩილმა — სტუდენტობა ცხოვრების ვითარების გამოვლინებაა. მენშევიზშია დამნაშავე, რომ ქართველი სტუდენტობა იდეალს მოკლებულია და არა აქვს მას გარკვეული სახე და ტრადიციები. განა ქართველი სტუდენტი არ იყო, მგონი ციციშვილი გვარად, რუსეთში მეფის თანდარმერის დატუსაღების დროს რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია? იმ დროს, რევოლუციონურ მოძრაობაში ეს პირველი შემთხვევა იყო.

— წმენდასთან ერთად იეზუიტებს მეორე გეგმაც ჰქონიათ. ევროპაში თვალის ასახვეად გაგზავნეს თურმე ასი სტუდენტი.

— პირველად 70 კაცი ყოფილა სიაში, მაგრამ, ხომ იცი, ქართველები ნათესაობის ხალხი ვართ, თან პროტექცია და ქრთამიც მეტად სჭრის ამ დალოცვილ მენშევიკურ რესპუბლიკაში, — ჩაურთო ვახტანგმა. — წარღვნის შემდეგ ნოეს ყველა ენათესავებოდა.

— მათში ისეთებიც ყოფილან, რომელთა ახალგაზრდად ჩარიცხვა, მეტრიკული მოწმობების მიხედვით, სირცხვილი იყო, სხვა თუ არაფერი.

— მერე რა, შოთა, მენშევიკები ხომ იყვნენ ეროვნება-რასიშიზმის ციტატებით? — უპასუხა ვახტანგმა.

— ეს მიზანშეწონილი გეგმაა, — ჩაერია გაიოზიც, — მაშვერმა შევიგინდა ამის საკეთილოდ დასრულება? ქართულ მერანს ფინანსებს მუდამ გული და ესაა ყველაზე საინფუხარო. მიზეზად იმდენად უკეთილშობილესი ცხოველის სიცხარეს კი არ ასახელებენ, რამდენადაც მისი მხედრის უნიკობასა და კაპრიზს.

— ცხადია, გაგზავნიდნენ ბურჟუაზიის ლაქია-მენშევიკებს ევროპაში. ერთ ნაწილს სტუდენტობისას ეყოფა სიმინდის ფქვილის სპეკულიაცია. დანარჩენებისთვის მენშევიკების რესპუბლიკას ჰყავს ფაჩუ კელია შეტებით.

— გორაკი, შენ მართალი ხარ, მაგრამ სავესებით მაინც არა, — დაიწყო სანდრომ, — სტუდენტობა ეძებს რევოლუციონურ ლიტერატურას: ეწაფება ლენინს, სტალინს. „ნაც. კითხვას“. ახალგაზრდობაში ცოცხალი სინამდვილის გრძნობა მეტია. ეს პლიუსია, მაგრამ ამ სიმპტომებთან ერთად ახალგაზრდობა თვრება ხელისუფლების ეროსით და იყენებება ეტატეზმის სულით. ეს კი დიდი მინუსია. ჩვენ სოციალურ რევოლუციასთან ვართ და ვიქნებით იმდენად, რამდენადაც ის დაამსხვრევს სახელმწიფოს, კაცობრიობის ამ სისხლიან კერპს.

— ჩვენ ვიანგრევთ, ვიანდგურებთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და არა რაღაც აბსტრაქტულ მითიურ სახელმწიფოს! — უპასუხა ვახტანგმა.

— იმ ჩვენ გაგზავნილებს ბედი ჰქონიათ. გერმანიაში ახლა მენშევიკების ბატონობაა და როგორმე ამ საქმესაც ჩაიმასქნიან, — სთქვა არჩილმა.

— ამ გურულ აქცენტთან „ყმაწვილებს“ სადგურებში თუ ხედებოდნენ პროვინციელი სატრაფოები ხაჭაპურებით და ემუღარებოდნენ არ დაეიწყებას!

— ყოველივეში ნუ ეძებ, შოთა, კომედიურს! — უპასუხა არჩილმა.

— რა უნდა ჩამოიტანონ ევროპიდან მაგ ბედოვლათებმა? ევროპაში დღეს დიდი უიდურობაა, ყველაფერში კლიენტეზმის სული და კარიერის ფსიქოზია გამეფებული. გამგზავნე პატრონს გეგმა მაინც ჰქონდეს, რომ ცხადი გახდეს, თუ რა დარგის სპეციალისტები იყო ჩვენთვის საჭირო, — თქვა არკადიმ.

— იკითხოს ჩვენი გლეხების ზურგმა, თორემ მენშევიკ მინისტრებს რა ენალელებათ!

— აბა, ვახტანგ, აბა! ეს დალოცვილები ყველანი ბაუერებად და ჰილფერდინგებად ხომ ვერ დაბრუნდებიან? — დაემოწმა სანდრო.

— ბაუერებს და ჰილფერდინგებს ინჟენერი სჯობია საქართველოსათვის, — უპასუხა არჩილმა.

— ამით თითქოს დაიხურა სამუდამოდ დარიალის ხევი და გაიხსნა „კულტურულ“ ევროპისაკენ უშუალო გზა. საქართველოს ახსოვს თერგ-

დალულები, ძარღვიანი თაობა. ჩვენს დინამიურ ეპოქას ახალი ხალხი უნდა, მტკიცე ნებისყოფითა და მაგარი ნერვებით.

— გეყოფა ქეციანი აზნაურა ინტელიგენტები და მინჯიანური ტაბა-ტები! — მიუგო ვახტანგმა.

— საქართველოში კეისრად სპარტაკი იქნება. მართალია, გიორგი, არა? — მიუბრუნდა შოთა მას.

— ნულარ მრუშობთ აზრით! თქვენ ბურჟუაზიული რეაქციის ტრუბადურები ხართ. თქვენც გინდათ 90% გრადუსი მობრუნება. თქვენ რევოლუცია გილიოტინის ენით დაგელაპარაკებათ. უკანასკნელად შევხვდებით ერთმანეთს! — უთხრა გაიოზს გიორგიმ.

კარი გაიღო ამ დროს და გამოჩნდა დაბალი ჯმუხა ტანის სტუდენტი. სქელ პაჭუა ცხვირიან მის სახეს კიდევ უხდებოდა სტუდენტის ლურჯი კაქარდიანი ქუდი. ყველამ შესძახა:

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! დიოგენ, დიოგენ!

— შემოდი, კაცო, რას დაყუდებულხარ კარებში!

ნელი ნაბიჯით შემოვიდა დიოგენი და დინჯად ყველას მიესალმა.

— შენი დედამთილი, ძმაო, კაპუტ! ყოველივე გავანადგურეთ. — მიმართა დიოგენს ვახტანგმა.

— შენმა მზემ, თორემ გექნებოდა ორბელიანების სუფრა რაღა! — უბასუხა ახალმოსულმა.

— მიგიწვევენ, ეშმაკები და თავუნები, ჰკუთს ძალას ნულარ ატან! — უთხრა არჩილმა.

— ახალი რაა, დიოგენ? საიდან მოდიხარ? — გაისმა კვლავ სხვადასხვა მხრიდან.

— მომჭერით თავი, თუ დამფუძნებელი კრების სხდომაზე არ იყო ამ დილით, — სთქვა არჩილმა.

— რა გინდა მერე? — შეეკითხა დიოგენი.

— რა პარტიის კაცი შენ მყავხარ, რომ აღარ სტოვებ მაგ კრებებს?! — უთხრა შოთამ.

— ჩემი პარტია საქართველოში ჯერ არ არის. მე არც ერთი არ მამყოფილებს, — მიუგო ცივად დიოგენმა.

— არც ანარქისტები?

— არც კომუნისტები?

— შენც არ მომიკვდე, ცივი ხალხია, — თქვა დიოგენმა.

— კაცო, მაგას ფული აღარ აქვს, რომ იაროს თეატრებსა და ცირკში. დამფუძნებელ კრებაში უფასოდ უშვებენ ხალხს, — თქვა არჩილმა.

— მერე რა კავშირი აქვს ამას ერთმანეთთან? — ჰკითხა შოთამ.

— რა კავშირი და ის რომ, მე მესმის რატომ არა აქვს საქართველოს კომედია.

— სამაგიეროდ საქართველოს აქვს პარლამენტი.

— დიოგენის მაგიერ შენ უნდა დადიოდე დამფუძნებელ კრებაზე. ჩვენ მართლაც გვჭირია არისტოფანე.

— დამაცა, გაიოზ ქადაგო, დამაცა. მე ისიც ვიცოცხლებდი დიოგენის მოძღვრებას არ ასწავლიან მენშევიკური რესპუბლიკის ჭირვეული პედაგოგები.

— რა საჭიროა მაგის სწავლა სკოლაში?

— საქართველოს აქვს პარლამენტი — „უზენაესი ორგანო“, სადაც დარვინის თეორიის სიმართლეში ჩვენ კი არა, თვით ამერიკელებსაც თვალნათლივ შეუძლიათ დარწმუნდნენ.

— ეს კი ზორბად არის ნათქვამი. თუ გაგიგეს, დაგიპერენ! — წამოსცდა დიოგენს და ყველამ სიცილი მორთო.

— მენშევიკ-პოლიტიკოსებმა ყოველივე იციან, მხოლოდ არ იციან, თუ რა ესაჭიროება საქართველოს, არ იციან მისი ისტორიული განვითარების გზები, — აჰყვა საუბარს შოთა.

— კაცო, რა გინდათ საქართველოსაგან? ქვეყნის გასწორება მაინცა-დამაინც აქ უნდა დაიწყოს? აცალეთ ოღონდ, ის მოუვლის თავს, მსგავსად შევიცარიისა, მისი დასაველეთის დისა, — დასძინა არკადიმ.

— რა დიდი ამბით ამცნეს მსოფლიოს საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება მენშევიკებმა. ევროპის რადიო-სადგურები ხელათვე ეცნენ ცნობარებს, სად უნდა იყოს ლეგენდარული მიჯნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სად უნდა იყოს ეს მითიური პონტოსი, პრომეთეოსი და კავკაზუსი? ვინ უნდა იყოს ეს უძლიერესი ხალხი, რომელიც აზროვნობს კონტინენტებით, იმორჩილებს ზღვათა სტიქიას და ჰპირდება კაცობრიობას მიჯაჭული გენიის განთავისუფლებას? ცნობარები ამ კითხვებზე პასუხს არ იძლეოდნენ. სამაგიეროდ მეორე ინტერნაციონალის ყვითელ დარბაზებიდან გაისმა ჩახრინწული შელოდია.

— თუ ვეგონეთ, არჩილ, ევროპელებს ჯვაროსანთა ნაშთები!

— ჯვაროსნებად არა, არკადი, და შეიძლება ეგვიპტელებად მართლა მიგვიღონ. ქართულად შემოსილ ჩვენს მანდილოსნებს XIX ს. მეორე ნახევარში ეგვიპტელებს ადარებდნენ ენევეაში, სადაც რევოლუციონერ ემიგრანტებს გარდა, რამდენიმე ქართული ოჯახიც ცხოვრობდა, — უთხრა შოთამ.

— ამ ნაციონალისტურმა შხამმა და აბდაუბდამ მოწამლა პოლონეთი და სამარცხვინოდ წამოაჩოქა გერმანია, — დაიწყო დიოგენმა, — ეს არ ივარგებს.

— დასაველეთის იდეალიზაციას, ნურც კულტურულს, ნურც პოლიტიკურს ნულარ ვახდენთ. ჩვენ კი არა, ევროსალის ზავის დადებისას ამერიკის სამშვიდობო დელეგაციამ არ იცოდა, სად მდებარეობდა ჰენგრეთი. ჩვენ ჩვენი თავის იმედი უნდა გვჭონდეს, — განაგრძო არჩილმა.

— თუ იმედი არ კმარა? — შეეკითხა დიოგენი.

— დასვენა ჩემთვის ცხადია, — უპასუხა ვახტანგმა, — ამოკანა საქართველომ უფრო ვრცლად და ღრმად გადასჭრას.

— ჩვენ ცერემონიების და რიტუალის ხალხი ვართ. ქართველი კაცი გაბატონებს, ვასაძარცვავად თემშარაზე რომ დახვდე, მაგრამ არ გაბატონებს, თუ სუფრაზე ხოტბა არ შეასხი; აქაც ცნობის კითხვავა, — თქვა შოთამ.

— ჩვენ რევოლუცია გვინდა, სოციალისტური რევოლუცია — უპასუხა გიორგიმ.

— აღფრედ მიუსე იყო რომ ამბობდა „ადამი უდიდესი ნომენკლატორი იყოვო“, ნომენკლატურაა ჩვენი სუსტი, — თქვა არჩილმა.

— ვინ ასწავლიდა ნეტავ გეოგრაფიას ჩვენი მენშევიკური რესპუბლიკის პოლიტიკოსებს? ამბობენ, ამ დისციპლინას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

— მერე რა, შოთა! ნაპოლეონისათვისაც ვერ უსწავლეს ბრიენში გეოგრაფია კარგად.

— შე კაცო, — ჩაერია არკადი, — ნაპოლეონმა გეოგრაფია დაივიწყა. კიდევ მეთი: მან რობერტ ფულტონის გამოგონებასაც არ მიაქცია ათავითარი ყურადღება. ამიტომ იყო, რომ ორთქლის გემი პირველად ამერიკის წყლებში ამოძრავდა. ნაპოლეონს ხომ უყვარდა თქმა: „ექვსი საათით მომეცით ლამანში და მთელი მსოფლიო ჩემი იქნებაო“. ამით ბედს ჰკრა ხელი ნაპოლეონმა, რომელსაც „უქსოვდა გვირგვინს თვითონ განგება“. რისი იმედი აქვთ რესპუბლიკის მენშევიკ მესვეურთ, როცა არ ისმინეს არც გეოგრაფიის და არც რევოლუციის! ნაპოლეონს ჰქონდა თავისი გენია და საფრანგეთი, ამათ რა აქვთ?

— სამაგიეროდ ამათ „სოციალი გვარდიისა“ და მენშევიკ მინისტრების იმედი აქვთ, — უპასუხა არჩილმა.

— აღარ წერენ უკვე ავტოკეფალიაზე, არც ბანკის საქმეებზე, არც ფედერაცია-ავტონომიაზე, მაგრამ არავინ იცის, თუ რა გველის ახლო მომავალში. — ჩაილაპარაკა შოთამ.

— საქართველოში რევოლუციური ბრძოლები უკვე დაწყებულია. არც აქ გვალოდინებს რევოლუცია, — თქვა გიორგიმ.

— კაცო, ამ რევოლუციაში საქართველო ან სამუდამოდ დაიღუპება ან და აღსდგება სამარადისოდ, — დაიწყო დიოგენმა, — მე, ზომ იცით, ყველა კრებაზე დავდივარ, არავინ არ შეეკითხება, ყველას თავისი ვგონივარ. კომუნისტებთან ვერ შევდივარ მხოლოდ, არ ვიცი, სად იკრიბებიან და იმიტომ.

— აი რატომ დადის თურმე სხვადასხვა „სამლოცველოში“, — ნელი ხმით შენიშნა არჩილმა.

— ხალხს მობეზრდა კენჭისყრობია და საქმეს მოიძიოვს, მერე ვა-
კარბებ. რა საჭირო იქნება მყინვარს სიმაღლე შევმატოთ და ან მზეს
ნათელი? ჩვენმა მწერლებმა და პოლიტიკოსებმა დაიჭირეს მსგავსი
და მსმენელი, — განაგრძო დიოგენმა.

— იცი თუ არა, დიოგენ ბრძენო, რომ მკითხველის სახე დღემდის
არაღის არ ამოუცვლია? როცა მკითხველს ამოიცნობენ, მწერალიც მაშინ
გათავდება. დისტანცია მათ შორის უთუოთ უნდა იყოს, — უპასუხა დიო-
გენს ბერმა.

— დამანებე, გაიოზ, თავი, არ მინდა შენთან კამათი! შენ არასდროს
არ ეტყვი შენს მოსაუბრეს იმას, რასაც ნამდვილად განიცდი და ფიქრობ.
შენ რაღაც მეორე ცხოვრებით ცხოვრობ.

— მეტი ფილოსოფია, დიოგენ, მეტი! — უთხრა გაიოზმა.

— რა გადამკიდეთ მაგ ძველ ბერძნებს, კაცო, რა მოგივიდათ?!

— კაცო, საქართველოში დღეს ფილოსოფიისათვის ვისღა სცალია? —
ჩაერია არჩილი.

— ერთი რამ მაინც გვასწავლა ფილოსოფიამ, — დაიწყო ვახტანგმა, —
ნოეს კიდობანში ახალი არაფერი არ არის, ყოველივე აქ ისეა, როგორც
არის და სხვაგვარად ყოფნა არ შეუძლია. მართლა ასეა, თუნდაც არ გვა-
სწავლიდეს ამას ლოლიკა მენშევიზმის პერიოდში.

— კაცო, კულტურაზე ლაპარაკობთ და მწერლობას არ ეხებით? კულ-
ტურა ხომ მწერლობაა, — დაიწყო შოთამ.

— საქართველოში პოეტები უმღერიან ლამაზ ფეხებს, სექსუალი-
ლიზმს, ქლეჭს, ლუეს, თავის მკვლელებს, კატების ხურუშს, გრაფ კა-
ლიოსტროს. გიორგი, ცხადია, მართალია.

— ვახტანგ, შენც ცალმხრივი ხარ: აიღე უწინდელ ჩვენს ლიტერატუ-
რაში „მეშა“ ან და ახლა „წითელი ფარშავანგები“, — თქვა გაიოზმა.

— ამ ლექსებში უფრო ფილანტრაპია და ეგზოტიკაა, ვიდრე რევო-
ლუცია, — მიუგო ვახტანგმა.

— უპატრონოდ, უყურადღებოდ გარდაცვლილი პოეტის უკანასკნე-
ლი თქმა:

„ონ დამეძებს, ვინ მეძახის, ვის უნდვიარ მე,
საიდუმლო მეგობარო, მოდი ხმა გამე.
ირველივე ცივა, სისხლიანი ლამეა, ლამე“...

ეს არა თუ უბედური პოეტის ეპიტაფიად, მენშევიკურ საქართვე-
ლოს ეპიტაფიადაც გამოდგებოდა, — განაგრძო გიორგიმ.

— მზის პოეტი რომელიღაც შენობის კომენდანტად არის, — თქვა
დიოგენმა.

— ევროპულ დეკადენტიზმის შხამიანი ყვავილები იტარებენ ჩვენში, ხოლო რეაქციური მისტიციზმი ერთიანად ეფინება. საზოგადოებას. ამ ნისლიან ღამეებში ათასი „ცისარტყელა“ ვერას-განსწვდება, — განაგრძო ვახტანგმა.

— თქვენ უარყოფით ხართ დაბრმავებული.

— წყვილია ბრმა უკეთ იხედება, ვიდრე თვალილული, — მოუჭრა სიტყვა ვახტანგმა, — იტყვი, გვაქვს ეროვნული სკოლა და უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში იქმნება გელეტიზმის მშრალი ტრადიციები, ხოლო ჩვენს პროვინციას აკმაყოფილებს კაპანელის ფსევდო-ფილოსოფია. ვაინიჰერის გადმოქართულება...

— ყველაფერი ეს ფოკუსში იყრის თავს — „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“, ჰა, ჰა, ჰა! რა უჭირს აწი ჩვენს ხალხს! — მოჰყვა ვნებიან ხარხარს გიორგი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ქუჩაში ვიღაც დარდიმანდები არღნით და ღრიალით ეტლს მიაჭროლებდნენ კოჯრისაკენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა კუბლეტები:

„Есть у нас легенды кавказские, аджан!“

— აი ჩვენი კულტურა, — თქვა გიორგიმ.

— რევოლუცია თუ მოხდა საქართველოში, თქვენ დიდი ხალხი იქნებით, — მიმართა დიოგენმა გიორგისა და ვახტანგს.

— მერე რა? — უპასუხა ვახტანგმა.

— საინტერესოა, როგორ მოგვეპყრობით, ჩვენ რომ ჩავივარდეთ ხელში? — ჰკითხა არკადიმ.

— როგორც დაიმსახურებთ, — განაცხადა ამაყად გიორგიმ.

— რას იზამ, სიკვდილსაც არ მოერიდები?

— სიკვდილსაც არ მოვერიდები, — ცივად მიუგო გიორგიმ.

ამის შემდეგ საუბარი აღარ გაგრძელდებულა. მზე თრიალეთის გადატრუსულ შიშველ თხემს დასაველეთისკენ საკმაოდ გაჰყოლოდა. ვახტანგის სტუმრებმაც იწყეს წასვლა. დიოგენი და გაიოზი პირველნი წავიდნენ.

დარჩენილმა გიორგიმ და ვახტანგმა ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს. გიორგი ამ შეხვედრით დიდად უკმაყოფილო იყო.



გავიდა რამდენიმე ხანი. გიორგი და ვახტანგი სოფლად წასულყვნენ. იქ მოეწყობოთ საიმედო ჯგუფები და ცოტა ხნით ბრუნდებოდნენ ისევ ტფილისში, რომ შემდეგ საბოლოოდ შეერთებოდნენ თავიანთ რაზმებს, რომელნიც მზად იყვნენ სამოქმედოდ. მაგრამ ტფილისში ჩამოსვლისას ისი-

ნი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. ციხიდან, როგორც იყო, ფარულად წერილი გამოგზავნეს და აცნობეს შინაურებს თავიანთი ამბავი. განსაკუთრებით მღელვარებდა ვალერია. ვახტანგის ჩამოსვლას და მასთან საუბარს მოუთმენლად მოელოდა. ახლა ასე მოულოდნელად ვახტანგის დაკარგვა და მერე, ვინ იცის, რამდენი ხნით...

ვალერიას განცდებში ვახტანგის სახე საბოლოოდ დამკვიდრებულიყო. იმ საღამოს, როცა გიორგი და ვახტანგი დააპატიმრეს, გაიოზი ჩვეულებრივად ასულიყო მამადავითის ეკლესიის ეზოში.

მიტოვებულ სივანედან დიდხანს ვასცქეროდა ქალაქს.

მეტეხი მედიდურად გადმომდგარიყო. ირგვლივ ზამთრის თევების ცივი ქარი და სუსხი იყო.



თებერვალი იდგა.

საქართველო რევოლუციონტრი ბრძოლის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული.

კაფეებიდან ამომძვრალ მეშინებს და ნუვორიშებს თებერვლის სუსხიანი ქარით აღეწილებს, ესმოდათ მხოლოდ რაღაც ხმაური სასახლის ბაიდან.

ბურჯუას სული იმ ღამეებში იწურებოდა.

სასახლის წინ მუზეუმის დაუმთავრებელი შენობა ღამეში თვალდახრილი ადამიანივით იდგა.

ამინდი იცვლებოდა საქართველოში და მზესაც თვალი ამღვრეული ჰქონდა. დღემდის მენშევიკური რესპუბლიკა თავის საზღვრებს უღებდა როსკიბებს და თეთრი არმიების ნამსხრევებს, შიგნით კიდევ ციხეებს აესებდა მუშებითა და გლეხებით. პარლამენტში სიტყვებს ამბობდნენ მსოფლიო ქაოსზე და დემოკრატიაზე, თითქოს მსოფლიო დემოკრატიის გემო შერჩა ფოთის ქაობებსა და სურამის ქედს, ვით ნოეს კილობანი ერთ დროს არარატის მთას.

ამ „დემოკრატიის“ ყვითელმა პატრიარქებმა ინახულეს ქ-ნი დამდემრესი. შეთხზეს ახალი ლეგენდა აღმოსავლეთის შვეიცარიის შესახებ. ვინ იცის, ინდუსტრიალური ქვეყნის „მუშების“ წარმომადგენლებმა შენიშნეს თუ არა, რომ მათ შესახვედრად გამოყვანილ გლეხებს წელზე ხანჯლები ეკიდათ და გვერდით კონდახიანი მუშურებით შეიარაღებული გვარდიელები ედგათ.

მათ ამის შესახებ არაფერი განუცხადებიათ, მაშინაც კი, როცა კახურით შეზარხოშდნენ. არც ის უთქვამთ, რომ იცნობენ გოგოლის რევიზორს, ხლესტაკოვს.

ორთაქალისა და ვერის ბალებში ტრადიციული ქეიფი აღიზნითა და ზურნით კვლავ გრძელდებოდა. საქართველოში ალბათ, დღევანდელი ვინაა, გამოილევია არასდროს. ამიტომაა, რომ საქართველოში დღევანდელი დეკადენტი პროეტები ეროვნულ ნიჭად თამაღობას აღიარებდენ.

აზიური მკონარება და სიზარმაცე, აყვანილი ეროვნული სიბრძნის უმაღლეს რეგისტრამდის!..

ერთი ხეირიანად არც კი გამოცემულა რუსთველი... სამაგიეროდ გამოიკა „Тяжелый крест“.

განაპირა ბალებში ქეიფი აზიური, ცეკვაც ძველებური. სამაგიეროდ ახალ სასიმღერო კუბლებებს — ზესტაფონის გვარდიის ეშელონებს ჩამოყოლილ „ნარიმანა გოცაძეს“ გაეყრუებია უნივერსიტეტის უკან მბეჭეტავ სინათლეებში ჩაწოლილი ხევი.

ორთაქალას ახსოვდა ფიროსმანის სქელ-სქელი ქალები და ორბელიანების ქედმაღლობა ნაბახურევზე. ძველ პერსონაჟებს ახლა შეემატენ გვარდიის ოფიცრები, ბირვის შაკლერები, უბნის კომისრები და შელოტი დეპუტატები. ფიროსმანის ფუყე ქალები შეეცვალათ ჩრდილოეთის ხანძარს გამოქცეულ ქერა-თმიან როსკიბებს.

დეკადენტ პროეტებისა და მენშევიკ „ქალაქის თავის“ მეცადინეობით ახალი კაფე „ქიმერიონი“ გახსნილიყო. განძრახ თუ აირჩიეს სარდაფი, რომ შორს ყოფილიყენენ სინამდვილისაგან.

პოეტებთან ერთად აქ ერთობიან ბურჟუა-სპეკულიანტები, მინისტრები, დეპარტამენტის დირექტორები, რომელთაც იმერული ოდების შემდეგ თუ გაუტკბათ ტფილისის სასახლეებში ცხოვრება.

პოეზია კანონიზებულია, ვით ეგზოტიკური უცხო ზმანება, და ბურჟუაც ერთობოდა...

თავიდანვე მძეინვარებდა აქ აჯანყებები. გვარდიის ბათალიონები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდენ საქართველოს სოფლებს. სოციალ-ფაშისტები ამ აჯანყებებს ნათლავდენ ქართულ ვანდვად და შეგნებულად ივიწყებდენ ალექსანდრეს ბაღში დატრიალებულ ტრაგედიას.

რესპუბლიკის უტრადიციო სახელმწიფო აპარატს ქრთამისა და კორუპციის ეპიდემია მოსდებოდა. მინისტრებიც კი მეჭრთამეობდენ. სამაგიეროდ ძველ რომაელთა სათნოების წესებს არაეინ იცავდა და თავს არაეინ იკლავდა. მინისტრები არ მღეროდენ „ოლოლ“, „ოლოლ“, სამაგიეროდ გაიძახოდენ Non olet.

ბირეაზე კვლავ გრძელდებოდა სპეკულიაცია თავისუფლებით, შაჭრითა და პურის ფქვილით. ისევ ქეიფი და ლოთი კომისრები.

მაგრამ ნიადაგი მძლავრად ბორგავდა.

საქართველოს მუშათა კლასი იარაღით კრიტიკაზე გადასულა. იელ-
ვა რევოლუციონურმა წინასწარმეტყველებამ. „გრგვინვა ისმის და დიდი
ამბებიც დიდხანს არ გველოდინებენ“.

ისმოდა წარბაზნების გრიალი.

თებერვლის რევოლუციის უნიათო საბრალო ამინდი ოქტომბრის მო-
ვარდნილ გრიგალს ვაეფანტა.

იწყებოდა მეორე ძლიერი თებერვალი, თებერვალი სახალხო გამარ-
ჯვებისა და აღორძინებისა.

მესამე თავის დასასრული.



სანდრო ეული

ზოლზევიკი — პარტია

(გმირული ეპოპეას ჭრონიკები)

ყოველი სიტყვა დღეს ჩვენგან თქმული
მოსაგონებლად განვიღებ ბრძოლების,
ჩქევს შადრევანად ჩვენი გულიდან
სასიხარულოდ ჩვენი ცხოვრების.

აი ჩვენი გზა ათეულ წლებისა
და ეს მანძილი ახალ ეპოქის,
გადალახული სიძნელეები
უწყვეტ ბრძოლის და უსაზღვრო ლტოლვის.

თუ ბედნიერი ყოფილა ვინმე,
ამ ქვეყნად ჩვენ ვართ ბედნიერები,
მთების ოდენა ეზიდეთ სიმძიმე,
მაინც წელმაგრად ვდგევართ ვით მთები.

სიმღერა ჩვენი ყველგან და ერთად,
ბრძოლის სიმღერა — ქუხილი მიწის
დღეს წვედება ყველგან მოწოდების ხმად,
სადაც ტბებია ცრემლის და სისხლის.

ამ ისტორიას ათეულ წლების
დღეს ტრიბუნიდან გმირი მოგვითხრობს,
ბოლშევიკია გმირი პარტია
და ბოლშევიკი სიტყვას მოითხოვს.

მინდა მეც სიტყვით მიემართო ყველას,
 მინდა ჩემი ხმა ყველას ესმოდეს
 თუმცა ისეთი მე ხმა არა მაქვს,
 რომ ჩვენს ეპოქას გადაწვდებოდეს.



მაგრამ სიტყვები ამ ტრიბუნიდან
 დღეს თავისთავად რომ მეტყველებენ,
 ამონახეთქი არის გულიდან
 სულს რომ წვდებიან და ალელვებენ.

ჩვენო პარტიავე, შენი წიგნისთვის
 ეს სტრიქონები დამიწერია,
 დე, ერთ-ერთ პანგათ დარჩეს სიმღერის,
 მილიონები რომ გიმღერიან.

1

თვალი მოვაველე შორეულ წარსულს
 და ლექსი შევთხზე ამბებით საესე, —
 ბრძოლებმა დიად მიზანს დასახულს
 გამოუკვეთა მზიანი სახე.

ფიქრი შრომაზე დიდი ხანია,
 შორეულია კლასთა ბრძოლებიც,
 მაშინ დაირწა ბრძოლის აკვანი,
 როცა დაიწყო ჩაგვრა მონების.

კაპიტალს გაშლა მოუნდა ფრთების
 (ახალშენებში იპყრობდა ბაზრებს)
 დაბერა ქარმა ახალ აზრების
 და გაფიცვებში სისხლი დაღვარეს.

იყო ბრძოლები დასახულ გზებით
 და თავდადება მრავალნაირი,
 გაჩნდა ამ ქვეყნად ახალ აზრებით
 ეს ბოლშევიკი-პარტია გმირი.

რამდენ სახელებს გულით ვატარებთ, —
 წინ გვიდგას მათი სახე მზის ფერი,
 რამდენ სახელებს ზიზღს არ ვაკმარებთ,
 როგორიც იყო ძალღი ტიერი.

თუმცა პარიზის კომუნა მოკლეს,
მაგრამ იდეა ისევ ცოცხლობდა, —
იყო მძვარი და ველარ მოთოკეს,
ჭარიშხალივით ყველგან დაჭროდა.



და გადაიქცა ზღვა-მოდრობად
ლელვა და შფოთვა მილიონების
ჩვენი პარტია წინ მიგვიძლოდა,
ვით კომანდორი დიად ბრძოლების.

2

იმ საუკუნემ შეიგრძნო თრთოლვით
მზიური სითბო ახალ მოძღვრების
და მიანათა ორივე თვალით
მოახლოებას ახალ ცხოვრების, —

მონას დაეტყო ამეტყველება
და შავ ბედს მუშა ეურჩებოდა,
ძველი სამყარო ხშირი ხველებით
დალუპვას ველარ გადურჩებოდა...

მამამთავიერად ახალ მოძღვრების
გაჩნდა ქადაგი შობილი ტირიში
მოთავე ქვეყნად ახალი ძვრების
გამონაცადი მრავალგვარ ჭირში

მან „კაპიტალი“ მოგვცა უკვდავი
და ტყვიათ ჩასცა გულში კაპიტალს,
მან ჩაუყარა პირველად ფუძე
მუშათა კლასის ინტერნაციონალს.

3

ეს ისტორია ცხრაას სამიდან, —
აი ეს დატაც ისტორიული,
დიდი პარტია მუშათა კლასის —
ჩვენი პარტია ბოლშევიკური.
მაშინ ლენინი იყო ცნობილი
და ყველასაგან განირჩეოდა,

როგორც მაღალი ნიქათ შობილი,
მზიური აზრის თქმა რომ ჩვეოდა.
და მან მტკიცედ თქვა:

— გამოთქმულია, —

აზრთა იერი გამორკვეული,
გადავწყვიტეთ და მიღებულია, —
ხელები მაღლა გვაქვს აწეული!
აი, ეს გვესმის, ეტაპი განვლეთ,
წინ, წინ, სიცოცხლე აი ეს არის, —
მისი სიტყვები გადიქცა საქმედ,
თვით კი ბელადთ გახდა პარტიის:
ორ ფრონტზე ბრძოლით წარვართეთ გზები
მუშათა კლასის დიქტატურისკენ,
პოლემიკაში ლენინ აღგზნებით
ანადგურებდა ოპორტუნისტებს.
და ცხრაას ხუთში ავარდნილ ზვირთებს
მოყვა ღელვა და ზღვა ბობოქარი,
ძველი სამყარო გავდა დაჭრილ მხეცს,
თავს რომ გვესხმოდა ე-თ ნატყვიარი.
შეფის სასახლეს ცეცხლი უქადდა
და განწირული იკრებდა ძალებს,
მაღლა იწევდა წითელი ფარდა,
ახალ ცხოვრებას ვუღებდით კარებს.
ო, რამდენია ეს მოგონება,
(ჩვენ მას გადაცემთ ახალ თაობებს)
მშრომელთა ქვეყნის აბობოქრება, —
„ომი სასახლეს, მშვიდობა ქოხებს!“

შემოტევები დაიწყო მტრების
და გაგვიშალეს ფრონტი მთლიანი,
წილად გვხვდა ციხე, სახრჩობელები,
და ჩვენს პარტიას ადგა ზიანი...
მაგრამ; —

პარტია უძლეველია
მიიმართება საით თუ იცის, —
სიმნელებს არ ეშინია,
ამბობს ბელადი ჩვენი პარტიის...
და ჩვენ ამ ხნიდან წამოვიზარდეთ
ერთი ასად და ათიათასად,



საქართველოს
კომუნისტური პარტია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშები გავშალეთ ფართეთ
მტრებს მტრობა ჩვენი დაუჯდა ფასად.
იმპერიალიზმს ომი თუ იხსნის,
რომ დიდ ბრძოლების ცეცხლი ჩააჭროს,
მილიონების სისხლი რომ იღვრის,
ეს შრომის მხარემ უნდა ინაღვლოს.
გაჩაღდა ომი და სოციატრიოტს
შოვინისტური გრძობები წვევდა,
ლენინს ლოზუნგი „ომი-ომს“
სამოქალაქო ომისთვის სწამდა:
ტროცკი „ცენტრიზმის“ იყო ქადაგი,
მასთან კაუცკი, მარტოვ-ადლერი, —
რევოლუციის ზედმეტი ბარგი, —
სოციალიზმის აშკარა მტრები.
ვისროდით ლოზუნგს „დამშობილების“
გეთლიდენ „სამშობლოს გამყიდველებათ“,
გზა პარტიისა იყო ბრძოლების
და მას ვადექით მტკიცედ და მედგრად.

4

ამოვარდნილი ქარი არ ჩადგა
და ჩრდილოეთში გრიგალად იქცა, —
თვითმპყრობელობა ფეხზე ვერ დადგა.
მოსისხლე მეფე ველარ დაიცვა.
ქვეყანა გავდა ტყეს ქარიშხლის დროს
და ხალხის ელვტა ფოთლების ლეწვას, —
ან ჰო, ან არა! რაც უნდა იყოს
ძველი სასახლე უნდა დაიწვას!
ძველი სასახლე უნდა დაიწვას,
მაგრამ ვის დარჩეს ძალა-უფლება?
ვინ უპატრონებს ახალ ქვეყანას
და რესპუბლიკის ხელისუფლებას?
ცეცხლი ავარდა და ალის ფერი
ცას დაფარავდა, — იდგა სხვა დარი,
„ჩვენთან თუ არ ხარ, იქნები მტერი,
გინდ ძმა ყოფილხარ, გინდ მეგობარი!
ბელადის სახით პარტია ფიცს სდებს:
— „საბჭოებს მთელი ძალა-უფლება!“
ჩვენების გულში რწმენა ცეცხლს ანთებს.
ტყვიების წვიმას ვინ გაღურჩება.



ქართული
მსოფლიო

პარტიის დროშის მალა ფრიალი
და მოწოდება იყო მალალ ხმით.
პარტია ჩვენი არის კლდე სალი
ასაფეთქებლად მოვიდა ნალმით.
თუ ბოლშევიკი ხარ პარტიაში
მალალ ღირსებით იყავ მებრძოლი,
პარტიის ხაზის გატარებაში
იყავი მტკიცე, იყავი სწორი.

იყო სტიქია და აჯანყება
ზღვას წააგავდა აშლილ-ფაფარით,
ხელისუფლების ხელში აღება,
ზოგმა მიიღო როგორც ზღაპარი...
ზოგს პოზიცია ქონდა „მარცხნიდან“,
ზოგი უშენდა პარტიას მარჯვნივ,
ზოგმა გაიგო ყალბათ მარქსიზმი
და აჯანყებას შეხვდა გამიჯვნივ.
მძიმე მომენტშიც ბელადთან გაჩნდა
ჩვენი ბელადი, პარტიის კაცი,
ქენიის შუქი სახეზე აჩნდა
ქონდა სახელი პირველ მოწაფის
პირველ ლენინელს პირველთა შორის
პარტიამ თავის გადასცა საქე,
მონოლიტობას, ხაზის სისწორეს
პარტიის მხოლოდ ოსტატი გასქედს.
ბოლშევიკობა იყო მთავარი, —
სიმტკიცე, — დაცვა „ციხის“ შიგნიდან. —
პარტია იყო ჩვენი საფარი,
თავს ესხმებოდენ მას ყოველ მზრიდან.
ბელადის იყო მოწოდებები:
— მთელი პარტია შეიარაღდეს.
ტყვიების წვიმად ვადმოვიღვრებით,
ბრძოლა დაეიწყეთ, ბრძოლა გაჩაღდეს!
ლენინ და სტალინ, — ორი ბელადი
და ოქტომბერის ცეცხლის ალები, —
ჩვენი პარტიის საქმე დიადი,
მისი საბრძოლო ამოცანებით.

იყო ოცნებათ ასელ წლების
შორეული და მიუწდომელი,

იყო მიზანი წარსულ ბრძოლების
ნატვრა უსაზღვრო, განუზომელი. —
აი მუშათა ეს დიქტატურა
და სახელმწიფო პროლეტარული
ჩვენი ახალი ცხოვრების ქტრა
და მზე ჩანჩქერად გადმოლვარული.
გექონდა ბრძოლები ახალ ეტაპზე, —
ძველმა სამყარომ შემოგვიტია
და ეს სიმღერა ჩვენ ახალ ჰანგზე
ესქექეთ და მტრის გულს ხვდებოდა ტყვიად.
„ჩვენ მოვსულვართ დახვებიდან
ურო-ჩაქუჩებით, —
ჩვენ მოვსულვართ ქოხებიდან
თოხითა და ცელით,
ჩვენ ვიბრძოდით — სისხლი იდგა
მუდამ ჩვენს ქუჩებში,
ჩვენ ვიბრძოდით ამ დროისთვის
სისხლითა და ძელებით,
ჩვენ ვიბრძოდით და ბრძოლებში
გავიმარჯვეთ ჩვენა,
დღეს ჩვენია დიქტატურა
შრომის ეს ქვეყანა
ურყევია პარტია და
ბოლშევიკის რწმენა“.

6

ვინ იქნებოდა თუ არა მტერი,
რომ ჩვენს ქვეყანას საფლავს უთხრიდა,
ახალ-ახალი „თეორიებით“
რევოლუციას საფრთხეს უქმნიდა. —
ზოგმა მარჯენიდან, ზოგმა „მარცხნიდან“
სცადეს გალუნვა პარტიის ხაზის,
მაგრამ პარტიის რისხვა აწვიმდა,
ვინც რომ დაკარგა სათავე აზრის.
რენეგატებსა რევოლუციის
მენშევიკური „თეორიებით“,
არ წამდათ ჩვენი სოციალიზმი
„ერთ ქვეყანაში აშენებული“.
მარქსისტებს მარქსის უნდა სჯეროდეთ,
უნდა ახსოვდეთ წერილი მარქსის,



რომ სწერდა ზორგეს: ბრძოლებს ელოდეთ ჩრდილოეთიდან რუსეთის ხალხის. აღმოსავლეთით იფეთქებს ცეცხლი და ტირანიის ციტადელს შთანთქავს, შრომის არმია მეფის ჯარს შესცვლის და ჩვენც მოვისმენთ მალე ამ ამბავს. გამართლდა მარქსი — მუდამ მართალი ცეცხლში ვისმინეთ ჩვენც ეს ამბავი, ენახეთ არწივის მწარე ფართხალი, რომ ორში ერთიც არ შერჩა თავი.



7


ყველა ფრონტები გეჭონდა გაშლილი, —
საკითხი იდგა ყოფნა-არყოფნის,
ძველი ქვეყანა შეგერჩა დაშლილი
მედგარ მშენებლებს ახალი ყოფის.
თუ გამარჯვება გვხვდა იარაღით
და მტერს წაეართვით ძალა-უფლება,
განა ჩვენ ყველა ციხე ავიღეთ
მტრების სავსებით განადგურება?
და განა ჩვენი რესპუბლიკის ბედს
უზრუნველყოფდა ტყვია და ხმალი.
თუ სოციალურ მრავალ საკითხებს
ვერ განსჭვრეტავდა პარტიის თვალი?
ჩვენი პირველი დეკრეტი ზავზე
ლახვრად დაეცა ბურჟუაზიას,
რისხვა და ტანჯვით დაატყდა თავზე
გული აევსო შურით და ბრაზით,
მთავრობამ მოგვცა სხვა დეკრეტებიც, —
დავიწყეთ ჭედვა ახალ ცხოვრების,
შრომა ამ ქვეყნად გახდა ბურჟუაზიის,
კონტროლი მუშის, მიწა — გლეხების.
ჩვენმა ქვეყანამ მოითქვა სული, —
სიძნელეებსა ვკვეთავდით თავებს,
და „შაბათობის“ შრომაც გმირული
სჭედდა ეპოქის ადამიანებს.
მტერი დათმობის გზას არ დაადგა,
კიდევ გააჩნდა ბრძოლის უნარი, —
სამოქალაქო ომი გაჩაღდა
და დადგა სისხლის ტბორი და ღვარი,

ინტერვენტებსა და ემიგრანტებს
უკანასკნელად წყუთლი ბედი
წინ უყენებდა წარსულის ლანდებს
და მკრთალ შუქს ფენდა ჩასულ იმედის.



8

უთვალავია ეს მოგონება
ბრძოლის ველებზე სისხლის წვიმების, —
რამდენჯერ გვექონდა მტრის დაღონება, —
განავარდება მტრებზე წითლების.
დღეს მაგონდება ერთი ამბავი
სამოქალაქო ომის დროიდან, —
ეს ეპიზოდი ძმამა მიამბო
თოფტვეშ რომ იდგა ჩვიდმეტი წლიდან:
ვიდექ კარებთან ხელში თოფით,
დაღლილი სახით
მეხვია ფიჭრი სოფლად ყოფნის
და დედის ნახვის,
იყო შევალამე, ზამთრის ღამე, —
გარეთ ყინავდა,
პეტრეს დიდ ქალაქს ჩვეულებრივ
აღარ სძინავდა.
ფანჯრის მინებზე ცეცხლის ალის
იყო თამაში,
ხმაური, სროლა განუწყვეტლივ
ყველგან განგაში...
მაგიდას უსხდა შტაბის წევრი,
მორიგი ღამით,
სახე უკრთოდა მრისხანებით,
ხან კი სიამით.
— ეინა ხარ? შესდეგ! ნებართვა გაქვს?
მომსვლელს ვუყვირე
და თოფის ლულა გაუსწორე
და მიუღირო.
— თქვენი ვარ, თქვენი, ამხანაგო!
დაუშვი თოფი!
მომესმა მისი ხმა და სახეს
სდიოდა ოფლი
— დაუშვი თოფი! მომაყვირა
მორიგემ ღამის.



გეორგიანული
კომუნისტური

ჩამიჭურჩულა: ჩვენი დიდი
ბელადი არის...
და შემოუძღვა ოთახში მას,
სკამი დაუდგა, —
მოუყვია მტერს თუ რომელ ფრონტზე
რა დარი უდგას...
უცნობი ხელში იღებს რუქას,
ათვალიერებს,
იტყვის: მტერი — აქ, აი ამ ფრონტს
გააძლიერებს.
შემდეგ გვიამბობს, რომელ ფრონტზე
სად ჩვენ რა გველის
მტრის სად და რომელ ფრონტის არის
გარღვევა ძნელი.
ასე დილამდის ჩვენთან დარჩა
უცნობი შტაბში...
და რა ვიცოდი, — არ მომსვლია
აზრათაც თავში,
რომ თოფის ლულა მიუღირე
თურმე ლენინსა,
რომლის ნახვასაც სულ ვნატრობდი
და ძლიეს შეღირსა...

9

ჩრდილოეთიდან ცეცხლის გრიგალი
მოედვა ყველგან ალების ფრთებით,
დიდი ოქტომბრის მზიანი თვალით
ბურჯუაზიის დაფრთხენ აფთრები.
და გერმანეთში თვრამეტი წელი
იყო ოქტომბრის გამოძახილი,
ხრჭენდა შავ კბილებს ეს მზარე ძველი, —
მიწას აღბობდა სისხლი დაღერილი
უნგრეთში ცეცხლი აეარდა მაღლა, —
ძალა აიღო მშრომელმა ხელში.
ბავარიაშიც ოქტომბრის ტალღა, —
ხალხთა ბრძოლები აღმოსავლეთში...
და კიანთებდა ჩვენი ვარსკვლავი
ხუთქინიანი და ალის ფერი,
პარტია გმირი ყველგან ჩნდებოდა, —
ბევრჯერ ეგონა მტერს მოჩვენებათ,

პარტიას მტერთან ბრძოლა ჩვეოდა
რევოლუციის გმირთა ჩვენება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

10

იმ დროს შეგვემთხვა მზის დაბნელება,
როცა ღრუბლებთან შეტევა გვქონდა,
მაშინ ვიხილეთ მტრის გახელება
ცეცხლის რკალებად რომ შემოგვრტყმოდა.
ისეთი იყო ეს დანაკლისი,
იმდენი იყო ეს მწუხარება,
რომ მტერს აევსო გული ხალისით, —
უნდოდა ჩვენი განადგურება.
ჩვენი პარტიის მწარე ტკივილი
მტრების სახეზე სიამით კრთოდა, —
დაგვეცინეს: ოჰო, გვესმის კივილი, —
თქვენი პარტიის ბელადი მოკვდა?
— ნუ აჩქარდებით! პასუხად ერთხმად
ხმა გაისმოდა მილიონების, —
ჩვენ გადავიტანთ ამ ღრმა ჭრილობას
რადგან პარტია ფოლადის ნების,
თვით მესაფლავე ძველი სამყაროს
კვლავ რისხვად თქვენზე გადმოიღვრება
ლენინი მოკვდა... მაგრამ ვით წყაროს
დავწაფებულვართ ჩვენ მის მოძღვრებას...

11

გზა რესპუბლიკის ვიწროდან ფართო
მომავლისაგენ გვქონდა სავალი
სოფლად, ქალაქად ცეცხლი დაეანთეთ
და წყვილიადს ცეცხლის გავავლეთ კვალი
გვწამდა მსოფლიოს ძალთა ჭიდილში
სოციალიზმი ერთ ქვეყანაში.
ჩვენ არ გვინახავს ეს სიზმრად ძილში
არც ფანტაზიის გვქონდა თამაში.
პირველი წლები ჩვენ გამარჯვების
გამოვიარეთ მხედრული მარშით
ვიბრძოდით მტერთან იარაღებით
თითქოს ტყვიები გველაგა თავში.
აღდგენის ეტაპს მოყვა ეტაპი
რეკონსტრუქცია — ძვრები ძირიდან,



კომუნისტური
პარტია

ეს არ ნიშნავდა მოწმენდას ქაფის
ჩვენი ცხოვრების ზედაპირიდან.
ჩვენ პოლიტიკა არ გვწამდა ისე,
რომ არ გვექონოდა ჩვენი მანქანა
რა უნდა იყოს ნემსი და ისიც
უნდა მოეცა ჩვენთვის ქარბანას
გზა ინდუსტრიის — გზა ერთად-ერთი
და „სოფლად შრომა კოლექტიური
აი ცხოვრება, რომელსაც ერთვის
სხვა ნაკადებიც სოციალისტური.
ამ ეტაპზედაც პარტიის ხაზი
რომ განიზომა ბელადის თვალით
ოპორტუნისტებს ავსებდა ბრაზით
და თავს გვახვევდენ ყალბ აზრებს ძალით
მემარჯვენეებს გზა ახლოს ჭონდა
ბურჟუაზიულ ჯგუფთან რამზინის
მატარებელი ჩვენი მიჭროდა, —
ჩვენი გზა იყო სოციალიზმის.
ბოლშევიკების იდეურ მალღობს
ასაკლდევებდა საბჭოთა დღენი
მტკიცე პარტიას ვინ რა დააკლოს
იყოს სირცოვი, გინდ ლომინამე,
პარტიას არ ყავს მტერი უარესი
ვინემ ისინი, ვინც თვალთმაქცობენ,
სიტყვა აქვთ თაფლის, ენა წალესი
საჭმით გვებრძვიან, სიტყვით კი გვცნობენ.
და პარტიამ სთქვა სიტყვა მაგარი
მაღალი ხმით და შეუსადარი, —
ლენინიზმისა ჩვენი საფარი,
სტალინი არის ჩვენი სარდალი.
გვაქვს დისციპლინა ტრადიციული,
რკინისებური, ბოლშევიკური, —
პარტიის ხაზი არის დაცული,
პარტია არის მონოლიტური.
პარტიის სიტყვა არის მაგარი,
ბოლშევიკური, მაღალი სიტყვა
უკვე დაგვიდგა მზიანი დარი,
ოპორტუნისტებს — წვიმა და სეტყვა.



ფრთებსხმული ვდგავართ ახლო მიზანთან, ^{ეროვნული}
 გზა სახიფათო გამოვიარეთ, ^{გინგლირთხევა}
 წინ გახაფხული — ზამთარი განვლეთ, —
 აქეთ ვისწრაფეთ, აქეთ ვიჩქარეთ!
 ამ ეტაპზეა ბრძოლა სხვაგვარი
 და გვიხარია დღენი მზიანი, —
 ტანჯვაში ოფლის ჩვენ არ გვდის ღვარი,
 შრომაში ხარობს ადამიანი.

ახალი დრო და ცხოვრება მოდის
 და სოცშეჯიბრში ერთმანეთს ვიწვევთ
 სიამით ოფლი სახეს ჩამოგვდის, —
 დამკვრელებს წითელ დაფაზე ვიწერთ.
 ბელადის ნათქვამს, ბელადის სიტყვას
 ვსწავლობთ, ვგებულობთ, ვატარებთ გულით
 მის ისტორიულ ექვს მითითებას
 ვხვდებით ტემპებით და სიყვარულით.
 პარტიის ლოზუნგს ვესროდით მასებს
 შემოქმედების ავარდა ტალღა
 — დავეწიოთ და გაუსწროთ ქვეყნებს,
 სადაც ტექნიკა დგას ჩვენზე მაღლა.
 ტემპებს მივმართავთ ინდუსტრიალურს,
 კაცობრიობას რაც არ უნახავს,
 და გიგანტებით მხარეს დაფარულს
 პარტია ახალ გეგმებს უსახავს.
 გუთანს და სახნისს ცვლის ტრაქტორები
 ბუღებსა რომ გავთ ცეცხლის და რკინის,
 და ყამირ მიწებს ხნავენ ტორებით.
 დადგა დღეების სოფლად ტექნიკის
 სოფლად ელექტრო — უცხო არ არის,
 ცეცხლის ჩიტები ხეზე ჰკიდია
 დღეს სოფელში დგას მზიანი დარი,
 კოლექტიური შრომა დიდია...

ჩვენს გამარჯვებებს მოყვა ახალი
 მტრის ფანდები და ბრძოლის სახე, —
 მტერს კიდევ ქონდა იმედი ხვალის.
 ვვუაროდა ტყვიებს, გვიგებდა მახეს, —



გეორგიანული
კომუნისტური

გვევლინებოდა ხან მოქალაქედ,
რომ მხარში უდგას თითქოს პარტიას
ჩვენს სახელმწიფოს აღიდებს, აქებს...
სახეზე კი მას ხომ არ ატყვია, —
რომ სახელმწიფოს ყოფილა მტერი
ზის აპარატში და საქმეებს ზრავს,
ფორმალისტი და ბიუროკრატი,
რომ სოციალიზმს აყენებს ზიანს.
ხან თითქმის ჩვენი „სპეციალისტია“
აგრონომია, ან ინჟინერი
გვიმტკიცებს კიდევ, — „სოციალისტია“
და მოქალაქე სინდისიერი.
და უკნიდან კი გვესროდა ტყვიას, —
იყო აშკარა ის მავნებელი,
რომ სახელმწიფოს და ჩვენს პარტიას
შეჭმნოდა საქმე მძიმე და ძნელი.
მტრის საქმე თუმცა წაგებულა,
მაგრამ მას კიდევ უდგია სული, —
განწირული და დაღუპულია, —
ბრძოლა აქვთ ჩვენთან „სტრატეგიული“,
ნიღაბით ფარავს სისხლიან სახეს,
თეთრი კბილებით შხამიანს შავგულს...
მაგრამ პარტია ყველგან თვალს აწვდენს,
დარაჯობს შრომას სოციალისტურს.

14

და საძირკველი ეკონომიკის
ფინალი იყო პირველ ხუთწლეულის, —
ანტიპარტიულ ჯგუფების ბლოკის
ცივი სამარე და შავი ბედი.
მტერი ჩვენს ხუთწლეულს ესროდა ღიმილს, —
იყო დაცინვა, შეხზუვა ქორების,
„ბოლშევიკების ხუთწლეუდი არ ღირს,
რომ მასზე ითქვას განმეორებით“.
ჩვენს გამარჯვებებს მტერთა ბანაკში
მოყვა არევა — ალიაქოთი,
გამოლევოდა ზოგს ქკუა თავში
ზოგმაც დაიწყო ბორცვა და შფოთი.
მეორე ხუთწლეულში მწყობრად შევედით
ამოცანებით ახალ-ახალით,

ყველა ერთმანეთს შრომით შევებით,
 ბოლშევიკურად გვიჭირავს თვალი...
 კლასიურ ბრძოლით გავაქრობთ კლასებს,
 დარჩება მათზე მოგონებები,
 აღამიანი მოსპობს სიხვესეს,
 ცუდ ტრადიციებს თავის გონების...
 და თუ უმაგრებს ჩვენს სახელმწიფოს
 პარტია ჩვენი გარშემო კედლებს, —
 ეს იმიტომ რომ სიმაგრე იყოს, —
 სანამ ვიხილავთ ყველგან ოქტომბერს.
 რატომ ჩვენ მტერი ომს ვერ გვიბედავს
 და კბილთა ღრქენით ვერაფერს გვაკლებს
 ეს იმიტომ რომ სახელმწიფო გვაქვს,
 რომ რესპუბლიკის კედლებს ამაგრებს
 ძღვევამოსილი ჩვენი არმია,
 სიამაყე და სახელოვანი,
 მტრების წინააღმდეგ ჩვენი ნაღმია,
 ძველ ქვეყნის თავზე რისხვათ მთოვანი.



იოსებ ტაბიშვილი

ღ ე ბ ი

რომანი

1

მარგო დინჯად სუნთქავდა. ხორბლის ფერი, ჩასუქებული, ჩამკვრივე-
ბული მკერდი და მკლავები თეთრ კაბაში უფრო მუქად მოჩანდნენ. ამის
გამო ქალის სხეულის მკაფიო ნაკვთები უფრო სანდომი ხდებოდა. ეშმა-
კობით სავსე თვალებში დამცინავი და მტაცებლური ღიმილი უკრთოდა.
შავს გუგებში ელექტრობის ლამფები წვრილ ვარსკვლავებივით ბრწყინ-
ავდა და რაღაც დახვავიანდებულ სიზარულს ანათებდა.

მარგოს გარს ეხვია ის, რასაც სადგურის ცხოვრება ეწოდება: მოფუს-
ფუსე ხალხი, მოკაზმული ქალები, მტვირთავეები, ბარგი-ბარხანა, ური-
კები, ორთქლმავლების გუგუნის და ყვირილი, ვაგონების მოძრაობა და
ჯახუნის. მაგრამ ყველაფერს ამას ქალი ვერ ამჩნევდა. მისი ყურადღება
მიჭკეული იყო იმ ვაჟკაცზე, რომელიც წინ ედგა და შეცქეროდა. ქალი
უსმენდა მის ლაპარაკს, თვალებს კი აცეცებდა, თითქოს ყურადღებას არ
აქცევდა იმ სიყვარულიან სიტყვებს. მხარ-ბეჭიანი, ახლად პირმოპარსუ-
ლი, ძვირფას ტანისამოსში კობტად გამოწყობილი სირაძე ქალის წინაშე
მოწიწებით ჰკრთოდა. მზად იყო ამ ქალისათვის თავი გაეწირნა.

ორმოცი წლის მამაკაცს ეს ოცდახუთი წლის ლამაზი ქალი თავისი
მზრძანებელი ეგონა. სიყვარულს უფრო მეტად გრძნობდა ახლა, ამ მოუ-
ლოდნელ განშორების ფაშს. გული მოსდიოდა: საით ჯანდაბიდან გაჩნდა
ეს ახალი ამბავი, მარგოს წასვლის ეს მოულოდნელი აუცილებლობა. თი-
თქოს ყველაფერი მზად იყო და დღეს-ხვალ ეს ლამაზი არსება სამუდამ-
მოდ მისი უნდა გამხდარიყო... და სწორედ ამ დროს გამოტყვერა სხვისი,
ვიღაც უცხოისი, უბედურება, სირაძისათვის ვასაგებად მიუწოდებელი. ამ
უცხო ადამიანის უბედურებამ სირაძეს კარზე მომდგარი საკუთარი ბედ-
ნიერება დაუფუშა.

ყველაფერი ჰქონდა სირაძეს — სიმდიდრე, ძალ-ღონე, სურვილი, უნა-
რი, მაგრამ ყველაფერი ეს უძლური იყო იმის წინაშე, რაც გარს ეხვია,
რასაც ცხოვრება ჰქვია.

მარგოსაც გული სწყდებოდა. მელიტონი მახეში ჰყვოდა გაბმული და თითონაც ჩქარობდა მალე ჩაეგდო ხელში მელიტონი და მისი სიმდიდრე-დიდი ხანია ეძებდა ასეთ სამახოს და იპოვნა კიდევ, მხოლოდ სრულ დაუფლებას რალაც შემთხვევამ დროებით შეუშალა ხელი.

მელიტონს და მარგოს უყვარდათ ერთმანეთი: მელიტონს იმიტომ, რომ ლამაზი იყო მარგო, რომ ამდენ ხანს მან სიყვარულისათვის ვერ მოიცალა და როცა მოიცალა, მარგოს შეეყარა. მარგოს იმიტომ უყვარდა სირაძე, რომ დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვნა, რასაც ეძებდა — შეძლებული.

ქალმა თვალეზში ჩახედა სირაძეს და უთხრა:

— წერილებს მოგწერ...

— დიდხანს ნუ დარჩები იქ. მალე მოაგვარე იმათი საქმე და ჩქარა წამოდი.

— მალე, მალე.

— ან რალა შენ მიდიხარ იმისთანა საქმეზე. ზომ გყვანან უფროსები, შენზე მეტად გამოცდილები?

სირაძისათვის მარგო ჯერ გამოუცდელი იყო, გულუბრყვილო.

— სხვაფრივ ვერ მოხერხდა: დედა მოხუცია, ანო მსახურობს, დანარჩენებს ქმარშვილი ჰყავთ. რამდენჯერ გითხარი, მაინც ვერ მიგახვედრე. — გაჯავრებული კილოთი შეუტია მარგომ.

თამაში იყო და უკმები მარგოს კილო, რადგან იცოდა, ახლა სირაძე ბევრ რამეს მაპატიებსო.

რალაცამ დაიწკრიალა, დაუსტვინა. ყველაფერი დატრიალდა და ყველაფერი აირია. სადგურზე გახშირდა ფაცა-ფუცი. გამრავლდა რბენა, მიხლა-მოხლა. აქა-იქ გაისმა აჩქარებული კოცნის ხმა და ტირილიანი ფშუკუნი და... მელიტონი ბაქანზე მარტო დარჩა.

მიმავალი ვაგონის სარკმლის შავ ღრუში რამდენჯერმე გაიელვა თეთრმა ცხვირსახოცმა და, შემდეგ, ვაგონთან და მთელ მატარებელთან ერთად უკუნეთში ჩაინთქა.

2

მელიტონმა დახედა დაცარიელებულს, შავად მოლაპლაპე ლიანდაგს, მის წინ როგორღაც უაზროთ რომ გაქიმულიყო, გაჯავრებულმა ბაქანის ასფალტს ერთბაშად მოსწყვიტა ფეხები და ქუჩაში გავიდა, სიყვარულითა და ბოღმით სავსე: სწორედ უკანასკნელ წუთებში გაწყდა სიხარულის ძაფი. მთელი სამზადისი ფუჭი გამოდგა.

— არა უშავს რა! ბევრი-ბევრი, ერთი კვირე კიდევ დამჭირდეს ლოდინი. — ინუგეშა თავი სირაძემ.

მაგრამ როდის გათავდება ეს ერთი კვირე!

სირაძე გაპყვა თავის სიყვარულს, სხვა რამეზე ფიქრი აღარ შეეძლო, რადგან ორმოცი წლის კაცს გული თვრამეტი წლის ჰაბუკის გულივით უცემდა.

მარგო ისე უყვარდა, როგორც თავისი ხუროხანა. მტკობნელობის სიყვარულით. მუდამ ეშინოდა, ქარხანა არ ჩამოშორებოდა, ასევე ეშინოდა, მარგო სხვამ არ წამართვასო.

ფიქრში გართულმა შიმშილი იგრძნო და ქუჩის მკვრივ მთხრეშვებ გადავიდა, სადაც რესტორანის გაჩაღებული ფანჯრების შუქი ქუჩის ფილაქანზე დაკუმულიყო. მინებზე მსხვილი შავი ასობით წარწერები იყო.

სირაძე დაებლაუჭა კარის ტარს და მიაწვა. კარი მკიდროდ მიხურული დაუხვდა და მელიტონის მიერ მიტანილ ძალას ერთბაშად არ დაჰყვა. მელიტონი შესდგა. რესტორანი დაკეტილი ეგონა და ვიდრე ამის ფიქრში იყო, წარწერას გადახედა. ერთბაშად გაახსენდა, რომ ეს რესტორანი რომელიღაც ნაღს ეკუთვნოდა. ხელი უშვა კარს და მოშორდა.

კოლექტივი, ნადი, მისი შემოღების პირველ ხანებში სირაძისათვის არას წარმოადგენდა. ეს ვითომც ისევ ის იყო, რაც ძველებური საამხანაგო, საპაიო წამოწყება, მაგრამ შემდეგში, როცა თანამედროვე კოლექტიურ საწარმოთა შინაარსი გაიგო, მიხვდა, ნადი, კოლექტივი, ის წერაქვი იყო, რომელიც მის კეთილდღეობის საძირკველში ჩაერქო. ამიტომ სძულდა ნადი და ახლაც გულამღვრეული მოშორდა კარს და კერძო რესტორანისაკენ წავიდა. უეცრად გაახსენდა, ამ რამდენიმე დღის წინათ კერძო რესტორანში ამხანაგებთან ქეიფი სამჯერ მეტი დაუჯდა, ვიდრე ნადის რესტორანში ღირდა. დღეს კი ყაირათი იყო საჭირო — დღეს, მარგოს წასვლის გამო, ცოტა ზედმეტად დაეხარჯა ფული.

დაბრუნდა უკან, უფრო ღონივრად მიაწვა კარს და რესტორანის დარბაზში შევიდა.

გუნება წამხდარ კაცის სახით თვალი მოავლო რესტორანში მსხდომ მუშტარს, ნაცნობებს თავი უკმეხად დაუქნია, უსიტყვო სალაში მისცა და კუთხეში მაგიდას მიუჯდა. დღეს არაფერს სურდა, არც მეგობარი, არც მახლობელი.

მასთან მისულ ოფიცინანტს შეხედა, გაიფიქრა მწვადი, მაგრამ — ძვირი დამიჯდებო, უბრალო საქმელი და ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა.

მარგოს წასვლით წამხდარი გუნება ნადის გახსენებამ და არსებობამ უფრო წაუხდინა. გრძნობდა — მოდიოდა რაღაც ახალი, ცხოვრებას მოარღვევდა მელიტონისათვის რაღაც საშიში. როგორ შეეგუოს ამას? თუ ასე წავიდა საქმე, ხუროხანა ხელიდან გამოეცლება. აქი მუშებმა ერთხელ უკრში ჩააწვეთეს...

თავის ქარხნის გაფართოების გეგმა დიდი ხანია მოსაზრებული ჰქონდა, მაგრამ ახლა აღარ იცოდა, ღირდა რამეთ ამ საქმის დაწყება თუ არა.

— რას სჩადიან, რას აპირებენ. ვერაფერი გამიგია! — ბუტბუტით გაიფიქრა სირაძემ.

ეს ქალიც ახლა აიკვირატა! მაგრამ რას იზამს ადამიანი? გულს ვერ მოვერიეო, — იტყოდა ხოლმე. ორმოცი წლისა ვახდა და ცხოვრება ისე

გაეპარა, თვალსა და ხელს შუა ისე გაუძვრა, რომ ცოლის შერთვის ფიქრისათვის ვერ მოიცალა.

ერეკენული

აჭამდის ქარხანა იყო მისი ცხოვრების აზრი. გაიძვერობით შექმნა ეს ქარხანა და ცოლიც ის ეგონა და შევილიც. ვარაუდობდა, ჯერ ეს საქმე მოვაგვარო, ქონება დავიგროვო და მერე მოვეცილები ოჯახსაო. მაგრამ საქმე საქმეს მოსდევდა, ფულს ფული მოჰქონდა და არც საქმეს უჩანდა ბოლო...

ყველაფერს თავისი დრო აქვს. შუახნის დასასრულს მიტანებული გული სიყვარულის მახეში გაება. უკვე დრო იყო, სირაძეს ნავთსაყუდელი მოენახნა, ასე ცალად ხომ არ უნდა დაბერებულყო. დაიწყო ტოლის ძებნა. ეს ტოლი მისი ქონების ღირსი უნდა ყოფილიყო და ამაში პირველი ადგილი სილაშაზეს ეკუთვნოდა. ხალხში ცოლითაც იმ რიგადვე უნდა შესძლებოდა თავის გამოჩენა, როგორც თავს იჩენს შეძლებით. ქონება და ლამაზი ცოლი თვალს დაუბრმავებენ მტერსა და მოყვარეს.

რევოლუცია არ მომხდარიყო, მელიტონის საქმე სხვანაირად წავიდოდა. აგერ უკვე 2 — 3 წელია, რაც მისი ძალა სახეში სცემს მელიტონს. მაგრამ არა უშავს რა, რაც უნდა მოხდეს, მელიტონს საკუთარი თავის იმედი აქვს, სხვაზე უკეთესად იცხოვრებს.

— ასე ხომ ვერ დარჩება ქვეყანა. შეუძლებელია ასე სამუდამოდ დარჩეს. — ეს იყო მელიტონის ნუგეში. ამჟამად კი ცუდი მხოლოდ მარგოს წასვლაა.

კერძი გაათავა და ბოთლს შეხედა. ნახევრად კიდევ იდგა შიგ ღვინო. სკამის სახურგეს მიაწვა, ფეხები გაჭიმა და პაპიროზი გააბოლა. თუმცა ყაირათიანი კაცი იყო, პაპიროზს მაინც ძვირფასს ყიდულობდა — თავის გამოსაჩენად. კბილის ჩიჩქნით ვანაგრძო ფიქრი. გავსებულმა კუჭმა და ზომაზე დალეულმა ღვინომ გუნება გამოუკეთეს.

გონება წასულ მატარებელს დაადევნა.

— უცხო ადგილს, უცხო ქალი, ვინ იცის, რას წააწყდეს! — ვიდრე მარგო დაბრუნდება, თავისი ისედაც მდიდრული ბინა უფრო უკეთესად უნდა მოაწყოს, რომ იმისი შესაფერი გახადოს, ვინც ამ ბინაში შეჰყავს.

უკანასკნელი ქიქა გამოცალა, ტუჩები გააწკაპუნა, დანახარჯი გადაიხადა და ვაჟაკურ, მძიმე ნაბიჯით გავიდა რესტორანიდან.

ქუჩის კუთხის უკან სახლების სახურავებზე ცა ერთბაშად გაფითრდა, მერე გაწითლდა. განათებული შავი ბოლი სიომ დაგრძობა და გველივით დაკლაკნა. მოულოდნელად გაჩენილ ცისკარს ბოლი მუჭარუბ გვირგვინად გადაეფარა; განათებული სივრცე კი წუთი-წუთ დიდდებოდა და წითლდებოდა

მელიტონს შეზარა. ფეხს აუჩქარა. საშინელი აზრი მოუტოვებოდა თავში, მძიმედ, მტკივნეულად და ისე დასწვა ტვინი, თითქმის ვერ შეძლო აღგზნებული ცეცხლი მის თავში ანთებულობის.

— ხუროხანაა. როგორ შეიძლება! — მაგრამ აგერ იქ, ქუჩის მოსახვევში, მდინარის პირად არის მისი ჭარხანა. — მაინც შეუძლებელია. ან როგორ მოხდა?

აღჭაჯის თმები წითლად აიშალა და აღიმართა. შავი ცა ცეცხლის დიდრონმა ენებმა დასერა. ადვილად საწვავი მასალა ტკაცუნობდა.

3

გაათავა თუ არა ცხვირსახოცის ქნევა, მარგომ თავისი ალაგი მონახა და რბილ სავარძლიან ვაგონის კუბეს თვალი გადაავლო. კუბე ცარიელი დაუხვდა. მარტოობა ესიაშოვნა.

მელიტონის ბრალია ამ რბილ სავარძელში რომ ზის: ამის ბილეთი და დიდი თაიგული იმან მიართვა.

რა წამს მარტო დარჩა მარგო, იმ წამსვე მოეშვა; დაკარგა თვალების ცქვიტი ელვარებაც, აღერსიანი ღიმილიც, რომლითაც წელან ვაჟაკს თავბრუს ახვევდა. დაკარგა ყველაფერი ეს და დაისვენა. დაისვენა, რადგან დაღლილი იყო სირაძესთან ყოფნით, გამუდმებული სურვილით თავი მოეწონებინა მისთვის.

სარკმელს მიუჯდა და შავ ღამეში ჩანთქმულ სივრცეს დაუწყო ცქერა.

— მელი-ტონ, მელი-ტონ! — აედევნა მარგოს ფიქრი მატარებლის თვლების რაკუნს.

ჩაბნელებული მიდამო მატარებლის სრბოლას აპყობოდა და სადღაც გარბოდა. ხეების, ბოძების და მთების შავი აჩრდილები პირუტყლმა მიჰქროდა. სადღაც შორს, არც თუ ცაზე, არც თუ დედამიწაზე, აქა-იქ ბუტავდა სინათლის რაღაც გამოუცნობელი წერტილები. ადამიანი ვერ გაიგებდა — ცეცხლი ენთო თუ ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინავდა; ეს მბრწყინავი წერტილები ხედვის არეში დიდბანს რჩებოდა, თვალწინ ნელი ცურვით გაივლიდა ზოლმე და სადღაც იკარგებოდა, ისეთსავე უცნობ სივრცეში, როგორიდანაც ჩნდებოდა.

სირაძესავით მარგოსაც აეშალა ფიქრები.

— კარგი ადამიანია. — ელაპარაკებოდა თავის თავს მარგო. — ნამდვილად ვუყვარვარ. ქონებაც აქვს. ბედნიერი ვიქნები. ვიქნები, რა სათქმელია!.. უკვე ვარ. ჩემი ბედი ისეთი არ არის, როგორიც წინოსია. საცოდავი, სიყვარულით გაპყვია ქმარს. რა შესაყვარებელი იყო კაცი, რომელსაც თავისი ხელობის მეტი არაფერი აქვს. შოფერი! დაუფიქრებლად მოიქცა... მელიტონი სულ სხვაა. ქონება აქვს. მილიონი არა აქვს, მაგრამ

რაცა აქვს, მე ხომ მეყოფა. დებში ყველაზე ბედნიერი მე ვარ. არა, აქ ბედი არაფერ შუაშია. ამბობენ, ბედი არც კი არისო, არ ვიცი, ის კი ვიცი, ყველაფერი ჩემი ცდილობით მოვიპოვე, ჩემი წინდაწინდლობით. ყველა ვიგინდარას არ ჩამოვეკონწიალე. — ამაყად გაიფიქრა ქალმა, ერთი კიდევ შეადარა თავისი საქმროს სიძეებს და მათი დამცირებისათვის ცხვირი აიფშუკა. მართალია, ცოტათი დამიგვიანდა გათხოვება, თიკომაც კი დამასწრო, მაგრამ ისინი ჩემზე უკეთესად ვერ დათხოვდნენ. მას შემდეგ, რაც მოქალდა, მისი ფიჭვი მხოლოდ გათხოვებაზე იყო მიქცეული. მუდამ მელიტონისთანა საქმროს ეძებდა. აწ კი დამშვიდებულია, დაწყნარებული, გახარებული.

მოაგონდა, რაც ამ სამ დღეს მოხდა ოჯახში. თმაგაწეწილი დედა ტიროდა; გაშლილი წერილი მაგიდაზე იდო და ხუთი და და მოხუცი დედა ისე დაჰყურებდნენ ქალადს, თითქოს ნინო წინ მკვდარი სდებოდეთ.

კითხულობდნენ წერილს, ასოებს სათითაოდ აკვირდებოდნენ, სიტყვების ამოკითხვას ცდილობდნენ, ერთმანეთს ხელში სტაცებდნენ წერილს, გაგლიჯეს კიდევ, მაგრამ დალაგებული ვერა გაიგეს რა. წერილი გარკვეულს ვერას ამბობდა, თუმცა ერთი თაბახი საფოსტო ქალაღი მთლად აქრელებული იყო, არშიებზედაც კი ჰქონდა მინაწერები. აღელვებული ადამიანის ხელით იყო ნაწერი. ადგილ-ადგილ ლაქებიც კი ემჩნეოდა, ალბათ, დამწერის ცრემლები იყო ნალევნი.

ნინო თავის უბედურებას იწერებოდა, გაჩენის დღეს იწყებებოდა, დედას და დებს თავის პატარა შვილებს აბარებდა: ჩემი ობლებიო. ბევრი რამ ეწერა წერილში, მაგრამ გასაგები მაინც ვერაფერი იყო. ერთი რამ კი ცხადი გახდა: დედაცაი განსაცდელში იყო და შველას თხოულობდა.

— რა უბედურებაა. — ჯავრობდა სულ უმცროსი და თიკო. — გიმნაზია აქვს დამთავრებული და ერთი ხეირიანი წერილი ვერ დაუწერნია. — ეპ, შვილო. — ამოიკვნესა დედამ. — წერილ-შვილის პატრონია, ოჯახისა. გონება აღარ ექნება მოცლილი.

მოხუცი თავისი გამოცდილებით მიუხედა ნინოს. თიკოს სიტყვებზე კი დედას ნინო უფრო შეეცოდა. დედას შვილებში ყოველთვის ის უფრო უყვარს, რომელიც უფრო უბედური ეგულება.

ტირილმა და მკითხაობამ საქმეს ვერა უშველეს რა. ნინოს დახმარება სჭიროდა. უკაცურმა ოჯახმა სხვა ვერა მოახერხა რა და ნინოს დასახმარებლად მარგოს მოუხდა წასვლა.

4

სადგურზე მარგოს თითონ ნინო დაუხვდა.

სახით დასა ჰგავდა. ისეთივე ლამაზი იყო, მხოლოდ თვალების კილოებთან ნაოჭი უკვე გაშლოდა მარაოსავით და ლოყებზე ცხვირის ძირიდან ნიკაპამდე, ტუჩების ორივე მხარეს, მშვილდით მოლუნული ხაზი უფრო მკაფიო გამხდარიყო. სილამაზის, სიხარულის და ხალისის ჯავარი

დროს და ცხოვრებას ჩამოერეცხნათ. თვალეზში ნაღვლიანობა ჩამხრდებოდა. დის დანახვაზე თვალეზმა ბრწყინვა დაუწყო — ტირილს თუ აპირებდა.

სიხარულის და თანაც დამნაშავეის ღიმილით შესცინა დას, თითქოს რაღაც ბოდიშსაც იხდიდა.

ნინოს ერთი წუთით იმედიანობა დაეტყო, მაგრამ ისევ მალე შეეტყო დაღვრემილობა, თითქოს მიხედა, მარგო საჭირო ხსნას ვერ მომიტანსო; მიხედა ამას, რადგან ერთმა მსწრაფლმა, სიხარულ-სიყვარულიანმა კოცნამ აგრძნობინა — მარგო მხსნელი ვერ იქნებოდა. მარგო, შეიძლება ყარაულად გამომდგარიყო და ქმარი ნინოს თოფს მეორედ ველარ ესროდა, მაგრამ მთელს ცხოვრებას კი ვერ შესცვლიდა, მის სიმწარეს ვერ გაასიამტებილებდა. კოცნაში კი ნინომ თითქოს იგრძნო, მარგო რომ უკმაყოფილო იყო — რაც არ უნდა იყოს, ნინომ ხელი შეუშალა მის ბედნიერებას.

— რას დამზგავსებინარ, ადამიანი ველარ გიცნობს! — შესძახა დას მარგომ.

— რა ვიცი... შენა? — მწარე ღიმილით მიუტო და: — გალამაზებულხარ!

თავისი სილამაზე მარგომ უამისოდაც იცოდა.

— ჩქარა, ჩქარა თქვი, რა მოგიხდათ. დედა ლამის არის ჭკუდიან შეიშალოს. ისე დაგტირის, როგორც მკედარს. ჩემს გარდა სხვა ვერაფერ წამოვიდა. რა მოხდა ჩქარა თქვი. — სხაპასუპით დააყარა მარგომ კოცნის უმაღვე.

ჩამოხტა თუ არა ვავონიდან მარგო, გულმა ისევ უკან გასწია, შინისკენ. შეჩერებული თავისი ჭორწილი უძახდა. ეს აჩქარებდა ლაპარაკში, თითქოს, თუ აქ, სადგურზევე, გაიგებდა ნინოს ამბავს, მაშინვე გაბრუნდებოდა უკან, იმავე მატარებლით.

იმ უბედურების შემდეგ, რაც თავს გადახდა ნინოს, ყველაფრის დაწერილებით და სიმართლით თქმა პირველად ახლა უნდა შემთხვეოდა. აქამდის ბევრჯერ უამბო ის ამბავი მეზობლებს, ნაცნობებს. მაგრამ მაშინ ტყუოდა, მოგონილს ამბობდა, ბევრ რამეს ფარავდა. როცა სხეებს, უცხო ხალხს, მოუყვებოდა ხოლმე იმ ამბავს, შოგ ვერ ჩაურთავდა ხოლმე გულს, გონებას, შინაგან განცდას, თხუთმეტი წლის განაწამებ ტანჯვას. იმას ვერ ათქმევინებდა ენას, რის თქმაც უმთავრესად საჭირო იყო მის სანუგეშოდ, დასამშვიდებლად. ვისთვის ეთქვა თავისი დარდი? მეზობლებისათვის, რომლებიც, ვინ იცის, იქნებ მონაწილენიც იყვნენ მისი უბედურებისა, იქნებ უხაროდათ კიდევ?

მაგრამ სწორეთ აქ ჩაუვარდა ნინოს ენა — დის დანახვამ იმედები ერთბაშად გაუქარწყლა: ეს ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, საკუთარ ბედნიე-

რებაში გახვეული და გახარებული, ნინოს უცხო ეჩვენა. აბა, როგორ მიუხვდება მარგო გათხოვილ ქალს დარდს, როცა თავის სიხარულს გათხოვებაში ხედავს და სხვა რამ ბედნიერება არ გაეგება! ნინო შეინება, ბედს ვერაფერს გამისწორებსო, თანაც სცხვენოდა — ჩემს გამო სიხარული გავუმწარეო. აქი სთქვა მარგომ, მეც არ მჭონდა დრო აქ წამოსასვლელადო. ისედაც ნატკენ გულს ეს სიტყვები უფრო მეტად ეტკინა.

ერთბაშად დაეხურა ნინოს გული. მთელი ვარამი ერთბაშად ჩაეკრიფა შიგ, დაილეკა და უფრო მძიმე და მტანჯველი გახდა. თავი შეიკავა, თორემ იქვე, სადგურზევე, ატირდებოდა, სახალხოოდ. თავმოყვარეობამაც იფეთქა. სხვას, თუნდაც დას, რად უნდა გადაუშალოს თავისი ოჯახის ამბავი, მერე ისეთ ადამიანს, რომელიც სიხარულს საკუთარ ოჯახის მოწყობაში ეძებს. დაგვიანებული და სულელური თავმოყვარეობა იყო, მაგრამ მეოჯახე დედაკაცის გულმა იმ წუთს ასე გადასწყვიტა.

— მოიცა, ქალო! — გაუღიმა დას: — განა მართლა აგრეა საქმე. თქვენი ნახვა უფრო მსურდა. ამიტომ დავაშინეთ.

მარგომ შეატყო ტყუილი. ნინოც მიხვდა — გამიგოო.

მარგომ ქალური თვალით ახედ-დახედა დას და ერთი შეხედვითვე შეაფასა დის ჩაცმულობა. რასაკვირველია, სადგურზე წამოსასვლელად და დის დასახვედრად ნინო ეცდებოდა მორთულიყო; თუ ცხოვრებით იყო უბედური, ტანისამოსით მაინც გაელამაზებინა თავისი ყოფა. ხალხს იმას ზომ ვერ ათქმევინებდა, ამ ქალს უბედურების გარდა სხვა არაფერი ჰქონია, ტანსაცმელითაც უბედური ყოფილაო.

5

დეიდას დისწულები ერთამულთ რომ მიეხვიენენ და მისი მიტანილი საჩუქრები დაიტაცეს, ნინომ ვეღარ მოითმინა და ტირილი დაიწყო: შეიძლების სიხარულმა დედა სიბრალულით აავსო. მოაგონდა მათი უკვე დაკარგული მამა. მხოლოდ აჭ, შინ, ამ ტირილის შემდეგ შესძლო ნინომ ეამზნა დისათვის თავისი თავგადასავალი.

მარგო უსმენდა და თან თავის მომავალს იხატავდა: მეც ასეთი შექნება ცხოვრება თუ არაო.

თხუთმეტი წელიწადია ნინოს ოჯახი აქვს და მარგოს პირველად ესმის ამ ოჯახის ამბავი; აქამდე ყველას ბედნიერი ეგონა, ნინოს არასოდეს არ დაუჩივლნია. თითქოს საჩივრელიც არა სჩანს-რა. ხანდახან თუ სევამს კაცი ან თუ ეჭვიანობს ნინო, რა ვუყოთ მერე?.. ნამდვილი საბუთიც რომ არ აქვს რა ნინოს? თუ არა და, ვაეკაცია. ხანდახან შეიძლება შესცდეს კიდეც. რა უშავს მერე? ნინოც ალბათ, ასე ფიქრობდა, თუ აქამდის არას ამბობდა.

— ოჯახს არაფერს აკლებს. რასაც შოულობს, ყველაფერს შინ ეზიდება, მაგრამ უყვარს გარეთ ყოფნა და მე ზშირად, ძალიან ზშირად, მარტოკა ვარ. — ამბობდა ნინო. — ეს არაფერია...

უბედურობა ამ ორი კვირის წინათ მოხდა. მის ნასვამ ქმარს ქურში ჩააწვეტეს, ვითომ ნინოს მეზობელთან, კახელაშვილთან, ხშირად შედავდნენ, ვითომც მათ შორის „რაღაცა“ იყოს. დაიჯერა, ნასვამმა კაცმა. შუალამისას შეეარდა ოჯახში, თოფს ხელი წაავლო და ცუდს დაეწინა. ნინომ არ იცოდა რა ამბავი იყო მის თავს. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, თოფმა დაიგრიალა, მაგრამ დროზე შეშველებულმა ნინოს ხელმა ნასროლი ააცდინა. ტყვიამ სარკმლის მინა გახვრიტა.

— რას სჩადიხარ! — მხოლოდ სროლის შემდეგ შეპყვირა ნინომ. გონება არ დაუქარგავს, არც კი დაუწივლია. ქმარიც მოვიდა გონს. თოფი ძირს დაუშვა. უკვე ჩამქრალ სიბრაზესთან ერთად ამღვრეულ თვალებში შემკრთალი დარცხვენაც ეღვა.

სროლის ხმაზე მეზობლები მოცვივდნენ. ნამძინარევემა ბავშვებმა წივილი დაიწყეს.

პირველივე სურვილი ნინოსი საქმის მიჩქმალვა იყო. ჯერ თითონაც არ იცოდა, რა მოხდა, რად მოხდა და თუნდაც მისი მოკვლა სურვებოდა ქმარს, რა საჭირო იყო, ოჯახურის საქმის გაშარშარება?

— არაფერია! — შესძახა ნინომ შეჭოთქოთებულ მეზობლებს. — უცაბედად გავარდა თოფი.

მეზობლები მოიშორა, ვახნები დამალა, შეილები დაამშვიდა. მაგრამ ცოლ-ქმარს მთელ ღამეს არა სძინებია: ქმარი ბრაზობდა, თავის გასამართლებლად ცოლს ათას რამეს სწამებდა; ცოლი კი ტიროდა, სლოკინებდა.

ნინომ ბევრი იცრუა და ქმარი დაიხსნა. შერცხვენილმა და გაბრაზებულმა ქმარმა ოჯახი მიატოვა და შინ აღარ მიდიოდა. შეილები მამას ნატრობდნენ.

— ქმარი დავიხსენი, ოჯახი კი დავკარგე. — ჩაიქვითინა ნინომ. — რა ვქნა?

— მოიცა, ყველაფერი მოგვარდება. — ამშვიდებდა მარგო. სურდა ისეთი სიტყვა ეთქვა დისათვის, ისეთი ღონე რამ ეღონა, რომ ნამდვილი დახმარება გამოსულყო, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა.

— გული მტკივა, ცილი რად დამწამა. განა ცუდი ცოლი ვიყავი? რაც რამ მებადა, ყველაფერი იმას შეეწირე. შეილებისა და ოჯახის პატივისასათვის ყველაფერი მოვითმინე და ავიტანე. მოახლე გავხდი...

ნინოს სიტყვებში სიმართლე იყო და მარგოსაც წამოსცივიდა ცრემლები.

6

კარზე კაკუნი გაისმა.

ოთახში პატარა ბიჭი შევიდა და სანოვაგით სავსე კალათი შეიტანა.

— აი, ნახე, შენი მოსვლა გაიგო და სანოვაგე გამოგზავნა. — უთხრა ნინომ დას, ქმრის სახელი — ილო — კი არ ახსენა. იმ ღამის შემდეგ ასე

იქცეოდა ნინო — მეზობლებში ქმარს მესამე პირით იხსენიებდა, შეილებთან კი მამობით, თან დაატანდა ხოლმე — მამა ლეთისა ვაუწყრესო.

— ძალიან კარგი ჰქენი, რომ მოხვედი. ეტყობა შერჩევენ შენს ამ სიტყვებში მარგომ დას შერიგების დაფარულს — ამქვეშა შეატყო. თუმცა ეს შერიგება თითქოს არცა სურდა ნინოს, ასე ამბობდა ნინო.

მარგოს მოსვლამ ოჯახში შექმნილი ატმოსფერო შესცვალა: რალაც-ნაირი მზიარულობა შეიტანა. დარდი დასუმბუქდა, ყურადღება სტუმარმა მიიქცია. მისთვის ზრუნვა გადაეფარა ნალველს. ახლა ამ ნალველს ნინო წინანდებურად მწარედ ველარა გრძნობდა. ბავშვებიც გამზიარულდნენ.

ნინოს უბედურებაში თითქოს ბედნიერებაც იყო: ქმარი აღარა ჰქმრობს ეს ამშვიდებდა გულს, რადგან შეუძლებლია ასეთი მამაკაცი იჭრის დედაკაცმა.

ილოს ხანდახან ღვინის სუნი რომ ასდიოდა ნინომ პირველად ეს იმ სროლის შემდეგ იგრძნო. ახლა გაიგო, ამ სუნსა სუნთქავდა თხუთმეტ წელიწადს და ეს თხუთმეტი წელიწადი ნინოს ცხოვრების წიგნში შავი ფურცლები იყო.

მარგომ ნინოს სიტყვებში შერიგების იმედი რომ ისმინა, სწორეთ ამ იმედმა კვლავ შეაშფოთა ნინო. სასურველი და საჭირო იყო თუ არ იყო შერიგება, იგი ნინოს მაინც აშინებდა. კვლავ აღეძრა ზიზღი იმ კაცისადმი, რომელსაც როგორც თითონ ამბობდა, ყველაფერი მისცა.

ქმრის ალერსს, კოცნას, ზრუნვას, ნინოსათვის აქამდის ფასი ჰქონდა. ამით იყო ცხოვრება და სიცოცხლე სავსე, ახლა კი გამოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც ნინოს სიყვარული ეგონა, ტყუილი ყოფილა, ამიტომ ახლანდენლი ყოფა ნინოსი, მისი აზრით, წინანდელსა სჯობდა: წინათ სიყვარული კი არა, თურმე ჭუჭყი ყოფილა, ახლა კი ეს აღარ არის. ნინოს ზიზღით გაახსენდებოდა ხოლმე წარსული ალერსი. თურმე სიცრუესა და ჭუჭყში უცხოვრნია. ამან ჩარეცხა სილამაზე, რომელიც ახლა მარგოსა აქვს. დის სილამაზეს რომ უცქეროდა ნინო, თავისი აგონდებოდა და დანანებით და სიბრაღულით გაიფიჭრებდა ხოლმე: ვინ იცის, შენს სილამაზეს რამდენი ჭუჭყი დაედოსო.

ქმრის შინ მოუსვლელობა ამშვიდებდა ნინოს, მაგრამ ატირებდა კიდევ. დები საოჯახო საქმეებში გაერთვნენ. ერთად ხარშავდნენ სადილს, ერთად უკერავდნენ ბავშვებს ტანისამოსს. ნინომ ძველმანები გადმოყარა; დაარღვიეს, შეღებეს, გადააბრუნეს, გადააკეთეს. ცხოვრება მშვიდათ წავიდა. გასართობად ნინოს მარგო სტუმრადაც კი დაჰყავდა.

მარგო წასვლას ჩქარობდა. ნინო არ უშვებდა: ჯერ არ იცოდა რით გათავდებოდა მისი საქმე და რა შევლას შესძლებდა მარგო.

— თიკო ამბობდა, ქმარს თავი დაანებოსო, გაეყაროსო. — უთხრა ერთბელ მარგომ დას.

მართალი იყო თიკო თუ არა, მარგომ თითონაც არ იცოდა, არც იმიტომ უთხრა დას, ვითომ ამ აზრზე დაეყენებინა. უთხრა, როგორც უბრალო, სალაპარაკო მასალა.

ნინომ თავი დინჯად ასწია, საკერავი მუხლებზე დაიდო და დას შეხედა და თვალებით ჰკითხა, შენც მაგ აზრისა ხომ არა ხარო?

ასე დასმულ საკითხის წინაშე ნინომ შიში იგრძნო. თქვენს მისი ხე-შიადი გამოსთქვა მარგომ.

— ნეტავი შენ! — უპასუხა დას. — აპყოლიხარ ბაღსა. თიკო რა არის ამისთანა საქმეებს რომ ეკითხებით.

— ვინ ეკითხება. თავისითა სთქვა.

— მერე და მე რათ მეთუბნები? — ნინოს კილოში ის ისმოდა, რაც წელან თვალეში გამოეხატა, როცა დას შეხედა.

— ისე.

— თქვენც სულელები ხართ, პატარა გოგოს ნათქვამს რომ იმეორებთ.

— სულელები რათა ვართ. ყველა თავისას ამბობს.

— რატომ იმას აღარ ამბობ... —

— მე არას ვამბობ. — სიტყვა გააწყვეტინა მარგომ.

— ჰო, კარგი. ის თქვენი თიკო რატომ იმას აღარ ამბობს, სად წავიდე, ქმარს რომ გავეყარო... — ნინოს ნიკაპი აუკანკალდა სატირლად-მაგრამ გული გაიმაგრა, თავი ჩაღუნა და კერვა განაგრძო. დაფიქრდა-ცდილობდა პასუხი გაეცა იმაზე, რაც მარგომ წარმოსთქვა.

— გასაკვირველი არაფერი იქნება. — წაილაპარაკა თავისთვის.

— მაშ რაღად გეუცხოვა. — ჰკითხა მარგომ.

— ჩემთვის ადვილი არ არის.

— რამდენია, მაგისი რომ არ ეშინია.

— არიან. მაგრამ ვინ იტყვის, კარგსა ჩაღიანო. მე ჩემს სამ წერილ შევიღს რა ვუყო. წავიდე აქედან, შვილები ვის მივეუყარო? ვინ შეინახავს! სასამართლოს კარებს მივადგე სარჩოს სამებნელად? ის კაცი კარგი მომგებია, ოჯახს არას აკლებს, შენი ბედნიერი თვალით ხედავ, სავსეა ოჯახი.

— მაშ ასე ვაბუტულები ხომ ვერ დარჩებით.

ნინომ მხრები აიჩიჩა.

მარგომ ზედგამოჭრილი სიტყვა იხმარა — ვაბუტულები. ნინოს თუმც სძულდა ქმარი, მაგრამ მაინც ხედავდა, რომ მათ შორის მხოლოდ ვაბუტულობა იყო. პირველ ხანად გაჯავრებულები იყვნენ ერთმანეთზე, მაგრამ შემდეგ, რაც დრო გადიოდა, ეს გაჯავრება თანდათან ვაბუტება გამოდიოდა. ილო თუ შინ არ მოდიოდა, ეს ჯერ კიდევ გაყრას არა ნიშნავდა. ამისი საბუთი ის იყო, რომ ილო ყოველ დილით სანოვაგით საესე კალათებს უგზავნიდა ცოლშვილს, უფრო მეტსაც, ვიდრე წინათ. მაშ, ერთხელაც არის ეს ვაბუტება შერიგებით გათავდება. ნინოს ამის ვახსენებაზე ერთნატილმა დაუარა: ნუთუ კვლავ დაუწყებს ალერსს ის აღამიანი, რომელმაც სასიკვდილოდ გაიმეტა?

ორივე გაჩუმდა. უფროსი და საკერავს დაუკვირდა, მიზომ-მოზომა. უფროს ვატიშვილს, თხუთმეტი წლის გოგისა, თავისი ძველი კაბისას კოს-

ტუმს უკერავდა. დიდი ხანია სურს დედას გოგიას ევროპული ყაბდის ტანიაშოსი ჩააცვას. ამ წადილის შესრულება მხოლოდ ახლა მოახერხა, როცა სტუმრად მოსული და ოჯახურ საქმეებში დაეხმარა, და ფეხქაბულის შესრულება გააბედვინა. მარგომ დისწულის სურვილზე: მისთვის გადაუჭირა, დებმა ერთად მოზომეს და დაჭარგეს შალის ძველი კაბა.

კერვაში გართული ნინო ფიჭრით თავის პირადობიდან შეილებზე გადავიდა. მაინც ასე იყო მუდამ: დედამ დიდიხანია დაკარგა საზღვარი შეილებისა და საკუთარ პიროვნების შორის: აღარ იცოდა, სად თავდებოდა თითონ და სად იწყებოდნენ შეილები.

როცა სიკვდილს იფიჭრებდა ხოლმე, გრძნობდა — შეილების სიკვდილი ისეთი უბედურება იქნებოდა, რომელიც მთელს მსოფლიოს დაჟვარავდა, საკუთარი თავის სიკვდილი იმიტომ აშინებდა, რომ შეილები დაობლდებოდნენ.

ეს უსიამოვნო ფიჭრები იმით მოიშორა, რომ თავისი გოგია დაეაქცეხული წარმოიდგინა, ნამდვილ ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი. ეამა და გაიღიმა. შემდეგ დაიწყო იმის მოსაზრება, თუ როგორ შეეკერნა პატარა ცილასათვის „კომსომოლკა“. საამისა ფართალი, ნაჭერი, „იმას“ მისცეს სამუშაოზე, ჯილდოდა.

კვლავ გაახსენდა ქმარი. კვლავ მოაწვა ბოლმა.

7

მარგოც თავჩაღუნული მუშაობდა. სიძისათვის თორმეტი ცალი ცხვირსახოცი უნდა მოეჭარგა. ნინოს ქმრისათვის აქამდის პატრევი ჯერ არაფრით უცია. ახლა აპირებდა ამ დანაკლისის შევსებას. ცოლ-ქმარში მომხდარი ამბავი მარგოს განზრახვას ხელს ვერ შეუშლიდა. ყველაფერი ჩაივლის, უნდა ჩაიაროს და სიძე ისევე სიძე იქნება. ასე სწამდა მარგოს.

ორი კვირეა მარგო აქ არის და მელიტონისაგან ერთი წერილიც არ მოსვლია. არც დედა სწერდა წერილს, არც დები. ამით შეშინებულ მარგოს ნინო ამშვიდებდა.

— ცუდი ამბავი რომ იყოს რამე, თითონვე მოიწერებოდნენ, მეც ხომ ასე მომივიდა: დიდხანს არა გწერდით, მაგრამ როცა გამოჭირდა...

ეს მოსაზრება ნინოსი მართალს წააგავდა, მაგრამ ეს მართალი მელიტონის მიმართ საეჭვო იყო; შეუძლებელი იყო შეყვარებული კაცის ასე გაჩუმება. ამდენი ხნით აქ დაყოვნება მარგოსი მაინც მოაწერინებდა წერილს.

რა უნდა იყოს ასეთი სიჩუმის მიზეზი. ავადმყოფობა. სიკვდილი? ამ ამბებს შეატყობინებდნენ. ან იჭებ — როგორც თვალთ შორს, ისე გულითაო...

ამის გაფიჭრებაზე მარგოს თავზარი ეცემოდა. გულით შორს! ეს სიკვდილზე უარესია. ასეთ ფიჭრის დროს სძაგდა ნინო, რომელმაც ასე აუწყა საქმე. წასვლას ვერ ახერხებდა — ნინო არ უშვებდა, რადგან მის-

თვის საჭირო იყო მახლობელი ვინმე გვერდით ჰყოლოდა. ყველამ იცოდა, ქმარი შეორედა აღარ ესროლა თოფს, მაგრამ ის ერთი სროლა ისე მძლავრად გაისმა ოჯახში, რომ ნინო სამუდამოდ გააბრაშა და უახსურა.

— ჩვენები რომ არას იწერებთან, ეს მესმის: შენი ამბავი გაიგეს, მე აქ ვეგულები და მშვიდად არიან. მაგრამ იმას რაღა მოუვიდა, ის რაღასა სდუმს...

ნინო მიხვდა ვინც იყო „ის“ და თითონაც დაფიქრდა: მართლაც და შელიტონი რათ არის ჩუმაღ? ნინოსაც ის ანდაზა გაახსენდა, რამაც წელან მარგო შეაშინა — როგორც თვალთ შორს...

„არ დაიღუბოს ეს გოგო“. — უთხრა ნინომ თავის თავს. ნემსის წვერი, დედაკაცური ჩვეულებისამებრ, ტუჩებზე მიიღო და შეშინებული სახით, შეკითხვით საესე თვალეებით შეხედა დას. ცოტას გასწყყდა ის ანდაზა ხმა-მალლა არა სთქვა, მაგრამ დროზე მოვიდა გონს — ამის თქმა შეუძლებელი იყო. გაიღიმა, ხელი ჩაიჭნია და თქვა:

— დამიჯერე, ფოსტის ბრაღია.

ოთახში ის ბიჭი შემოვიდა, რომელსაც სანოვაზე მოჰქონდა ხოლმე.

— ილომ თოფი და ვაზნებიო. — უთხრა ნინოს.

— რათ უნდა, ბიჭო? — ჰკითხა ნინომ.

ამ ბიჭისა ნინოს მუდამ სცხვენოდა. ოჯახის ამბავი ყველამ იცოდა, რასაკვირველია, ამ ბიჭმაც. ის იყო გაბუტულ თუ კავშირ-გაწყვეტილ კოლ-ქმარს შორის მეკავშირე.

— სანადიროდ მიდიან. — იყო პასუხი.

— მუდამ მეშინია, როცა სანადიროდ მიდის ხოლმე. — სთქვა ნინომ. ერთი თვის გადამალული თოფი და ვაზნები ამოამზევა და ბიჭს გადასცა. ხელში ეჭირა ის თოფი, რომელიც ამ ერთი თვის წინათ მას ესროლეს და უგზავნიდა იმ ადამიანს, რომელმაც ესროლა. ამ ორ მოვლენათა შორის რომ შეუსაბამობა იყო, ნინოს ეს აზრადაც არ მოსვლია.

— ჯან, ხოხბებსა ვქამთ! — დაიძახა გოგამ.

— მე კარგად ვიცი ხოხბების მომზადება. — სთქვა ნინომ. დარწმუნებული იყო, ილო ნანადირევს კოლ-შვილს გამოუგზავნიდა. იქნებ ამ მიზეზით შინაც მოვიდეს. შეაფრთოლა ნინოს.

ჯერ არ ჩაქრობოდა ეს ყრუოღვა, შინაგან განცდით გამოწყვეული, რომ უეცარმა ვარგვანმა ვავლენამ, ახალ მიზეზმა ყრუოღვა გაუძლიერა. მეზობლის ბინაში რაღაც დაბრაზუნდა და შემზარავი წივილი გაისმა ბავშვისა.

ღები აივანზე გაცვივდნენ. ხრაკის სუნი ეცათ. აივანი კვამლით იყო საესე.

სირაძე თავის ქარხნისაკენ გარბოდა და თვალს არ აშორებდა აღს, რომელიც სახლების სახურავებს იჭით, ცაში ცეკვავდა. მისი ხმა და ავიწყდა, თავიც, მარგოც, ხედავდა იწოდა მისი ქონება.

— დავიღუპე!

აღარ იცოდა, ქარხანასთან მისულიყო, თუ ასე გაქანებულს მდინარის პირას მიერბინა და პირდაპირ წყალში გადავარდნილიყო.

მაგრამ მიუახლოვდა თუ არა ხანძარს, მაშინვე დამშვიდდა. შარი ხეირიო, იტყოდა ხოლმე და ახლაც გაახსენდა ეს ანდაზა, მხოლოდ საგონებელში იყო, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა ამ ხანძრის სახეიროდ გამოყენება.

ქარხანას ხალხი შემოხვეოდა. ქუჩებში ტევა აღარ იყო.

— ვაი მაგის პატრონს! — გაიგონა მელიტონმა ვილაკის ნათქვამი და გუნებაში უპასუხა: „ვაი შენს თავს“.

მელიტონი ხალხს მიარღვევდა და წინ მიიწევედა.

— ვინ იცის, იქნებ ძალითაც წაუქიდა! — მოჰკრა ყური მელიტონმა.

— ჩამორთმევისა თუ შეეშინდა და განგებ დასწვა — სთქვა კიდევ ერთმა.

ამის გაგონებაზე მელიტონს გულზე რაღაცამ უქბინა, ელვასავით გაჰკრა ტვინში: ვაი თუ მართლა დამაბრალონ განგებ დაწვა და დამატუსაღონო. მაგრამ ეს აზრი ძალზე სულელური ეჩვენა და სწრაფლ მოიშორა.

ქარხანას მეხანძრეები შემოხვეოდნენ. თითბრის მოლაპლაპე მუხარადებმა ქარხნის სახურავზედაც დაინახა. ერთი მეხანძრე სადღაც კედელს გულმოდგინეთ სცემდა ცულს. მის ზემოდ კი ცეცხლმოკიდებული კოჭო ტაკუნებდა. ეს კოჭო რომ ჩამოვარდნილიყო, მეხანძრე დაიღუპებოდა. მელიტონმა ჩაიკინა, ამ სურათს თვალი აარიდა და ცეცხლით წითლად განათებულ წყლის სვეტს შეხედა. მსხვილი ნაკადული კოხტად მოგროხილიყო და მალლა აშხაპუნებდა.

— მოდის, თითონ მოდის, გზა! — გაისმა ხალხში და გზაც უტიეს.

სირაძემ შორიდანვე შეავლო თვალი ცეცხლს და მაშინვე დამშვიდდა. ნახა, სადაც და რასაც ეკიდებოდა ცეცხლი. საბიფათო დიდი არაფერი იყო. გაჩერდა. ოფლი მოიწმინდა, სული მოითქვა და ქარხანას გარს შემოუარა. ახლა უფრო დარწმუნდა. ხანძარი დიდ ზარალს არ მიაყენებდა. იგი იმ გულზეთქებად არა ღირდა, რაც ამ ხუთიოდ წუთში გამოსცადა.

მუშები შესულიყვნენ ქარხანაში და თავდაუზოგავად შევლოდნენ მეხანძრეებს, ცდილობდნენ რისამე გადარჩენას. მელიტონს რაღაც მიზეზით გული მოუვიდა: რას მეტიჩრობენო. ეზოში შევიდა და მუშები გარეთ გამოყარა: — გადით აქედან!

მუშებმა გაკვირვებით შეხედეს მელიტონს.

— გშველით, ხომ არას გიფუჭებთ! — უთხრეს გაოცებულმა მუშებმა.

სირაძემ თავისი სიბრაზე დასძლია ხმაში და მშვიდი ყილოთი უქაშუხა: — ბრ მინდა, შეილოსა, არ მინდა, ამხანაგო! რაც დავედებოდა, ის არ მეყო, ახლა თქვენს ცოდოშიაც ჩადგე?

გაუშვით, ბიჭებო! — დაუყვრეს ამხანაგებს განზე მდგომმა მუშებმა. — ეგ მუდამ ეშმაკისავენ არის.

— თქვენ მაგას ვერ იცნობთ. უხარიან კიდევ: დაზღვეული აქვს.

მართალი იყო. მელიტონს თითქოს გაეხარდა კიდევ ხანძარი, მაგრამ საზღაურის მიღების იმედით კი არა, არამედ სხვა მოსაზრებით.

შორი-ახლოს გაჩერდა, გულზელი დაიკრიფა და დაღონებული თვალებით დაუწყო ცქერა ცეცხლს. თავში კი ახალი გეგმები ებადებოდა. თან თვალს ადევნებდა ცეცხლის მოძრაობას, სახანძრო მიღებით მიშველებულ წყლის ლაპლასს, მეხანძრეთა მწყობრად მუშაობას.

მეხანძრეებმა ცეცხლი მალე შეიოკეს და შემდეგ იღვილად ჩააქრეს. ჯერ შუალამეც არ იყო, ხალხი რომ დაიშალა. მხოლოდ მორიგე მეხანძრეები-და დარჩნენ. მელიტონმა ერთხელ კიდევ შემოიყარა ქარხანას, ერთხელ კიდევ გასინჯა, ერთხელ კიდევ ივარაუდა და მერე თავის ყარაულს ჩააბარა ქარხანა.

— დავილაღე. დარდიც არ მასვენებს. მე აქ ვერ დავდგები, წავალ...

მივიდა თუ არა შინ, თავისი ბინის ხუთივე ოთახი დაიარა, ყველა ნივთი დაათვალიერა, თითქოს შესაფასებლად, შემდეგ დინჯად დაჯდა ტახტზე. ყველაფერი, რაც კი ებადა სახლში, მთელი მდიდრული დგამი, თავის მომავალ ცოლისათვის ჰქონდა გამზადებული. ამ მორთულობაში სურდა შეეყვანა ლამაზი ქალი, რომელიც, სირაძის ფიქრით, ამ მორთულობაში ისე ჩაჯდებოდა, როგორც ხელოვნური ნახატი ძვირფას ჩარჩოში. ეს ჩარჩო წინდაწინვე ჰქონდა გამზადებული და დიდი ძეხვის შემდეგ, „ძლივს“ — ასე იტყოდა ხოლმე — იპოვნა ამ ჩარჩოს შესაფერი „სურათი“. მარგოს უნდა შეეესო და გაელამაზებინა მელიტონის ბინა. ახლა კი ყველაფერი ეს მოიშალა, თავდაყირა დადგა. სამუდამოდ. არა, სამუდამოდ არა. რამდენიმე ხნით. შეიძლება დიდი ხნით, მაგრამ სამუდამოდ კი არა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

ხანძარმა აწი ყველაფერი მოსპო. საქვეყნოდ გამოჩენილი სიმდიდრეც (დაფარულთან ვის რა ხელი აქვს!) გააქრო და ის დამოკლესის მახვილიც ააცილა. ახლა სხვაგვარი მოქმედებაა საჭირო.

— მელიტონ სირაძე გჭკია, ვეფო! — უთხრა თავის თავს, ჩამწეარი პაპიროზი ჩაქყლიტა ფაიფურის საფერფლეში, რომელიც წყალში მობანავე ქალს წარმოადგენდა, ბოთლი ღვინო და ჭიქა გადმოიღო და მაგიდას მიუჯდა.

პირველი ჭიქა ღვინო ერთბაშად დაცალა. მისი აზრით, ღვინო მოსაზრებაში შეელოდა. თამბაქოს ბოლსა და ფიქრებში გაეხვია. კინომატოგრაფის ბაფთასავით გაიარა მთელმა წარსულმა.

აგერ რაქის ტყეებში დარბის ბიჭი „მელიტონა“ და თნებს დასდევს. ძვირფასია და მდიდარი, ლამაზი და ჯანსაღი რაქის ტყეებში, მთებში, კლურ-ჯი რიონი მთარღვევს ტყეებს. იკეცება და იგრიხება მთებში და ქანებულზე თავდაუქერელი სისწრაფით მოშხუის. მიპლრიალებს მთებსა და ტყეებს, თითქოს შესტირის თუ უჯავრდებაო.

გულმა ფანცქალი დაუწყო მელიტონს. ისე მოეჩვენა, თითქოს ამ წუთს საკუთარ ძვირფასად მოწყობილ ბინაში კი არა, რიონის წყალშია და მთელ მის სხეულს ფაზისის მდინარის ტალღები ელამუნება.

მოგონებამ შორს გაიტაცა სირაძე, მაგრამ ახლა ამისი დრო არ იყო. ახლა საჭირო იყო სწრაფი მოსაზრება და უფრო სწრაფი მოქმედება. ახლა აუცილებელი იყო სირაძეობის გამოჩენა და „თავი ქულში ექნებოდა“ — ეს იყო მისი საყვარელი ანდაზა.

მელიტონი საზრისობდა დინჯად, ჯიუტად, დაბეჯითებით და ხანდახან ღვინოს შესვამდა ხოლმე. ფიქრში წასული ხან ბრანობდა ხან ილიმებოდა. ბრანობის დროს ჯავრს პაპიროზზე ყრილობდა: მუშტუქს კბილით გლეჯდა და ნაგლეჯებს აქეთ-იქით აფურთხებდა. თავი მისი დულდა და მოსაზრება მოსაზრებას სცვლიდა. ტენის ამ მუშაობაში ღვინო და თამბაქო შეელოდნენ.

დარწმუნდა სირაძე, ხანძარმა არ დაღუბა, მაგრამ სულ სხვანაირად უნდა გამოიყენოს ეს ხანძარი.

შემთხვევამ სირაძეს კამათელი გადმოუყარა. ეს კამათელი ხელში უქირავს და ისე უნდა აჰყაროს, რომ დუშაში დაჯდეს.

გათენება მოტანებული იყო, როცა მელიტონმა თავს შეატყო, უკვე დინჯად ვარო. აუჩქარებლივ ჩააქრო პაპიროზი, ბოთლი გადასდგა, წყნარად დაიწყო სიარული ოთახებში და თითქოს რამეს ეძებსო, უჯრებს აქოთებდა. ერთად აგროვებდა ძვირფას ნივთებს, ახარისხებდა ღირებულობისა და სიდიდის მიხედვით. თუმც აუჩქარებლად მუშაობდა, საქმე მაინც სწრაფად კეთდებოდა. ერთ-ორ საათში მთელი ბინა გადასასახლებლად მომზადებულ მობინადრისას ჰგავდა. ერთად იყო თავმოყრილი და თოკებით შეკრული ხალიჩები, ფარდაგები, აბრეშუმის საბნები. ცარიელი იყო უჯრები, ხოლო იქ ნადები — სკივრებსა და ჩემოდნებში ჩალაგებული. უბებშიც ჩაილაგა რაღაც-რაღაცები. საათს რომ დახედა, უკვე დილის ხუთი საათი იყო. მზეს გაენათებინა ქვეყანა. მელიტონმა ფანჯარა გააღო და ქუჩაში გაიხედა. ღვინით, უძილობით და საქმით მოჭანცულს, თამბაქოს ბოლით სავსე ოთახის შემდეგ, დოლის ცივი ჰაერი ეამა. სახე მიუშვირა ნიავს. დიდხანს იდგა ფანჯარასთან, სტკებოდა და რაღაცა ელოდა. უცბად შეირხა და ხელი დაიჭნია. მის კარწინ ეტლი გაჩერდა. წელან დამზადებული, შეკრული ბარგი დაუდო ეტლს და თავის ბინას მოაშორა.



დაღონებული მელიტონი დილით მაინც ადრე მწვანე ნქატხენაში. გულუბრყვილო შემხედავს შეეცოდებოდა. ნაცემ კატასაგანს მწყნარ და გულხელი დაიკრიფა.

ნამწვის და დასველებულ ნახშირის სუნი იდგა. მიწის აქა-იქ ორთქლი ასდიოდა — წუხელ დასხმულ წყალს დღეს მზე აშრობდა. გაბოლილი კედლები და დანახშირებული ჩარჩოები დამწვარს დასტიროდნენ.

მორიგე მებანძრეები წასულიყვნენ. პატარა ბიჭები ნახანძარ ეზოში დარბოდნენ და ნაცეცხლარს ქეკავდნენ. მთავარ ჩარდახის ბოლოში, დაზგებთან, მუშები შეგროვილიყვნენ და წუხანდელ ამბავს ლაპარაკობდნენ. დაინახეს სირაძე და მისკენ გაემართნენ.

— გამარჯობა!

მელიტონმა მწარედ ჩაიციხა და მხრები აიწია.

— მადლობელი ვარ, თუ კიდევ შეიძლება ჩემი გამარჯვება. — ნაღვლით უპასუხა სირაძემ.

— რატომ, დამწვარი, მაინცადამაინც, იმდენი არაფერია!

— დამცინი, თუ როგორ არის შენი საქმე! — უპასუხა მელიტონმა: — რაღა დამრჩა, რაღა მოვაწყო?

დღეს ერთი თვალის გადავლებით ერთბაშად შეატყო, რა იყო დამწვარი და რა არა და წუხელ ხანძრის დროსვე შედგენილი ბალანსი თავისი ქონებისა ახლა ზედმიწევნით დააზუსტა. აქტივი სჭარბობდა პასივს.

მოსაუბრემაც ჩამოუთვალა დამწვარ-გადარჩენილი. მუშებმაც კარგად შეატყეს, რის პატრონიც დარჩა სირაძე.

— ბიჭო, ჩემს ქონებას შენ მითვლი. განა მე არ ვიცი რაც მაქვს-ლა? საკუთარი თავი დამეწვა, ვალი ლა დამრჩა. — ისეთი კილოთი უთხრა ეს, თითქოს სურს მუშებთან ერთად, ამხანაგურად, გამოსთვალოს თავისი ქონება.

მუშებმა დაიწყეს მტკიცება, დამწვარი იმდენი არაფერია, რომ ქარხნის დაკეტვა აუცილებელი იყოსო. მელიტონს კვლავ გაეცინა და პაპიროზი ამოიღო ჯიბიდან.

მელიტონს სურდა მარტო დარჩენილიყო ქარხანაში. მუშებმა არ იცოდნენ წასულიყვნენ თუ არა, უსაქმოდ ყოფნა მოებზრდათ.

ეს ყოყმანი შეატყო მელიტონმა და ისარგებლა:

— წადით. ტყუილად რასა დგებართ. დღევანდელ ხელფასს კიდევ მოგცემთ და შემდეგ კი... თქვენი კოლხელ შეკრულება — ფაას! — პაერში გააქნია ხელი სირაძემ.

მუშები ნელ-ნელა გაიფანტნენ. მხოლოდ პეტრე დარაჯი დარჩა.

მელიტონმა დაწვრილებით დაათვალიერა ქარხანა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა, ვარაუდში არ იყო მოტყუებული. დამწვარიყო დამხადებული

საქონლის ნაწილი ორი, ფარდული, ნახეჩხი. იართქილის ქეძი გადარჩენილიყო; დაზგები მხოლოდ ადგილ-ადგილ იყო შერუჯული და წყლით დასველებული.

— დამწვარი — დამწვარია, გადარჩენილი — გადარჩენილი. — ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისთვის წუხანდელი გადაწყვეტილება.

დიდხანს დამძვრებოდა ჭარხანაში. ხელში ფიცრის რალაც ნახეთქი ეჭირა და ნაგავსა და ნამწვარსა ქეჭავდა. რასაც გამოსადეგს, ნაფოტს თუ რკინის ნატებს იპოვნიდა, ყველაფერს ერთს ალაგას აგროვებდა.

საღამო მოტანებული იყო, როცა დაღლილი გავიდა ქუჩაში, ჭიშკარში გაჩერდა, დაახველა. ჩასუნთქულ მტერისაგან ფილტვები ამოიწმინდა, გააფურთხა და ხელები გაიბერტყა.

— პეტრე! სამანქანო დაკეტე, ვასალები აქ მომიტანე. ვასალები ჯიბეში ჩაიღო და უდარღო კაცის ნაბიჯით მოშორდა ჭარხანას.

რაც ძვირფასი ავეჯი ჰქონდა, იმეც ღამესვე გააზიდვინა სახლიდან ფაღონთან მუშებს. ბინაში მხოლოდ ხარა-ხურა რამ დარჩა.

საბჭოთა ქვეყნის აღდგენითი პერიოდი დაწყებული იყო, როცა სირამეს თავის ბედად ხანძარი შეხვდა.

მელიტონს არ უნდოდა გაეგო, რომ ამ ქვეყნად უდიდესი ბრძოლა დაიწყო, რომ მიმდინარეობდა გადამწყვეტი მომენტი კლასთა გაშმაგებულ ბრძოლისა და რომ თვითონაც ამ ბრძოლის ერთი მონაწილეთაგანი იყო.

ღელაშიწის მეექვსედზე მიმდინარეობდა ძლიერი, შეუპოვარი, მედგარი და ძნელი საჭმიანობა და შემოჭმელება. ხუთმეექვსედზე კი ამან ნაღმები ჩაალაგა.

მთელ მსოფლიოს რევოლუციისაგან აფეთქება მოელის. მელიტონ სირამე კი თავის გადარჩენას ჰფიჭობს. ასე ჰგონია, თითქო იმ ცეცხლს, რომელიც კაცობრიობას უნდა მოედოს, თავისი ჭარხნის ხანძრის ალის უკან დაემალება.

შეიპარებოდა ხოლმე ქუჩადულად ჭარხანაში და, დარაჯ პეტრეს მალულად, ჭონებას იპარავდა: ნელ-ნელა მოხსნა და დააძრო მანქანებს უფრო ძვირფასი ნაწილები და გაზიდა. ასევე ჩუმად გაიტანა ჭარხნის სარდაფიდან უამრავი ლურსმანი, რომელსაც ათ წელიწადს ინახავდა და რა დროისთვის, თვითონაც არ იცოდა. გაზიდა ავტოშინები, რალაც ჭახრაკები, შინები და შრავალი რამ. ყველაფერი ეს ქუჩადულად გაზიდა.

მთელი ეს ჭონება და თავის ბინიდან გატანილი ნივთები გაყიდა.

— აი, თქვენის თვალით ნახეთ და შეაფასეთ რაც დამრჩა და როგორც გეკმარებათ ისე მოგახმაროთ ღმერთმა. მაგ დამწვარმა უნდა აგოს პასუხი ყველას წინაშე. გადასახადებიც უნდა გაისტუმროს. თქვენი ვალიც და სხვებისაც. მარტო თქვენ ხომ არა ხართ! — უთხრა მუშებს და გაცაროული, დაცარიელებული ჭარხანა მიუთითა.

დღეს-ხვალობით გააბრაზა მუშები, ანგარიშის გასწორებას უკვირებ-
და, რადგან ფულის გაცემა ჯიბიდან არა სურდა: დაე დაშწნა / ქარხნი-
დან წაიღონ რამდენიც ერგებათო.

— ჩვენ სხვა ვალი არ გვეკითხება. კანონი ჩვენია. ჯერ ჩვენ უნდა
მოგვცე.

— თქვენ რომ თქვენსას თხოულობთ, ტივების პატრონებს რიდათი
გავცე პასუხი?

— ეგ იმათ იციან.

— იციან, მაშ არ იციან. ხომ არ გაუმდებიათ? იმათგან ნაღდი მიმი-
ღია, ნაღდი უნდა მივცე.

მუშები იმუქრებოდნენ კიდევ. მელიტონს ამაზე გული მოსდიოდა.
მუქარას რომ შეუსრულებდნენ კარგად იცოდა სირაქემ, სიმართლევ და კა-
ნონი, მთავრობა და პარტია იმათ მხარეზე იყო.

— ალბათ, შოვალეებიც თავიანთ თამასუტებს გაინაღლებენ. ჩვენ წი-
ნააღდეგ ხომ ვერ გავზღებთ.

— უკაცრავად! — შესძახა მელიტონმა. — თამასუტები ჩემს დღეში არ
გამიცია. მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ — მელიტონმა ტუჩებზე დაირტყა
თითები. — ყველა ჩემს სიტყვას ენდობოდა. სხვისი არაფერი შემიჭამნია
და არც შეეჭამ.

— ვინ შეგაჭმევს, რომ შეჭამო. ის დრო მოკვდა. მუშებს ვეღარ გა-
ჯვლეფავ. ახლა ჩვენი წყობილებაა. თქვენისთანებს უკვე წირვა გამო-
უვიდა.

— ვნახოთ რაც მოკვდა. ჯერ კი თქვენია ეს ტყეყანა. ახლა თქვენი კავ-
შირი წამიჭერს ყელში. თქვენ ხომ კაცის შებრალება არ იცით. ამ ხალხმა
ვერ გაიგო, რომ დავიწვი! — შესძახა სირაქემ: — ხომ თქვენის კეთილის
თვალით ნახეთ, მთელი ქალაქი იყო განათებული. აღარაფერი მაქვს.

11

მელიტონი ისე გაერთო ახალ საქმეებში, რომ სხვა ყველაფერი და-
ავიწყდა. მარგო მხოლოდ ღამ-ღამობით ახსენდებოდა, ძილის პირას, ისიც
ცოტახნობით, რადგან მის გონებას ისევ საქმეზე ფიქრი დაიპყრობდა
ზოლმე. ჭორწილი ხომ სულაც აღარ გახსენებია. მთელი ამ ხნის განმავ-
ლობაში მხოლოდ ერთი დებეშის და ფულის გავზაუნა მოახერხა. წერი-
ლის მიწერისათვის კი ვერ მოიცალა. აღარც იმას დარდობდა, მარგო რა-
ტომ წერილს არა მწერსო.

კიდევ ერთი რამით გაიხსენა საცოლო. რაც ოქრო შეიძინა გაყიდული
ნივთებიდან, ყველაფერი თავის სასიდედროს მიუტანა და ჩააბარა, ვითომ
როგორც საჩუქარი მარგოსათვის. ამით ორ კურდღელსა ჰკლავდა: მარ-
გოსაც გაახარებდა და ოქროსაც საიმედო ალაგას ინახავდა: მარგო ჯერ
მისი ცოლი არ იყო და გქვს ვერავინ მიიტანდა.

ახლა აღარ იცოდა, ქარხანა ჰქონდა თუ არა და სწორედ ამას გამოიყენებდა ხოლმე, სადაც როგორ დასკირდებოდა: ხან ქარხნის პატრონი იყო და გირაოდ იძლეოდა, ხან ხანძარს წასჩრადა საქმეში.

მთელს ქალაქში ენაგამოგდებული დარბოდა. ახლანდელი სწავლების საქმეში ჩაეფლო. ყველა მისი მომჩივანი გახდა.

სასამართლოებში სიარულისა არ ეშინოდა. პირიქით უფრო ართულებდა და სწეწავდა საქმეს. ხან თითონ არ მიდიოდა სასამართლოში საქმის გარჩევისას, ხან მოწმეები არ მიჰყავდა. ვექილებში დაძვრებოდა, უფრო გამოქნილებსა და გაიძვერებს ქირაობდა. ვილაც-ვილაკეებს ჰპატიოებდა; აქმევდა, ასმევდა.

12

— თვალი დაუდგა მაგ უბედურ თამროს. — დედაკაცური ნიშნის გებით უთხრა მარგოს, როცა ბავშვის წივილით გამოწვეული ალიაქოთი დაწყნარდა, მეზობლები ყველანი დამშვიდდნენ და დები ისევ თავიანთ საქმეს შეუდგნენ. — არ გაუგონა, არ დაუჯერა, ქმარს. გაიკლა თავი და დაიყენა თვალები. რა პირით-ღა უნდა შეხედოს ან ქმარს ან ქვეყანას. თავის სამსახურს ანაცვალა შვილი.

ის ბინა, სადაც ბავშვის ტირილი გაისმა და სადაც ამ წივილზე დები შეცვივდნენ, ნინოს მეზობელს კახელაშვილს ეკუთვნოდა.

ეს კახელაშვილი იყო, რომელზედაც ქმარმა ნინოს ცილი დასწამა.

ახლა, ხანდახან, თითქოს სცხვენოდა კიდევ ილოს თავისი საქციელისა. გაიფიქრებდა ხოლმე — კახელაშვილი თავის ცოლს ჩემს ცოლში არ გასცვლიდა, თამარი ათასწილად სჯობს ნინოსათ. მაგრამ იმასაც იფიქრებდა ხოლმე: ვინ იცის.

მთელი უბედურება ნინოს კახელაშვილების მიზეზით გადახდა, და თუმცა დამნაშავენი არ იყვნენ, ნინომ ბრალდების ჯობი მაინც კახელაშვილებს მიაყუდა. იმათ ტკბილი ცოლ-ქმრობა რომ ჰქონოდათ, ილო ტყუილ ეჭვებში ვერ ჩავარდებოდა. მაგრამ რაკი კახელაშვილი ცოლის უკმაყოფილო იყო, ილოს ფიქრით, ადვილად დაიჭერდა სხვა ქალზედ თვალს. იცოდა ილომ, ცოლი რომ გულნაკლული ჰყავდა. თითონ ჯმუხი, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე, მუდამ ბენზინის სუნით გაჟღენთილი და გაზეთილი იყო. ნინოს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. კონტრასტი დიდი იყო მათ შორის. კახელაშვილი კი ლამაზი და განათლებული იყო. საკვირველი არ იქნებოდა, ნინო რომ შემცდარიყო. ამას ხელს ადვილად შეუწყობდა ილოს უხეში ხასიათი და სიმკაცრე. იცოდა ილომ, რომ ცოლ-შვილს ეშინოდა მისი.

გარდა იმისა, რომ კახელაშვილებს ნინო აბრალებდა თავის უბედურებას, გულში შურიც ედო. ამ შურს იგი თავის თავს ვერ უშალავდა, მაგრამ მაინც გრძნობდა საფუძვლიანი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ ნინომ ასეთი ღვარძლით მიუგო ნიშნი თამარს.

შენთვის ჯერ არ მიამბნია მაგათი ამბავი — განაგრძო ნინომ — ჩემი საკუთარი უბედურების ამბავმა დამავიწყა. ძალიან საინტერესო კია. ცოლი მუდამ ემუქრებოდა ქმარს გაგეცლებიო. კახელაშვილმა კი უკმაყოფილოდ უყურებდა, ხომ იცი მამაკაცების თავმოყვარეობა, სულ ცოფებსა ჰყარის. უკმაყოფილოდ უყურებდა ცოლი. ამას კი თავი გადაკლული აქვს სამსახურისათვის. ნეტა იმდენს რას იძენს, რაც ზარალი არ მოსდის ოჯახში. აგერ შევილიც დაელუბა.

გუნებაში კი ნინო თითქოს შენატროდა თამარის უნარს, ქმრის დამოუკიდებლად ცხოვრება რომ შეეძლო.

კახელაშვილს ეჭვები და ლაზოც აწუხებდა. ეს უნდობლობა სწყინდა თამარს და უარესად ამაგრებდა მის ჯიუტობას. ცოლი ვერ მოსტეხა, თუმცა რაღაც მოულოდნელი კატასტროფით აშინებდა მუდამ.

— არ შემოძლიან არც მზარეულობა, არც ძიძობა. ბავშვს და ოჯახს დედა უვლის. მე ვერ ვიზამ იმას, რაც დედაჩემს უჭნია.

— შენ გსურს მაგითი ქალთა საკითხი გადასწყვიტო. — ეკამათებოდა თამარს ქმარი. — მაგრამ ვერ გადასწყვეტავ. დედაშენმა გაგზარდათ შენ და ოთხი სხვა შენისთანა, მოხუცდა, დაიღალა, თავისი ვალი პირნათლად შეასრულა და ახლა, როცა მას დასვენების უფლება აქვს, როცა მას სურს თავისუფლად გაატაროს ვალგადახდილმა, თავისი სიცოცხლის ბოლო წლები და თავისი სამოცი წლის ნაღვაწევი მოიმკოს, შენ ახლა ხელახლა ადგამ იმავ უღელს, რომელმაც მას წელი მოსწყვიტა და რომელიც შენთვის არა გსურს. დედაშენიც იგივე ქალია და ამ ქალს სიკვდილამდე არ აძლევ განთავისუფლების ნებას.

— თუ დედაჩემი გებრალევა, მოახლე დაუჭირავე. — უბასუხებდა ხოლმე თამარი.

— მოახლე! მოახლე-კი ქალი არ არის?

— უმსხვერპლოდ თავისუფლება არასდროს ყოფილა მოპოვებული.

— თუნდაც შევილიც შეეწიროს მაგ თავისუფლებას?

— თუნდაც შევილი. მაგრამ ჩემს შეილს არაფერი მოუვა.

და ის კატასტროფა, რომლითაც კახელაშვილი ცოლს აშინებდა, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ნინოს და მარგოს ბავშვის წივილი შეესმათ: იმ დროს, როცა კახელაშვილები სამსახურში იყვნენ, მათი ხუთი წლის შვილი უეცრად ეცა ნავთქურას, ქურამ იფეთქა და ბავშვს ცეცხლი წაეკიდა.

მარგომ და ნინომ დაინახეს, როგორ ლამობდა მოხუცი დიდედა ბავშვის ტანზე ცეცხლის ჩაქრობას და ხელებს უტაცუნებდა. მოხუცს ხელებზე ცეცხლი წაეკიდა. როცა მეზობლებმა მოახერხეს და ჩააქრეს ცეცხლი, ბავშვი უკვე გულწასული და ნახევრად დამწვარი იყო.

კახელაშვილებს, არც ცოლს და არც ქმარს ხმა არ ამოუღიათ, ამ ფათერაკის შემდეგ ერთმანეთს არ დალაპარაკებინან. ორივე ჩუმად ისმენდა მეზობლის ნაამბობს.

კახელაშვილი თავის თავსაც ამტყუნებდა და ცოლსაც ცოლი დამნაშავე იყო, რადგანაც შვილს ვერ მოუარა და თავის ჯიუტობას ანაცვალა. საკუთარ თავს ამტყუნებდა, ამ ჯიუტმა დედაკაცმა უნდა მოეგონა და თავის ქვუაზე იარაო.

თამარი მთლად გამშრალი იყო. შვილისადმი სიბრალული, დედის გრძნობა და ფიჭრი იმაზე, რომ ახლა ყველა მას გაამტყუნებდა, ერთმანეთში ჰჭონდა არეული.

ცოლ-ქმარმა უკვე იცოდა, ბავშვს აღარაფერი ეშველებოდა და დარდიან გულით ამ მარცხის დამნაშავეს ეძებდა. ქმარი ცოლს ამტყუნებდა. ცოლი გრძნობდა მე გამოვალ დამნაშავეო. ის კი ველარ გადაეწყვიტნა მართლა იყო დამნაშავე თუ არა. ფიჭრობდა ქვეყნათ თუ გამომჩნდება ერთი ადამიანი მაინც, რომელიც მხარს დამიჭერს და გამამართლებსო. ქმრისთვის ვერ შეეხებინა, ეშინოდა, თუ შეეხებო ვაი თუ ისეთი სიტყვა მითხრას, რომელიც ფინთიხი იქნებაო. თავს ისე გრძნობდა, თითქოს გემსით სავსე ბუშტი ყოფილიყო. ერთი უბრალო შეხება გახეთქავდა ამ ბუშტს და დაინთხეოდა.

ავადმყოფის გვერდით, ქმრის პირდაპირ მჯდომ თამარს არაფერი გაეგებოდა. მის გარშემო ქვეყანა დაინთქა და დარჩა მხოლოდ სივრცე, რომელიც საავადმყოფოს სუნს გაეცო. თამარი მხოლოდ ეჭიმების მოსვლას იგრძნობდა ხოლმე და მათ შესცქეროდა უიმედო იმედით.

თამარსაც ეგონა, თითქოს ეს პატარა უდანაშაულო არსება, მისი სისხლხორცი, მისი ლვიძლ-ნადები, თავის პატარა დამწვარ თითს ჩემსკენ იშვერსო... და ამ ფიჭრთან ერთად თამარისაკენ მიშვერილი იყო მთელი მსოფლიოს ფიჭრები.

13

მესამე დღეს, იმავე შუა კაცმა, პატარა ბიჭმა, ნინოს სამი კაკაბი და ხოხობი მოუტანა. თითონ ილო კი მაინც არ გამოჩნდა.

მარგოსათვის ცხადი გახდა — ილოს სურდა ოჯახში დაბრუნება, მაგრამ რაღაცა უშლიდა ხელს. ეს რაღაცა თითონ მარგო იყო. ილოს სცხვენოდა მისი. ნანადირევის გამოგზავნით იგი პატივს სცემდა ცოლის დას და ამით ცოლის გულის მოგებაც სურდა.

წინადაც გრძნობდა მარგო, ჩემი აქ ყოფნა მეტიაო. ახლა კი, რაც დრო გადიოდა, უფრო რწმუნდებოდა ამაში. რის გაკეთებაც შეეძლო, უკვე გააკეთა თავისი მოსვლით. ახლა კი განხირული იყო ცოლ-ქმარს შუა და მათი ტრაგედიის მშვიდათ დასრულებას ხელს უშლიდა.

ნინო კი მიხვედრილი იყო, ქმრის დაბრუნება მათს ტრაგედიას კომედიათ გადააქცევდა და ნინოს ცხოვრება სამუდამო დრამად დარჩებოდა. ამ დრამაში ნინო შიშით, უსიყვარულოთ და შეგნებულად თითონვე

პყოფდა თავს. მარგო ამას ამართლებდა. ამართლებდა იმიტომ, რითაც თითონ ნინო: „ახლა ვიდას რალად უნდოდა“.

მარგოს მესხიერებაში ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი მარგოს მარგოს მარგოს ხუმრობით ნათქვამი სიტყვები დედილისა.

— კარგად იზანავე, გოგოვ, მაგან უნდა ვაცხოვროს!

მაშინ მარგო მოჩიტებული ქალი იყო, გათხოვების ფიქრით არ ჰქონდა დაწყებული. დედილის ამ სიტყვებმა მარგოს ის დაუდასტურა, რაც ცხოვრებაში ენახნა და გაეგონა. დედილის სიტყვები კვერს უკრავდა დედის ხშირად გამოთქმულ იმედს: ვენაცვალე მარგოს. გათხოვება დაუგვიანდა, მაგრამ ყველაზე ლამაზი ესა მყავს, კარგა გათხოვდებაო.

ილოს გამოგზავნილ ფრინველის კეთებაში გართულს ორივე დას ხელები ბუმბულში ჰქონდა, როცა ეზოში უეცრად ილოს გვარი დაიძახეს. ნინო ხელების საჩქარო წმენდით გავიდა გარეთ.

— აჰა, წერილია შენთან! — უთხრა დას, როცა სამშარეულოში დაბრუნდა ხელში კონვერტი ეჭირა. ალერსიანი და სიყვარულიანი ღიმილით შეხედა დას. — იმისაგან არის?

— ჰო, იმისია. — დარცხვნილ უბასუხა მარგომ. ხელები უკანკალებდა, როცა წინსაფარზე იწმენდაედა. — იმისია. დამპირდა, ყოველდღე მოგწერო და აგერ თვენახევარია არა მოუწერია რა. — დას წერილი ჩამოართვა და თავის ოთახში შევიდა, წერილი გულდასმით წაეკითხოო. ამ მოკლე ხანში ვიდრე დას ელაპარაკებოდა და ვიდრე ოთახამდის მივიდოდა, მარგოს იმავ აზრმა გაუელვა თავში, რაც მრავალჯერ მოსეღია.

— რატომ აქამდის არ იწერებოდა წერილს, ნუ თუ მართალია როგორც თვალით შორს, ისე გულით?

სურდა წერილის ყოველ სიტყვაში, სტრიქონებს შორის, ასთების შეაში ამოეკითხნა ყველაფერი, რის დამალეაც შეეძლო მელიტონს, მაგრამ როცა წერილი წაეკითხა, მის გონებაში ყველაფერი აირია.

წერილი მართლაც სამწუხარო გამოდგა. იქ სიყვარულის სიტყვები და ხანძრის ამბავი ერთმანეთში იყო არეული. წერილში მელიტონი თან სჩიოდა, დაეილუბე, აღარაფერი გამაჩნიაო, თან ჰპირდებოდა — დედოფალსავეთ შეგინახავო და სწუხდა მეშინიან ჩემზე ხელი არ აიღოო.

ქალს გული სისხლისაგან დაეცალა.

— მეწვია უბედურება. იქიდან არა, საიდანაც ველოდი, მაგრამ მაინც მეწვია. — გაიფიქრა მარგომ და ფიქრის უნარი დაჰკარგა. დიდხანს იჯდა უფიქროთ, უსაზროთ. წერილი მუხლებზე ედო. თავს ისე გრძნობდა, თითქოს რალაც სიცარიელეში იყო ჩავარდნილი, სადაც არა ბნელოდა, მაგრამ მაინც არაფერი სჩანდა: წარსულიც დაილუბა და მომავალიც გაჰქრა.

შემდეგ მოუფიქრებლად, ხელის მეჭანიკური მოძრაობით წერილი ასწია და ბოლო სტრიქონები ერთხელ კიდევ წაეკითხა.

ყველაფერი დაგვარგე, თითქმის გლაზაკი გავხდი, მაგრამ ერთი სიმდიდრე მაინც დამრჩა. ეს სიმდიდრე ყველაფერია და იმიტომ იმედიანად ვარ. იგი შენა ხარ. იმ ღამეს ჩემი პირველი უბედურება შენვე წასვლა იყო, მეორე კი ხანძარი. ეს ორივე უბედურება ერთ ღამეს გადამხდა, მაგრამ შენ დამრჩი. ამით ვარ ბედნიერი და ეს ბედნიერება ათასჯერ ძლიერია, ვიდრე მთელი ქვეყნის უბედურებაო. — ასე ათავებდა წერილს მელიტონი. კომერციული საიდუმლოება ყოველთვის დაფარული უნდა იყოს, ამ წერილშიც არ უღალატა მელიტონმა თავის თავს. საყვარელ არსებასაც კი არ ამცნო თავისი ნამდვილი მდგომარეობა.

მარგოს კი გაღატაკებულ საქმროს სამიჯნურო სიტყვები ბავშვური სისულელე ეგონა.

— უტეინო! — წაილაპარაკა მარგომ და წერილი გადისროლა.

ეს სიტყვა „უტეინო“, შესამე უბედურება იყო, რომელიც წერილის ავტორს ეწვია.

14

გონება-დაკარგულ და მკენესარე შვილის სასთუმალთან სამი დღე-ღამე ისხდნენ მშობლები, გაჩუმებულნი, უსიტყვონი.

გამოქანდაკებულივით მჯდომი დედა მხოლოდ შვილის კენესაზე შეკრთებოდა ხოლმე. რასაც თამარი განიცდიდა, მარტო თითონ იცოდა და სხვა ვერავინ გაიგებდა. ქვეყანა მისთვის აღარ იყო, რადგანაც ქვეყანა მისგან პირს იბრუნებდა. ხოლო მძიმე ასატანი იყო ქმრის სიჩუმე. ამ სიჩუმეში ჩამარხული იყო საყვედური. კახელაშვილს ხმა რომ ამოელო, ეყვირნა, ელანძნა, ნიშნი მოეგო, თუნდაც ეცემნა კიდევ, ქალი პასუხის გაცემას მოახერხებდა, გაჩაღდებოდა ბრძოლა და დარდი დამსუბუქდებოდა. ახლა კი სიჩუმე, მძიმე დუმილი, სიკვდილივით დააწვა ყველაფერს და თვით სიკვდილიც ხომ შვილის სარეცელზე იყო დადებული.

მეოთხე დღეს ბავშვმა ხმა ამოიღო, მოიხედა, თითქოს უკეთესობა დაეტყო.

დედას იმედი მიეცა და თვალეში სიცოცხლე ჩაუდგა, გაახარა დედა შვილის გადარჩენის იმედმა, მაგრამ გულს წყლული არ მოშორდა: დაღი დამნაშავესა, მუდმივი საყვედური შვილის მამისა, პასუხისმგებლობა და სახიჩრებელი შვილის წინაშე სამუდამოდ დარჩებოდა. ყველაფერს ამას მოითმენდა და აიტანდა ადამიანი-დედა, ოღონდ შვილი გადარჩენილიყო, დამშვიდებულიყო დედა-ადამიანი.

— არ მეშინიან! — დაილაპარაკა ბავშვმა.

— რისა უნდა გეშინოდეს, შვილო? — ჩაეკითხა მამა.

— არ დავიხრჩობი. ვიცი, ვიცი. პაპა რომ მოკვდა და მიწაში ჩაღვეს, შემეცოდა: იქ ხომ დაიხრჩობა მეთქი.

— მერე?

— მე არ დაეიხრჩობი. ვიცი, ვიცი. მოვკვდები. შენ იტყვი მამა? — ბავშვი მამას ელაპარაკებოდა, რადგან თუმცა გახარებულ, მაგრამ მაინც მთლად გამოცვლილ სახეს დედისას შვილი ველარა სცნობდა.

მამამ თვალეში ჩახედა შვილს და მიხვდა, შვილი მართლაც ამოიზდა; კახელაშვილებმა ექიმებისაგან უკვე იცოდა, მისი შვილი ველარ გადა-
რჩებოდა. ბავშვის ლაპარაკი კი გამოფხიზლება იყო სიკვდილის წინ.

მამამ ამოიოხრა და დინჯად უპასუხა:

— არ ვიტყვებ, იმიტომ რომ მეც შენთან წამოვალ.

— დედა? — ჰკითხა გახარებულმა ბავშვმა. სურდა დედაც თანა ჰყო-
ლოდა.

— დედამ იმსახუროს. — ცივი ხმით უპასუხა შვილს მამამ.

გულჭება, ღვარძლით სავსე სიტყვა ადამიანისა, გამარჯვებული ადამიანისა და ამიტომ გადესპორტებულისა შეუბრალებელი იყო თავისი დამცინაობით და გამარჯვებულის ზეიმით.

კახელაშვილი მართლაც ზეიმობდა. დარდას და ბოლმასთან ერთად ზეიმობდა კიდევ. გამართლდა მისი სიტყვა, დამარცხდა თამარი. ახლა მის ფეხთ ქვეშ ეგდება. ასრულდა კახელაშვილის წინასწარმეტყველება — მოხდა კატასტროფა, რომლითაც აშინებდა ცოლს და რომლის იმედი და მოლოდინი თითონაც არა ჰქონდა.

ქმრის სიტყვები ის იყო, რასაც ელოდა თამარი — გამტყუნება, ბრალდება, განაჩენი. მაგრამ ამ სიტყვებში არ იყო არც ლანძღვა, არც ყვირილი, არც გინება, არც ცემა. არ იყო ის, რასაც შეეძლო თამარი საბრძოლველად გაეწვია. სიტყვა იყო მახვილივით ცივი და მჭრელი, თანაც დამცინავი და ღვარძლიანი. გამარჯვებულმა მამაკაცმა მომაკვდავი შვილიც არ დაინდო და მისი სიკოცხლის უკანასკნელ წუთებში გააგვინა შვილს — დამნაშავე დედათ.

თამარმა ქმარს ვერაფერი უპასუხა. სამი დღის ნატანჯს, გონება გამოფიტულს, დაშინებულს სწორეთ იმითი, რაც ახლა გაიგონა, საპასუხო კერაფერი მოესაზრნა.

ქმრის სიტყვები დასკვნა იყო ამ სამს დღეში განცდილისა და თუ თვით განცდებს ვერ აძლევდა პასუხს, რაღა პასუხის გაცემა შეეძლო ამ განცდების დასკვნაზე?

თამარი შვილის კუბოს მისდევდა ისეთივე გამშრალი, როგორიც ამ სამ დღეს იჯდა შვილის საწოლთან საავადმყოფოში. მისდევდა კუბოს, იცოდა სადაც მიდიოდა და კი ვერ შეეგნო, სად იყო, რა ხდებოდა მის გარშემო.

თამარმა იცოდა ყველა მას ამტყუნებდა, მაგრამ ქმრის საქციელთან შედარებით ეს არაფერი იყო. ქმარი მულამ იჭებოდა მისი შესაყვედურე, კიდევაც რომ გასცლოდა ქმარს, თავს მაინც ვერ დაიხსნიდა. თამარი ამით დაადასტურებდა თავის სიმტყუნეს და თან წაიღებდა მას.

საფლავის პირად, უკანასკნელ გამოთხოვებისას, მკვდარი შვილის სახეს პირველად დააკვირდა. ცეცხლს სახე შეჰბრალებოდა და უდევნიან ბინა, მხოლოდ ლოყები იყო აწითლებული და ეს სიწითლე ჰქონდა ჯიშისა და ხეცის სახეს უფრო აღამაზებდა. მშვიდი, უტანჯველი იყო სახე, თითქოს მძინარისა. ვარდისფერი ტუჩები ისე ჰქონდა მოკუმული, თითქოს ამბის მთელ სერიოზულობას გრძნობს ეს პატარა ბავშვი.

დედა დასწვდა და აკოცა ამ ტუჩებს, ჩუმად, უცრემლოდ, უხმოდ. კახელაშვილი კი გამწარებული ღრიალებდა და კუმოს თავს ახლიდა.

და როცა ყველაფერი გათავდა, როცა დაცარიელებულ სახლში დაბრუნდნენ კახელაშვილები, მგლოვიარენი და დარდიანები, თამარმა უფრო მწვავედ იგრძნო ყველაფერი.

მარგო და ნინო იმავ საღამოთი მოულოდნელმა წივილმა დააფრთხო, ისევე, როგორც ამას წინათ ბავშვის ტირილმა.

როცა დები ამ ხმაურობაზე კახელაშვილების ბინაში შევიდნენ, ნახეს — თმაგაწეწილი თამროს ბროლსავით მბრწყინვალე თვალები სადღაც დაუსრულებელ სივრცეში იცქირებოდა და წიოდა, ადამიანისა მას აღარაფერი ეტყობოდა, გარდა სხეულის მოყვანილობისა...

(გაგრძელება შემდეგ №-ში)





ა. ალაშია

კოლხიდის ქრონიკები

1. რიონის გადაბდება ნაბაღაში

ისე-ვით ქვეყნის გაჩენა თუნდაც
მზემ გაამზილა, გაათბო შემდეგ, —
ქალაქს თან სდევ და შენ მაინც სძულხართ,
მაინც კრულვა და წყევლაა შენზე!

მართლა ვინ იტყვის რომ შენი გარჯა,
ტალღების დენა ასე უშტარი!

მხოლოდ წარსულის ლეგენდათ დარჩა
და ხარ ქრილობა მოუშუშარი...

მართლა ვინ იტყვის — პირველ ხალისის,
პირველ სიმღერის ცეცხლი არ იყო! —

შენს ნაპირებზე წამოდგა ხალხი...

შემდეგ? ღიმილი რომ ჩამქრალიყო

და გამქრალიყვნენ თითონ ლანდივით, —

რამტენჯერ იყავ ნაპირმოხსნილი

და დამბებიდან ამოვარდილი!..

ეს მხოლოდ ახლა და მხოლოდ ჩვენ დროს

ისიც მარტოდენ ჩვენივე გოჯით, —

შენ ხელშეორედ გაჩენა გერგო

და უჩვეულო გზით ჩასვლა ზღვაში...

და მხოლოდ ახლა დაშრება ფშანი, —

ჩვენი თაობის ურყევი ნებით —

ჩაველნ შვე ზღვაში ისევე შავი,

მაგრამ სულ სხვა გზით — ტალღები შენი!

ის მხოლოდ ახლა და ისიც ჩუმად,

უხმაუროდ და თითქო არ იმჩნევ, —

მოვიდენ შენთან და ასე უმალ

გზა შეგიკრეს და დაგიმორჩილენ...

გზა შეგიკრეს და შენც ველარ ურჩობ
და შენ სულ სხვა გზით შეერთვი შავ ზღვას...
შენ, ნაბადაში გადავდებულო,
ასი ათასის წლის ახალგაზრდავ!..



ქართული
ენების
პრობლემატიკა

2. კოლხიდის ღამე

ამ ცისკრიან ღამის ციმციმს
ვინ აუღო ნეტავ თარგი!

ცა ნამვალა მთვარის სხივით,
ვარსკვლავებით მონაქარგი...

ნეტავ როდის დაიბადა
ასე სუფთა, ასე დიდი, —

მოცქრიალე და კამკამა
ვარსკვლავებით მოჭედილი!

ამ ფრინველთა ღამის ელურტულს
და კვათარის პირველ ძახილს, —

შეეგება ტყე დაბურულ
ტოტებით და ფარჩის კაბით...

ამ ღამეში სადღაც ფშანთან,
ან ლელიან ველის პირთან,

მირჩენილი ერთი ყანჩა
კენესოდა, — და მიიძინა...

მიწყდა ეს ხმა, მიწყდა სადღაც,
როგორც ხევში ნამებარი

და კოლხიდის ცის ქვეშ ახლა
უღიმღამო ღამე არი!..

3. წყალში ჩადგმული მისი აკვანი


შემოითენა და რა ცქრიალა,
რა გასარკული დღე და ცა არი!

ხემაც ტოტები შეაშრიალა,
რომ შეუმშრალოს ბალახს ცვარნამი...

ეს გაზაფხულის დილა ქათქათა
და ეს დილის მზე ასე დიადი, —

აღმათ უკვდავმა ხელმა დახატა,
როგორც უკვდავი დღის განთიადი!

გააფენს ველზე სხივების ზეწარს
და ცალი თვალით ჩახედავს ხრამებს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი ზვიადად ამოიწვერავს,
ამოვა შემდეგ და გაგვახარებს...
ამოვა შემდეგ ისევ მცხუნვარე
და ერთი ფერით — მე ასე მჯერა, —
ტყე-ველს, კლდეებს, მთას, ხევს და უღრანებს
მოქოვს, დახატავს სხვადასხვაფერად!
შეაფრქვევს სხივებს სულ სხვადასხვაფერს
ჭადრებს, ალვისხეებს, ლაქაშს ლელიანს
და გაჩენიდან მზეს სიმზურვალე,
კოლხეთს — წყალი არ გამოლევია!
უთუოდ მთიდან მოვარდნილ ლანჭერს
შეუღლწია კოლხიდის კარი!
და შემდეგ სტუმრად მიმოვლილ მგზავრებს
უდიდებიათ იგი ზღაპართ, —
მაგრამ ვერავინ ვერ დაარწია
წყალში ჩადგმული მისი აკეანი!..
ის ლეგენდა და ზღაპარი მოკვდა
და შენი გული უფრო შევდება!
ეს — ჩვენმა ძალამ გამოიგონა
შენი დარეცხვა და შემშრალება...
ყოველ კისმარე და უთენიას,
რომ დაგარბევენ ჭადრის ტანივით, —
შენთვის ხანძარი გაუჩენიათ,
შენი გულიდან გამოტანილია!
ახალ სიმღერას იტყვიან შენზე, —
მზის ერთი ფერი — მე ასე მჯერა!
დიდი კოლხიდის ფარჩიან ველებს
მოქოვს, დახატავს სხვადასხვაფერად...

4. ხილთა ძიება

შემოდგომისას, ზაფხულ და ზამთარს,
რომ შეიცვლება გარემო ოთხჯერ, —
ზოგიერთ თქვენგანს უფლება დარჩა
დაიშროს სისხლი, ან და სულ მოხმეს!
როცა გაწეება ზამთრის ყინვები
ალარ სტირიან ფოთლების ცვენით —
ინდოეთის და სამხრეთ ჩინეთის
და მაიორკის კუნძულის ხენი...

თქვენ შემოალეთ კოლხიდის კარი,
 მის დაბადებას თქვენც ხო მოჰყევით;
 თქვენი ლოყები კანდაუმსკდარი
 და უმწიფარი თქვენი ლოყები, —

რომ ელვარებენ შველის თვალივით
 და შრიალებენ სულ წლიდან-წლამდე!..
 დაიფურჩქვნეთ და დაიზარდენით
 მუდამ შრიალა და მუდამ მწვანე!

და მთელი წელი მზიან დარივით
 ხარობს, ვერ უხმობს ყლორტებს დრო-ჟამი, —
 ეს ფორთოხალი, ეს მანდარინი
 და ეს ლეიმი ნარინჯოვანი...

თქვენ შარიშურით გამოიზამთრებთ
 ქედს არ მოუხრით სუსხს და იანვარს! —
 დაიფურჩქვნეთ და დაიზარდენით
 მუდამ მწვანე და მუდამ შრიალა...

მეც ერთი ღამე თქვენთვის ვიღარდებ
 რომ შემერხია თქვენი წიალი, —
 დაგყარათ ყველა ჩემს მაგიდაზე
 ყუნწდაწყვეტილი და ყუნწიანი...



ეროვნული
 პენალისტთა
 კავშირი



მ. მენაბდე

ვიქტორ ჰიუგო

1

ორმოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ვიქტორ ჰიუგო.

დიდ ისტორიულ ეპოქაში მოუხდა ვ. ჰიუგოს ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაპოლეონის დაცემა, რეაქცია, რევოლუცია, პარიზის კომუნა — ყველა მწერალზე მეტად ვ. ჰიუგომ განიცადა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მწერალი მთელი თავისი არსებით ისე არ იყო დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან, როგორც ვ. ჰიუგო.

ბონოპარტიისტი, როიალისტი, მაგრამ არა მტკიცე, იაკობინელი — 1893 წლის კონსტიტუციის მოთაყვანე, რესპუბლიკელი, უტოპისტ-სოციალისტი, ოპტიმისტი, მომქმედი, მოაზროვნე, მაგრამ არა ფილოსოფოსი, სატირიკოსი, მკვერმეტყველი, ტრიბუნი, ბარიკადებზე მებრძოლი, ემიგრანტი, — აი რა იყო ვ. ჰიუგო.

ამავე დროს იგი იყო უდიდესი ესთეტიკოსი, ფრანგული ლექსისა და პროზის ვირტუოზი და ნოვატორი, რომანტიკოსი ფორმაში, უაღრესი რეალისტი თემატიკაში. მან შეასუსტა ფრანგული კლასიციზმის გავლენა, რაც საგრძნობი იყო დრამა „ერანში“. ლაქია და ყაჩაღი კორნელისებური გმირობით აღჭურვა და მეფისა და პერკოვის მეტოქედ გამოიყვანა. დრამის ზუთი პრინციპის წამოყენებით მან დაგმო კლასიციზმი და ლიტერატურულ ლიბერალიზმად რომანტიზმი გამოაცხადა. მან რომანტიული დრამა და რომანი სრულქმნილი გახადა. რომანტიზმის ბანაკიდან კლასიციზმის წინააღმდეგ მებრძოლმა, მან ამავე დროს რეალიზმის საქმეც გააკეთა: დრამას საფუძვლად სიმართლე დაუდო, პოეზია ზეციდან მიწაზე ჩამოიყვანა, რომანში სოციალური ცხოვრების ასახვა დაიწყო.

მრავალფეროვანია ვ. ჰიუგოს ლექსის, პოემისა და პროზის თემატიკა და ფორმა. სამართლიანად დაიმსახურა მან „პოეტი-მზის“ სახელი. ვირტუოზია იგი ლექსში, პოემაში, რომანში. მისი გენიის სიდიადე კიდევ იმაში გამოიხატება, რომ მისი მიმდევრები თითონ გახდნენ ლიტერატურული

მიმდინარეობის დიდ წარმომადგენლებად. „ისინი გახდნენ მანკალებლებად, როგორც ალექსანდრე მაკედონელის სარდლები შეფევედად“ (პელისიე). საკმაოა დავასახელოთ ალფერდ დე-მითენის ^{სწავლის} ^{სწავლის} ^{სწავლის} ლირიკული ლექსებით და დრამებით, ლამარტინი — სასწავლო ფსიქოლოგიური რომანებით, ბოდლერი — თავისი დენდიზმით, რომელიც ვ. ჰიუგომ ჰუმორით გამოხატა: „მე მიყვარს ობობა და ჭინჭარი, რადგან იგი საზიზღარია“, ფლობერი — თავისი „სალამბოთი“, რომელიც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ გავლენას განიცდის.

ვ. ჰიუგოს მამა ნაპოლეონის გენერალი იყო, ხოლო დედა — როიალისტი. მამამ ჩაუნერგა პატარა ვიქტორს ნაპოლეონისადმი სიმპატია, დედამ ვერ შესძლო ამ სიმპატიის აღმოფხვრა. ვიქტორი მოწმე იყო რამდენიმე კოალიციისა ნაპოლეონის წინააღმდეგ, მოწმე იყო რუსეთისა და პრუსიის ჯარის პარიზში შესვლის, აუსტერლიცის, ვატერლოოს, ნაპოლეონის დატყვევებისა. ვ. ჰიუგოს სიყრმიდანვე უყვარდა ნაპოლეონი, უყვარდა იგი, როგორც რომანტიკოსს. მისთვის ნაპოლეონი მარადიულობის ემბლემა, ზეკაცია, დემონი და ლომი იყო, რომელმაც დაწყვიტა ბორკილები. ნაპოლეონი დაეცა, მაგრამ ამ მდგომარეობაში იგი უფრო დიდი იყო, რადგან „სახელი იზრდება, როცა ადამიანი ეცემა“. ჰიუგოს ოდებში არის ლექსი „ორი კუნძული“. იქ იმყოფებოდა ნაპოლეონი და იქ მოკვდა იგი. ამ ორი კუნძულიდან ერთი ელბაა, მეორე წმ. ელენეს კუნძული. „აღმოსავლეთის მოტივებში“ არის ლექსი „იგი“. პოეტი ხოტბას ასხამს ამ ტიტანს:

„მუდამ იგი, ველგან იგი,
სახე მწველი და ხან ცივი.
განუწყვეტილ მიზნებს აზრებს.
იგი ანთებს ჩემს ღრმა გულში
სასიკოცლო აღმაფრენას,
მე ვკანკალებ და სიტყვები
ნაკადივით მოსდევს ენას“.

ვ. ჰიუგო აღფრთოვანებით ხედება 1840 წელს პრინც ჟოინვილის მიერ ნაპოლეონის ნეშტის საფრანგეთში გადატანას და ინვალიდთა ოტელში დაკრძალვას.

ნაპოლეონის კულტი არ არის ვ. ჰიუგოს რევოლუციური მისწრაფებების ნაყოფი. იგი ჰიუგოს რომანტიკული განწყობილების ნაყოფია: ნაპოლეონი ტიტანია და მისი სახელი უკვდავია. მან დაამსხვრია ფეოდალიზმის ბორკილები, ისე, როგორც ვ. ჰიუგომ ფრანგული კლასიციზმის ბორკილები ლიტერატურაში. მაგრამ დაეცა ნაპოლეონი. გამეფდოლნი შე-18. ვ. ჰიუგოს აღარ სცალია ნაპოლეონის სადიდებლად. მას აფიქრებს საფრანგეთის ბედი: კოალიცია, ომები, ხალხისა და მეფეების განადგურება. ყოველსავე ამას ბოლო უნდა მოეღოს და ეს მეფემ უხდა იყისროს. 1824 წელს გარდაიცვალა ლუი მე-18 და მეტობა ბურბონთა

გვარეულობის მემკვიდრემ კარლოს მე-10-მ იკისრა. ვ. ჰიუგო მისგან მოელოდა ხალხის ხსნას, მაგრამ დაინახა, რომ ეს მეფეც კედლებდა ფეოდალიზმის რესტავრაციით კაპიტალიზმის განვითარებას ვეფერებოდა, რასაც შედეგად მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის შეზღუდვა მოჰყვა.

დადგა 1830 წელი. დადგა რევოლუციის დღეები — 27, 28 და 29 ივლისი. კარლოს მე-10 ინგლისში გაიქცა. ვ. ჰიუგო ამ დროს ბურბონებს მიმართავდა და მოითხოვდა მეფეს და კონსტიტუციას: „მე პატივს ვცემ ქარტიას და მის მხსნელ მუხრუქს. მე ვკითხვლობ „კანონთა სულს“ და ვადიდებ ვოლტერს“.

როიალისტური განწყობილება მოცემულია ვ. ჰიუგოს „აღმოსავლეთის მოტივებში“ (1823). აქ პოეტი ამჟღავნებს იმ მეფისადმი სიყვარულს, ვისაც უნარი შესწევს კმაყოფილი ჰყავდეს ხალხი, ვისი სახელმწიფოც მთლიანი და ძლიერია, სადაც ადგილი არა აქვს ქიშპობას. ასეთია საბერძნეთი, რომელსაც თურქები ვერ იპყრობენ. იგი არა ჰგავს ზნედაცემულსა და უზადრუც ავსტრიას. როიალისტი ჰიუგო არ იყო ისეთი მებრძოლი, როგორც იაკობინელი, რესპუბლიკელი. მან დაინახა ის ქაოსი, რომელიც კარლოს მე-10 დროს გამეფდა.

ივლისის რევოლუციას როიალისტი ჰიუგო აღფრთოვანებით შეხვდა და ეს ბუნებრივი იყო, რადგან „ივლისის რევოლუცია ახლოს იდგა რადიკალური ბურჟუაზიის გულთან საფრანგეთში მე-19 საუკუნის ყველა რევოლუციებს შორის“ (მარჭი). ჰიუგო ბურჟუაზიის ამ ფრთას ეკთვნოდა და ის პოლიტიკური მერყეობა, რომელიც მან 1848 წლის რევოლუციამდე განიცადა, სწორედ მისი ამ წვრილბურჟუაზიული ბუნებით აიხსნება.

ჰიუგომ დაინახა, რომ რევოლუციამ რესპუბლიკა ვერ დაამყარა, რადგან მსხვილმა ბურჟუაზიამ არ ინება ეს: მან მეფედ ორლეანელი ჰერცოგი დასვა. ლუი-ფილიპეს გამეფებით დამთავრდა ბურბონების მეორე რესტავრაცია. ჰიუგოს ეგონა, რომ ეს მეფე შესძლებდა ქაოსის მოსპობას, რადგან იგი ადამიანი იყო: წაართმევთ ლუი-ფილიპეს მეფობას? დარჩება ადამიანი, ადამიანი კი კარგია“ *). იგი იყო გარედან ანგელოზი, შიგნით ბურჟუა“.

ოპოზიციონერი როიალისტი ჰიუგო 1834 წელს სწერს ეტიუდს ნირაბოზე. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელიც მან რევოლუციური დემოკრატიისაკენ გადადგა. ლუი-ფილიპემ დააფასა, მისი სიმპატია და პოეტს საფრანგეთის პერობა უბოძა.

მაგრამ ჰიუგო მაინც ოპოზიციაში ედგა მონარქიას, რადგან ბოლოს დარწმუნდა, რომ ლუი-ფილიპეს არ შეეძლო დემოკრატიის დაკმაყოფილება. მან იგრძნო, რომ წვრილი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გაყვლეფის მიზეზი მსხვილი ბურჟუაზია იყო. ფსიქოლოგიურ მოთხრობაში

*) „Les Misérables“, t. V, p. 21.

„კლოდ გე“ ავტორი იძლევა ღარიბი ხელოსნის განკლდეს, — ხელოსნის, რომელსაც ქურდობის გამო სიკვდილი მიუსაჯეს. ამ პატარა მოთხრობაში ავტორი სვამს სოციალურ საკითხს. ქურდობა მას მიაჩნია სოციალურ ბოროტებად, რომელიც მსხვილი კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში განვითარდა. ლიბერალი ჰიუგო სიდატაკისა და მისი შედეგის — ქურდობის მოსაპობის საშუალებად მხოლოდ ბიბლიასა და განათლებას სთვლიდა. ამ საკითხს აყენებს ივლისის რევოლუციის შემდეგ იაკობინელი ჰიუგო.

სოციალურ ბოროტებად აღიშართა მის წინაშე საყოველთაო პაუპერიზმი და მისი შედეგი — ქურდობა, პროსტიტუცია და სახრჩობელა. ეს მოვლენა უფრო გახშირდა მსხვილი ბურჟუაზიის გარეაქციონერების შემდეგ. ჰიუგო მის აღმოსაფხვრელად გამოდის არა პოლიტიკური რევოლუციის, არამედ ჰუმანიზმის დროშით. მისმა ჰუმანიზმმა გაათბო სუსტისა და დაჩაგრულის გული. ამით აიხსნება ის, რომ მისი „საბრალონი“ და „კაცი, რომელიც იცინის“ დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას, დღესაც ინტერესით კითხულობს მათ მსოფლიო პროლეტარიატი.

2

1848 წლის რევოლუციიდან განმტკიცდა ვ. ჰიუგოს პოლიტიკური პოზიცია. მის მერყეობას ბოლო ედება: იგი საბოლოოდ რჩება რესპუბლიკელი, მონარქიის მტერი. ლუი-ფილიპე ინგლისში გაიქცა და ბურჟუაზიამ რესპუბლიკის პრეზიდენტად ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე აირჩია. ჰიუგომაც თავის მხრივ მას მისცა ხმა. ნაპოლეონის არჩევის დღე პოეტმა დიფერამბებით აღნიშნა. მაგრამ ეს გაიძვერა და პატივმოყვარე პრეზიდენტი მეფობაზე ოცნებობდა. 1851 წელს, 2 დეკემბერს მან დაშალა ნაციონალური კრება და დააბათიმრა დეპუტატები. ჰიუგო ხელიდან გაუსხლტა. მან არალეგალური მუშაობა დაიწყო.

1852 წელს ბონაპარტემ თავისი თავი იმპერატორ ნაპოლეონ მესამედ გამოაცხადა. ჰიუგო გაიქცა ბელგიაში. ბრიუსელი, ჯერსეი, გერნსეი და ლონდონი, — აი ის ადგილები, სადაც პოეტმა 20 წელიწადს დაჰყო. აქ ჩაატარა მან ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. აქ დაიწყო მან პოლიტიკური პამფლეტებით და სატირებით ბრძოლა მეორე იმპერიის წინააღმდეგ. აქ დასწერა „სასჯელი“ და „პატარა ნაპოლეონი“. აქ დასწერა „ერთი დანაშაულის ისტორია“, რომელშიაც დიდი სიცხოველითა და დამაჯერებლობით გამოხატა ნაპოლეონ მესამის მიერ მოხდენილი გადატრიალების, მის წინააღმდეგ ბარიკადებზე ბრძოლის, არალეგალური მუშაობის სურათი.

პოეტი ივიწყებს პირადობას. მისი ოცნება და იდეალი მხოლოდ რესპუბლიკაა. პოეტი ხედავს შორიდან წერტილს, რომელიც იზრდება ყოველ წუთს. „ოკ, მსოფლიო რესპუბლიკავ! დღეს შენ ნაპერწყალი ხარ, ხვალ მზე გახდები“.

ემიგრაციის პერიოდში პოეტმა უფრო ღრმად შეიხვეწა ცხოვრება, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა იგი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობას. მას ესმოდა რევოლუციური მოძრაობის ზრდა ევროპაში, რტი გაეცნო ხალხოსნურ მოძრაობას რუსეთში. სწერდა პერსიენს აღმერთოქანებით სავეწ წერილებს. ღრმად გაეცნო სენ-სიმონისა და ფურიეს უტოპიურ იდეებს. ამ იდეებმა ჩამოქნა მის მსოფლმხედველობაში უტოპიური სოციალიზმი.

1863 წელს პიუგო სწერდა გარიბალდის:

„რასაც თქვენ სწერთ, სწორია, და მე მინდოდა მილიონი სული მქონოდა, რომელიც მილიონ თოფს უნაყოფოდ გახდიდა. მე მინდოდა მქონოდა მსოფლიოს თანხმობა, რომელიც უნაყოფოდ გახდიდა ომს. მე ველოდები თქვენი დაპირებისამებრ ხალხის აღდგენას“).

მაგრამ ლიბერალ პოეტს არ ესმოდა, რომ ხალხთა აღდგენა შეუძლებელია პოლიტიკური რევოლუციის გარეშე. გარიბალდისადმი მიწერილ წერილში ამგვარად ამტკიცებს იგი უტოპიურ შეხედულებებს: „თავისუფლება აზრის მიერ, რევოლუცია ცივილიზაციის მიერ — ასეთია ჩვენი, ე. ი. ჩემი და თქვენი მიზანი“. და ბოლოს: „მაგრად გართმევთ ხელს, ნამდვილო გმირო“.

სამოციან წლებში გაძლიერდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობა. გამოვიდა კ. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“, დაარსდა პირველი ინტერნაციონალი, რომელსაც სათავეში კარლ მარქსი ჩაუდგა. ე. პიუგო გაეცნო ამ დიდ ისტორიულ ამბავს. მან არ მიიღო საერთაშორისო ამხანაგობის ბრძოლის მეთოდი. მან არ მიიღო მუშათა კლასის განთავისუფლება რევოლუციის, ბურჟუაზიის დამშობის გზით. ამის გამო მარქსი წერდა ენგელსს:

„მთავარი ისაა, რომ ქვეყნის კონგრესის დიდი ადამიანებიც — ე. პიუგო, გარიბალდი, ლუი-ბლანი და სხვები აშკარა სიძულვილით უარყოფდნენ ჩვენს საერთაშორისო ამხანაგობას. ახლა ვაძიებ მათ ძალით გვიცნონ ჩვენ“).

ე. პიუგო არ ღამდგარა მეცნიერული სოციალიზმის დროშის ქვეშ. პიუგოს სწამდა სოციალიზმის პრინციპი, მაგრამ მან ვერ მიიღო მარქსის მიერ მოცემული ამ პრინციპის განხორციელების გზა. მიუხედავად ამისა, მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ბრძოლა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. მისი მხურვალე, მჭევრმეტყველური, პუმიანური გრძობით სავეწ წერილები გამოხატავენ სასტიკ პროტესტს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. წერილში ლორდ პალმერსტონთან ტაპნერის შესახებ და „ერთი სიტყვა ჯონ ბრონზე“ — ში პოეტი ებრძვის ცივილიზაციაში დარჩენილ ბარბაროულ ნაშთს — სახრჩობელას. სიკვდილით დასასჯელთა დაცვა ეოლტერმაც სცადა, მაგრამ იგი ნაკლებად რევოლუციური იყო, ვიდრე პიუგოსი. იგი უფრო ჰგავდა ზოლას მიერ დრეიდუსის დაცვას. „არიან სა-

*) Oeures completes, X p. 176.

**) Маркс и Энгельс. Соч. Т. XXIII. გვ. 439 — 440.

მხრეთ შტატებში მონები. ეს მონები, ეს ზანგები ადამიანები არიან. ჯონ ბრონს სურდა მათი განთავისუფლება, მაგრამ იგი მოკედება 16-ს*.

1871 წელს იფეთქა პარიზის კომუნის აჯანყებამ. ე. წ. ჰეგელი დროს ბელგიაში იყო. მას უფრო აშფოთებდა ხოცვა-ვლეტისა და განადგურების, ვიდრე კომუნარების დამარცხების შიში. მართალია, იგი თანაუგრძობდა კომუნის პრინციპს, მაგრამ კომუნის ბრძოლის მეთოდი მას საშინელებად მიაჩნდა. როდესაც ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანეთანმა მთავრობის სახელით გამოაქვეყნა ბრძანება ბელგიაში კომუნარებისათვის თავშესაფარის აკრძალვის შესახებ, ჰიუგომ სასტიკი პროტესტი განაცხადა ამ საზოხლარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მან დასწერა შესანიშნავი წერილი სათაურით: „Incident Belge. Pas de Reprailles“.

26 მაისს ჰიუგომ მისწერა წერილი „დამოუკიდებელი ბელგიის“ რედაქტორს. წერილი დაიბეჭდა 27 მაისს ამავე გაზეთში. ე. წ. ჰიუგო სწერდა:

„ბატონო!

მე პროტესტს ვაცხადებ ბელგიის მთავრობის წინაშე პარიზში დამარცხებული კომუნარების გამო. რაც უნდა ვთქვათ და გავაცეთოთ, ეს დამარცხებულნი პოლიტიკური ადამიანები არიან. მე არ ვყოფილვარ მათთან ერთად. მე ვღებულობ კომუნის პრინციპს, მე არ ვღებულობ ამ ხალხს. მე პროტესტს ვაცხადებ მათი მოქმედების წინააღმდეგ“ (ხაზი ჩვენია — მ. მ.).

პოეტის ქვემოთ განავრძობდა:

„...მაგრამ კოლონა აღსდგება, ლეფრი გადარჩა. დღეს პარიზი აღებულა. ვინ შექნა 18 მარტი? ასამბლეამ თუ კომუნამ? ვინ არის დამნაშავე? ვის ისტორია იტყვის“.

ჰიუგომ ვერ გაბედა სიმართლის თქმა და იგი ისტორიას მიანდო, დარწმუნებული, რომ ისტორია კომუნარების სახელს განადიდებს. ასამბლეამ დახვრიტა ყიულ ველი, ბოსკე, პარიზილი, ამურე, ლეფრანსე, ბრიუნი და ლომბროვსკი.

„მე პატივს ვცემ, — განავრძობდა იგი, — ბელგიის მთავრობას, მაგრამ იგი არ არის მართალი თავშესაფარის აკრძალვაში. კანონი ამ აკრძალვის ნებას აძლევს მას, უფლება კი კრძალავს მას.“

მე, რომელიც ვწერ ამ სტრიქონებს, მაქვს ერთი მაქსიმა: Pro jure contra legem. თავშესაფარი ძველი უფლებაა. იგი უბედურთაგან მოპოებული უფლებაა. საშუალო საუკუნეების ეკლესია თავშესაფარს აძლევდა თვით კაცის მკვლელებსაც კი.

პირადად მე აქ ვაცხადებ: იმ თავშესაფარს, რომელსაც ბელგიის მთავრობა დამარცხებულთ უკრძალავს, მე ვაძლევ მათ. სად? ბელგიაში. მე ვაძლევ თავშესაფარს ბრუსელში. მე მაქვს თავშესაფარი ბარიკადების ქუჩაზე, № 4. ვინც უნდა იყოს, პარიზელი დამარცხებული კომუნარი თუ ჩემი პირადი მტერი, მოაკაუნოს კარზე, მე ვაძლევ. ის ჩემ სახლში იქნება. გადარჩება“*).

მეორე დღეს, ღამის 11 საათზე, ლომბროვსკის სახელით მოაკაუნეს მის კარზე საფრანგეთის პოლიციის მიერ მოსყიდულებმა. ე. წ. ჰიუგო ძლივს

* Oeures completes. VIII, p. 61 — 62.

გაუსხლტა ხელიდან კარებთან მოზღვევებულ რეაქციონერთა პარტიზონში დაბრუნების შემდეგ საფრანგეთის მთავრობა დიდხანს არ შერიგებია ჰიუგოს კომუნარებისადმი თანაგრძნობის გამო. *ქართული*

ჰიუგო კომუნის პრინციპს იზიარებდა იმდენად, რამდენადაც მიმართული იყო უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. კერძო საკუთრების სრული მოსპობის მომხრე იგი არასოდეს არ ყოფილა. მის იდეალს შეადგენდა: „ყოველი ადამიანი იყოს შესაკუთრე, არაიენ იყოს ბატონი“. იგი კომუნარებს თავშესაფარს აძლევდა არა როგორც თავის კლასობრივ მომხმეებს, არამედ როგორც ადამიანებს. ამ გრძნობით იყო მისი გული გამთბარი. ამ გრძნობით იყო გამსჭვალული მთელი მისი ნაწერები — რომანი იყო იგი თუ ლექსი.

3

ჰიუგოს შემოქმედებაში ორი ქვეყანაა მოცემული: ერთი რეალური, მეორე იდეალური. რეალური ქვეყანა საფრანგეთის სინამდვილეა, ზოლო იდეალური — დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ცისარტყელასავით შემოერთყმება ევროპის გაერთიანებულ ხალხებს. იგი მოსპობს ძალმომრეობას და უსამართლობას, რომლებიც მსხვილმა ბურჟუაზიამ გააშეფა.

„რეალურია ის, რასაც ვხედავთ, იდეალურია ის, რასაც განვიცდით“ *).

ვ. ჰიუგომ შეისწავლა ეს „სახელოვანი რეალობა თავისი ეპოქისა და მომავლის იმედის ნაპერწკალმა ვული გაუთბო“. „არსებობა არის გაგება. არსებობა არის აწმყოს გაღიმება. იგი არის კედლიდან (par dessus de murailles) მომავლის დანახვა“ **).

ოპტიმისტი ჰიუგო გრძნობს მომავლის მოახლოვებას და პათოსით გაიძახის: „მომავალს არ შეუძლია მოცდა, იგი ჩქარობს. ჩქარა, ჩქარა ვისწრაფოთ წინ. უბედურებას აქვს ფესვები წითელ რკინაზე“... პარაზიტში იცინის“... და სხვა ***).

ლამარტინისათვის ცხოვრება სასულიერო ჰიმნია. მიუსე და ვინი დასტირიან იმას, რაც იყო და აღარ არის და ვინ იცის, როდის იქნება. თოფილ გოტიე წითელ ჯილეტს იცვამს და რაფაელის სურათის ნახვის გულისათვის ხელს იღებს ფრანგი მოქალაქის უფლებაზე. კონსერვატორი რომანტიკოსები აწმყოს ანათემას უგზავნიან და წარსულს იგონებენ და დასტირიან. ისინი აწმყოს ფლეგმატიურად შესცქერაინ. ისინი წარსულის ენტუზიასტები არიან. ჰიუგომ არ იცის გოდება. თითონ ლიტერატურა, მისი გამოთქმით, აქტიური უნდა იყოს, მან უნდა უბასუხოს ეპოქის აქტუალურ კითხვებს. პოეტი ფურტკარია.

*) *Schaques peare* p. 90.

***) *Ibid.*

***) *Ibid.* p. 111.

ჰიუგოს, *elan vers l'ideal* ნაცვლად, ამოქმედებს *elan vers l'intini*. ეს უკანასკნელი რომანტიკოსების აღმაფრენის იმპულსი იყო. ჰიუგოს მარადისობა არის მხოლოდ თავისი თავის მარადიულობის (სრულანა). რომანტიკოსები მარადისობას ღმერთის ალიანსში ხედავენ. მისთვის ღმერთი არის სინდისის, სიკეთისა და სიმართლის ღმერთი. ფილოსოფიას იგი პრაქტიკულ დანიშნულებას აძლევს: „გააუმჯობესოს ადამიანები, დაუძმობილოს მათ სინდისი და მეცნიერება. მორალი ჭეშმარიტების აყვავება“.

X ჰიუგო დიდ პატივს სცემდა შატობრიანს, ლამარტინს, თ. გოტიეს, სენტ-ბევს, მიუსეს, როგორც რომანტიზმის მნათობებს. მაგრამ მას არ შეეძლო იმ გზით სვლა, საითკენაც ისინი მიდიოდნენ. ჰიუგო თავის გმირებს უდაბნოში ან მონასტერში სალოცავად ან სასიკვდილოდ არ გზავნიდა. თავის გმირებს იგი სოციალური უკუღმართობის აღმოფხვრას ავალებდა. ჯერ კიდევ 1823 წელს „ფრანგულ მუზაში“ იგი ამბობდა, რომ „მწერალს რა შეუძლია მოწყვიტოს თავისი ეგოისტური ცხოვრება სოციალური სხეულის ცხოვრებასო“. ეს ის დრო იყო, როცა იგი ზემოთ აღნიშნული რომანტიკოსებით გატაცებული და მათსავეთ გზააბნეული იყო.

მაგრამ დადგა 1830 წელი და ვ. ჰიუგო სამუდამოდ გამოეთხოვა ამ შემარჯვენე რომანტიკოსებს. იგი რევოლუციის ტალღებს აპყვავდა. ამ პერიოდში მის შემოქმედებაში რეალური გადაულახავი ხდება. იგი ავსებს მას იდეალური შინაარსით. მის რომანტიზმში რეალიზმის დისონანსი საგრძნობი ხდება. ეს მოვლენა უფრო საგრძნობი გახდა ემიგრაციის პერიოდში, როდესაც იგი უფრო ღრმად გაეცნო სოციალურ ცხოვრებას და შეითვისა იგი.

„ბიურგრავების“ ჩაშლა სცენაზე 1843 წელს არა მარტო რომანტიული დრამის, არამედ თითონ რომანტიზმის, როგორც სკოლის, დეკადანსის შედეგი იყო. რევოლუციონურად განწყობილ საზოგადოებას აღარ აინტერესებდა ფიქცია, ფანტაზია და სიჭრელე. იგი მოითხოვდა ისეთ დრამას, რომელიც პრაქტიკული ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს გარკვევდა.

ვ. ჰიუგოს რომანტიზმი უფრო რეალისტურია, ვიდრე ჭეშმარიტი — ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. „ოდებისა და ბალადების“, „აღმოსავლეთის მოტივების“, „განჰერეტის“, „საუკუნეების ლეგენდის“, „პარიზის ღვთისმშობლის“, „ერნანისა“ და სხვათა ავტორი უეჭველად რომანტიკოსია. რადგან პოეტი წარსულისა და აწმყოს სურათებს ისე განიხილავს, როგორც მის წარმოდგენაში მოცემულს და გრძნობაში გარეფლექსებულს. რადგან იგი „სულთამხილავია“ (ლანსონი), აქ სინამდვილე პოეტის ოცნებაშია გარდაქმნილი. იგი აიდეალებს და აპოეტებს მას.

ვ. ჰიუგო რეალისტია იქ, სადაც სინამდვილის განასერზე დგას. ეს სინამდვილე კაპიტალისტური წესწყობილებაა. იგი ებრძვის ზოგჯერ მბ-

ვილით, ზოგჯერ კალმით რეაქციას, ავიწყდება თავისი პირადობა და მიუდგომლად ხატავს სოციალური უკუღმართობის სხვადასხვა სურათს. იგი რომანტიკოსი და იდეალისტი იქ, სადაც ცდილობს გააერთიანოს არასაკმარისი სინამდვილე ჰუმანიზმით და უტოპიზმით, ცდილობს შექმნას იხსნას ლატაკი და მოლიპულ გზაზე დამდგარი.

ვერც ერთი რომანტიკოსი ვერ გააკეთებდა იმას, რაც პიუგომ გააკეთა. ვერც ერთი რომანტიკოსი ვერ იტყოდა იმას, რითაც იგი 1851 წელს „განკვერტის“ წინასიტყვაობაში მკითხველებს მიმართავდა: „ჩემი ცხოვრება არის თქვენი. თქვენი ცხოვრება არის ჩემი. აიღეთ მაშე ეს სარკე და ჩაიხედეთ შიგ. ხანდახან შესაბრალისი არიან ის მწერლები, რომლებიც ამბობენ — „მე“-ო. რომანტიკოსი კი არა, რეალისტი მწერალიც ვერ ჩამოაყალიბებდა ასე მკაფიოდ თავის სამოქმედო გეგმას; იგი დრამატურგებს ასწავლიდა: „ისარგებლეთ მასების ყურადღებით, რომ მათ მოულოდნელად ასწავლოთ, ჩაუნერგეთ მათ თქვენი შვიდი ან რვა მორალური თუ ფილოსოფიური სოციალური ჰეშმარიტება, ურომლისოდაც ისინი ვერ გახდებიან თავისი დროის განათლებულნი“ *). ავტორი იქვე პირდაპირ აცხადებს, რომ „უეჭველად მთავარი საჭიროება თანამედროვე პოეტისათვის არის დახატოს თანამედროვე საზოგადოება“ **).

ამ სიტყვებს ამბობდა ის ადამიანი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ფრანგულ რომანტიზმს. 20-იან წლებში იგი ამ მიმდინარეობის დიდი წარმომადგენელი იყო. მან დააარსა ჟურნალი „ლიტერატურული კონსერვატორი“. მისი ინიციატივით დააარსდა „ფრანგული მუზა“. 1827 წელს დაიხურა იგი, მაგრამ პიუგოს მაინც ჰქონდა რომანტიკოსების ცენტრში დგომის საშუალება. 1824 წელს სენ-სიმონისტების ინიციატივით გამოვიდა ჟურნალი „გლობუსი“. რომელშიაც რომანტიკოსებმა თანამშრომლობა დაიწყეს. აქ სწორდენ მერიმე და სტენდალი. ამ ჟურნალში დაიბეჭდა პიუგოს „ალმოსავლეთის მოტივები“ და „შემოდგომის ყვავილები“. „გლობუსი“ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი იყო. გოეთე მას ეპოქის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად სთვლიდა.

1927 წელს გამოვიდა პიუგოს დრამა „ერომველი“ წინასიტყვაობით, სადაც მან რომანტიზმი თავისუფლად და აუცილებელ მიმდინარეობად გამოაცხადა. 1829 წელს გამოვიდა რომანტიული დრამა „ერნანი“. 1831 წელს გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი რომანი, რომანტიული რომანის საუკეთესო ნიმუში — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“. 16 წლის პიუგომ „ბიუგ ეარგალი“, ხოლო 23 წლისამ „ჰონ ისლანდიელი“ დასწერა. ამ რომანებში ფანტასტიკა სჭარბობს სინამდვილეს. მაგრამ ეს ფანტასტიკა არც ერთ მწერალს არა აქვს ისე ოსტატურად შეფარდებული რეალობასთან, როგორც პიუგოს. თითონ ფანტასტიკა ზოგჯერ სინამდვილის

*) „Litterature et philosophie melées“ p. 13.

***) Ibid.

ემანაციას. ფანტასტიკის ნაყოფია კვაზიმოდო, მაგრამ ისე ცხოვრობდა არის აღწერილი მისი ხასიათი, თითქოს გვჯერა მე-15 საუკუნეში ასეთი ტიპის არსებობა. ვ. ჰიუგოს დიდი უნარი ჰქონდა მკითხველს დასაჯერებლად ანისათვის იგი არ ზოგავდა არც დეტალებს და არც ხასიათების ანალიზს. ვ. ჰიუგოს ყოველი რომანტიული ლექსი თუ პოემა გაელენთილია არა პირადი, არამედ სხვისი გრძნობებით. ეს სხვა ან საზოგადოებაა, ან ადამიანი — მათხოვარი, ბუში, ქალი. მისი პირადი განცდა საზოგადო განცდაშია შერწყმული. მას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი — გოდების ან სიხარულის გამოხატვა. მას არ უყვარს შინაარსისაგან გაცლილი ნაწარმოები. მშვენიერ ლექსებში ზოგჯერ იგი ისეთ პოლიტიკურ ტენდენციას ანეითარებს, რომ გიკვირთ, როცა კითხულობთ, — რომანტიკოსმა დაწერა ეს თუ რეალისტმაო. მისი მისწრაფება, იდეალი, მსოფლმხედველობა სულ სხვა იყო, ვიდრე სხვა რომანტიკოსებისა. ისინი გაურბოდნენ რევოლუციას, ჰიუგო მასთან მიდიოდა. მათ სძულდათ დემოკრატია, ჰიუგოსათვის იგი თვალის ჩინი იყო. მათ სძულდათ თანამედროვეობა, ჰიუგო მას „სახელოვან რეალობას“ უწოდებდა. მათთვის დემოკრატიაში იმდენად უცხო იყო, რომ განცვიფრებაში მოვიდნენ, როცა ჰიუგომ „ერნანსა“ და „რუი ბლანში“ ამ მოძღვრების ტენდენციები გაატარა. ისინი ვერ იტანდენ პოეტის დრამებში მოცემულ დემოკრატიულ გმირობას.

1829 წელს დადგეს ჰიუგოს „მარიონ დელორში“. ეს პიესა აშკარა ანტიროიალისტური იყო, სადაც მე-17 საუკუნე უარყოფითად იყო დახატული. ამის გამო ცენზურამ აკრძალა მისი დადგმა. იელისის რევოლუციის შემდეგ კვლავ დაიდგა.

1830 წელს საბოლოოდ დაშორდა ვ. ჰიუგო კონსერვატორ რომანტიკოსებს, მაგრამ იგი რომანტიზმს არ გამოთხოვებია. იგი სიკვდილამდე დარჩა რომანტიკოსად. მან შემოქმედებითი ძიების თავისებური გზა აირჩია, ისეთი გზა, რომლითაც არც ერთი რომანტიკოსი არ წასულა.


სენტ-ბევი — რომანტიზმის ეს დიდი მწერალი, კრიტიკოსი, ესთეტიკოსი, საყვედურით აღნიშნავდა იმას, რომ ჰიუგო პოლიტიკაში გადავარდა და შემოქმედებაში მეტი ადგილი სოციალურ მოტივებს დაუთმო. მაგრამ მისი მეგობრობა ჰიუგოსთან არ გაწყვეტილია. 1855 წელს ემიგრანტი ჰიუგო დარიგების ტონით სწერდა სენტ-ბევს: „გწამდეთ ადამიანობა, გენია, მომავალი, თქვენი თავი. იცოდეთ, საიდან მოდიხართ და საით მიდიხართ“. ჰიუგომ ამ მომენტში კარგად იცოდა, საით მიდიოდა. ასეთი მოტივით სწერს იგი ლამარტინსაც.

პროსპერ მერიმე დემოკრატიაში მისი შიშით იყო შეპყრობილი; მას სძულდა დემოკრატია ჰიუგო. ჰიუგოსაც სძულდა მერიმე, რომელსაც მან „ისტორია ერთი დანაშაულის“ სატირით დასცინა. მერიმე ე. დაგენისადმი მიწერილ წერილში ჰიუგოს „ორიენტალებზე“ მაღლა სევენის ერთ წერილს აყენებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის, დეკადანსი გადაწყვეტილი იყო. ამიტომ დროუ-

ლი იყო მერიმეს გალაშქრება რომანტიზმის წინააღმდეგ, ხოლო ჰიუგოს წინააღმდეგ — უმართებულო, რადგან ჰიუგო, ჯერ ერთი, წმინდა წყლის რომანტიკოსი არ იყო და მეორე — მას არ უღალატებდა რენესანსისათვის: მან „საუკუნეების ლეგენდა“ და „93 წელი“ *სინამდვილის* დასწერა. 1840 წელს მერიმე „გუსლარების“ მეორე რედაქციის წინასიტყვაობაში გაბედულად დასცინის რომანტიზმს. 1825 — 30-იან წლებში მერიმე რომანტიკოსია. ამ პერიოდში სწერს იგი „ეაქერიას“ და „კარლოს მეოთხის მეფობას“. მაგრამ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, ბურჟუაზიის გარეაქციონერების გამო, იგი კარგავს რწმენას დემოკრატიისადმი. ამავე მიზეზით აიხსნება ფლობერის მიერ პარიზის კომუნის დაგმობა, კომუნარების „ცოფიან ძაღლებად“ გამოცხადება და ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ხელოვნების უგულვებელყოფა. აქედან გამომდინარეობს მისი პესიმიზმი და სკეპტიციზმი. აქედან გამომდინარეობს მისი დევიზი ხელოვნება ხელოვნებისათვის და ულტრა-ობიექტივიზმი. ვ. ჰუგოსათვის, ისე, როგორც ეორჟ-ზანდისა და სტენდალისათვის, უცხოა ეს თვისებები.

ჰიუგო პოლიტიკური იდეალებისა და წერის მანერის მხრივ უფრო ახლოს დგას ეორჟ-ზანდთან, ვიდრე მის თანამედროვე რომანტიკოსებთან. ეორჟ-ზანდი ფრანგულ ლიტერატურაში სოციალური რომანის დამამკვიდრებელია. მისი პოლიტიკური იდეალები ემთხვევა ჰიუგოსას. ეორჟ-ზანდი თავისი პირველი პერიოდის რომანებში იდეალსტი და რომანტიკოსია. მისთვის ხელოვნების მიზანი არის „არა მოცემული სინამდვილის გამოკვლევა, არამედ იდეალური სიმართლის ძიება“. ხელოვნების მისია არის გრძნობისა და სიყვარულის მისია („ეშმაკის ხოქო“). მეორე პერიოდში ძლიერდება სოციალური მოტივები მის შემოქმედებაში. ავტორი სოციალისტ-უტოპისტი ხდება. იდეალური სიმართლე მონანიე აზნაურის, ბურჟუისა ან გლეხის კეთილშობილ გულში მარხია. არისტოკრატიული საზოგადოება და მისი ტრადიცია ამ სიმართლისა და გრძნობების თავისუფლების ბორკილია. ეორჟ-ზანდი უფრო რეალისტია, ვიდრე ჰიუგო.

ჰიუგოც დიდი მეოცნებე და იდეალისტი იყო 30-იან წლებში. იგი არ იცნობდა საზოგადოებრივ ცხოვრებას ისე ღრმად, როგორც 30-იანი წლების და ნამეტნავად 1848 წლის შემდეგ. ე. ვალჟანი და გუი მპლენი იდეალური სიმართლის, პატიოსნებისა და სინდისის განსაზიერებას წარმოადგენენ. ჰიუგოს კეთილი გმირების გული, ისეა ადამიანური გრძნობით გამთბარი, როგორც ეორჟ-ზანდისა. ადამიანური გრძნობა და სინდისი ამოძრავებს ბალზაკის პოლკოვნიკს შაბერს, ეორჟ-ზანდის ეაკს, ზოლას დოქტორ პასკალს. ამ მწერალთა შემოქმედებაში ეს გრძნობა რაღაც თილისმური ძალაა, რის წყალობითაც ერთნაირის სიყვარულით და ინტერესით ვკითხვლობთ ჰიუგოსა და ამ მწერლების რომანებს.



რომანტიული რომანი და დრამა მეორე იმპერიის დროს განვითარდა. ერკმან-შატრიანი, ჟორჟ-ზანდი, ეუტენ სიუ და ვ. ჰიუგო ქალაქიყუთუთ რომანის დამწეებნი არიან. ე. სიუ დაინტერესებული იყო სენ-სიმონისა და ფურიეს ეკონომიური თეორიით. მის რომანებში — „პარიზის საიდუმლოებასა“ და „ხალხის სილატაკეში“ დახატულია სილატაკის, უბედურების, უსამართლობისა და ბოროტების სურათი. მას, როგორც რომანტიკოსს, არ შეუძლია გადასჭრას სოციალური საკითხები და, გამოუსვლელ მდგომარეობაში მყოფი, პესიმიზმში ვარდება. ალ. დიუვალი სწერს 50 დრამას, რომლებსაც იგი დრამატიულ კომედიებს უწოდებს. მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს რომანტიზმის ეპოქის სულისკვეთებას, რის გამოც ხელს კიდებს ისტორიული კომედიების წერას. დიუვალის დრამებში მოცემულია მელოდრამის ნიმუში. მელოდრამა რომანტიზმის ბატონობის პერიოდში განვითარდა და სრული სახე ჰიუგოს „ბიურგრავებში“ და „მარიამ ტიულდორში“ მიიღო. წინასიტყვაობაში ავტორი იძლევა მელოდრამის პრინციპს; ეს მელოდრამა, ლანსოლის სამართლიანი გამოთქმით, უფრო ქაოსია, ვიდრე ნამდვილი დრამა.

რომანტიკოსებმა დრამაშიაც სცადეს წარსულის იდეალიზაცია. ისინი თანამედროვე ცხოვრებაში ვერ პოულობენ მასალას. ვ. ჰიუგო რეაქციისა და პოლიტიკური ჭაოსის პერიოდში სიუჟეტის კრიზისს განიცდიდა. სიუჟეტს იგი ესპანეთსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში პოულობდა. ამის საუკეთესო მაგალითს „ერნანი“, „რუი ბლანზი“, „ბიურგრავები“ და სხვა წარმოადგენს. რომანტიულ მანერებსა და განწყობას პოეტი სიყრმის ლექსებში იჩენდა. ამ პერიოდში იგი თეოფილ გოტიესთან ერთად თანამშრომლობდა თავისუფალი და მსუბუქი ლექსისა და ახალი მეტრიკის შექმნისათვის. ეს მუშაობა მან პროზაშიც ჩაატარა. რამაც გაამართლა ბალზაკის სიტყვები: „მე, თ. გოტიემ და ვ. ჰიუგომ ვიციით წერა“-ო. თ. გოტიე, მიუსე და ვინი დიდის მორიდებით და პატივისცემით ეპყრობოდენ რომანტიკოსების ამ დიდ წარმომადგენელს.

არ გასულა დიდხანი და ჰიუგომ დასწერა რომანტიზმის ტრაქტატი, რომელიც დრამებს „კრომველსა“ და „ერნანს“ წინასიტყვაობის სახით შიაკერა. „კრომველის“ წინასიტყვაობაში ავტორმა ხუთი პრინციპი წამოაყენა. იგი მოითხოვს კონკრეტულ და ცოცხალ პერსონაჟებს. დრამის შესაქმნელად არაა საჭირო არისტოტელეს წესები. „ძირს ბუალო! გაუმარჯოს შექსპირს — თეატრის ღმერთს!“

ვ. ჰიუგოს ვაგებით, პოეზია ყველგანაა საჭირო. „ოდებისა და ბალადების“ წინასიტყვაობაში იგი ამბობდა: „სრულქმნილი პოეზია შეიძლება გამოიხატოს პროზაში, რომელიც უფრო სრულქმნილია ლექსის წყობათა და უდიდებულესობით“. „ლექსი სულის პოეზიაა, რომელიც ასულდგმულებს კეთილშობილ გრძობებსა და მოქმედებას“. ეს არის ფრანგული

ესტეტიკური რომანტიზმის დებულება. ამ დებულებას ანვიოთოებს იგი „კრომველის“ წინასიტყვაობაში. ლექსი არა მარტო ღირიკის, არამედ დრამის სამკაულიცაა. იგი საჭიროა სცენაზე. მაგრამ რა საჭიროა? ლექსი? თავისუფალი, მსუბუქი, რომელიც ამავე დროს აზრისა და სიუჟეტური ფორმაა.

მსჯელობის დროს ვ. ჰიუგოს ხშირად სჩვევია დეგრესიები. მისი კვალი ღრმად მოსჩანს თვით შემოქმედებაში. ეს დეგრესიები რომანტიზმიდან რეალიზმზე გადასვლას გამოხატავს. „ოდა ცოცხლობს იდეალით, ეპოპეა — გრანდიოზულობით, დრამა — რეალობით“. მაგრამ იმისათვის, რომ რეალური მივიღოთ, საჭიროა ორი ტიპი — აღმატებული და გასართობი *). ისინი ისე უნდა ისახებოდნენ დრამაში, როგორც ცხოვრებაში. ხელოვნებაში უნდა იყოს ის, რაც ბუნებაშია. მათი იდენტიფიკაცია არ შეიძლება. შეუძლებელია სცენაზე მზის მაგივრად ლამპარი ვიხმაროთ, დეკორაციის მაგივრად ნამდვილი სახლები, ხეები და სხვა. მას სწამს მხოლოდ საერთო კანონები ბუნებისა, რომელიც მთლიანად ეუფლება ხელოვნებას, და სპეციალური კანონები — ყოველი ნაწარმოებისათვის, რომელიც სიუჟეტის საკუთარი თვისებებიდან გამომდინარეობს. ერთია მარადიული, შინაგანი — იგი ინახება. მეორეა გარეგანი — იგი იცვლება და გამოსადეგია მხოლოდ ერთხელ (*sublime et grotesque*). ამიტომ საჭიროა, პოეტი რჩევას ღებულობდეს ბუნებისა, კეშმარიტებისა და აღმაფრენისაგან. ჰიუგო სტატიური ნატურალიზმის პრინციპებს შემდეგ ფორმულაში გამოსახავს: „დრამა არის სარკე, რომელშიაც ბუნებაა უკუფენილი“. მან საკმაოდ ვერ გაატარა ნატურალიზმისა და რეალიზმის პრინციპები ვერც თავის დრამებსა და ვერც რომანებში. მეტწილად იგი სინამდვილიდან არაჩვეულებრივს იღებდა. ბოროტისა და მახინჯის, კეთილისა და მშვენიერის კონტრასტებს იგი უმაღლეს ფორმაში ხატავდა. უბრალო, ყოველდღიური მას არ იზიდავდა, რადგან იგი გარეგანია. „იგი არის დრამის მტერი, რომელიც მას კლავს. იგი პოეტის ნაკლია“. დრამის მიზანი თითქმის ღვთაებრივია: გააცოცხლოს ისტორია, დაბადოს პოეზია.

„კრომველი“ უფრო რეალისტური დრამაა, ვიდრე რომანტიული. ავტორი ცდილობს მისცეს კრომველს“ ნამდვილი ხასიათი. მას იგი აინტერესებს, როგორც *homo et vir*. კრომველის მთავარი თვისება ფარისევლობა და კარიერისტობაა. ერთია საშუალება, მეორე მიზანი, რომელსაც იგი აღწევს. ნათლადაა გადმოცემული მასიური სცენები, ვესტ მინსტერის სსახლე, შეთქმულება და სხვა.

„კრომველში“ მოსჩანს რომანტიული ლიბერალიზმის ტენდენციები: „მე პარლამენტი ტომარაში მაქვს, ხოლო მეფე ჯიბეში“, — ამბობს კრომველი. ეს მიდრეკილება უფრო ნათლად მოსჩანს „ერანსა“ და „რუი

*) D'œuvre compl. X ტ. 8.

ბლაზში“. პატარა და მდაბიო კაცს შეუძლია დიდი ვახლეს და დიდს — პატარა. ნაპოლეონმა სთქვა: „სასაცილოდან დიდებულამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია“-ო. ეს გამოთქმა არისტოკრატიისათვის უყუარებელია, ხოლო რომანტიკოსს ჰიუგოსათვის მალამო. „ერნანი“ წინასწარსწავლაში ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ლიბერალიზმი ლიტერატურაში არ იქნება ნაკლებად პოპულიარული, ვიდრე ლიბერალიზმი პოლიტიკაში“.

„ერნანი“ ნაღმი იყო, რომელმაც ააფეთქა არისტოკრატიის პოეზიის სტილი და გემოვნება. ბანდიტი ერნანი მეფე დონ-კარლოსისა და ჰერცოგ დე-სილვას მეტოქეა. იგი ავტორის მიერ გაიდებულ და გარომანტიკულდება. მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება სცენაზე არისტოკრატიაში ზიზლსა და გულსწყრომის იწვევდა. როცა აქტიორმა აქტიორს უპასუხა კითხვაზე „რომელი საათია?“ — „თორმეტიო“, გაისმა სტვენა. არისტოკრატიაში ბანალობად ჩასთვალა სცენაზე ასე შაბლონურად გამოთქმა.

დემოკრატიული ტენდენციები უფრო საგრძნობია „რუი ბლაზში“. ეს პიესა უფრო ფანტასტიურია, ვიდრე „ერნანი“. ავტორი ოსტატურად გამოხატავს არისტოკრატიული სასახლის ინტრიგებს. მისი სიმპატია ლაქია რუი ბლაზისაკენაა, რომელსაც დედოფალი უყვარს და სამეფო ტახტამდე ერთი ნაბიჯი და აკლია.

5

ვ. ჰიუგო ლიტერატურის ისტორიაში უფრო ცნობილია, როგორც ლირიკოსი და ეპიკოსი, ვიდრე დრამატურგი. ლირიკასა და დრამაში იგი მეტად არის რომანტიკოსი. რომანში ფიქციას სინამდვილე უპირისპირდება, ზოგჯერ ჩრდილავს კიდევ. პირადობის გამოჩენას აქ პოეტი იმდენად ვერ ახერხებს. აღწერისა და მოთხრობის დროს იგი მალავს მას. მსჯელობის დროს ხშირად იდეალისტურ წინააღმდეგობაში ვარდება.

16 წლის ჰიუგო სწერს რომანს „ბიუგ ეარგალს“. 1825 წელს გამოდის მეორე რომანი „ჰან ისლანდიელი“. ავტორი თითონ აცხადებს, რომ ეს რომანები ფანტასტიურია. ამ პერიოდში იგი ვალტერ სკოტის გავლენას განიცდიდა, რასაც შედეგად მოჰყვა ამ მწერლის აღწერით-გეოგრაფიული მეთოდის გადმოღება და მისი გამოყენება რომანებში. ამ ამბავს თითონ აღნიშნავს „ჰან ისლანდიელის“ წინასიტყვაობაში. იგი კრებს ისტორიულ და გეოგრაფიულ მასალას, აგროვებს დეტალებს. „ბიუგ ეარგალში“ მოთხრობილია სენტ-დამინგოს (ჰაიტი) მცხოვრებ შავკანიანთა აჯანყება 1791 წელს. აჯანყების კერას წარმოადგენდა მოსიაკის კლუბი პარიზში, სადაც მოთავსებული იყო ზანგების ასოციაცია. ნაციონალურმა კრებამ მხოლოდ ყვითლებს მისცა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება, რამაც აამუხდრა შავები. კაპიტანი ლეოპოლდ დ'ავერნეი, ზანგი ბიუგ ეარგალი, დ'ავერნეის ბიძის ლაქია, ჰაბიბრა, — ყველა ეს ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. ჰუმანიურ აზრებს ავტორი ზანგ ბისუს ათქმე-

ვინებს. ბიუჯე არგალი (პიერო) კეთილი კაცია: იგი იღუპება ლეოპოლდის გულსისთვის. ლეოპოლდი ამყავს, მაგრამ კეთილი.

ისტორიული ამბავი ფართოდ აქვს ავტორს გამოყენებული. მანამ იგი ფანტასტიკითაა გარდაქმნილი. პანი, შაეკანიანი ავაზაჰის მსგავსია. ბოლოს იგი აჯანყების მეთაური ხდება. ორდენერი, შუმახერის სასიძო, ისე, როგორც პანი, ნამდვილი პერსონაჟი არ არის. პანს ამოქმედებს მხოლოდ თეთრებზე შურისძიების და არა ზანგების განთავისუფლების გრძობა. ორდენერსაც პირადი ინტერესები ამოქმედებენ. ორდენერი ფატალისტი და მისტიკოსი. ბუნების აღწერა, მასიური სცენები ტყეში დამაჯერებლადაა აღწერილი.

ფანტასტიკა და რომანტიკა ვირტუოზულადაა გაერთიანებული „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“. თუ რომანტიზმის საუკეთესო მონუმენტი ვირტუოზული ლექსით დაწერილი ეპოპეა „საუკუნეების ლეგენდაა“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ პროზაში ამ სტილის შედეგია. ავტორი იდეალიზაციის გზით ცდილობს გოთიკური ხუროთმოძღვრების აღდგენას, რომელიც რენესანსმა დაანგრია. მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ავტორს სხვა განზრახვაც აქვს. წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს: „ამ წიგნს არა აქვს ისტორიული პრეტენზია. იგი მხოლოდ მე-15 საუკუნის ცივილიზაციის ზნე-ჩვეულებას, რწმენას, კანონებს და ხელოვნებას ხატავს“. ავტორი არ ურიდება დეტალების სიუხვეს დიდი დარბაზისა და ტაძრის აღწერაში. რომანის ცენტრალური ფიგურა ესმერალდაა, რომელიც მერიმეს კარმენს ემსგავსება, მერიმე მეტს ლაპარაკობს ბოშებზე, ვიდრე პიუგო. უკულმართმა პირობებმა გამოავლინა ესმერალდა ქუჩაში. ავტორს ეს მომენტი არ აინტერესებს. მისი ყურადღების ცენტრში მახინჯისა და ბოროტის, მშვენიერისა და კეთილის კონტრასტები დგას. მეტად გადაჭარბებულია ესმერალდას სიმშვენიერე და კვაზიმოდოს სიმახინჯე. რამდენად მშვენიერია ესმერალდა, იმდენად მახინჯია კვაზიმოდო. რამდენად კეთილია და ნაზი ესმერალდა, იმდენად ბოროტი და გულქვეა არქიდიაკონი კლოდფროლო. გმირების ხასიათი ზოგჯერ ყალბად და სქემატურად არის გადმოცემული. ეს ითქმის უფრო კლოდფროლისა და ესმერალდას შესახებ. მეტი სიუხვე და დამაჯერებლობაა მასიურ სცენებში. საკმაოდ მკვეთრადაა დახატული პოეტი-ბოგემა პიერ გრენგუარი. ეს იმიტომ, რომ მას ალბთან აქვს საქმე. კლოდფროლო და კვაზიმოდო განყენებული და კარჩაკეტილი გამოაყავს ავტორს. მართლადაა დახატული ფუქსაეატი კაპიტანი ფები. ცხოვლადაა დახატული ჟან ფროლო — მოწაფე, მზიარული, ცოცხალი, რომელიც სქოლასტიკას ვერ შერიგებია. ეგვიპტელების და ტუნისელების ბრბოში, ესმერალდას გასათავისუფლებლად, ტაძრის გაღვენთან იგი გვაგონებს გავროშს — მარიუსთან ერთად წმ. ანტონის ბაროკალებზე. ერთი დაიღუპა კვაზიმოდოს ხელით, მეორე — ჯარისკაცის ტყვეით.

ბევრი ფანტასტიური სცენაა ამ რომანში, მაგრამ არის აგრეთვე „შინაგანი სიმართლე“ (ლუნაჩარსკი). ეს სიმართლე რომანტიზმის სამოსელშია გახვეული და ძნელია მისი დანახვა. იგი მზის სინათლეზე გამოიტანა ავტორმა რომან-ეპოპეიაში — „საბრალონი“. 30 წელს გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ ნახა და განიცადა. 1862 წელს ამ რომანის გამო მას ბრიუსელში ბანკეტი გადაუხადეს, სადაც მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. იგი მშვერმეტყველურად ლაპარაკობდა პროსტიტუციის, ჭაღის, ბავშვის უფლების, სულის უფლების, პროლეტარიატის, პაუპერიზმის, პარაზიტის, თავისუფალი პრესის, პროგრესის, რესპუბლიკის შესახებ. რომანის იტალიურად მთარგმნელი დელისი სწერდა მისი უნივერსალური ღირებულებისა და საარგებლიანობის შესახებ.

„ყველგან, სადაც ადამიანი დაიწყებულა და უიმედოა; ყველგან, სადაც ქალი ჰყიდის თავის თავს პურისათვის; სადაც ბავშვი განიცდის საჭიროებას წიგნისას, რომელიც მას ასწავლის, და კერძას, რომელიც მას ათბობს, წიგნი „საბრალონი“ აკაცუნებს კარზე და ამბობს: „გამიღეთ, მოვიდვიარ თქვენთვის“. მას ყველა მშრომელმა გაუღო კარი და მალაზოდ მიიღო. ფონტინას, ე. ვალეანის და კოზეტას ბედი მან საყუარად ბედად ჩასთვალა და უსაზღვრო თანაგრძობობითა და სიყვარულით მოეყრა ამ კეთილ ადამიანებს“.

ავტორმა სიუჟეტი დიდ ისტორიულ მანძილზე გაშალა: დაიწყო დირექტორიით, დაამთავრა რესპუბლიკით. რომანი ძალიან ვრცელი გამოვიდა და მას უარყოფითი კრიტიკით შეხედდნენ: სწუნობდნენ მის მთლიანობას (ლანსონი). შეიძლება ისტორიული მომენტები ზოგან ურთიერთთან დაკავშირებული არ იყოს, მაგრამ ავტორის იდეა და მსოფლმხედველობა მთლიანია. იგი გაშლილია ე. ვალეანის ისტორიაში. ვალეანი სიკეთისა და სათნოების უმაღლესი განსახიერებაა. იგი სხვა იდეალურ გმირთა შორის ყველაზე უფრო იდეალურია. იგი ავტორისათვის ანგელოზია. ეპისკოპოსმა ბენედიქტმ გამოსტაცა მისი სული ეშმაკს. მოკვდა კატორღელი ვალეანი. „მე ვარ მადლენი, მე ვრჩები მადლენი. უბედურება იმას, ვინც არის ე. ვალეანი. მე აღარა ვარ იგი. მე არ ვიცნობ ამ კაცს“. მადლენი „ქმნის ქალაქებს, სადაც მხოლოდ ფერმერებია. იგი ქმნის ფერმერებს იქ, სადაც არაფერია. ჭრება სილატაკე და აურზაური, პროსტიტუცია, ქურდი, მკვლეელი, ყოველი მანკიერება, ყოველი დანაშაული“ *).

ასეთი ადამიანი უნდა იყოს მდიდარი და მტკიცე ნების პატრონი და ვალეანიც სწორეთ ასეთია: იგი უტეხია და ღონიერი. იგი მდიდარია. იგი ყველგან სიკეთეს სთესს. იგი მზრუნველობას უწევს ფანტინას, რომელიც კაპიტალიზმმა მოლიბულ გზაზე დააყენა. იგი სიკვდილამდე რჩება კოზეტას მოამაგე მამად.

ვალეანის გადაქცევა შერად, მისი გამოჩენა პატარა კოზეტასთან ტყეში, წმ. ანტონის ბარიკადებზე — მარიუსთან, მიწის ქვეშ, ბ-ნ ლებლონის

* Les Misérables, Fantive, t. II, p — 102 .

ფერმაში რომანტიული ამბავია. მაგრამ მისი მოქმედება წარმოადგენს ერთი-ერთობა დამაჯერებელია. გარეგნულად ვალეანი ბურჟუის ტიპი, შიგნით კი „ციტ მოვლენილი ანგელოზის სული იშლება“, *პრანს მენსჟელებ-ნიზლანტისეა* რიგ ადამიანებზე მაღლა აყენებს.

ვალეანი გამოცანაა. ვალეანი უცნობია. „უცნობი ოკეანეა. რა არის სინიდიის? იგი გზის მაჩვენებელია. უცნობის აზრები, ოცნება, ლოცვა — ეს დიდი მისტიური ბრწყინვალეებაა“. სინიდიის ჰიუგოს კეთილ და ზოგჯერ არაკეთილი ვმირების მამოძრავებელია. სინიდიის ვალეანის სულის ფილტრია. განგება აძლევს მაღლსა და გამარჯვებას ამ მიწიერ ანგელოზს.

ფანტინა რეალისტური ტიპია. მისი პორტრეტი ავტორმა ქუჩიდან აიღო. კაპიტალიზმმა გადააქცია ვალეანი ქურდად და კატორღელად, მაგრამ სასწაულმა გადაარჩინა. ეს სასწაული ეპისკოპოსია. იგი საცესებით რომანტიული პერსონაჟია.

კეთილსა და ლმობიერს არა აქვს იმდენი ფასი, თუ ბოროტი და უღმობელი არ არის, და ავტორი იძლევა ჯავერის ტიპს. ჯავერი ხელისუფლების ერთგული და თავისი მოვალეობის ბრმად ამსრულებელი პოლიციელის ტიპია. მისი გონება ბლაგვია, მხოლოდ ერთი უნარი აქვს — იპოვოს ვალეანის კვალი.

ვალეანის სიკეთე ტენარდიეს ავანტურისტულ ოჯახს ეფინება. ტენარდიე ტიპია გაიძვერა ადამიანისა, რომელიც ყოველგვარ სისამაღლეს ჩაიდნენს, თუ დასჭირდა. ნაპოლეონის ომში გვამები გაძარცვა, რევოლუციის პერიოდში ჯაშუშობა დაიწყო, გვარი გამოიცვალა და სხვა. დამაჯერებელია მისი ოჯახის სახეები.

მარიუსი ავტორის პროტოტიპია: იგი ბონაპარტისტია და რესპუბლიკელი, მაგრამ ისეთივე მეოცნებე და უტოპისტი, როგორც ავტორი.

კოზეტა სილამაზისა და სათნოების განსახიერებაა. მისი მუშაობა ტენარდიეს ოჯახში უფრო დამაჯერებელია. ვალეანთან მისი ცხოვრება რაღაც რომანტიულ ელფერს აძლევს მას. ცოცხალი და დამაჯერებელია გავროზის ტიპი. რომანში ხშირია იდეალისტური ხასიათის მსჯელობა. ნაპოლეონის ვატერლოოსთან დამარცხების მიზეზად ავტორი ასახელებს განგებას, რომელმაც წვიმა მოიყვანა, რადგან „ნაპოლეონმა ღმერთი შეაწუხა“. ვატერლოოზე უფრო ნათლად ავტორი 1830 — 32 წლების აჯანყებას აგვიწერს, რადგან თითონ იყო ამ ამბების მოწმე.

მწარე სინამდვილედ იქცა ავტორის წინაშე სოციალური ბოროტება, მაგრამ ეს მწარე სინამდვილე ინგლისის ისტორიაში განსჭვრიტა. „კაცი, რომელიც იცინის“ უტყუარი სარკეა ამ მწარე სინამდვილისა. კომპრაჩიკოსების თარეშს ევროპაში, ინგლისის არისტოკრატიის ზნედაცემულობას გუიმპლენის ისტორია გამოხატავს. გუიმპლენი gratesque-ა, როგორც კვაზიმოდო, მაგრამ იგი კეთილია და თავისი სიმახინჯით ცრემლს იწვევს. კვაზიმოდო ბოროტია და გელური და ზიზღს იწვევს. გუიმპლენი კეთი-

ლია, როგორც ვალენი. ვალენს უსამართლობამ ზანგრძლივი სპაჟრობი-
ლე და დევნა არგუნა, გუიმპლენს — მუდმივი სიმანხრევე და ტანჯვა.
„გუიმპლენი იყო განგებისაგან შექმნილი ადამიანური მწყვერველი ფაქტი“.
დეა სიკეთის, უბიწოებისა და წრფელი სიყვარულის, განსაკუთრებით, მაგ-
რამ „დეა იყო ხალხი, დეა იყო ობოლი, ბრმა, იგი იყო ადამიანურობა“ *).

დიდი სიცხოველითა და დამაჯერებლობით აგვიწერს ავტორი ინგლისის
სასახლის გადუხჭირებულ არისტოკრატას. აქ არ ზოგავს იგი სატირულ
ნაქს. დედოფალი ანა შურიანი და ცბიერია. ჟიოზანა — ავხორცი და ვნე-
ბიანი. ლორდი დირიშუსი ფუქსავატია, რომლის მიზანიც ფუფუნებით
ცხოვრება და გართობაა. ბარკილფედრო — სასახლის ზუმარაა, იგი გაქნი-
ლი და ფარისეველია, იგი მზადაა ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს.

ბალაგანის აქტიორს, გუიმპლენს, პერად ირჩევენ. არისტოკრატია
ბრწყინვალე ცრემონიას უმართავს, მაგრამ მასში იღვიძებს დემოკრატი-
ული სული. იგი გმობს არისტოკრატას, სტოვენს მას და გარბის თავის
სიყვარულ დეასთან, ურსუსთან და პომოსთან. გუიმპლენი რომანტიული
ტიპია. იგი არის სახუმაროც და ამალღებულებიც. იგი ატარებს ავტორის
დემოკრატიულ იდეებს. სასახლიდან გაქცევა და დეასთან და ურსუსთან
მისვლა არისტოკრატის უარყოფასა და დემოკრატის მიღებას გამო-
ხატავს.

რესპუბლიკის იდეალიზაციას ავტორი „93 წელში“ იძლევა. ისტორი-
ული ამბავი რომანტიულ ყაიდაზეა გარდაქმნილი. „93 წელი არის ომი სა-
ფრანგეთთან, საფრანგეთისა კი — პარიზთან“, სამართლიანად შენიშნავს
ავტორი. სამი გმირია ამ რომანში და სამივე ერთნაირადაა დახატული:
მარკიზ ლანტენაკი — ვანდის აჯანყების მეთაური, გოვენი და სიმურ-
დენი — რესპუბლიკის დამცველნი, ლანტენაკის წინააღმდეგ მებრძოლნი.
რამდენადაც სასტიკი და უღმობელია ლანტენაკი, იმდენად ღრმა პოლი-
ტიკური ენტუზიაზმით ალტკინებული არიან გოვენი და სიმურდენი, იმ-
დენად თავდადებულად იბრძვიან ისინი რესპუბლიკისათვის. გოვენი და
სიმურდენი უფრო რომანტიული ტიპები არიან, ვიდრე ლანტენაკი, რად-
გან ავტორმა ისინი ვაიხიდალა. ამ მომენტში ავტორის პირადობა უფრო
მოსჩანს. ისტორიული სინამდვილე მის „მე“-შია გარდაქმნილი. მაგრამ ეს
სამი გმირი ადამიანები არიან და ეს მთავარი მომენტია ავტორისათვის.
ლანტენაკი სამი ბავშვის გადარჩენის გამო ტყვედ უვარდება მტერს, გო-
ვენი ლანტენაკის განთავისუფლების გამო ილუპება გილიოტინაზე. სიმურ-
დენი მისი დალუპვის გამო თავს იკლავს. სინიდისი და ადამიანობა ზოგ-
ჯერ პოლიტიკურ იდეებზე მალლა ღვას. რამდენადაც მთაყარი პიუგოს
გმირში ეს მომენტი, იმდენად იგი უფრო რომანტიული და ნაკლებად რეა-
ლისტური ტიპია. ადამიანური სიკეთითაა გამთბარი არა მარტო ბურჟუაზია,

*) l'homme quirit p. 208.

არამედ პროლეტარის გული. „ზღვის მუშაკების“ გმირს, ელიოტს ჭონება არ დარჩენია, სამაგიეროდ სიკეთით, შრომის უნარითა და ურთიერთობითა იგი დაჯილდოებული. ვინ დააფასებს მას? მის ლიტერატურულ მწიკტსა და მისი „დიურანდის“ ნაწილებს იღებს ზღვიდან და იმედგაცრუებული თავს იხრჩობს წყალში. კეთილი ადამიანის გულში სიყვარულს მაგრა აქვს ფეხები გადგმული. გიუმბლენს დეა მოუკვდა და თავი დაიხრჩო. მარიუსს კოზეტას გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. კეთილი ადამიანის სიყვარული არ ზდება სხვისი დაღუპვის მიზეზი.

მდიდარი და მრავალსახოვანია თემა, რომელსაც ჰიუგო იღებს სინამდვილიდან. ამ სინამდვილემ გაამართლა და გახადა იგი საყვარელ მწერლად ჩვენთვის.

ვ. ჰიუგო მუშათა კლასის თვალში იყო, არის და იქნება პროტესტანტი, რეაქციის, ტირანიის, ძალმომრეობის, უსამართლობის შეურიგებელი მტერი.



მის. ზანდუქელი

ნიკო ლომოურის შემოქმედების სოციალური საფუძვლები


ნიკო ლომოური ქართული ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო ფიგურაა. ის, როგორც პოეტური შემოქმედებით, ისე პრაქტიკული მოღვაწეობით, ტიპური გამომხატველია ხალხოსნური მიმართულებისა, ასე მძლავრად რომ განვითარდა 70-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში, ხოლო აქედან ჩვენშიც.

ნიკო ლომოური სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 1870-იანი წლების დასაწყისიდანვე. ის ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს ჯერ კიდევ ტფილისის სემინარიაში სწავლის დროს — გაზეთ „დროებაში“ ათავსებს კორესპონდენციებს, ხოლო ჟურნალ „მნათობში“ ლექსებს. ნიკო ლომოურის მოღვაწეობის ახლო გასინჯვა ააშკარავებს, რომ მის შემოქმედებას დასაწყისშივე იდეურობით გაელინთვა ეტყობა. ნიკო ლომოურის შემოქმედებასთან ახლო მისვლა მკითხველს უმალ აგრძნობინებს, რომ მწერლის კალამს თავიდანვე გარკვეული გზა მუშაობისა ურყევად აურჩევია — ის „ხალხის მოკეთეა“, მისი სურვილია ხალხის ცხოვრების დაუღალავ გუშაგად გადაიქცეს.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მწერალი 1871 წლიდან ჟურნალ „მნათობში“ ათავსებს მთელ რიგ, მართალია, ფორმის მხრით მეტად გაუმართავ ლექსებს, სადაც გაჭირებული ხალხის — გლეხობის მდგომარეობაზე კენესის ჭაბუკი პოეტი:

„ისმინე მონა — მოიდრიკე სასწრაფოდ თავი
და შეუშვირე შენი ზურგი ცხელ მათრახებსა;
ისაულნო, ვით წესია, თქვენ დაუშინეთ
ცხარე მათრახს წესს დამრღვეველ თქვენს მოძმეებსა.
და იშნაირად — კერძი ლეთისა — ჩემად და მღუმრად
იდრეკავს ზურგსა — ზეცის შეილი — პირუტყვის გვირად,

ისმის სასტიკი ამის ზურგზედ მათრახის ცემა.
 გაღურჯებული კანი მისი ზედი-ზედ სკდება.
 და წმინდა სისხლი, რომელიცა კაცთ დასაცვალად **კრქუნსულნი**
 უნდა იღვროდეს — ეხლა სრულად იღვრება **ფუჭყუბ ჭიქოსუნება**



ხალხის ასეთი მდგომარეობა ნიკო ლომოურს ყრმობიდანვე სულს-უხუთავს, გონებას უმღვრევს, მასში მწარე ფიქრთა გროვას იწვევს და გულს უღრღნის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც სევდებს არ იკარებს, იმედი უკეთესი მომავლისა მას არ შორდება და ძალუმაღლად ვიწარნებს. ჭაბუკი პოეტი თავის ამგვარ განცდებს აი როგორ გადმოგვცემს:

„ისევ შენ და ისევ შენ
 ჩემო წინა შორბედო...
 გამაშხნევე ძაბუნი
 შამაველის იმედო.“

ოდეს სულში შემოდის
 სისოწარკვეთილება,
 მკისვე შენ შევლინები
 მკისვე სულიც მშველება.“**)

ნიკო ლომოურის სამწერლო მოღვაწეობის ნამდვილ მიმართულებების გამოჩინებისა და გამომქლავების მიჯნად შეიძლება მივიჩნიოთ 1879 წელი, როდესაც მან ერთ-ერთი თავისი საუკეთესო ნაწარმოები „ალი“, დასწერა. ამ ნაწარმოებში არსებითად გამოირკვა ნიკო ლომოურის პოეტური კრედიტა და მისი შემოქმედების დამახასიათებელი სტილიური ნიშნებიც.

ნიკო ლომოური მოთხრობა „ალით“ გარკვეულად დადგა ხალხოსან-ბელეტრისტთა პოზიციაზე და, შეიძლება ითქვას, სიკვდილამდის, მიუხედავად ხალხოსნური მიმართულების დეკლარაციისა და შემდეგ მისი, როგორც პოლიტიკური მიმართულების, ყოველ შემთხვევაში საქართველოში მაინც თუ გაქრობისა არა, ძალიან შესუსტებისა და გადაგვარებისა მაინც, მან ხალხოსნების მიმართულების დამახასიათებელი ნიშნები ურყევად შეინარჩუნა.

ნიკო ლომოური სწავლობს როგორც ტფილისის სასულიერო სემინარიაში, ისე კიევის სასულიერო აკადემიაში მეტად საგულისხმიერო პერიოდში — 70-იან წლებში. ესაა ხალხოსნების, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, მოღვაწეობის განვითარების უმწვერვალესი მომენტი. სწორედ ამ პერიოდში ხალხოსნები ფართოდა და ენერგიულად მოედვენ მთელ რუსეთს. ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში ცდილობენ შეიქრან, ამოძრან, ამოქმედონ დაგუბებულნი, თუ ერთს წერტილზე გაყინული სა-

*) ნიკო ლომოური, „ბარბიედაშ“, „მნათობი“, 1872 წ. № 8 — 9.

***) ნ. ლომოური, „იმედს“ (სამღერა ფიქრის შემდეგ), „მნათობი“, 1871 წ. № 6.

ზოგადობრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება, გარდაქმნა მასი/წყობა ხალხის მასებისთვის ბედნიერების გამწვლელ საფუძვლებზე ხალხოსნები ცდილობდნენ აზრთამფლობელნი შექმნილიყვნენ არა მარტო მდებრიო მასებისა (გლეხკაცობისა), არამედ მოწინავე ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობისა.

აღფრთოვანებული სულიერი განწყობილებით გატაცებული ხალხოსნები ეცნობოდნენ გლეხკაცის ცხოვრებას, უკვირდებოდნენ მას და ჰხედავდნენ უმწეო, გამოუსვლელ მდგომარეობას ხალხისას, რომელიც ფორმალურად 1861 წ. განთავისუფლებული იყო, მაგრამ სინამდვილეში თავისუფლებასთანა და ბედნიერებასთან კვლავინდებურად შორს იდგა. ხალხოსნები თავიანთ-და სამწუხაროდ რწმუნდებოდნენ, რომ ხალხის მასებში ბუნებრივი მდიდარი ძალა დიდი იყო, მაგრამ მისი გაუნათლებლობის, უკულტურობის, სილატაკისა გამო, ეს ნიჭი და ძალა მასში გაუფურჩქენელი და გაუნაყოფიერებელი დარჩა. ხალხოსნების წინაშე დაისვა საკითხი — როგორი გზით უნდა წავიდეს რუსეთის განვითარება, რომ ხალხი ბედნიერი შეიქნას. რუსეთი იმავე გზით უნდა წარიმართოს, რომლითაც დასავლეთ-ევროპის ხალხების ისტორიული განვითარება მიდის კაპიტალისტური ურთიერთობის ვაბატონების გამო, თუ მას სხვა გზა აქვს?

ხალხოსნებისათვის არსებული მდგომარეობის დატოვება მიუღებელი იყო. ისინი აღარებენ რუსეთის ყოფას დასავლეთ-ევროპისას, რწმუნდებიან არსებით განსხვავებაში. მათი შეხედულებით, მართალია, რუსეთი ჩამორჩენილია, მაგრამ დასავლეთ-ევროპის სოციალ-ცხოვრებაში მეტად მძიმე მდგომარეობა მშრომელთა, პროლეტარიატისა მათ მეტად აშინებს. ისინი ფიქრობენ რუსეთის გლეხკაცობას თავიდან ააცდინონ ეს „უბედურება“. „არა, არ გვინდა ინგლისელთა ეკონომიური მოწიფულობა, — ერთგვარი ფანატიზმით ვაიძახის ნმ-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი მ. ხ. ზანდუკელი — იმას რუსის კუჭი ვერ მოინელებს.

არა, არა, ჩვენი გზა სხვაა
და ჯვარი ჩვენ არ უნდა ვატაროთ,
ღვი, ის ატაროს ევროპამ“.

ხალხოსნებს არ უნდათ რუსეთში დაინახონ კაპიტალიზმის განვითარება, როგორც ფაქტი, რომელიც რუსეთსაც მისთვის დამახასიათებელი გზით მიაქანებს. მათ რუსეთი თავისებურ სასოფლო მეურნეობის ჰეგემონად მიაჩნიათ, სადაც მოქმედი თუ შემოქმედი გლეხია. „მომავლის ადამიანი, — ამბობს გერცენი, — გლეხკაცია, როგორც საფრანგეთში მუშაა“.

ხალხოსნებს ბედნიერად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ რუსეთში კაპიტალიზმი არ არის ძალამოხვეჭილი, რომ დარჩენილა იქ თემური წყობილების დასაბამი, რომლის განვითარება-გაუმჯობესება საფუძვლად დაე-

დება ხალხის მომავალ ბედნიერ ცხოვრებას. თემის დღესაბამის განვითარებით, როგორც ამას მათ უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი ასწავლიდნენ, რუსეთი თავს დააღწევს კაპიტალიზმის გველეხურებას კაბადიას და პირდაპირ სოციალიზმში გადავლენ. ერთის მხრით, ხალხოსნები თითქოს მიისწრაფიან ხალხის ბედნიერებისათვის, ხოლო მეორეს მხრით, ებრძვიან კაპიტალიზმის განვითარებას.

ამიტომ, როდესაც გვიხდება ხალხოსნების მოღვაწეობის შეფასება ჩვენ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი ო რ მ ა გ ი ბ უ ნ ე ბ ა, რომელიც, როგორც ლენინი სამართლიანად ამტკიცებს, მათ ახასიათებს. „ის, — წერს ლენინი, — პროგრესიულია იმდენად, რამდენადაც ის აყენებს ზოგად-დემოკრატიულ მოთხოვნილებებს, ე. ი. იბრძვის საშუალო საუკუნეების ეპოქისა და ბატონყმობის ყოველივე ნაშთის წინააღმდეგ; ის რეაქციონერია, რამდენადაც იბრძვის თავისი, როგორც წვრილბურჟუაზიის მდგომარეობის შენახვისათვის, ვინაიდან ცდილობს შეაჩეროს, უკან მოღრიცოს ქვეყნის ბურჟუაზიული მიმართულებით განვითარება“ *).

ხალხოსნები გამომხატველნი იყვნენ წვრილბურჟუაზიის იდეოლოგიისა. ხალხოსნები, სამართლიანად ამბობს ლენინი, ვერ ამჩნევდნენ განსაზღვრულ მანძილზე კაპიტალიზმის პროგრესულ მნიშვნელობას, ვერ ხედავდნენ რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ადამიანის ცხოვრების ძველი, ვიწრო პირობები, მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ს მ ი ს ც ა სა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ვ ი ს ი ბ ე დ ი ს ა კ უ თ ა რ ხ ე ლ შ ი დაეჭირა, ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ დაარღვია ძველი ზღუდეები, გვარის, ოჯახის, ტერიტორიალური თემისა და მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობა წარმოშვა, რომელმაც დასაველეთ-ვერობა ასე წასწია წინ.

მაგრამ ყველა ამასთან ერთად, ისიც აშკარაა, რომ ხალხოსნები გატაცებულნი „ხალხის“ ცხოვრების მოწესრიგების აუცილებლობის შეგნებით, ერთგვარი მონღოლებით გავიდნენ ხალხში მისი კეთილ დღეების შექმნის მიზნით.

ნიკო ლომოურისათვის ხალხოსნურ მისწრაფებათა გაყოლა ნამდვილ დაკმაყოფილების წყაროდ გადაიქცა. აი როგორ ანსახიერებს გიგორუბელაშვილის სახით ნიკო ლომოური თავის განცდებს და მომავალ მოღვაწეობის გეგმას ცხოვრების დასაწყისში, როდესაც ის თავს გადაავლებს კარგად ნაცნობ გლეხაკობის გამოუვალ მძიმე პირობებში დაგუბებულ ცხოვრებას: „მე მინდა სოფლად დავსახლდე. სოფელი შე-

*) Ленин — Что такое „Друзья народа“, стр. 134.

წუხებულაია გაუნათლებლობით, სხვადასხვა სწეულებით და იორვესა წურბელა-ნადირებით. სკოლითა და ადვილად გასაგები ლექსებით შეგებობილები პირველთა; სამკურნალო მეცნიერებით შეეასრულეს მკურნაობა; სამართლის ცოდნით, პურის მაღაზიებით, საზოგადო დემონების დაარსებით და სხვა გარემოებებზე დამოკიდებულ მოქმედებით წინ დაუვდგები მესამეთ. იმედი მაქვს, ერთი მეც ბევრ რასმე გაეაყეთებ, მაგრამ ისიც კი მტკიცეთა მწამს, რომ მე მართო არასოდეს არ დაერჩები დიდხანსა: მალე სხვებიც მომეშველებიან*)...

და ეს ხომ ჩვეულებრივი გეგმაა ხალხოსნისა, მისი მრწამსი, ვატაცება და მომავლისაკენ დამახასიათებელი იმედიანი ვაცქერა. ესაა „ხალხში გასვლის“ გეგმა. ხალხის ქირისა და ლხინის მოზიარედ გადაქცევა. გოგო ღრუბელაშვილიც ურყევი და უკან დაუხევი ვატაცებით აკი, მართლაც, მოზიარედ ვახდება ხალხისა, რომელსაც მეტად სჭირდება მისი შველა, სადაც ხოლერა საშინელი მძვინვარებით ელიტავს ისედაც დაბეჩავებულ, გაჩანაგებულ მცხოვრებთ. მოთხრობაში „გიგო ღრუბელაშვილი“ ვადაშლილია სოფლისა და მის მცხოვრებთა ტიპური მდგომარეობა; მოცემულია ცოცხალი, შეუფერავი, გულის შემზარავი სურათი ჩვენი სოფლისა წარსულში, რომლის მცხოვრები გლეხნი სახელმწიფოსი და საზოგადოების პრივილეგიური კლასების ხელში საშინელი ექსპლოატაციის საგნად, სარგებლობისა და საზრდოობის წყაროდ იყვნენ გამოყენებულნი. გლეხკაცობის მუდმივი „ტვინის წოვა“, მუდმივი ჩაგვრა, დევნა, საერთო ცხოვრების სუფრიდან, მართლაც ხალხს და ქვეყნის ცხოვრებას რაღაც თავზარდამცემი უფსკრულის წინაშე აყენებდა. ხალხის, ქვეყნის წინმსვლელობისა და სიცოცხლის საკითხი მძიმედ დაბურულ ნისლში იხვეოდა, სადაც მოაზროვნის ტვინსა და გულს საშინელ კოშმარსავით აწვებოდა და ვასაქანს არ აძლევდა.

ნიკო ლომოურს, როგორც ხალხოსან მწერალს, უნდა ხალხის ცხოვრების ეს მხარე მკვეთრად წარმოუდგინოს მკითხველს, რათა მკითხველის გულიც ისევე დასეროს, ააღლევოს, ააშფოთოს და მით თანაზიარი შეიძინოს. და ესეც, ხომ სტილიური ნიშანი იყო ხალხოსნებისა.

გლეხთა ცხოვრების მძიმე სურათები უხვადაა ჩაქოვილი ნიკო ლომოურის შემოქმედებაში. ჩვენება ამ შევიწროვებულთა ცხოვრებისა ისეთი მძლავრია („გიგო ღრუბელაშვილი“ „ქრისტიანი ლექები“ და სხვა), რომ დღესაც კი, როცა ამის მოგონებაც-კი შეებნელი წარსულის უფსკრულს აქვს ჩაბარებული, დამშვიდებით მისი წაკითხვა შეუძლებელია.

*) ნიკო ლომოური, — გიგო ღრუბელაშვილი, გვ. 141.

მკითხველი როდესაც ხალხის ცხოვრების ასეთს ცოცხალ ბანკრამას გაატარებს თვალწინ, ავტორთან და განადგურებულ, დაბრუნებულ, დაბეჩავებულ ხალხთან ერთად წამოიყვირებს — „მყრელებს, მყრელებს, მყრელებს სოფელი“, ან „ქვეყანა საზიზღარია, ბუდეა ბოროტებისა“.

აი აქ, ხალხის ამ მდგომარეობაშია ნიკო ლომოურის შემოქმედების სოციალური საფუძველი, აქაა მისი დასაბამი.

ნიკო ლომოური, როგორც დაკვირვებელი, ხალხის ამგვარი ცხოვრებით მძიმედ დასევდიანებული მწერალი-მოქალაქე, ცდილობს ხალხის ცხოვრების ძირში ჩაიხედოს, გაიგოს, შეისწავლოს და შემდეგ მკითხველს აჩვენოს მიზეზი ხალხის ასეთი განმანადგურებელი მდგომარეობისა. ამისი მიზეზი, მწერლის ჩვენებით, ორგვარია: ერთი მიზეზი თვით გლეხშია, თვით გლეხია მისი უშუალო მატარებელი. ის კონსერვატორია, ძალუმაღ ებლაუტება ძველ ზნე-ჩვეულებას, ადათს, რომელიც უფრო ანადგურებს ისედაც დაბეჩავებულ მის ცხოვრებას. გლეხკაცობის ჩამორჩენილობაზე აღმოცენებული და გაძლიერებული ცრუმორწმუნეობა ნოყიერ ნიადაგსა და ფართო გასაქანს აძლევდა გლეხს ჩაბლაუტებოდა მანვე ჩვეულებებს, როგორცაა: ხატობა, ნათლობა, ქელეხი და სხვა მრავალი ამგვარი („ალი“, „ქაჯანა“ და სხვ.).

მეორე კატეგორიის მიზეზი გლეხის გარეშეა. გლეხს წურბელსავეთ მოკიდებული ჰყავს გაბატონებული კლასი თავისი ყველა პირადი და სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებებით. გაბატონებულს კლასს მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ხელში დაუჭერია და ხალხის, გლეხის ოფლით იკმაყოფილებს ყოველგვარ მოთხოვნილებას, ხოლო ამ მშრომელ მასას წილს არაფერში არ უღებს.

ერთ მხარეზეა გლეხი, მეორეზე — მემამულე, ვაჭარი, სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც მემამულეთა და ვაჭართა ინტერესების დამცველია. ასეთია, ნიკო ლომოურის გაგებით, სოციალური წინააღმდეგობა სოფლის მცხოვრებთა შორის და ეს წითელ ზოლსავეთ გასდევს ჩვენი მწერლის შემოქმედებას. მართალია, ნიკო ლომოურის შემოქმედებაში ეს წინააღმდეგობა ხშირად სათანადოდ არ არის გამახვილებული. როგორც წვრილბუფრუჯაზიულ მწერალს, მასაც მერყეობა ახასიათებს, მაგრამ პოზიცია გლეხთა ინტერესების დაცვისა მაინც გარკვეულად გატანილია ბოლომდის. მწერლის გაგებით, ყველა გლეხის გაჭირებული მდგომარეობით სარგებლობს. ყველა ამ თავის „საარაკო საქმეს“ სახელმწიფოებრივი აპარატის დახმარებით აკეთებს.

გლეხს განა ნაკლებ ავიწროებდენ ხელისუფლების სხვადასხვა რანგის მოხელეები, დაწყებული მოსამართლით, მაზრის უფროსით და გათავე-

ბული სოფლის მამასახლის-გზირით. მწერლის გაგებინა და დახატვით სახელმწიფოებრივი მოხელეები, რომელთა დანიშნულება ხალხის კეთილდღეობისა და მისი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისა და მამასახური უნდა ყოფილიყო, თითქოს, სპეციალურად ისედაც დაჩაგრული გლეხის შესავიწროებლად იყვნენ მივლინებულნი. მამასახურისა და თავისი მოვალეობის აღსრულებას ისინი ისე უყურებდნენ, როგორც თავისი პირადი კეთილდღეობის განმტკიცების საშუალებას ისედაც გაძვალტყავებული გლეხის ზურგზე და ხარჯზე.

ნიკო ლომოურის მხატვრული აპერცეპცია ყოველ ნაბიჯზე ზატავს შემამრწუნებელ სურათს გლეხის შევიწროებისას და ხმას იმაღლებს მხატვრული სახეების მოცემით ამ თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. მისი „ალი“, „ქრისტიანი ლეკები“, „ბედი უბედურთა“, „ყოველი მხრიდან“, „წუთისოფელი“ ნიქიერად ჰხდის ფარდას შევიწროებულ გლეხთა ქვეყანას.

განა სასამართლო არ არის, რომ ხახამ გაბრიელას ლავამს არ ამოსდებს და არაშენდაანთ ვენახს, ნაფუძარს ათ თუმანში ჩარჩ გაბრიელას დაუნარჩუნებს? განა სასამართლოს ბოჭული და მამასახლისი არა ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი ძალა-უფლება და ისედაც დაზარალებულ არაშენდაანთ ოჯახს უკანონოდ წაგლიჯონ თორმეტი მანეთი, ვითომც და სასამართლოს ბოჭულის გასამრჯელო, და ამ გადასახადში ფურკამეჩი გაიგდონ? ამ ძალმომრეობისაგან არაშენდაანთ მხოლოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სიმონას დედის გაბოროტება და იხსნის („ალი“).

მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალმომრეობა გლეხაკზე აღშფოთებითა და შეუფერავი სინამდვილითაა გადაშლილი ნ. ლომოურის მიერ მოთხრობაში „ქრისტიანი ლეკები“.

ამ მოთხრობაში მოცემულია მამასახლისის თვითნება თარეში სოფელში და უპასუხისმგებლო ძალმომრეობა გლეხობაზე. მამასახლისი გაჯავრებულია სოფელ ნიკრეელში მცხოვრებ გლეხ სვიმონა ლუკაშვილზე, რომელმაც მამასახლისს არ მისცა ქრთამი მოთხოვნილი რაოდენობით. მამასახლისს უნდა მას თავისი ძალა უჩვენოს. ერთი ათად, შეიძლება ოცადაც გადაახდევინოს სვიმონას „ჯონონის ძალით“. მამასახლისი პირდაპირ დაარბევს და უდიერადაც გადაახდევინებს, ყოველივე დამცირებას მიაყენებს. მამასახლისის ბრძანებაზე: „ჩაფრებო, აბა ერთი კარგად გაბერტყეთ ეგაო“, სამი ჩაფარი მისცვივდება და შეუბრალებლად დაუწყებს ცემა-ტყეპას ბეჩავ სვიმონასა, „რომელიც ამ დროს, — აეტორის გადმოცემით, — ხან გველივით იხლანებოდა, ხან ძირსა ცუცქდებოდა, თითქოს კინტოურს თამაშობსო, ხანაც ფეხებს აქეთ-იქით იქნევდა და ჯანაზივით ხტოდა“. სვიმონას ასეთი მდგომარეობა მის ჯალათებს ამხიარულებდა, ის ცოცხალ-მკვდარი ჩაფრებს ძლივს გააგდებინეს.

ამასაც არა ჯერდება მამასახლისი, გაგზავნის სვიმონას ოჯახში და სა-
ახალწლო ნამზადის წამოაღებინებს, ოჯახს დაურბევს. სვიმონას კვლავ
წამოათრევენ მამასახლისთან და კიდევ გააწამებენ. ჩაუჭრენ მამასახლისის
ბრძანებით თოკით ბოძზე მიაკრავენ, „თავი შირსა“ და-
ლუნული მაგ ღორსა, შეჰყვირა მამასახლისმა, — აუკრით თავიც მალა:
მე მინდა რომ ჩემ წინ გამოჰიმული იდგეს სალდათივით“—ო. ეს და ყვე-
ლა ამგვარი ბრძანებები გლეხის მიმართ უმაღლეს სრულდება.

საშინელ, საზარელ სურათს წარმოადგენს დამცირებული, შეურაცხ-
ყოფილი საბრალო სვიმონა: „ფერმიხდილი, უძრავად გაშეშებული, —
აგვიწერს ავტორი, — ის უფრო ბოძზე აკრულ უსულდგმულო ცხედარსა
ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანსა. თოკმოჭერილ მკლავებიდან სისხლი
ძირს დაშვებულ ხელებში ჩამოჰვებებოდა: ამის გამო განზე გაპარკული
თითები რუმბებივით დაბერილიყვნენ და ორთავე ხელები ნახშირივით
დაშავებოდა“. ასეთ მდგომარეობაში სვიმონამ ორი-სამი საათი გაატარა
და კიდევ შესაძლებელია დიდი ხანი ყოფილიყო, რომ საცოდავი სვიმონა
ვზირს არ შეებრალენინა და ცრემლითა და ვედრებით არ გაენთავისუფ-
ლებინა ის ჯალათების ხელიდან.

დაოსებული, გამწარებული და გაწბილებული სვიმონა ცოცხალ-მკვდა-
რი დაუბრუნდა თავის დაწოკებულ ოჯახს. სვიმონა სრულებით უძლუ-
რია დაიცვას თავისი თავი და თავისი ოჯახი განადგურებისაგან. ძალ-
მომრევთა ბანაკი ძლიერია, უპასუხისმგებლოა. ავტორმა სვიმონას მდგო-
მარეობა რომ გასაგები გახადოს, მეტად მკვეთრ და თვალსაჩინო შტრი-
ხებს იძლევა: „მე მინახავს, — წერს უბედურთა მდგომარეობის ხილვით
შეძრწუნებული მწერალი — ძროხა, რომელიც დასაკლავათ მიჰყავთ. ის
თითქო ცხადადა გრძნობდა თავის მომავალ უბედურებას... საცოდავს
ხმით ზმუოდა, ფეხები უკანა რჩებოდა, მთერალი კაცივით ბარბაცობდა.
სწორედ იმ ძროხასა ჰგავდა იმ წამში ჩენი საბრალო სვიმონაო“.

ნიკო ლომოური გლეხთა ამგვარი შევიწროებულ მდგომარეობის და-
ხატვით ხერხიანად სარგებლობს, რომ ამ ფონზე უფრო მკვეთრად გამოი-
ჩინოს გლეხთა დაუკმაყოფილებელი ნდომაცხოვ-
რებებისა, მისი შეურიგებელი განწყობილება. მიუ-
ხედავად იმისა, რომ ნიკო ლომოური უთუოდ ტიპური კულტურტრეგერი-
ხალხოსანია, გლეხთა რევოლუციონური სულიერი განწყობილების გამო-
მჟღავნებასა და ჩვენებას თითქოს გაურბის კიდევ, მაინც ვას, როგორც
ხალხის — გლეხთა ცხოვრების კარგს მკოდნეს, მის მესაიდუმლეს, არ შეუ-
ძლია გლეხთა მდგომარეობის ეს მზარეც მთელი სიმწვავეით არ გამოა-
ჩინოს.

უწყალოდ ნაცემი, „ჩალურჯებულ-ჩასისხლიანებული“ სვიმონა ლეკ-
ვიშვილი მეორე დღეს ლოგინიდან ველარ წამოდგა.

მწერალმა რომ უფრო გაამახვილოს გლახთა შევიწროებული მდგომარეობის დახატვა, უზომოდ შეურაცხყოფილ, უილაჯო სვიმონას გამოურკვეველ ბურანში ბოდვის სახით ათქმევინებს ცხატყვევარს მარტოლოებით მასში გამოწვეულ და დაგუბებულ ბოლმას: „სწევს ღრუბელი სულიერსა და უსულოს, — მწარე თანაგრძნობით გადმოგვცემს ავტორი, — დიდსა და პატარასა, შემადრწუნებელი სიტყვებით ლანძღავდა თავის მშობელს, თავის შავბნელ გაჩენის დღესა... ავადმყოფი მძინარე სვიმონასავან ესმოდათ ისეთი სიტყვები, რომლებსი მსგავსსაც კი ფხიზელი და კარგად მყოფი სვიმონა ფიქრადაც კი ვერ გაიტარებდა“. ასეთს მდგომარეობაში სვიმონას განცდის დახატვა მკითხველის შთაბეჭდილებას კი არ ანელებს, არამედ უფრო აძლიერებს, გლახის დაბეჩავებული მდგომარეობისა და შინაგანი, დაფარული წინააღმდეგობის შთაბეჭდილებას ამახვილებს მკითხველის სვიმონასადმი თანაგრძნობას უფრო აღრმავებს, და ავტორის სურვილიც ხომ ესაა.

შეშინებულმა სვიმონას ცოლმა დაუძახა მეზობლებს, გიორგი და ლაქს. უკანასკნელმა სვიმონას წურბელები მოკიდა. დაბევილი სხეულიდან დაგუბებული სისხლი გამოუშვა და ავადმყოფი მომაკვდავი სვიმონა სიციცხლეს დაუბრუნა.

„ყოველი მხრიდან“ შევიწროებულ გლახობას ამ ძალმომრეობის ნახვით მრავალი ამგვარი გამოვლილი „ულმერთო მოქმედებანი“ მოაგონდა, ბოლმა მოაწვა და ბოლოს ერთხმად გადაწყვიტა მამასახლისზე საჩივრის მირთმევა. მწარე სინამდვილის კარგად მცოდნე მწერალმა კარგად იცის, რომ ამგვარ საჩივარს ამ ძალმომრეობის ქვეყანაში გასავალი არა აქვს. ეს გზა ხალხის მიერ არა ერთხელაა ნაცადი, მაგრამ ამ უთანასწორო ქვეყანაში გამკითხავი არაინაა. კანონის გზა უკანონო ქვეყანაში არ გადის, „კანონი“ ძალმომრეთათვის მხოლოდ ფარია. ნიკო ლომოური იმ დასკვნამდის მიდის, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირდაპირდეს. გლახებიც ამ გზას უნდა დაადგენ. ამგვარ შეხედულებას ნ. ლომოური ზემოხსენებულ მოთხრობაში გიორგი დალაქის პირით გამოსთქვამს: „რამ დაგაქალაჩუნათ ასრე, თქვე საცოდავებო, თქვენა, რომ იძახით ვიჩივლოთ. მერე რას მოვლით შავ საჩივრიდან... შარშან არ იყო, რომ იჩივლეთ, რა ხერის შევეყარებით... ტურა მოიშორეთ და მის სამაგიეროდ მგელს ჩაუვარდით პირშია... ახლა ამ მგელსაც უნდა უჩივლოთ... აი ეს დღე ნიშანი იყვეს და დაინახამთ, რაც მოგივით მერმისა... მგლის ნაცვლად ახლა დათუნისა წამოისევამთ კისერზედა... ბიჭო, თქვე უგუნურებო, როგორ ვერ შეიტყუეთ, რომ ტურებსა და მგლებს კბილების ჩამტერევა უნდათ და არა საჩივრების გაბმა. წუხელი რომ ე მარტო ხელი ბიჭი ბოძზე მიაბა და კინალამ ქიასავით გასრისა ფეხითა, სად იყავით თქვენა... რატომ არ მიუცვივდით და თავი და პირი ზედ არ დააჩიქვით იმ ავაზაკსა იმასა... შარშანდელი

ტურასავით, რომ ჰქვა გესწავლებინათ, წლევანდელი მგელი ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ რო-
დლა მოიქცეოდა“^{*)}).

გიორგი დალაქის სიტყვები ყველა დამსწრეს ^{ქვემოთ} ~~ქვემოთ~~ მო-
ხედება. გიორგის ყველა მწუხარებით დაეთანხმება, რომ, მართლაც, ისინი
დაბეჩავებული და დაქალაქუნებული არიან. ხალხის მიმართვა გიორგი-
სადმი — „გამოცდილი, ჰქვიანი კაცი ხარ, გიორგი, და აბა ერთი გვი-
თხარი... რამ დაგვცა და დაგვაქალაქუნა ასე უღმერთოთ“ — მიძიმე ლოდ-
სავით აწვება ყველას: გიორგის, იქ დამსწრე^{*)} გლეხებს, თვით პოეტს და
მკითხველსაც. მკითხველი გრძნობს, რომ „შევიწროებული ხალხის გულში
ბოღმის, შურისძიებისა და უნდობლობის ზღვაა დაგუბებული. მაგრამ არც
გლეხთათვის და არც მწერლისათვის ბრძოლის გზა ჯერ არ არის გამო-
რკვეული.

გლეხობის მართველობისადმი ასეთი უნდობლობა, რწმენა, რომ მას-
თან სამართალს ვერ იპოვის ხალხი, რომელსაც ასე სწყურია სიცოცხლე-
და არ იცის კი როგორ მოეწყოს, რომ ეს წყურვილი დაიკმაყოფილოს,
რომ გლეხობაზე მთავრობა არა ზრუნავდა, როგორც მოწინააღმდეგე
კლასის ინტერესების დამცველი, ნიკო ლომოური გვიხატავს აგრეთვე მო-
თხრობაში „ყოველის მხრიდან“. შეუჩერდებით ამ მოთხრო-
ბაზე, რადგანაც ამ მოთხრობით, ზოგიერთი ლიტერატორის გაგებით, ავ-
ტორი ვითომც ქადაგებდეს მამაშვილურ დამოკიდებულებას ბატონსა და
გლეხს შორის, კლასთა შორის შეთანხმებასა და შერიგებას. ეფიქრობთ,
ეს მართებული არ არის. ნ. ლომოური, როგორც წერილბურჟუაზიული
იდეოლოგიის ამსახველი, რასაკვირველია, სათანადოდ ვერ ამხსვილებს
კლასთა შორის წინააღმდეგობას. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლომოური
ილია ქავეჭაძის, როგორც მწერლის, დიდ გავლენასაც განიცდის, ამ
მხრივ ის ილიასაგან უდავოდ არსებითად გან-
სხვავდება.

დაუბრუნდეთ მოთხრობას „ყოველი მხრიდან“.

დაისეტყვა სოფელი შემოსული მოსავლის აკრეფის წინ. განადგურდა
გლეხკაცთა ჯაფითა და ოფლით ნაზარდი მოსავალი. სოფელი, დილას
საესე, მიმზიდველი თავისი დამატკბობელი სიუხვითა, სამხრეთობისას გა-
სახიწნელად გამზადებულ ლეშს წააგავდა. ადამიანი ამ სურათით გამო-
წვეულ სასოწარკვეთილებას „წელში ოთხად მოეკაცვა და წყველა-კრულ-
ვას უგზავნიდა ცასაცა და ქვეყანასაც, თავის გაჩენის დღესაც“...

გუშინ თუ შრომა და მისი ნაყოფი დაისეტყვა, „დღეს იგვემბოდა
შემოქმედი ამ შრომისა, წყარო და საფუძველი მისი“. ბუნების ასეთი

*) ნ. ლომოური. ქრისტიანი ლექები, გვ. 196

ღალატით თავზარდაცემული გლეხები ჩუმად იკრიბებოდნენ, რაღაც უილაჯონი, რაღაც ჯადოსნურ ჩიხში იყვნენ მომწყვდეულნი.

ასეთი გარინდებული მდგომარეობიდან გლეხობას უმძინველად ამავე სოფელში მცხოვრები აზნაური იასე, რომელიც დასრულდა კლასიკოსობას თანაგრძობის კილოთი ასე მიჰპართავს: „გამარჯვებით, ძმებო, შეილევო, მეზობლებო“... რას გაჩუმებულხართ, რას ჩაგიქინდრიათ უხეიროთ თავები? რა იყო? რა მოხდა ისეთი, რომ მრავალჯერ არ გვენახოს და არ გამოგვეცადოს? „ქირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვითა ქვით-ქირსაო“... უთქვამს ჩვენს მამა-პაპას. ქვეყანა დიდია, ღმერთი მალაღია, ხელმწიფე მრავალმოწყალე, მხნეთ იყავით და გაძლიერდებით, გვეუბნება მაცხოვარი. წლის სარჩო დაგველუბა, მაგრამ მერე რა? შიმშილით ვინ მომკვდარა, რომ ჩვენ დავიხოცნეთ, შარშანდელი ქირნახული მაქვს კიდევ, ზოგადაც სხვადასხვა სოფლებში შეგიგროვებთ. ახლა თქვენცა გყავთ იმ სხვა სოფლებში ნათესავეები, ნათელ-მირონები... იმათგან ხელს მოინაცვლებთ... გამზნევდით, შეილო, ნუ გეშინიანთ, იქონიეთ მუდამ ღეთისა და თქვენი მარჯვენის იმედი და მაშინ არა გაგიჭირდებათ რა*).

მოხუცი აზნაურის ნუგეში, შესაძლებელია ამ მომენტში გულთბილი, რაღაც დისონანსად გაისმის. იქნება ეს სახე აეტორს, მართლაც, იმიტომ შემოაქვს, რომ „მამაშვილური დამოკიდებულებისა და შეთანხმების“ იდეა გაატაროს? ამას აუცილებელიც კვლევა და ჩხრეკა სჭირია და ჩვენც ვეცდებით ამ საკითხის გაშლას ნ. ლომოურის შემოქმედების მიხედვით.

მოხუცი აზნაურის რჩევა-დარიგება გლეხთა მძიმე ბურანიდან თითქოს გამოაფხიზლებს. მაგრამ მალევე აღმოჩნდება, რომ გლეხის გულში მემამულეშე, ღმერთშე, ხელმწიფეშე დიდი ხანაა ნდობა დაკარგეს. ხალხი მწარე გამოცდილებით დარწმუნებულია, რომ მათი იმედი მხოლოდ მათივე მარჯვენაა, ყველა დანარჩენის იმედი ტყუილია.

შესაძლებელია, აეტორს აზნაური იასეს სახე და მისი რჩევა იმ მიზნით აქვს შემოტანილი, რომ კლასობრივი სხვაობა მათ შორის დაგენახოს და მწერლისათვის დამახასიათებელ რბილ ტონებში გვაჩვენოს, რომ გლეხთა შემზრალეული და დამზმარეული არც ღმერთია, არც ხელმწიფე და არც მემამულე-მებატონე.

ამისი საბუთები შემდეგია:

აზნაური იასეს სიტყვებმა გლეხობა აალაპარაკა. დაიწეს მათ საუბარი თავიანთ შექმნილ მდგომარეობაზე. გამოარკვიეს, რომ ყველაზე მძიმედ მათ სახელმწიფო გადასახადი აწევთ. რამდენიმე გლეხი თხოულობდა მთავრობასთან არზის დაწერას. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამისი. „მოვლენ, და რომ დაინახავენ, რომ არა გვაბადია რა; თავს დაგვანებებენ და უკანვე წაველნო“. მაგრამ ბოლოს მაინც უმცირესობამ

* ნ. ლომოური. ყოველი მხრიდან, გვ. 370.

გაიმარჯა. დააწერინეს არხა, მოაწერეს ხელი და მაზროს უფროსთან გავზანენს.

ნიკო ლომოურს სურს საბოლოოდ ნიადაგი გამოეცალთქვეყნოს. მკირე ნაწილის ნდობასაც, — რომ შეძლებულთ, ხელმწიფეს — მის მმართველ აპარატს, შეუძლიათ გაიგონ გლეხთა გაჭირება და მათზე ზრუნვა.

არხის საპასუხოდ მოვიდა ბოქაული, თავისი თვლით ნახა დასეტყვილი სოფლის უნუგეშო მდგომარეობა. თავისი შეხედულებაც მიათვა უფროსთ. ამ გარემოებამ სოფლის ურწმუნო თომებზედაც კი მოახდინა გავლენა. სოფელს რაღაც იმედი მიეცა. მაგრამ ჯიუტი, სინამდვილის კარგი მცოდნე ავტორი ამ იმედსაც გააცრუებს. სოფელს მთავრობისაგან საბოლოოდ მოუვიდა შემდეგი პასუხი: „გამოეცხადოს ამა და ამ დასეტყვილი სოფელის მცხოვრებელ გლეხებს, რომ მათ ეძლევათ ნება წარმოადგინონ წელსა სახელმწიფო ხარჯის მხოლოდ ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი შეიტანონ მერმის მაშინდელ ხარჯთან ერთად“ *).

რაღაც მწარე, ცინიკური დაცინვა მოისმის დაბეჩავებული, ეკონომიურად გაწრიოკებული ხალხისადმი მთავრობის ამ პასუხში. ნიკო ლომოურს ამგვარი ფინალით სურს მკითხველს და თვით გლეხს, რომლისთვისაც ის სწერდა, ჩააწვეთოს, რომ გლეხი შეეღას ამ ხალხისა და დაწესებულებებისაგან ტყუილად ელის. მწერალს თითქოს ეშინიან, რომ ვაი თუ მკითხველმა ვერ გაიგოს მისი აზრი და ასეთ განმარტებას გვაძლევს:

„როდესაც ეს პასუხი ხალხს გამოეცხადა, ურწმუნო უმრავლესობამ თავის ქნევით და მწარის ღიმილით შეხედა არხის მომზრე მეზობლებს, რომელნიც თავჩაჭინდრულნი იდგნენ და იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თითქო, ვერ მიმხვდარიყვნენ ამ პასუხის შინაარსს“ **).

კლასობრივ შულსა და შეურიგებლობას ნიკო ლომოური უფრო გამახვილებულად მოთხრობა „ბ ე დ ი უ ბ ე დ უ რ თ ა“ -ში გვიჩვენებს. მეტად საგულისხმიეროა, რომ ეს მოთხრობა ნიკო ლომოურს დაწერილი უნდა ჰქონდეს 80-იან წლების დასაწყისში ***). ეს გარემოება მით არის საინტერესო, რომ ამ მოთხრობაში გატარებული შეხედულება ავტორისათვის ჩანს თავიდანვე დამახასიათებელი და ბუნებრივი იყო.

*) იქვე, გვ. 372.

**) იქვე, გვ. 372.

***) მოთხრობა „ბ ე დ ი უ ბ ე დ უ რ თ ა“ ზაქ. ჭიჭინაძის მიერ მეორედ გამოცემულია ჯ. ტფილისში 1889 წ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროს ქართული წიგნების მკირე მოთხოვნებს, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი გამოცემა 1885 წ. გვიან არ უნდა ყოფილიყო.

ნიკო ლომოური გლებთა მოძრაობის, მათი წინააღმდეგობის განვითარებას მიწის ნაკლებობის ნიადაგზე შლის. გლებს არა აქვს საკარმიდამო მიწა, რომლის დამუშავებამაც ის დღე-დღეულად მარცხს განაგრძობს. თვით სოფლის გარეგნულ აღწერას მწერალი ისე ამხელს, რომ ამკითხველს მოთხრობის დედააზრის კურსში უმაღლესი აყენებს.

„სოფ. გორი-ძირას, — გადმოგვცემს ავტორი, — უჭირავს ძლიერ პაწაწკინა ალაგი, თუმცა მასში ას კომლამდისინ გლებობა და სამიოდ კომლი თავად-აზნაური ცხოვრობენ. თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება, მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსათუოდ მოსტყუვდება. არც იქნება ეს საკვირველი. აქაურს გლებ-კაცთ ისე მიუსხავთ და მიუჯრუნჩხვიათ ერთმანეთზედ თავიანთ ღრმად ჩათხრილი მიწური სახლები, რომ გვეგონებათ ოციოდ მოსახლეობაზედ მეტი არ იქნება“ *).

აქ თითქმის შემთხვევით მოცემულ ხაზებში თვალსაჩინოთ გვხვდება სოფლის კლასობრივი ურთიერთობა — სოფელში ცხოვრობდა „ას კომლამდის გლებობა და სამიოდ კომლი თავად-აზნაური“. აი ნამდვილი შეფარდება: ასიოდ კომლი გლები მუშაობს სამიოდ კომლი თავად-აზნაურისათვის. ამაშია გლებთა გაჭირვების მთავარი მიზეზი. ამაშია მთავარი ტკივილი ნ. ლომოურისა.

მწერალს სურს მკითხველს გააგებინოს მაზეში გლების ხშირად არა-პიგიენურ პირობებში ცხოვრებისა. მკითხველს უნდა აჩვენოს, რომ ამაში გლები კი არაა დამნაშავე, არამედ მისი ცხოვრების მძიმე პირობები. ავტორის შეკითხვებზე რათ ცხოვრობენ გლებები „ასე ერთი ერთმანეთზე მიმსხდარნი“ გლებობა ასე უპასუხებს: „რა გქნათ, შენი ჭირიმე, ჩვენ რომ განზედ დაედგეთ, სახნავ-სათესი მიწა სულ დაგვიპატარავდება. ჯერ უხლაც არა გვყოფნის მამული და აბა, შენი კენესამე, სოფელიც რომ გაგვეჭიმ-გამოგვეჭიმა, რილათი გვეცხოვრა“. მიწის სიმწირე და სიმცირე, გლების უჯიათობა და უმეცრება გლებს უათკეცებს ცხოვრების მძიმე პირობებს. ავტორი, ამ გაჭირებასთან შეჩვეული, მაგრამ მაინც შეურიგებელი, ავნიშნავს გორისძირის მცხოვრებთა ეკონომიურ შევიწროებასა და ისედაც მცირე მოსავლის განადგურებას სარწყავი წყლის უჭონლობის გამო. ესეც ზომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის ცხოვრებაში!

უწყლობამ გორისძირას მცხოვრები გლებობა მეტად შეაწუხა. სიმინდი, ვენახები მოურწყავად ეღუპებათ. წყალს რიყელები ადგილობრივ მცხოვრებ თავად-აზნაურთა ბრძანებით გორისძირელებს არ ანებებდენ.

* ნ. ლომოური. „ბელი უბედურთა“, გვ. 81.

ჭირნახული ფუტკედბოდა, გლეხობას საზრდო პირიდან ეცლებოდა, გორი-
ძირელები ორ წყალს შუა ვარდებიან — მებატონის ვაჭრისებზე — თუ ში-
მშილი. შიმშილი სძლეეს და გორიძირელებმაც გადაწყვიტეს, ყოველნივ
არა, ძალით გადმოუგდონ სარწყავ რუს.

გორიძირელებმა გადაწყვიტეს სოფლის შეკრება და საერთო ძალით
საშუალების გამოხახვა. სოფელ გორიძირას მოკიდებული აქვს ერთობის
ძალა, სოფლის ერთობის სათავეში უდგანან ღარიბი აზნაური-ინტელი-
გენტი ვანო მხიარულიძე და გლეხები: გიგო სოსიაშვი-
ლი და სოლომონა ფარცხაძე.

ნიკო ლომოურისათვის დამახასიათებელი ნაჟანსებითაა მოცემული
კლასობრივი ურთიერთობა სოფლად.

შეკრებილმა გლეხობამ გაგზავნა კაცები თავადებისა და აზნაურების
მოსაწვევად საერთო საქმეზე. მაგრამ ზოგი შინ არ დაუხვდა (ბატონაში
წაბრძანებულიყვნენ საქეიფოდ, — განმარტავს ავტორი) და ზოგმაც იუ-
კადრისა გლეხობასთან შეკრებაზე მოსვლა. „თავად კონა ხმამალაშვილს
სიცილადა არ ყოფნოდა გლეხებთან თავისი მიწვევა. მას ეს მიწვევა თა-
ვისი თავადიშვილობის შეურაცხყოფად მიეღო და გაგზავნილი ბიჭი სულ
მათრახის ცემით გამოეგდო“ *).

მაგრამ გლეხკაცობაც ხომ აღარ არის ძველი, დამონებული, გაბირ-
უტყვებული, რომელიც ყოველგვარ ძალმომრეობას ქედმოდრეკით იღებს
კისერზე. აღარ იყო ის დრო, „როდესაც კაცებს ჰამდენ და ხმას ვერავინ
იღებდა“. განმათავისუფლებელი მოძრაობის სიო ამ დროს ჩვენ სოფელ-
შიაც ჰბერს და ადამიანური ცხოვრების საჭიროებას გლეხობაშიაც თან-
დათან აღრმავებს. გლეხობამაც შეიგნო რომ უკეთესი ცხოვრების მოპო-
ვებისათვის წინააღმდეგობას წინააღმდეგობით უნდა დახედეს.

ამიტომაც რომ გიგო სოლომონათი ერთად ვანოს დასტურით მოითხო-
ვენ კონა ხმამალაშვილს სახლი შეუკრან. აჩვენონ მას
სოფლის ძალა და ურჩობა. სოფელი სტიქიურად ირაზმება თავდაცვის
მიზნით (უწყლობა გვალვის დროს სოფლისათვის სიმშილით სიკვდილის
აჩრდილია); ის იძულებულია ბატონის წინააღმდეგაც მოიხმაროს ძალა,
წყალი (ნაწილი მაინც) გადაუგდოს თავისაში. საკვირველი განჭკურტითაა
მოცემული დაახლოვებით ოცის წლით ადრე 900-იანი წლების პერიოდი.

ნიკო ლომოურმა რომ გააღრმავოს კლასობრივი სხვაობა, და აჩვენოს
მათ შორის შეურიგებლობა, შემდეგ ხერხს მიმართავს:

გლეხები ცდილობენ მებატონეებთან წყნარის, შებრალებისა და შთა-
გონების გზით მოაგვარონ საქმე. მაგრამ სოლომონას კრძალვით მოხსე-
ნებაზე: „ჩვენ ჩვენი წილი თუ გამოვეუშვით აქეთკენ, თქვენი წილი თქვენ-
ვე მოგართვით, შენი ჭირიმე“ — ხმამალაშვილები და ყლაპიაშვილები

*) იქვე, გვ. 91.

ძალით მოინდომებენ აშალონ გლეხობის მიერ გადმოგდებული რუს მსო-
ლოდ ამ შემთხვევაში გამოიღებენ ხელს გლეხები, დაუჩუქებელი თი-
ვად-აზნაურთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუშაქებენ მათგან
პირ დამსხვრეულ თავად-აზნაურებს დაიფრენენ.

ნიკო ლომოური ამ მოთხრობაში (გვ. 97 — 99), მართლაც, რეალურ
ფერებში და ხაზებში გვაძლევს გლეხის გაუბედავ ბუნებას. მაგრამ ამას-
თან ერთად მკვეთრსავე ფერებში გვიხატავს იმასაც, რომ გაჭირვებაში,
მუდმივმა გაჭეღვამ თუ მისში გაუბედაობა გამოიმუშავა და მას აქამდის
მონის უღელი დაადვა, ახლა ამავე მიზეზების საფუძველზე ეს ხალხი
იღვიძებს, წამოდგომას ლამობს. ახლა მან დაინახა თავისი კლასობრივი
მტერი-შებატონე თავად-აზნაური — ხმამალალაშვილები, ყლაპიაშვილები
და სხვანი. აღარ დევნის თავის მოკეთებებს „ერთობის“ ხალხს, „ახალთაო-
ბის კაცებს“ — გიგოს, ვანოს და სხვათა. მიუხედავად მოწინააღმდეგის
პრივილეგიებისა, მათი ძალაუფლების მქონეებთან ნათესაური კავშირისა,
გლეხობა ჰმდებარს საწინააღმდეგოდ ხელის გამოღებას, მსხვერპლსაც კი
არ უშინდება. ამ საერთო მოქმედებაში ერთობის პირის გამტეხთ თავი-
ანთი წრიდან გლეხები სასტიკად ეკიდებიან.

ასე მძლავრად მოედო სოფელს ერთობის ძალა. ასე გამწვავდა სოფ-
ლად კლასობრივი უთანასწორობა. ნ. ლომოურიც ამას საკმარისად მკვეთ-
რად ხატავს.

ნიკო ლომოურს თვალსაჩინოდ გამახვილებულად აქვს წარმოდგენილი
და ასახული კლასობრივი უთანხმოება და ბრძოლის სიმწვავე. ამის სა-
ბუთს ესევე მოთხრობა „ბედი უბედურთა“ მკაფიოდ გვაძლევს.

გლეხთა და თავდაზნაურთა შორის მწვავე შეტაკების შემდეგ მათ
შორის უთანხმოება და ბრძოლა გარკვეული კლასობრივად გამოხატველი
მიმართულებით ღრმავდება. თავად-აზნაურობა — თონიკე ხმამალალაშვი-
ლი და სხვანი ცდილობენ გლეხთა ერთობის პირი როგორმე გატეხონ,
ცდილობენ, ერთობის შიგნით შექმნან უკმაყოფილონი, გადმოიბირონ იჭი-
დან გლეხები, გამოიყენონ ისინი ერთობის კაცების დასჯისათვის და ხელი
შეუწყონ პოლიციურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს გლეხობა დაარბიოს,
ააწიოკოს, შეაეიწროოს, დასაჯოს „სხვათა ჰკუის სასწავლებლად“, რათა
ძირშივე აღმოფხვრას განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ნიკო ლომოური საკმარისად მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას,
რომ თავდაზნაურობა რეაქციის სიმაგრეიყო
და ერთგულად ემსახურებოდა ბიუროკრატიულ
მთავრობას ძველი წყობილების შენარჩუნება-
ში, განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძო-
ლის საქმეში. აირას გაანდობს თონიკე ხმამალალა-
შვილი მასთან შეკრებილ თავად-აზნაურებსა და გადაბირებულ გლე-
ხებს: „მე მონდობილი მაქვს მთელი ე ჩვენი მხარე. აქ მე თვალყური

უნდა ვადევნო — ვინ რა წინააღმდეგობას იტყვის, ანუ ჩაიბნენ. მერე უნდა დავასმინო... მე ეგ ვანო (ვანო მხიარულაძე — ლაჩიბი მხარტი — განათლებული, ერთობის მოთავე გორის-ძირში — მ. ჯაქიჭავჭავაძის შემოქმედებით) მყავს დაქერილი. აქამდინ ვითმინე და ახლა კი მზარდი მამოქმედებით დილიან. ჩემ გარდა სხვებიც არიან დანიშნული, იმათ რომ გაიგონ მაგის საქციელები და დაასმინონ, მე მაშინ საყვედურს მივიღებ და მოვაკლდები ჩემს ეხლანდელ ალაგსაც. ამასთანავე საქმე გააჭირა მაგ შეჩვენებულმა. მე დღესვე ქალაქს წავალ და მალე მტერი მე მომიკვდეს, მალე მე ეგ მოგაშოროთ თქვენა“ *).

მწერალი გულის ტყვილითა და დაუზოგავი შხამით გვიხატავს თავად კონა ხმამალალაშვილს, რომელიც რამოდენიმე გლესს გადაიბირებს, რათა შური იძოს ვანო მხიარულიძისა და გიგო სოსიაშვილის მიმართ, როგორც გლესთა მოძრაობის მეთაურების წინააღმდეგ. ნათესაური კავშირის საშუალებით ძალაუფლების მჭონებთან კონა ორივეს დააპყრობს: ვანო მხიარულიძე ციხეში დასწულდება. მძიმე ავადმყოფს ძმის თავდების ქვეშ გამოუშვებენ და მალე გარდაიცვლება. ხოლო გიგო სოსიაშვილს ციმბირში უკრავენ თავს.

მაგრამ თ. კონა ხმამალალაშვილი ამით არ კმაყოფილდება. მას უნდა შურისძიება გააღრმავოს და გიგოს განიავებული ოჯახი, მოხუცი დედა და წერილი ცოლშვილი უფრო უნდა შეავიწროვოს. როდესაც გიგოს დაწოკებული ოჯახი შეიტყობს გიგოს ციმბირში გაგზავნას, საშინელი ვიღვაჯობა შეუდგება. კონა და მის მიერ გადაბირებული გლესები სწორედ ამავე მომენტში მოინდომებენ გიგოს სამაგიერო გადაუხადონ და ძროხა დაუკლან მის ობრად დატოვებულ ოჯახს. ავტორი მძლავრი, გულშემზარავი ხაზებით გვიხატავს ამ ორი მოწინააღმდეგე ძალის დაჯახებას, მოხუცი ბაბალესა და მთელი ოჯახის შეძრწუნებასა და გლოვას ძროხის დაკვლით გამოწვეულს, ძალაუფლების მჭონეთ შურისძიებასა და ზემს რეაქციის ხანაში.

ნიკო ლომოურის ფსიქოლოგიის გარკვევისათვის, მისი თერგდალეულებთან დაპირისპირებისათვის საკმარისად საგულისხმიერო მასალას იძლევა მისი რომანი „წუთისოფელი“. ეს რომანი აკინძულია სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების გარდამავალ პერიოდში განვითარებულ თავად-აზნაურთა ფსიქოლოგიის გაშლის ქარგაზე.

რომანი „წუთისოფელი“ ორი კატეგორიის თავად-აზნაურთა ფსიქოლოგიას იძლევა. ცხოვრების კაპიტალისტური განვითარების პროცესში ფეოდალური მურწნობისა და კულტურის სწრაფი რღვევის პროცესში თავად-აზნაურთა წოდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰკარგავს ნიადაგს, კნინდება და გადაგვარდება.

*) ნ. ლომოური. „ბედი უბედურთა, გვ. 110.

ერთი ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩა ეკონომიური დოვლათი, რასაკვირველია, მამულის სახით — თ. თონიკე ბადრიძე, მისი შვილი გედონი, ენ. რუსუდანი, თ. თეიმურაზ ნახირიშვილი, შიქოქუცუენდოვკლე და ქალი ბერტა (წინათ მართა), ესენი განაგრძობენ ფუნდამენტურ ტრადიციებში ცხოვრებას, ვერა გრძნობენ ოჯახის უკან დახევას, ვერ ამჩნევენ ნიადაგის რღვევას. მათ თანდათან ნებისყოფა უჩლუნგდებათ და დაკნინებასა და გადაგვარების გზას ადგებიან. რომანში ამგვარი ტიპის მკვეთრი გამომხატველნი არიან გედონ ბადრიძე და ბერტა ნახირიშვილი.

თავდა-აზნაურთა მეორე ნაწილი ხელმოკლე მემამულენი, რომელნიც ქვეყნის კაპიტალიზაციის გამო მალე გაღატაკდნენ. ისინი მალე დარწმუნდნენ თავიანთ ეკონომიურ უილაჯობაში, შეშინებულისა და განწირულის სურვილით დაუწყეს ახალ ცხოვრებას პოტინი. უილაჯო, უგზო-უკვლოდ შეშინებული თავგებსავით აქეთ-იქით ვარბოდნენ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ცხოვრებისათვის მოუძახდებელნი, საშინელ მორალურ განურჩევლობას იჩენდნენ. თავის გადარჩენის მიზნით არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. ასეთია რომანში აზნაური მიხეილ მეთუნაშვილი.

რომანი „წუთისოფელის“ ცენტრალური ფიგურა მიხეილ მეთუნაშვილია. ამ ხასიათის გაშლით ავტორი ლამობს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფართოდ დახატვას. და უნდა ითქვას გზადაგზა არა ერთი საინტერესო და მტკივნეული საკითხია აღძრული.

მიხეილ მეთუნაშვილის ცხოვრების გზა ჩვეულებრივი იყო გაკოტრებული პრივილეგიური კლასის წარმომადგენლისათვის, რომელმაც იგრძნო ნიადაგის რღვევა, ეკონომიური დოვლათის დაკარგვა, მისი ხელახლად შეძენის აუცილებლობა და ამ შეძენაში დაკარგა ადამიანის გაგება-ღირსება.

შეტად დამახასიათებელია და ავტორის მათდამი დამოკიდებულების გამომხატველი ის სამი მცნება, რომელიც ბაადურ მეთუნაშვილმა თავის პირშოს, მიხეილ მეთუნაშვილს ექვსი წლიდან დაწყებული, ვიდრე თავის ვაგლენას არ დაჰკარგავდა მასზე, მშობლურ აღერსთან ერთად ჩააწვეთა. ბაადური მიიყვანდა ხოლმე შვილს კედელზე გამოკიდულ სამ სურათთან და მამობრივის დარიგებით შემდეგნაირ განმარტებას აძლევდა: „აი შვილო, რო ჭიდაობენ, ეს ერთი ყარამან გმირია, მეორე ბაყბაყ-მდევი. ხედავ, ყარამანს როგორ დაუძლევია მდევი... გმირია, გმირი ყარამანი, აბა, ჩემო ბიჭიკო, ვინძლო შენც ყარამანი გამოხვიდე, ჩემმა ძუნწმა ბიძაშვილებმა მამულიც წამართვეს და თვითონვე კინაღამ ცემითაც მომკლეს... შენი ჭირიმე, ბიჭიკო, ერთი იმათი ჯავრი ამომყარე“... ახლა მიიყვანდა მეორე სურათთან: „აი ესა შვილო თევზ-ჭალაა: წელ-ქვემოთ თევზია, წელზემოდ — ჭალაია, ზღვაში დაცურავს და ვინც ამას დაიჭრის, ოქროს მადნებს იპოვნის... შე ვფიქრობ, ეს თევზჭალა მართალი

არ უნდა იყოს. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი იგავია: თევზ-ქალა-წამდვილად ნიშნავს ფულსა. ფულიც ხომ თევზივით დაცურათს აქეთ-იქით და ამასთანავე ქალივით დაუყენებელი, გაუტანელია. ეცადე, ნიჭოკო, რომ ეს მუდრეგი თევზ-ქალა მაგრად დაბლუჯო ორივე ხელსებით. ეცადე ბლომად იშოვნო ფულები, უმამულო აზნაურშვილი გინდ ყოფილა ქვეყანაზე, გინდ არა. არც არა ჩემს მამა-პაპას დაუტოვებია რამე ჩემთვის და ვერც არას მე დაგინარჩუნებ, შენ უნდა გვასახელო ჩემო პაწია: შენ უნდა აამაღლო ოჯახი, გვარი. უნდა შეიძინო ადგილ-მამული, სიმდიდრე“.

ახლა მესამე სურათთან მიიყვანა: აქ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იყო დახატული. ესენი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ... და ისეთნაირად ისხდნენ, რომ მართებულს ოჯახში ამ სურათს კედელზე კი არა, ტახტს ქვეშ არავენ დააყენებდა. ბაადურს კი ყველაზე მომეტებულად ეს სურათი მოსწონდა... სიცილით დაუდებდა ხოლმე თითს თავის მემკვიდრეს და ეუბნებოდა: „შეზე ერთი ამ პლუტებს, როგორ ჩაკერიან და ჩაპკრებიან ერთმანეთს. ბიჭო მიხეილ, დააქვრდი, რა ეშხიანი და მარილიანი გოგოა, წყეული, როცა უღვაშები გადიგრიხო, შენც ვერე გაუსვი გოგოებს ზელი. მამაშენსაც ამისთანა საქმეებში არა უშავდა რა, მაგრამ შენ უნდა აჯობო მამას. ხომ გაგიგონია: „ის ურჩევნია მამულსაო“ *).

ეს სამი მცნება უდავოდ მკვეთრად გამოჰხატავს ეკონომიურად გაწროვებულ და მორალურად დაკნინებულ თავად-აზნაურთა ფსიქოლოგიას. ფიზიკური ძალა, სხვისი დაჩაგვრა, ახალ ცხოვრებაში სიამოვნები მომცეში საშუალება — ფული და ბედნიერების მომნიჭებელი ვნებიანი ეშხი-ტრფობა. აქეთკენ მიუთითებს ბაადურ მკაუნაშვილი შვილს. მაგრამ როგორ, რა საშუალებით შეიძლება ამ დარღვეულ ცხოვრებაში ყველა ამ „ბედნიერების“ მოხვეჭა, ამის გარკვევა კი ბაადურს არ შეუძლიან. ის არც ფიქრობს ამაზე, ის თითონ ფერცვლილი ცხოვრებით გზა-კვალ არეული, კალაპოტიდან ამოვარდნილია. ბაადურს ეს ენატრება და ჰგონია მის პირმშოსათვის ეს თავისთავად მოვა. ბავშვიც ამ მიმართულებით იზრდებოდა — თვითნება, ყოველ ბოროტ საქმეში ჯიუტი, დაუდგვარი, სადავე მოშვებული, ეგოისტი, შეუბრალებელი.

დრო მიდიოდა. მიხეილი სწავლის ასაკში შედიოდა. ბაადური კი მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იგრძნო ახალ დროში სწავლის აუცილებლობა პირადი „კეთილდღეობისათვის“, უფრს არ იბერტყდა. მაშინ დედამ ითავა მიხეილის სასწავლებელში მიცემა. დიდი თხოვნით მოახერხა სახელმწიფო ხარჯზე შვილის მიღებინება სასწავლებელში. მაგრამ დაბეუბედურებას. მიხეილ მკაუნაშვილი გიმნაზიაში არ გამოდგა. ორი წლის შემდეგ „სრული უნიჭობის გამო“ ის სასწავლებლიდან დაითხოვეს. მიხეილის დედა მაინც არ შედრკა. ახლა შვილი სამხედრო სასწავლებელში

* ნ. ლომოური. „წუთი სოფელი“, გვ. 204 — 205.

მიადებინა. მაგრამ ორი წლის შემდეგ იქიდანაც იმავე მიზეზის გამო დაითხოვეს. და ამგვარად დედამ მიხეილს ყველა ტიპის ჭარბუფლებული მოავლენინა, ხოლო მიხეილი იმავე მიზეზის გამო აბსოლუტურად გამოაღიარა. თუმცა სწავლის სურვილი მასაც ჰქონდა.

ამ გარემოებამ მიხეილი ძალიან დააღონა და ბედის მომდღურავად ვიხიბა. მაგრამ, როგორც მწერალიც შენიშნავს, ყოველთვის და ყველფერში ბედი ასეთი უწყალო არ იყო მისდამი. „სწავლაში ხომ უნიჭო იყო, — გადმოგვცემს ავტორი, — მაგრამ სხვადასხვა ეშმაკობასა და ცულულუტობაში მას ტოლი არა ჰყვანდა; როდესაც ამხანაგებს მოუნდებოდათ რაიმე ავკაცობის ჩადენა, მაშინათვე მიხაკოს მიჰმართავდნენ ხოლმე და თუ ეს იკისრებდა წინამძღოლობას, საქმე უსათუოდ კარგად გათავდებოდა... არც სკოლებში ხეტიალმა ჩაუარა სულმთლად ტყუილ-უბრალოდ ჩვენს გმირს. მათში ყოფნის დროს მან ისწავლა საკმაოდ ლამაზი რუსული წერა. ეს იყო ერთადერთი ცოდნა, რომელიც კი გამოიტანა სკოლიდან“ *).

აი ამ ზნეობრივი და გონებრივი მარაგით ეკონომიურად დაკნინებულა, სიმშლით, წყურვილითა და სიცივისაგან მეტად შევიწროებულმა მიხეილ მეთუნაშვილმა გაიკვლია ცხოვრების გზა.

მწერალი მეტად მუქ ფერებში ჰხატავს მ. ხ. მეთუნაშვილის ცხოვრების გზას კეთილ ნოტარიუსთან შემთხვევით მოხვედრის დღიდან სიკვდილამდის. დამახასიათებელ ტონებშია მოცემული როგორი ვერაგობით გადაუხადა მიხეილ მეთუნაშვილმა თავის კეთილმყოფელ ნოტარიუსს. როგორი სისწრაფით, ერთგულებითა და „ნაყოფიერებით“ სწავლობდა და იხსომებდა რუსულ კანონებს და განსაკუთრებით მათ პრაქტიკულ გამოყენებას; როგორი ხარბი ანგარიშთანობით ექცეოდა პროვინციის ჭალაქისა და მის მიდამოების მცხოვრებთ, როგორ სარგებლობდა ის ყველას სისუსტით, როგორ იხრებოდა ძალა-უფლების მქონეთა წინაშე, რა ხრიკებს არ მიმართავდა მათი გულის მოგების მიზნით. მისი ცხოვრება პირადი, თუ საზოგადოებრივი მთლად სიყალბეზე და უხეშ ანგარიშთანობაზე იყო აგებული, დაწყებული ყოველად პატიოსანი ნოტარიუსით, ნიკოლა კალატოზის ქერივი მაშინკათი და გათავებული მისი გედეონისა და ეთერისადმი დამოკიდებულებით. ყველგან და ყველასთან ის ანგარებით დაბრმავებული ყალბი გრძნობით ზომავს ცხოვრებასა და შეუდრეკელ ენერგიითა, გაჭილი ფარისევლობით მიდის თავისი ბინძური ზრახვების განხორციელებისაკენ.

გზადაგზა ნიკო ლომოურს თავისი რომანის მხატვრულ ტილოზე ხერხიანად შემოაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული უარყოფითი მოვლენები: გაუტანლობა, მატყუარობა, ღარიბისა, დაჩაგრულისა

*) იქვე, გვ. 208.

და სუსტის თვალნათლივ გაძარცვა და სხვა ა. შ. მწერალი ამ საზოგადოებრივ მკვეთრ და უტყუარ დახასიათებას იძლევა გაქნილ მედიდური „აბლაკატის“ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. მიხეილ მკაუნაშვილი ამგვარი საქმედების გამო, პროვინციის ქალაქიდან იბუღებით გამოგვითქვით, თავის კეთილშეგონებულ ძველ ხელმძღვანელთან დიდი ქალაქის ადვოკატთან დაბრუნდა. მან დაუფარავად უამბო მას თავისი ზავეგადასავალი და სთხოვა ერთი წელი კიდევ გაეტარებინა მისი მფარველი კალთის ქვეშ. ეს საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ვეჭილი მკაუნაშვილს ალბათ, როგორც მისთვის გამოსადეგ კაცს დიდი სიამოვნებით მიიღებს და ასეთ საგულისხმეო დარიგებას მისცემს: „დიდის-სიამოვნებით, მხოლოდ ჯერჯერობით შინ უნდა იმუშაო. ეკვი არ უნდა, გაზეთებში დაბეჭდავენ შენს თავგადასავალს, ამიტომ არ უნდა გამოჩნდე. ორიოდ თვის შემდეგ ყველას შარშანდელი თოვლივით მიიფიცებ... მერე კი თამამად გამოხვალ კარზე და აერევი საზოგადოებაში, სადაც ისე უნდა დაიჭირო თავი, თითქოს ბუზიც კი არავის აუფრენია შენთვისა... ყოჩაღად იყავ, მთელი ჩვენი საზოგადოება სულ დიდრონ-დიდრონი არამზადებით არის საცხე. შენი ამბავი მათ საქციელთან ბავშვის ტიკტიკად გამოჩნდება. მაშ ვისი უნდა შეგრცხვეს? ვის უნდა ჩაუღუნო თვალი? ნუ შეუშინდები იმ ვაჟბატონებსაც, რომელნიც პატიოსნობაზე, სინდისზე და სხვა ამგვარ რამერუმებზე ხმამალა ჩხავიან... იცოდე, რომ ყველაზე დიდი და გაქნილი არამზადები ესენი არიან... უნდა ერთი რამ კარგად დაიხსომო, რამდენადაც ცუდი იქნება შენგან ჩადენილი საქმე, იმდენადვე უნდა სითამამე-გამბედაობას მოუმატო. ზოგჯერ ურცხვობას გმირულ თვისებად რაცხავს ხალხი, ესე მოიქეც და მაშინ დინახავ, რაც მოხდება. ნუ გეშინიან, ისე დაგატრიალებ, როგორც სოფლის დედაბერმა ჯარა“*)...

აქ ექვს გარეშეა გამოსტევივის ნიკო ლომოურის როგორც ხალხოსანის უარყოფითი შეხედულება კაპიტალიზირებული ქალაქის მიმართ, სადაც ფულის ტრიალმა გახრწნა, დააკნინა ადამიანი, დაუკარგა ზნეობრივი სიმაღლე და სიმტკიცე.

წარმოსადგენია, როგორ დაგეშილი ნადირივით გადაეშვებოდა ხელმძღვანელისაგან ზურგგამაგრებული მიხეილ მკაუნაშვილი ისედაც მძიმე ცხოვრების პირობებით დაბეჩავებულ ხალხში. მაგრამ დიდ ქალაქში მკვლევანთა რაზმი ისედაც დიდი და დახელოვნებული იყო. თითქმის ყველამ, — რასაც ავტორი გვაუწყებს — მასზე არა ნაკლებ იცოდა ყოველგვარი კანონიერი ხრიკები და გაძრომ-გამოძრომა. ამიტომ მიხეილ მკაუნაშვილმა იქ ვერ იხეირა, სამი თვის შემდეგ მან გადასწყვიტა ისევ პროვინციის წყნარი ბუდე მოენახა. ნასწავლი ხრიკები მას იქ უფრო გამოა-

*) იქვე, გვ. 234 — 235.

დგებოდა და სანუკავ მიზანს — მამულისა და ქონების შექმნას იჭიდან უფრო ადვილად მიაღწევდა.

ასეთი ქალაქიც მან მალე გამოიხატა. მალე გადასახლებული გვევლიდა გაშალა ფრთა მისმა „ნიქმა“ და „მხნობამ“. მალე მოახერხა მეთუნა-შვილმა დიდი ქონების შექმნა.

მეთუნაშვილი კვლავ ავიდა ბედნიერების ზენიტში.

ყოვლად უზნეო საქციელით დაინარჩუნა ნიკოლა კალატოზის ქერივის ქონება, მოახერხა თავად თონიკე ბადრიძის „ერთ-გულ“ ძმად და მოსამსახურედ გახდომა, რათა ეთერის გული როგორმე მოეგო.

მეთუნაშვილმა „ტკბილი“ ალერსიანი მოქარგული ენით მოინადირა თონიკეს გული, დაიმსახურა მისი ნდობა, რაც მან ვერაგულად გამოიყენა, ყალბ ქალღმერთზე ხელი მოაწვრინა, მომავლისაკენ შორს იყურებოდა, გზას მეტად წინდახედულად კირწყალავდა.

ასეთივე გზით მეთუნაშვილმა დაიმსახურა ნდობა თონიკეს შვილის გედეონისა. როცა გედეონი მამის სიკვდილის შემდეგ მამიდა რუსუდანიტ საზღვარგარეთ მიემგზავრება, მაშინ მეთუნაშვილი რჩება დამოუკიდებელ გაგებლად ბადრიძეების დიდი მამულ-დედულისა.

მწერალი ღია მუქ ფერებში აგვიწერს მეთუნაშვილის მხეცურ დამოკიდებულებას გლეხკაცობისადმი გედეონ ბადრიძის მოგზაურობის დროს. „გლეხკაცობამ, რომელიც არც წინათ ყოფილა როდისმე დაჩვეული ნებიერ ცხოვრებას, ადამიანურ მოპყრობას, ამჟამად მწარედ იგრძნო ძალი ღონიერი მარჯვენისა, მტარვალი, შეუბრალებელი ხელისა. რამდენჯერმე სცადეს წინააღმდეგობა, მაგრამ ყოველი ესეთი ურჩობა მეტისმეტად ძვირად უჯდებოდათ: როგორც მეთუნაშვილისაგან, ისე სასამართლოში სასტიკად ისჯებოდენ. ამის გამო გლეხთა უმრავლესობა დამორჩილდა, მოიკაცვა წელში... მათ ცბადად დაინახეს, რომ ყოველი მათგანის დაღუპვას ადვილად მოახერხებდა სულზე ხელაღებული მოყრავი. ჯაერი და ვარამი ჩაიხვიეს გულში და ყოველის უფარის უთქმელად იწყეს მორჩილება მისი. ამგვარად საქმის დაყენებამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო: შემოსავალმა ერთი-ორად, ერთი-სამად იმატა. სადაც წინათ ცალი გროშის დანაფასურსაც ვერ იღებდა, იქ ეხლა შემოსავლის წყაროებმა იწყეს დენა“*)...

თ. ბადრიძის მოურობის დროს ამგვარი მოღვაწეობით იმსებოდა მიხეილ მეთუნაშვილის ჯიბე, თუმცა ამ ჯიბის ზრდას ხალხის ცრემლი, წყველა და შეჩვენება განუწყვეტლივ მოსდევდა უკან.

ეს გამწვავებული მდგომარეობა მეთუნაშვილსა და გლეხთა შორის უფრო გამწვავდა, როდესაც მეთუნაშვილი შეიქმნა თ. გედეონ ბადრიძის

*) იქვე, გვ. 306 — 307.

მთელი მამულ-დედულის ბატონ-პატრონად. „როდესაც გლეხებმა აგვიწერს ნიკო ლომოური, — მეთუნაშვილი და მისი წყეული ჩაჩნები ხელახლად დაინახეს, მთელ სოფელში ერთი საშინელი უჩინებელი დატრიალდა... ხალხი ისე გლოვობდა ამ ამბავს, როგორც უწინდელ დროში გლოვობდნენ ხოლმე მტრის შემოსევას და ქვეყნის აკლებას“ *).

დაწოლა ჰქმნის წინააღმდეგობას. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხაკობამაც გადასწყვეტა წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ გაქნილი მეთუნაშვილი ყოველთვის იმარჯვებდა: გლეხები დარწმუნდნენ, რომ პირდაპირობით „გაოსტატებულ აბლაკატთან და მის თვალისხილიან, კაციქამია ჩაჩნებთან“ ვერას გააწყობდნენ. ამიტომ მიმართეს მალულ მოქმედებას: ჩუმად ცეცხლს უკიდებდნენ ტყესა, ლაშქარობით უძოვებდნენ სიმინდსა და ყანებს, უჩეხავდნენ ვაზს. ყოველივე ეს მიხეილ მეთუნაშვილს რასაკვირველია აცოფებდა. სამი-ოთხი გლეხი ჩამწყვედევინა სატუსალოში; ეზოსა და ზურის სიხლოვეს მცხოვრებელნი „ძალმომრეობით აპყარა, მოუშალა მამა-პაპური კერა, დაუსხა ცეცხლზე წყალი“.

მწერალი ხაზგასმით აგვიწერს, რომ რაც დრო გადიოდა, ურთიერთობა მეთუნაშვილსა და გლეხთა შორის უფრო ღრმავდებოდა. ამას შედეგად მოჰყვა გლეხაკობის მოთმინებიდან გამოსვლა და გლეხთა ერთი წრის გადაწყვეტილება მეთუნაშვილი სოფლისათვის მოეშორებინა. ამ მიზნით სამი ახალგაზრდა გლეხი ჩაუჯდა გზაზე მიმავალ მეთუნაშვილს, ერთმა მათგანმა ტყვიით დასჭრა და შემდეგ, როცა შეშინებული ჩაჩანი გაექცათ და შეამჩნიეს, რომ მეთუნაშვილი კიდევ ცოცხალი იყო, კომბლებით იჭამდის სცემეს მეთუნაშვილს თავსა და პირში, სანამდის „სისხლი, ძვლები, თმა, ტვინი ერთმანეთში არეულ-აზელილი არ შეეხსათ სახეზე“.

ასეთია გამწვავებული ურთიერთობა ბატონსა თუ ნაბატონარსა, მის მოურავსა, მემამულესა ერთის მხრით, და გლეხათა, მეორეს მხრით. ასეთი ანგარიშის გასწორება გლეხაკობის მხრით მტარვალბთან. და ავტორის სიმბატიებიც რა თქმა უნდა გლეხთა მხარეზეა.

ნიკო ლომოურის შემოქმედებიდან მთლიანად და კერძოდ რომანიდან „წუთისოფელი“ უდავოდ უარყოფითად გამოიყურებიან მეორე კატეგორიის თავად-აზნაურთა სახეებიც: მაგალითად — თავ. ზურაბი, კნენა რუსუდანი, თონიკე ბადრიძე, თეიმურაზ ნაზარიშვილი ცოლით, განსაკუთრებით მისი ასული მართა (შემდეგში ბერტა). ხოლო ყველაზე გამახვილებულად მოცემულია განათლებული თავად გედეონ ბადრიძე.

ყველა ესენი, მართალია, შედარებით მიხეილ მეთუნაშვილთან ნაკლები ბოროტნი არიან, მაგრამ მეტად უხერხემლო, უნიადაგო, უილაჯონი.

* იქვე, გვ. 331.

ყველა ესენი დაქიანებული, დაკინებულნი არიან. მათ დაუკარგვეთ ცხოვრების გზა და მიმართულება. არა აქვთ მათ ცოცხალი აზრი და მისწრაფება.

ერქუენული

ავტორს გედეონის დახატვით, მისი ეთერისადმი სიყვარულითა და შემდეგ ქორწინებით კნიაჟნა ბერტაზე გარკვეულად სურს ხაზი და უნდა ითქვას, საგრძნობლად სქელი ხაზიც, გაუსვას კლასობრივს არა მარტო ფსიქოლოგიურს, არამედ ფიზიკურ დიდ განსხვავებას — ერთის მხრით, სალი, მახვილი და მძლავრი გრძნობებისა და ნიჭის მქონე ეთერი, დაბალი წრიდან გამოსული. „გლუხუჭას გომბიო“, როგორც თვითონ ეთერიც ამბობს, და, მეორეს მხრით, თავ. გედეონ ბადრიძე და კნიაჟნა ბერტა — მოდუნებული ნებისყოფით, ზერელე და ყალბი გრძნობებით, ავადმყოფი, დაძაბუნებული ორგანიზმით.

გედეონის სახით ნიკო ლომოური გვაძლევს სახეს იმ მეოცნებე, უნიადგო, უძარღვო თავად-აზნაურისა, რომელიც მასალას წიგნებიდან კითხულობდა, სიტყვით მისი დამცველი იყო, საქმით კი, რაღაც საცოდაუკაცუნა, ან, როგორც მიხვილ მკაუნაშვილი მოხდენილად ამბობს, „უხასიათო ქალაჩუნა თავადუშკა“. გედეონს მკაუნაშვილი აბრყვებს, ატყუებს, სძარცვავს. ის ვერაფერს ვერ ხვდება, მადლობელიც კი რჩება. მამიდა რუსუდან და განსაკუთრებით მეუღლე ბერტა ყოველ ნაბიჯზე მის თავმოყვარეობას სთელავენ, მას კი არა აქვს უნარი თავი დაიკვას, წინააღმდეგობა გაუწიოს. ყველას ეთელეინება, როგორც უღილაჯო უსუსური ბავშვი. მწარე და ღირსეულ დაცინვას იწვევს გედეონის უბადრუკი ლარული წინააღმდეგობა მისი დეგენერატი ცოლის უტაქტობითა და უსაფუძვლო კაპრიზებით გამოწვეული.

ამ საკითხებისა და ავტორის შეხედულების გამოჩენისათვის მეტად საგულისხმიეროა დიალოგი გედეონსა და ეთერს შორის, როცა შეყვარებულნი გედეონი მზადაა, ეთერს თავისი გრძნობა ფიანდაზად გაუშალოს, ჰპირდება ყველა და ყველაფერი დასძლიოს, ეთერი შეირთოს და შუდნიერება მისცეს მას.

„ამ საქმეს ეგრე ადვილად ნუ უცქერი, საყვარელო... — ეუბნება ეთერი გედეონს — წოდებრივ განსხვავებას, ზნესა და ჩვეულებას დიდი, დიდი მნიშვნელობა აქვს... გლუხუჭსა და თავადებს შორის მთელი უფსკრულია გათხრილი, მთელი უზარმაზარი მთებია აყუდებული“.

„მართალია, მაგრამ ჩვენს დროში, — ეუბნება გედეონი ეთერს, — მაგათ როდი და აქვთ აგრე რიგად დიდი მნიშვნელობა. ყოველად შემძლებელი სიყვარული ამოაყვებს იმ უფსკრულს, ყოველად ძლიერი განათლება შემუსრავს იმ მთებსა, და ჩვენ შუა, ჩემო ძვირფასო თვალისჩინო, დამყარდება ხელის გულივით სწორე ვაკე, რომელზედაც თავისუფლად გადავხედავთ ერთმანეთს“.

„ეგ ლამაზი სიტყვებია, ჩემო გედეონ, მაგრამ მათი განსოციალიზაცია კი ჯერ არც მინახავს და არც გამიგონია. პირიქით, არ შემხედვრია არსად ისეთი განათლებული თავადიც კი, რომელიც თავის სწავლებას გულში მაინც, დიდ მნიშვნელობას არ აწერდეს, არ ამპარტავებოდეს მამაპაპით, თუნდა რომ ამ მამა-პაპას მოძმეთ შეწუხებისა, ქვეყნის რბევისა, მამულისა და სარწმუნოების ლალატის მეტი არა ჩადინოს რა, ამჟამად შენს გულში ჩემო გედეონ, წოდებრივი გრძნობა გვერდზეა მიგდებული, სიყვარულის მადლის ქვეშ არის მოქცეული. შემდეგ კი, როცა სიყვარულის მღელვარება განელდება, ის გრძნობა კვალად ამოძვრება შემოდ, დაგავიწყებს აწინდელ ლამაზს სიტყვებს და მათ მაგიერათ წარბშეჭმუნებით გაბრძანებინებს: „ჰეი, კალატოზის ქალო, გლეხის გომბიო, მოიტა ჩქარა ტასტი და წყალი, ხელპირი მინდა“ დავიბანო“.

„ყოველივე ეგ მე სრულიად არ შემეხება. მალე დაგიმტკიცებ ჩემო ღმერთო, რომ სრულიად ტყუილად აზვიადებ ი რალაც წოდებრივი გრძნობაა, იმის ძალასა და მნიშვნელობასა... გლეხი და თავადი ერთი და იმავე დედმამის შვილები არიან, დიდი, ენით გამოუთქმელი ვნება მოგიტანა ერთი ერის რამდენსამე ნაწილად დაგლეჯამა. დროა ახლა კი შევიგნოთ ეს ვნება. დროა დავებრუნდეთ მას, რაც ღვთისაგან გვჭონდა მონიჭებული და ზიზლით გავდევენოთ ის, რაც ბოროტმა ეშმაკმა ჩამოსთესა ჩვენში... ჩვენ ორივენი ნასწავლები ვართ; საერთო სამეგობრო ბევრი, ძლიერ ბევრი რამ არის ჩვენ შორის და, მაშასადამე, ჩვენი ცოლქმრობა ბუნებრივიც იქნება და სასურველიცა“.

ეს ადგილი მეტად დამახასიათებელია და საგულისხმეო, როგორც რომანის დედა-აზრის გაგებისათვის, ისე ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის.

შემდეგ მოვლენაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება:

ყოველ ექვს გარეშეა ნიკო ლომოური აქ თავის დამოკიდებულებას ააშკარავებს წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ საკითხის შესახებ. ეს საკითხი თერგდალეულებმა და კერძოდ ილია ჭავჭავაძემ მტკიცებულად წამოაყენეს. წოდებათა შორის შეთანხმება, მორიგება და ძმობა-ერთობა მათ შესაძლებლად მიაჩნდათ. თერგდალეულთა და კერძოდ ილია ჭავჭავაძეს შესაძლებლად მიაჩნდათ „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანება სწავლისა, განათლებისა და ამ გზით შეგნების მიღების საშუალებით.

მართალია, თერგდალეული მწერლები, კერძოდ ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლებზე, კერძოდ ნიკო ლომოურზედაც დიდ გავლენას ახდენდენ, მაგრამ ამ საკითხში ნიკო ლომოურს, როგორც საერთოდ სხვა ხალხოსან-მწერლებსაც თავისი პოზიცია აქვთ. რომანში „წუ-

თისოფელი“ ნიკო ლომოური ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას.

მართალია, ილია ჭავჭავაძესაც მაინცდამაინც დიდ დატყვევებულ მოვლენად არ მიაჩნია არჩილი („ოთარაანთ ქერივი“). ჩვენს აზრს მხარს უჭერს ანოქებს ცხოვრების წინ. მაგრამ მასში მაინც ჰხედავს მოაზროვნე ადამიანს, რომელსაც შეუღნია თავისი სუსტი მხარები, მომავლისაკენ იყურება და ამიტომ, ავტორის რწმენით, მას და მისთანებს (როცა ისინი გამრავლდებიან) შეუძლიათ „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება, წოდებათა მორიგება.

ნიკო ლომოური კი ილიას ამ აზრს არ იზიარებს. მისი რწმენით (და ამ რწმენას ნიკო ლომოური ეჭვს გარეშეა ეთერის პირით გამოჰხატავს) თავად-აზნაურობის ვერც სწავლა, ვერც კეთილი სურვილები, ვერც ყოველ შემძლებელი სიყვარულის გრძნობა ვერ დააარღვევს ამ ზღუდეებს, რომელიც წოდებათა სხვაობას ისტორიულად შეუქმნია.

ილიას არჩილის მაგვარი ტიპი ნიკო ლომოურს განსახიერებულად ჰყავს გედეონის სახით. ამ უკანასკნელს ეს ზღუდეები მხოლოდ სიტყვით დაუნგრევია. ის დიდს იმედებს აღუთქვამს ეთერს, ჰპირდება დაამსხვრიოს და დასწვას ყოველივე წინააღმდეგობა, რომელსაც კი წოდებრივი სხვაობის ყოფა წარმოადგენს, მაგრამ საკმარისია პირველივე მცირედი დაბრკოლება — იქნება ეს გავლენა მედიდური მამიდა რუსუდონისა, თუ მცირედი კაპრიზიც კი დეგენერატი ცოლისა — ბერტასი, რომ გედეონი სრულიად დაიბნას, დაივიწყოს სიტყვაც, აღთქმაც, მოვალეობაც. იმიტომ რომ, მწერლის რწმენით, გედეონს ლამაზი სიტყვა, აღთქმა და მოვალეობის შეგნებაც კი შეუძლიან მხოლოდ აშლილი მადლიანი გრძნობის სიყვარულის დროს, რომელიც მასში ესოდენ სუსტი და უკვალო.

გედეონი სამარცხვინოდაა დამცირებული ეთერის წინაშე. ეთერს „გლეხქვას გომბიოს“, აქვს საღი ალღო. გარემოს გაგების მკვეთრი უნარი. მან ცხოვრება იცის, ადვილად აფასებს ამ ვაებატონებს, რომელნიც წოდებრივ ნაქუქში წოდებრივი ქედმაღლობითა და ანგარიანობით იხრჩობიან. იცის კარგად რომ ამ ვაებატონებმა არ იციან (და არც შეუძლიათ მათ) მორალური თამასუქების განაღდება. წინდაწინვე აფრთხილებს ეთერი გედეონს, და ყველაფერი ისე ხდება, როგორც ეთერი წინად განსკვრეტს.

ნიკო ლომოური, როგორც აღვნიშნეთ, ეთერის პირით თავის შეხედულებასა და დამოკიდებულებას ამჟღავნებს. გედეონის დამარცხებით ეთერის წინაშე ნიკო ლომოური ამარცხებს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის არჩილის ებურ ტიპებს. დიას სიტყვა, სურვილი ამ დაჩაივებული კაცუნებისა ერთია, სა-

ქმე კი მეორე. სიტყვით ბევრის შემძლენი, საქმეში უხერხემლონი, უბადრუკნი და საბრალონი არიან. არა მარტო გონებრივად და სწავლებრივად გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი არჩილი, ბერტა, მკნეტა და შვილი და სხვა „ბრწყინვალე“ წოდების წარმომადგენელნი, პირაშენი და მკნეტა-დაც, სრულ გადგენერატების გზაზე დგანან.

რა გასხვიოსნებულ ფერებში იძლევა მწერალი ეთერის ბუნების სიუხვეს, გარეგნულ სილამაზეს, მომზიდველობას, მარილიან სახეს, გონებისა და ემოციების სიმკვეთრეს, სიმკვირცხლესა, სამაგიეროდ როგორი უარყოფითი, პატოლოგიურია ბერტა.

ეთერმა ვერ (უფრო არ) შესძლო ასე ადვილად გრძნობით ვაჭრობა, როგორც გედეონმა, მიხეილ მეთუნაშვილმა, ენ. ბერტამ და სხვებმა. ცხოვრებაში შეხვედრილმა უკუღმართობამ გაბზარა ეთერი, შეიძლება, მორალურად დასცა — და მასთან ერთად უფრო მეტად ააშხედრა და ააღელვდა ამ ცხოვრების პატრონთ წინააღმდეგ, ის შურს იძიებს მეთუნაშვილისადმიც (დალატობს მას, როგორც ცოლი, მეგობრობასა და ერთგულებას არ უწყევს), კნეინა პერტასადმი და თვით გედეონისადმიც, რომელიც მას მოძებნის მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ მას დასჭირდება ეთერი.

ეთერის ნერვიული, ისტერიული დაცინვა, რომელიც გზა გაბრუნებული ეთერის გულის სიღრმიდანაა ამოზიდული — მწერლის გულის ნაღებიცაა.

„ააა, გამარჯვებით კნიაზო, — შეუკავებელი ბოღმისა და შურისძიების კილოთი შეხედება ეთერი გაჭირების გამო მასთან მოსულ გედეონს. როგორა ბრძანდება თქვენი ბრწყინვალეობა, როგორ სუფევს თქვენი კალმით ნახატი, კეკლუცი და მშვენიერი კნეინა. გავიგე მისი ავთომყოფობა და ვფიცავ მის ლამაზ თვალებს და დატკრუტულ ლოყებს — ძლიერ, ძლიერ მეწყინა. მის დიდებულ წინაპართა წმინდა საფლავებს გეფიცებით, რომ მწყურთან ნახვა მისი, მაგრამ გლეხის გომბიო გახლავართ და ვაი თუ არ მიკადროს... იმ დღეს შემთხვევით ენახე თქვენი ქუა-გონებით სავსე შვილები, ეაეს ყურები გავუზომე და ხა, ხა, ხა, ხა სიგარტე თითო ყურისა სწორედ სამი გოჯი გამოვიდა. მშვენიერი იყო იმავე თქვენი ვაჟის ქვემოთა ტუჩი, დამპალ-დაწყლულებული დორბლისა და ფურთხისაგან. ქალი ცოტათი თქვენ გგავთ კნიაზო, მაგრამ მეტად სამწუხარო ამბავი შევიტყე მის შესახებ: ბნედა მოსდის ხოლმეო... სწორედ სულში ჩასაძრომი გვრიტები ყოფილან, ენაცვალოთ იმათ თავიანთ მალაზხარისხოვანი დედა... გახსოვთ კნიაზო, ერთხელ როდესღაც რომ იძაზოდით, ვინა სიტყვა რომ ქვეყანაზედ მეცნიერება არ არისო?... გლეხუქს გომბიოს ხვევინა-კოცნას რომელი თავადიშვილი ჩასთვლის ბედნიერებად?... ბედნიერი აი ეხლა ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალეობა, მშვენიერი და დიდათ განათლებული მეუღლე, მარგალიტი, ნიჭიერი შვილები... მამიდა თქვენი

რუსუდანის სახელსა ვფიქვამ, სწორედ რომ მოსალოცე ქმარი და მამა ბრძანდებით. მაშ მომილოცავს“*)...

ოლონდაც შემადრწუნებელია ეს ისტერიული გესტურა-ნაწილობა-ხარი ეთერისა, რომლის ცხოვრების გზა, და სალი გულისა და მახვილი გონების მოძრაობა გაამრუდა წოდებათა სხვაობით შექმნილმა გზაბნეულმა ამპარტაუნულმა ტრადიციის ძალამ. მწვავედ ხედება მკითხველის გულს და გონებას ეთერის მოშხამული და გაწამებული გულიდან ამონაკენესი: „ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ მეც იმათსავეთ (ე. ი. ვედონის დეგენერატი ცოლშვილისავეთ — მ. ზ.) ტვინი არ მედოს თავში, რომ მეც იმათსავეთ არაფერს ვგრძნობდე, არაფერი მესმოდეს... ისინი კი არ არიან უბედურნი, უბედური მე ვარ, მე, თქვე წყაულებო, თქვე შეჩვენებულეზო“...

აზრი ავტორისა მკითხველისათვის აშკარაა. ძველი გვარიშვილობის ცხრაკლიტულით ისეა ჩაკეტილი და დახვესებული საზოგადოებრივი ცხოვრება, ფუფუნებაში აღზრდილნი პრივილეგიური კლასის წარმომადგენელნი ისეთი თვალაბმულნი, მოდუნებულნი, „დაქალაქნებულნი“ არიან, რომ წიგნი და იქიდან ამოკითხული მაღალი აზრების ვაგლენა მათ გარდაქმნას ვერ შესძლებს. ილუპებიან თითონაც და სხვებსაც ღუპავენ.

ნიკო ლომოურის რწმენით საჭიროა სხვა, ახალი, რომელიც ძირიან-ფესვიანად შეარყევს ცხოვრებას და კაცს გარდაქმნის სალი ბედნიერი ცხოვრების გასაგებად და მისაღებად. ამ ახალის მკაფიოდ ჩვენება კი ავტორს უჭირს და მოქმედების ფარდასაც აქ უშვებს.



*) იქვე, გვ. 328.

კრიტიკა ზ. ლუარსაშიძის „ნაბიჯები“

თარგმანი

3. ლუარსაშიძე

„ნ ა ბ ი ჯ ე ბ ი“

სამართლიანად აღნიშნავდა „პრავდა“: სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული შეიძლება გაძლიერებული იქნას მეფურ-პომეშიკური წყობილებისადმი სიძულვილით; საბჭოთა ახალგაზრდობა არასაკმოდ იცნობს ჩვენი ქვეყნის წარსულს და სასარგებლოა ამ წარსულის ცოდნა, რომ უკეთ და სრულად აფასებდე რევოლუციურ დღევანდელობას.

და მართლაც, ოქტომბრის შემდეგი თაობა ნაკლებად იცნობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წარსულს, იმ ეკლიან გზას, რაც პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით სამი რევოლუციის მანძილზე გაიარა.

ჩვენი ქვეყნის წარსულით აქტიურად დაინტერესებულნი უნდა იყოს საბჭოთა მწერლობაც, რომ მხატვრულ სახეებში და სახეების მეშვეობით გააძლიეროს მასობრივ მკითხველებში რევოლუციური ენტუზიაზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი; ფართო ტილოებზე გადატანილი უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის წარსული.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მწერლობაში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ჩვენი ქვეყნის წარსულის ფართო მხატვრულ ტილოებზე რეალისტური პლანით (რაც იყო და ვითარდებოდა) გადმოტანისათვის. შემოქმედებითი ინტერესი ისტორიული თემებისა და სუჟეტებისადმი. საბჭოთა მწერლების ერთი წყება უკვე სერიოზულად მუშაობს ისტორიულ-რევოლუციურ რომანებზე და მხატვრულ-ლიტერატურულ შემოქმედებაში ამ ეანრობრივი განზრითაც უკვე ხელშესახები მიღწევები გვაქვს. ასე, რომ ისტორიულ-რევოლუციურმა რომანმა საბჭოთა ლიტერატურულ სინამდვილეში უკვე საპატიო ადგილი დაიკავა და არ უნდა იქნას დევიწყებული, რომ ისტორიულ-რევოლუციური რომანის ეანრიც აქტუალური ეანრია და მოქმედი.

მწერალმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემაც სცადა ისტორიულ თემებსა და სუჟეტებზე მუშაობა და თანამედროვე ჭართული მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი საყურადღებო მხატვრული მონაცემით („ნაბიჯები“, წიგნი პირველი) შეავსო. პ. ჩხიკვაძე ერთ-ერთ მო-

წინავე მწერლად ითვლება, რომლის თემატიკა მრავალმხრივია და აქტუალური, რომელიც მხატვრული თხრობის ოსტატებას, განდათანობით ეუფლება.

„ნაბიჯები“ ისტორიულ-რევოლუციური რომანია, მთავარი თემა — გურია-სამეგრელოს 1903/5 წლების რევოლუციური მოძრაობაა.

საერთოდ მწერალმა უნდა აგვისახოს არა ცნებათა მოძრაობა, არამედ მოვლენათა პროცესები და კავშირები (დიალექტიკა), ძველ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალის ნივთიერი წინამძღვრების მომწიფება, ბრძოლა იმდროინდელი სოციალური ცხოვრების შემეცნებისა და შეცვლისათვის, პროლეტარიატის მიზნების წამოყენება, ბრძოლა გარკვეული იდეალებისათვის, რადგან ამ მიზნების შესაფერი ყოფიერება უკვე მომწიფდა.

ცნობილია, რომ ყოფიერება შეიცავს მომაკვდავ წარსულსაც და ჩასახვის პროცესში მყოფ მომავალსაც. ერთიც და მეორეც კი ისახება საზოგადოებრივ ცნობიერებაში კონსერვატიული და რევოლუციური იდეების ფორმით. ბრძოლა მათ შორის რევოლუციური იდეების გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, თუ წარმოების საზოგადოებრივი წესი ვითარდება და იწვევს ჩამორჩენილი წესის შეცვლას.

1903/5 წლების თემატიკურ მასალაზე აგებული რომანი მომაკვდავ წარსულსაც და ჩასახვის პროცესში მყოფ მომავალსაც უნდა იძლეოდეს, რომლის ახალგაზრდა კვირტები წარსულშიაც და აწმყოშიაც მოიპოვებოდა, მუშათა კლასისა და გლეხობის საზოგადოებრივ ცნობიერებასა, ყოფაქცევის ნორმებსა და სხვ., კონსერვატიული და რევოლუციური იდეების ურთიერთ შორის ბრძოლის რევოლუციური იდეების გამარჯვებით დასრულებას.

მაგრამ ყველა ეს ისე უნდა იყოს მოცემული, რომ შესაცვლელი ობიექტი მკაფიოდ იყოს ასახული, რევოლუციური სიტუაციები და ხასიათები ტიპურად და ტიპურ გარემოში ძარღვებივით უნდა იქნას გამჟღადარი, მოქმედი პირობისადმი კლასობრივი სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები „ზომიერად“ განაწილებული და რაც გადაუღებელია, ნაწარმოებში შემეცნებითი და ზედმოქმედებითი მომენტების ერთიანობას უნდა ჭონდეს ადგილი.

მოცემული მაჩვენებლების მიხედვით როგორაა დაძლეული ნედლი მასალა პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯებში?“ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პ. ჩხიკვაძე ბევრ შემთხვევაში მოერიდა მასალას, მაგრამ საჭირო მაღალ ბელეტრისტულ ხარისხში ვერ აიყვანა.

რევოლუციის მამოძრავებელი ძალების, რევოლუციის ხასიათი ლენინსტალინის პარტიისათვის ყოველთვის ცენტრალური პოლიტიკური საკითხი იყო. რამდენადაც პროლეტარიატი მთელ გლეხობასთან ერთად ლიბერალური ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციით მეფისა და

მემამულეების წინააღმდეგ იბრძოდა, იმდენად რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, რომელსაც მუშებისა და გლეხების რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა უნდა დაემყარებია პროლეტარიატის ხელმძღვანელობით (რევოლუციის პირველი ეტაპის ეს პერიოდი 1905 წ. — 1917 წ. თებერვალს შეიცავს), რაც უნდა გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში (პროლეტარიატი უღარიბეს გლეხობასთან კავშირით საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციით, ბურჟუაზიისა და კულაკების წინააღმდეგ — ეს პროლეტარული რევოლუციის ლოზუნგია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლის ლოზუნგი).

მოცემული დებულებების თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ პ. ჩხიკვაძის რომანის კრიტიკულ შეფასებას, „ნაბიჯების“ ლიტერატურულ დახასიათებას — თუ რამდენად სწორადაა ასახული რომანში რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და 1905 წლის რევოლუციის ხასიათი. ვიმეორებთ, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ პ. ჩხიკვაძემ ძირითადად სწორად ასახა თავის რომანში რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და 1905 წლის რევოლუციის ხასიათი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ შეცდომასა და ლაპაუსს.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საერთოდ „ნაბიჯების“ პირველ წიგნში („ლომისკარელი“) რევოლუციური სიტუაციები, კლასობრივი წინააღმდეგობანი, ყოფაცხოვრებითი კვანძები და ხასიათები საერთოდ სწორად აქვს მოცემული და გახსნილი, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ტიპების ნაწილს ბევრს შემთხვევაში სიცოცხლე და ამბულელებლობა აკლია და სინამდვილეს მოწყვეტილია.

„ნაბიჯები“ კლასობრივი ბრძოლის სარბიელია, რომანში ცხრას ხუთის ბარიკადების ორივე მხარეა წარმოდგენილი, ამამალღებელი და ამბულელებელი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა და რევოლუციური ტალღების უკუქცევის დამამწუხრებელი მომენტები.

დაშორდა ორი ძმის გზები. აქედან იწყება რომანის სუბეტური გაშლა. ბეგლარი, რომანის მთავარი გმირი, რევოლუციური მოძრაობის ამოძრავებულ ტალღებს გაყვა, ძიკი კი — რეაქციის ძალებს მიემხრო. ორი მტრულად განწყობილი ხასიათი, სხვადასხვა ბუნება. ბეგლარი და ძიკი რომანის ძირითადი ლიტერატურული ტიპებია, ბეგლარი ბუნტარი — ბრძოლის პროცესში ბოლშევიკად გამოიქცედა, ძიკი კი თანდათანობით სრულყოფილ პოლიციელად გადაიქცევა.

დამაკმაყოფილებლადაა მოხაზული მოცემულ რომანში ბეგი ლადარია (ბეგლარი), კასრაძე, „გეტყვივი“. ქალებიდან ემიზოდურად — ნათელა, სალომე და ეგვიტო. წითელი რაზმის მეთაური დათიკო შევარდნაძე, მოხუცი ქაიხოსრო ბარამიძის პოლიტიკური გამოფხიზლება და სხვ. ბარიკადების მეორე მხარე: ძიკი, კონცესიონერი, სიკოფანტი ნიკო ბლალოჩინი, რწმუნებული შერვაშიძე, მოღალატე და ტარტიუფი — მენშევიკი

ირაკლი გვარამაძე (და არა ოპორტუნისტი, როგორც ავტორის გონია); ეპიზოდურად გაიჭროლებენ რომანის ფართობზე ალიხანოვ-ავარსკი, სტაროსელსკი, კრიმ-გირეი და სხვ.

ამბოხებული და შეიარაღებული გლეხობა, მუშახმარების წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიები, „ტყის ძმების“ ცხოვრება, წითელი რაზმი, კონცესიაზე მუშაობა და გაფიცვები, წითელი ფიცი, კომიტეტები, კრებები, მენშევიკების გამცემლობა, ბოლშევიკების ბრძოლა რევოლუციური სიმართლისათვის, მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციები და ამ ორგანიზაციების მუშაობა ძალიან მკრთალად ჩანს (უკეთ ბეგლარმა და ვერც ავტორმა მიაგნეს ამ ორგანიზაციებს), ბრძოლები მეფის ჯარის ნაწილებსა და რაზმელებს შორის. განსაკუთრებით ძლიერ ეფექტს აღწევს „ბატალური სცენები“ ნასაკირალთან, ჯარისკაცებისა და რაზმელების დამშობილება და სხვ. მაგრამ ზოგიერთ ხასიათს სიცოცხლე აკლია, ზოგიერთ დადებით შოვლენას სიღვარე, გადაჭარბებასაც აქვს ადგილი; რომანი ნაწილობრივ სუფეტური კვანძის დამხმარე მომენტებითაა გაღატაკებული და მონოტონური დიალოგებით, ზოგ შემთხვევაში მოქმედებები დიალოგებშია გადახრდილი; შემოქმედებითი სიძნელების დიალოგებით „დაძლევა“ ფაქტიურად ამ სიძნელების დაუძლეველობაა და რომანში წყალის შეშვება. ვინც მოცემული მხატვრული თხრობის მრავალ გვერდს (მე-194, 210, 212, 221, 222, 271, 306, 307, 344, 345, 355, 356 და ა. შ.) გაეცნობა, საგნობრივად დარწმუნდება ჩვენი მოსაზრების მართებულებაში. წყალი და პროვინციული პამლეტიზმი საგრძნობლად ასუსტებს „ნაბიჯების“ მკითხველზე მხატვრული შემოქმედების უნარს. მართალია, ჩვენი ყურადღება რომანის უფრო ვიწრო ადგილებზე გავამახვილეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნაბიჯები“ საერთოდ სუსტი ნაწარმოებია. სუსტ მხარეებზე მითითება ნაწარმოების სისუსტეს არ ნიშნავს.

ვასული წლის მიწურულს აფხაზეთის პარტგამომცემლობამ რუსულ ენაზე მშვენიერი წიგნი „სტალინი და ხაშიმი“ გამოცა. ამ ორმოცდაერთი გვერდიანი პატარა წიგნის ყოველ სტრიქონიდან დიდი ბელადის სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და გულთბილობის შადრევანი ცემს. ხნიერ აფხაზ მუშებისა და გლეხების თხრობათა საფუძველზე შედგენილი აღნიშნული წიგნი ბათომში (1901 — 1902 წ.წ.) იატაკქვეშურ რევოლუციურ მორძაობაზე (რომლსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობდა) გულთბილად ღაღადებს. განსაკუთრებით საყურადღებოა სტალინისადმი უაღრესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებით გამოთარი მოხუცი აფხაზი გლეხის ხაშიმ სმირბას მოთხრობა, რომლის სახლშიც ამხ. სტალინი ცხოვრობდა და არალეგალური სტამბა იმყოფებოდა. ეს პატარა წიგნი დიდი სტალინისადმი მშრომელთა უაღრესი სიყვარულისა და პატივისცემის ღაღადისია.

რატომ დაგვეკირდა ხაშიმ სმირბას ხსენება?

მოგონებები ბელადზე და მასზე წერა არც ისე ადვილი საქმეა. ბელადზე უნდა იწერებოდეს თბილად და სიყვარულით, ტანისმშენებელი უბრალოებითა და სიხარულით და არა ოქმის სტილით. „ნაბიჯებში“ გამოყვანილია იმ პერიოდში ახალგაზრდა პროფესიული რევოლუციონერი, აქავკასიის ბოლშევიკების ბელადი კობა ჯულაშვილი, კობა გურიანი. აი, როგორ უხასიათებს ლადარია თავის პარტიულ მეგობრებს ამხ. კობა ჯულაშვილს:

...გურიის მოძრაობას ამჟამად თავს დატრიალებს და ხელმძღვანელობას უწევს ბოლშევიკური ფრაქციის თვალსაჩინო წევრი, ცნობილი პროპაგანდისტი და რევოლუციონერი ბრძოლების შესანიშნავი ორგანიზატორი ამხ. კობა ჯულაშვილი. კობას ძველ იცნობთ, ამხანაგებო. არ არსებობს ისეთი დაბრკოლება და სიძნელეები, რომლის გადალახვა ვერ შესძლოს ჯულაშვილის შორსმჭვრეტელმა და ნათელმა გონებამ. კობამ არ იცის უკან დახევა. მას არ ჩვევია დათმობა და შემარიგებლობა მოწინააღმდეგეებისადმი; ის მუდამ თავგამოდებით იბრძვის, როგორც პარტიის შეგნით წამოჭრალ ფრაქციულ უთანხმოებათა, ისე მუშათა კლასის საწინააღმდეგო მტრების წინააღმდეგ... თუ კობა აქ დარჩა რამდენიმე ხანს, რაღა გიჭირთ... დროგამოშვებით ბუღუც ჩამოდის გურიასში, გერმანე და სხვა ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგები. გურიის ამბებს თავს ეელება ამხ. ფილიპე...“ (იხ. გვ. 502).

ამხ. კობა ჯულაშვილის „სიტყვა“ მიტინგზე ხომ პირდაპირ სქემია, კობა ჯულაშვილის დამამხასიათებელი მასში ცოტა რამ არის; შეკონსტრუირებული სიტყვებისა და ფრაზების ხეაგია. ამ „სიტყვიდან“ ადგილების მოყვანა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია (იხ. გვ. 576 — 580).

ასევე ოქმის სტილით წერა დაუშვებელია.

ასეთ გულუბრყვილო ადგილებსა და მდგომარეობების იოლად გახსნასაც შევხვდებით პ. ჩხიკვაძის რომანში:

...უფროსის მგვრულად დაველაპარაკე. ფანჯარაზე მიუთითე. არაფერ არაფერი შეგნიშნა. მივაწიეთ ფანჯრისკენ. ბორკილება ახსნილი გვექონდა. დერეფანში ხმაურობამ იმატა. მოვინჯეთ ფანჯარა ადვილი გასაღებია. ბერი აღარ დაეყოვნეთ, ვიკუბეთ და მოვუსვით კარებისაკენ. ალაყაფის კარებში დარაჯი იდგა. სინათლეს მოვერდიეთ, ფეხსაკრეფით მიუახლოვდით დარაჯს და თავს დავესხით. პირზე ქუდი მოვიფარეთ, გაგვუდეთ, გარეთ გავათრიეთ. იარაღი აყვარეთ, ტანისამოსი... თითონ კი ცოცხალ-მკვდარი გავაწინიდან კარგა მანძილზე დავტოვეთ და ვიკადრეთ გაქცევა“ (130 გვ.)

ციხიდან ასე გაქცევა წარმოუდგენელია. ფანჯარა გააღეს, ისკუბეს, მოუსვეს კარებისაკენ, დარაჯი გაგუდეს, იარაღი აყარეს, ტანისამოსი გააძვრეს და... გაიქცენ.

ბეგლარი და ძიკი რევოლუციური მოძრაობაში დაღუპული ნიკო ძიგუას შვილებია; გაქცეულ ბეგლარს და ვერც ავტორს რევოლუციური ორგანიზაციისათვის ვერ მიუგნია და ავტორი ბეგლარს „მსოფლიო სეველი“ თარგმნე მელოდეკაში იღებს ათქმეუნიებს (გარდა ამისა „ნაბიჯებ-

ში“ ზოგი მოვლენა და მდგომარეობა მწერლის უბრალო ცნობის-
მოყვარეობის გამოა შეტანილი; ტექნიკური მიზეზების გამო ადგი-
ლები არ მოგვეყვას, რადგან ისედაც გავეცდით (ეგვიკლავს) ესაგონ
ფიქრებისათვის როდი ეცალა. ნაკლებად იყო განწყობილი ის „ფილო-
სოფიური“ და „ფსიქოლოგიური“ ეონგლორობისადმი, მაგრამ მწერალი
არ ასვენებს ბეგლარს და...:

„თავდასხმა! — შწარდ გაიღიმა ლადარამ და ბაზით მუგუზულეს შეტრქტრა. —
ძალური ცხოვრება და თავდასხმებზე ფიქრი ნუთუ ისეთ ბედდამწეარ დღეზე კარ
გაჩენილი, რომ მუდამ წვალებასა და კრდღელსავით გულფხაზობაში უნდა ამომხდეს
სული? ნუთუ ერთხელ მაინც არ გაიღიშებს ჩემი ბედის ვარსკვლავი და პირმოღებლი
ათხით ჩემს, ამეამად გაპარტახებულ ეზო-მიღბომს ვერ მივხედავ და ვერ ეუპატრონებ.
თუმცა რის ბედი, რა ბედი... ბედი აქ რა შუაშია“... (40).

— „კარგია, ძიკი! რა საჭიროა აღსარება ღვიძლი ძმის წინაშე. ჩვენ ხომ ერთმა-
ნფას კარგად ვიცნობთ. დასამალავი არაფერია. საკუთარ სიცოცხლეს ვინ არ უფრთხილ-
დება და არ ეფერება, მაგრამ... მაგრამ როცა სინხდალის წინ გამბედაობაც წამოიჭრება,
ორკოფობაც.. ერთი სიტყვით როცა სასწორზე წედეგება ორი სხვადასხვა სადიფას სა-
კობი... და როცა პირადული გადასწევს სასწორს, ეს კი ცუდია და გამოუსწორე-
ბელი“). (89).

შემდეგ:

„სად ჩაყვდა ბრძოლის ცეცხლით ანთებული გული? ხალისი... აღტკინება... —
ე. თხება ბეგი თავის თავს და ტყვეს ეფარება.

ნუთუ ჩაიშე ძალა შეაჩერებს თავისუფლების თავშეუყვებელ ექსპრესს. „Русь
куда несешься, ты дай ответ?“ მისძახოდა გოგოლის გენია ორმოციან წლების გა-
ქანებულ „ტროიკა-რუსს“ და პასუხი არსიდან ესმოდა.

ნუთუ პროლეტარიატი ევლავ აღარ გაიშეორებს საპასუხო ამოძახილს და ისევ
„ტროიკა“ იზოგინებს რუსეთის თვალუწვდენელ მინდვრებზე... დავმარცხდით?.. შერე
რა რომ დავარცხდით?! ფოლადის ექსპრესს თემშარაზე რა გადაიყვანს. ვინ გასცელის
ერთქლმავალს ჭვავენილსა და ცხენის ნალებზე?! არა. მე მჯერა, რომ თავისუფლების
თავგანწირული ექსპრესი, პატერნა და მოსკოვი შეჩერდება... ორთქლავალი წყალსა და
მაწუთს შიშიშარავებს, კვერთხს შიილებს და ისევ წინ, წინ.“ (607).

ეს სიტყვიერი მასალა ავტორმა ძალად მოახვია თავზე ბეგის. ბეგის
ასეთი სიტყვიერი მასალა რომანის პირველი წიგნის მანძილზე არ ახა-
სიათებს და ამ სიტყვიერ მასალას ბეგის სასაუბრო ენასა და „მარტივ“
აზროვნებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს, ინტელიგენტური „ჩუქტურ-
თმოვანი“ აზროვნება ბეგის როდი ახასიათებს.

არც ძიკის ასვენებს ავტორი! საერთოდ „მაღალი მატერიებისადმი“
უფულოდ განწყობილ ძიკის ავტორი მკითხველის თვალში უხერხულ და
კომიკურ მდგომარეობაში აყენებს:

„ის ჩემი დედა არ იყო... დიად, არ იყო. ის ბეგის თვლიდა ღირსეულ შემყვიდრედ,
ის უფერდა მხოლოდ, ისდა აგონდებოდა. მე კი... ოოჰ, როგორ შხამად მაგონდება მისი
წველა, კიცხვა და შეჩვენება. მოლაღატეს შეძახდა. დასანახავადაც კი ვეჯავრებოდა.
სახლკარი მოვაწყე, პარტახად ჭკეული ეზო-მიდამო ბაღად ვაქციე, მაგრამ... ეს! საყო-

დავო ძიკი! ხალხისა და მშობელი დედისაგანაც გამეტებულო, ისეთი რა დავაა, რომ ქვეყანამ ამითვალწუნა. ნუთუ არსებობისათვის ბრძოლა სიძულვილსაც ზადებს ადამიანებში და საკუთარ შვილსაც ვაჭულებს და ვაზიზღებს სამუდგომად? **ნულო!**

გულუბრყვილოდ ეკითხება ძიკი თავის თავს და ვერ მიხვტება: **ქნა** ქნა ვაიკოს, რომ სწორედ არსებობისათვის ბრძოლამ წარმოშვა საშინელი სიძულვილი მოწინააღმდეგისადმი, სულერთია — მშობელია ის, ძმა, თუ ნათესავი, რომ ეს სიძულვილი არის არა მხოლოდ პირადული, არამედ საზოგადოებრივი, კლასობრივი, და რომ სწორედ ასეთ ფიზიოლოგიურ სიძულვილის გარეშე არ არსებობს არც კლასები და არც კლასობრივი ურთიერთობანი, რომ სწორედ ეს სიძულვილი არის მთავარი მამოძრავებელი ძარღვი კლასობრივი ურთიერთობის გამწვანების და აფეთქებისა“ (გვ. 363).

ეს ძიკი კი არა პროვინციული თეატრის პამლეტია! მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ თვით ავტორიც ბიო-ფიზიოლოგიურ თვალსაზრისს ამკლავნებს კლასობრივი ურთიერთობის გაგების საკითხში. როგორი ნაძალადევია და არადამაჯერებელი პოლიციელი ძიკის, საბერიოს ჯაშუშის „აზრთა დენა!“ მაგრამ უფრო განსაკვიფრებელია თვით მწერლის მოსაზრება!

მხატვრული მეტყველების კულტურის დაუფლების მხრივაც მოისუსტებს პანტელეიმონ ჩხიკვაძე; მის პროზაულ თხრობაში გაუმართლებელი მხატვრული სახეები და განსაზღვრები, გულუბრყვილოდ გაკეთებული მდგომარეობები და ტიპები გვხვდება. მოსაზრება რომ დაუსაბუთებელი არ იქნას, ზოგიერთ სახესა და განსაზღვრაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

წარმოგიდგენიათ მუშტის ოდენა თვალები, რომელთა გადატრიალება ისე შინაარსიანია და დამაფიქრებელი, როგორც კლასიკურად დაწერილი წიგნი ან ნაქანდაკები! თუ გიძიძით ამისი წარმოდგენა, მაშინ ჩვენი მწერალი დავიხმაროთ და მძიმე მდგომარეობას ალბათ თავს დაეაღწევთ:

„გრძელ წამწამებში გორიზად გამოიფურებოდა დანისლული მუშტების ოდენა თვალები, რომელთა საკუთარ ბუდეში გადატრიალება ისე შინაარსიანი იყო და დამაფიქრებელი, როგორც კარგად დაწერილი წიგნი ან მსოფლიო ოსტატის ხელით ნახატი თუ ნაქანდაკები... გარედან შევეგრძობანი პირისაზე ბატკანივით შეფუთვნილი“ (170).

ეს „მხატვრული“ განსაზღვრა მდარეა, ყალბი და შაბლონური.

„გაბრუნდა სიკოია და სინები ისე მძლავრად დააჯახა ერთმანეთს, გვეგონებოდათ კტამ ლანგარი გადმოაპირქვა და რამდენიმე წუება კურქელი დაამხვრიაო“ (180).

„მუნჯური დაეკვების მისამართი ერთი თვალსაწინო მოხელის გარშემო ტრიალებდა“.

„და მუხლებამდე თავდახრილი კაბინეტიდან დერეფანში გაიჭურწა“ (მუხლებამდე თავდახრილი კაბინეტი ძნელი წარმოსადგენია! ვ. ლ.).

„ვეტებოთ განგაში, დავცებოთ კედლებსა და იატაკზე, რითაც კი შეგვეძლო — ვახშამზე გაფიცვა გამოვაცხადოთ“ (127). (სატუსალო ვაგონში არც ვახშამს თავაზობდენ და არც სადილს! „ასეთი“ გაფიცვის გამოცხადება ვაგონში უაზრო და უმიზნოა! ვ. ლ.)

შემდეგ:

„ორთქლმავალი მიიწვევს წინ... უფსკრულს უახლოვდება... ფეხვეკი უფსკრულში და ცეცხლის აღში გახვეული ორთქლმავალი ყირამალა გადატრიალდება... მჭკრჭკრე და ცარიელებული სატუსალო ვაგონიც და უკუნის სივრცე გადააკაშაშდა“ (610).

მეორე გვერდზე კი ვტყობილობთ დაუჯერებელ ამბავს:

„და შენთხვევის ადგილას დარჩა ცეცხლმოდებული ორთქლმავალი და ფარანანი ვარაჯი“...

ორთქლმავალი უფსკრულმა შთანთქა, მერე როგორ მოხდა, რომ შენთხვევის ადგილას (ე. ი. უფსკრულის ახლოს) დარჩა ცეცხლმოდებული ორთქლმავალი და ფარანანი დარაჯი? მხატვრული უგემურობისა და მწერლური დაუკვირვებლობის ნიმუშებით საგრძნობლადაა მოკენჭილი „ნაბიჯების“ ფართე ტერიტორია. შეიძლება ანალოგიური „მაჩვენებლების“ კიდევ მოყვანა, თუმცა თვალსაჩინოებისათვის მოყვანილიც საკმარისია.

სამწუხაროდ „ნაბიჯებში“ შეხვდებით ასეთ გამოთქმებსა და სიტყვა შეკავშირებებს: „ბეგი ადუღებული ქვა ბივით აქშინდა“, „მთვრალ კატასავით გაიღურსა“, „მთელილი დამბაჩა“ (ნაბადი ან ქეჩა ხომ არაა? — ვ. ლ.), „ჯინი ხჭირდა“ (თუ ეინი? ჯინი — გოდორია — ვ. ლ.), „პეტროგრადში... უფროსი მოუკლავთ“ (იმ დროს პეტერბურგი ერქვა — ვ. ლ.) და სხვ. მწერალი ყველასა და ყოველის მიმართ ხშირად იმეორებს: დაათოხმება, ხორხოხი, აწუწუნდა, თვალებში შეატყდა, მუნჯური მუჭარა, ტყის მორეკა, ყურებამდე გაიღიმა, აყარყუმდა, აიღეწა, დაიღლოფინა, და ა. შ., რაც მწერალზე კუთხური დიალექტის წნევისა და მწერლის სიტყვის მარაგის შეზღუდულობის შედეგია.

მართალია, მწერალი პ. ჩხიკვაძე თავისი ტრილოგიის წინასიტყვაში წერს „ჩვენში პროზას ძალიან მკრთალი წარსული აქვს. პოეზიის ბუმბერაზების... გვერდით აბა რა მოსახსენებელია ქართული პროზის დამწყებნი ენტუზიასტები“, მაგრამ მოცემული აჩქარებული და თითებიდან გამოწოვილი მოსაზრება ფაქტიურად ქართული უმდიდრესი პროზაული მეტყველების, ბელეტრისტული კულტურის ნილილისტური უგულვებლყოფაა. ამის მაგივრად მწერალ პ. ჩხიკვაძეს კრიტიკულად რომ დაეძლია ქართული ბელეტრისტული მეტყველების კულტურის ნიმუშები უკეთესი იქნებოდა მისი შემოქმედებითი აღმავლობისათვის და ჩვენს მიერ აღნიშნულ შეცდომებსა და მოუმიფებლობის შემთხვევებს არ გამოამყლავნებდა. პ. ჩხიკვაძეს მართებს მუშაობა ნედლი მასალის ორგანიზაციაში უკეთ მოყვანისა და მხატვრული მეტყველების კულტურის ნამდვილად და სრულად დაუფლებისათვის.





ქართველი
წიგლმწიფთა

გვს. ქვანთი

ნამდვილი და თანამედროვე გარდაქმნისათვის

(ამს. ბ. ბუაჩიძის წიგნის „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“-ს გამო)

„კრიტიკოსებიც ადამიანის სულის ინტენჯები არიან“ ამბობდა ა. მ. გორკი საბჭოთა მწერლების საკავშირო გამგეობის მეორე პლენუმზე. ეს აზრი მთელის სიმახვილით მიმართულია სალიტერატურო კრიტიკის იმ შეუფასებლობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა მწერლობის ზოგიერთ ფენებში. ხშირად, ჩვენი მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურული კრიტიკის შედარებით სისუსტისა და ჩამორჩენილობისაგან ზოგიერთები ისეთ ყალბსა და არასწორ დასკვნას აკეთებენ, რომ თითქოს კრიტიკა საერთოდ ჩვენი ლიტერატურის მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო უბანს წარმოადგენდეს. საბჭოთა კრიტიკას არავითარი დამსახურება არ მიუძღვოდეს, ის არავითარ როლს არ ასრულებდეს საბჭოთა მწერლობის ზრდასა და განვითარებაში. ზოგიერთები იქამდეც კი მიდიან, რომ ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას, ძირითადად შეიარაღებულს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებით — ადარებენ და აპირისპირებენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ესთეტიურ აზრთან და ხშირად ამ უკანასკნელის უპირატესობასაც კი აღიარებენ ხოლმე.

საბჭოთა მწერლების საკავშირო გამგეობის მეორე პლენუმმა, რომლის მუშაობის მთავარ შინაარსს ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკის საკითხების გარკვევა შეადგენდა, მთელის სიმკაცრით გამოააშკარავა ასეთი შეხედულებათა სრული სიყალბე და უმართებულება. მან ხაზი გაუსვა იმ უდიდეს როლსა და მნიშვნელობას, რომელიც ეკისრება ლიტერატურულ-თეორიულ ფრონტს არა მარტო საბჭოთა მწერლობის მიერ იდეურ-ხარისხობრივი მწვერვალების დაპყრობის საქმეში, არამედ უშუალოდ მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეშიც, რადგან ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, რომელიც წარმოადგენს მხატვრულ მწერლობის მასიურ პროპაგანდის უძლიერეს საშუალებას, მოწოდებულია იბრძოდეს მშრომელთა შეგნებიდან „წარსულის ცრუმორწმუნეობათა“

აღმოსაფხვრელად, მასების კულტურული დონის ასამაღლებლად, მათს ცნობიერებაში კომუნისტური იდეების მტკიცედ დანერგვისათვის. პლენუმმა გარკვევით აღნიშნა აგრეთვე ის უდიდესი როლი, რომელიც შეასრულა კომუნისტურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მწერლობის ფრონტზე პროლეტარიატის მოწინააღმდეგე ძალების განადგურების, და პროლეტარიატის რიგებიდან გამოსულ შემოქმედებითი ძალების დაწინაურებისა და აღზრდა-განმტკიცების საქმეში. მრავალი ფაქტებით იქნა ცხადყოფილი ის გარემოება, რომ ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, არა მარტო თავისი მსოფლმხედველობრივი უპირატესობით, არამედ მეცნიერული სიღრმით და ობიექტურობით, ანალიზის უნარით, თეორიული დონით — გაცილებით მაღლა დგას კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე „ესთეტიურ აზროვნების“ ყველა სახეობებთან შედარებით.

მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც არ ქმნის თვითკმაყოფილების საფუძველს, პლენუმში სალიტერატურო კრიტიკის საკითხებს ამუშავებდა უმძაფრესი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. გამოაშკარავებულ იქნა ჩვენი კრიტიკის სისუსტე და ჩამორჩენილობა იმ დიდ ამოცანებთან შედარებით, რომელთაც აყენებს მწერლობის კრიტიკულ-თეორიულ ფრონტის წინაშე ჩვენი სოციალისტური სინამდვილე და საბჭოთა მწერლობის დღევანდელი ეტაპი. დაუფარავად აღინიშნა, რომ დღემდე ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა სათანადოდ ვერ ეხმარება მწერალს, ღირსეულად ვერ ასრულებს მასებში მწერლობის სწორი და ღრმა ცოდნის დანერგვის ამოცანას.

აქედან გამომდინარე — პლენუმში სახავდა მორიგ საბრძოლო ამოცანებს და ღონისძიებებს ლიტერატურულ კრიტიკის დარგში ჩამორჩენილობის დასაძლევად და აღმოსაფხვრელად. პლენუმმა მოითხოვა ჩვენი კრიტიკულ კადრებისაგან მაღალი რეკლუციური სიფხიზლე, რომელიც წარმოადგენს ბოლშევიკური სალიტერატურო კრიტიკის ძირითად თვისებას; საბჭოთა კრიტიკის ხასიათს უნდა განსაზღვრავდეს სოციალური და ესთეტიური ანალიზის მთლიანობა, კრიტიკა უნდა აღწევდეს ლიტერატურულ მოვლენების განმზოგადებელ, სინთეტიურ განხილვას, მწერლობის, როგორც იდეოლოგიის გარკვეულ ფორმის თავისებურებათა, მისი სპეციფიურ ენის სრულს გათვალისწინებას და გამოხატვის საშუალებათა ანალიზის უნარს, რაც აუცილებელია ნაწარმოების სოციალურ-იდეურ ღირებულების სწორად გასარკვევად.

პლენუმმა მოსთხოვა კრიტიკის დარგში მომუშავე ამხანაგებს სრული მეცნიერული ობიექტურობის მიღწევა კრიტიკულ მუშაობაში, ღრმა ერუდიციისა და მახვილ გემოვნებისათვის ბრძოლა, საბჭოთა მწერლობისადმი ამხანაგური დამოკიდებულება, ჯგუფობრივობის და „თავის კაცთა“ ტრადიციების გადაჭრით უკუგდება. პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად დასახა საბჭოთა მწერლობის ისტორიის შექმნა და აგრეთვე მარქსისტულ-

ლენინურ ესთეტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემათა თანმიმდევრული დამუშავება.

ცხადია, ამ ამოცანათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჩვენი მწერლობის თეორიულ-კრიტიკულ კადრებში თავის მუშაობას გარდაქმნიან ლიტერატურულ ფრონტის დღევანდელი ეტაპის შესაფერისად, აიყვანენ ამ მუშაობას ახალ, რთულ ამოცანების სიმაღლემდე. ამისათვის კი აუცილებელია წარსულში დაშვებულ შეცდომათა შეგნება და დაძლევა, მუშაობის დაძველებულ ფორმებზე ხელის აღება, და თეორიულ-კრიტიკულ მოღვაწეობაში იმ ახალი სტილის დამკვიდრება, რომელიც განპირობებულია სოციალისტურ მწერლობის დღევანდელ ვითარებით.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სინამდვილეში მწერლობის თეორიულ-კრიტიკულ ფრონტზე მუშაობის გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის მაჩვენებელია ბენიკო ბუაჩიძის ორი უკანასკნელი წიგნიც: „მხატვრული მწერლობის შემოქმედებითი საკითხები“ („ფედერაცია“ 1933 წ.) და „თანამედროვე ქართული მწერლობის ჭზები“ (სახელგამი 1934 წ.).

ცნობილია, რომ ამხ. ბენ. ბუაჩიძე მეთაურობდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობას. იგი იყო საქართველოში „ნაპოსტოველური“ კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფიგურათაგანი. აქედან ცხადია, რომ ამხანაგ ბ. ბუაჩიძეს საგრძნობი ღვაწლი მიუძღვის ქართულ სინამდვილეში ანტიპროლეტარულ ლიტერატურული ფენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის აღზრდაში. ეს ხაზგასმით და გარკვევით უნდა აღინიშნოს. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამხ. ბ. ბუაჩიძის წარსულ კრიტიკულ მუშაობაში გამოსიანს ყველა ის უარყოფითი და მტკივნეული მომენტები, ყველა ის შეცდომები, რომლებიც დამახასიათებელი იყო პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელ კადრისათვის ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ხანებში როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

ამიტომაც ამხ. ბუაჩიძეს მოეთხოვებოდა და მოეთხოვება თავისი კრიტიკულ-თეორიული მუშაობის ახალ საფეხურზე სავსებით დაეძლია „რაპ-პული“ კრიტიკის ის უარყოფითი ტრადიციები, რომელთა შესახებ საკმაოდ ითქვა და დაიწერა, განსაკუთრებით 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებების შემდეგ.

ამხ. ბუაჩიძემ რამდენჯერმე განაცხადა ასეთი გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. იგი მსგავსად პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ზოგიერთ ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკებისა, არ ჩამოსცილებია ლიტერატურულ ფრონტს და ახალ პირობებში განაგრძო მეტად ენერგიული და აქტიური მუშაობა სალიტერატურო კრიტიკის დარგში. ეს მეტად დადებითი და სასარგებლო მოვლენაა.

განსაკუთრებით ჩვენში, კრიტიკულ კადრების ასეთ სიმცირეს და სოსტის პირობებში ამხ. ბუაჩიძის მუშაობას კრიტიკის დარჯში, რა თქმა უნდა, ფრიად საჭირო და სასარგებლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ ამხ. ბუაჩიძეს დაპირებათა მთლიანად პრაქტიკული განაღდება; ძველი შეცდომებისაგან საბოლოოდ გამიჯვნა და მათი აძლევა მიმდინარე, დღევანდელ მუშაობაში.

ამხ. ბ. ბუაჩიძის ორი უკანასკნელი წიგნიდან კი ნათლად სჩანს, რომ 1) სწორად ვერ გაუგია ის შეცდომები, რომელთაც ადგილი ჭონდათ პროლეტ. მწერალთა ასოციაციის არსებობის უკანასკნელ წლებში. 2) ამხ. ბუაჩიძე საჭიროდ სცნობს ხელახლად გამოსცეს თავისი ძველი წერილები, რომლებიც დატვირთულია მთელი რიგი თეორიული და ლიტერატურულ-პოლიტიკური შეცდომებით. 3) ამხ. ბუაჩიძის იმ წერილებში, რომლებიც დაწერილია პარტიის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, გამოსჩანს იმ შემცდარ თეორიულ და ლიტერატურულ-პოლიტიკურ შეხედულებათა რეციდივები, რომელიც დამახასიათებელი იყო „რაპული“ კრიტიკისათვის ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ხანებში.

დავიწყოთ პირველ საკითხიდან. როგორ შეფასებას აძლევს ამხ. ბ. ბუაჩიძე საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის უკანასკნელ პერიოდის მუშაობას?

„მწერლობის ხელმძღვანელმა კადრმა (იგულისხმება საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა. ბ. ე.) პარტიის ხაზის ძირითადში სწორად გატარების დროს დაუშვა რიგი მემარცხენე შეცდომებისა უკანასკნელ ხანებში“.

„პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია პარტიის ხაზს ძირითადში სწორად ატარებდა: იგი პარტიამ აღზარდა. მას თვალსაჩინო მიღწევები და დიდი მიღწევები აქვს“.

„მე ვმეთაურობდი საქართველოს და ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების ხელმძღვანელობას, იმ ხელმძღვანელობას, რომელიც სწორად ატარებდა პარტიის ხაზს, რომელიც ანხორციელებდა პროლეტარულ და საბჭოთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, იმ ხელმძღვანელობას, რომელმაც უკანასკნელ წლებში თავის მუშაობაში გამოამყვანა ჯგუფობრივობის ელემენტები“.

ამ ციტატებიდან ცხადათ სჩანს, რომ ამხ. ბუაჩიძის აზრით პროლეტ. მწერალთა ასოციაცია საერთოდ და კერძოდ საქართველოში პარტიის ხაზს ძირითადში ყოველთვის სწორად ატარებდა, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში „პარტიის ხაზის სწორად გატარების დროს“ ხელმძღვანელობას დაუშვია „რიგი მემარცხენე შეცდომებისა“. გამოუმეღვანებია „ჯგუფობრივობის ელემენტები“.

ეს არ არის მდგომარეობის სწორი შეფასება. საქმე იმაშია, რომ ასოციაციის ხელმძღვანელობის მუშაობა უკანასკნელ წლებში ხასიათდებოდა პოლიტიკური, თეორიული, ორგანიზაციული ხასიათის შეცვლით, რის გამოც ასოციაცია უკვე ამახინჯებდა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკას.

ასოციაცია, თავისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე მართლაც წარმოადგენდა პარტიის პოლიტიკის გამტარებელ ძალას მწერლობაში, მაგრამ ეს უკვე აღარ შეეხება ასოციაციის არსებობის უკანასკნელ პერიოდს, როცა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის ქვა-კუთხედი — მხატვრული შეჯიბრის პრინციპი — შეცვლილ იქნა ჯგუფობრივობით, პარტიის პოლიტიკა უპარტიო საბჭოთა მწერლობისათვის ხელისშეწყობისა და აღმზრდელობითი დახმარებისა — შეიცვალა ბრძოლის ადმინისტრაციულ ფორმებით, წარმოიშვა ლოზუნგი „მოკავშირე ან მტერი“. ლიტერატურის თეორიის დარგში დამკვიდრდა მთელი რიგი ანტიმარქსისტული „თეორიები“ („სოცხალი ადამიანი“, „გარემონიული ადამიანი“, „უშუალო შთაბეჭდილებანი“ და სხვ.), ხდებოდა მატერიალისტური დიალექტიკის უხეში ვულგარიზაცია და სხვ.

ამხ. ბუაჩიძე აქა-იქ ლაპარაკობს ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელობის ცალკეულ შეცდომების შესახებ, მაგრამ ის ცდილობს ეს შეცდომები გააფერმკრთალოს ასოციაციის მიღწევათა და დამსახურებათა შესახებ დაუსრულებელი ლაპარაკით, შეამკიროს და შეამსუბუქოს ამ შეცდომათა მნიშვნელობა.

მაგალითად, როდესაც ამხ. ბუაჩიძე ეხება ჯგუფობრივობის საკითხს, იგი ყოველთვის ლაპარაკობს „ჯგუფობრივობის ელემენტების“ შესახებ.

„საკითხი ეხება ჯგუფობრივობის ელემენტებს ხელმძღვანელი კადრების მუშაობაში“, „ჩვენ აუცილებლად ვთხოვდით ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელობას „ჯგუფობრივობის ელემენტების კრიტიკას“; „იმ ხელმძღვანელობას“, რომელმაც უკანასკნელ წლებში თავის მუშაობა გამოამქლავნა „ჯგუფობრივობის ელემენტებში“.

ნამდვილად კი ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა არა ჯგუფობრივ ელემენტებს, არამედ ნამდვილ ჯგუფობრივობას, რომელიც გადაიქცა ასოციაციის მუშაობის გაბატონებულ ფორმად. ჯგუფობრივობის ელემენტები იყო ასოციაციის არსებობის უფრო წინა ეტაპებში, ელემენტები იყო ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგაც და მისი ნაშთები დღესაც მოიპოვება. ასე რომ ასოციაციის არსებობის უკანასკნელ პერიოდის დასახასიათებლად „ჯგუფობრივობის ელემენტებზე“ კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ გაშლილი ჯგუფობრივობის შესახებ.

ასევე ამსუბუქებს ამხ. ბუაჩიძე ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ თეორიულ შეცდომების არსებას და მნიშვნელობას. ეგი წერს: „ხელმძღვანელი კრიტიკოსების შ. რადიანის, ვ. ლუარსაბიძის, ვ. ჯუღავეას, კ. მელაძის, გ. ნატროშვილის, ბ. ბუაჩიძის და სხვათა კრიტიკულ-თეორიულ მუშაობის შემოწმებას არ ქონია ადგილი. ეს ამხანაგები აწარმოებდნენ მძიმე და სერიოზულ მუშაობას. ამ მუშაობის პროცესში მათ დაუშვეს რიგი ცალკეულ შეცდომებისა, რომელთა სისტემატიურ გასწორებას ადგილი არ ქონია“.

ნამდვილად კი ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე დამახასიათებელი იყო არა „რიგი ცალკეული შეცდომებისა“, რომლებიც თითქმის დაშვებული იყო „მძიმე და სერიოზული მუშაობის დროს“, არამედ მძიმე და სერიოზული თეორიულ კრიტიკული მუშაობის შეცვლა ჯგუფობრივი კრიტიკით. ეს მუშაობა დატვირთული იყო იდეალისტური „თეორიებით“, ხდებოდა მატერიალისტური დიალექტიკის ვულგარიზაცია შემოქმედებითი მეთოდის საკითხებში.

იმის ნაცვლად, რომ ამხ. ბუაჩიძემ, რომელსაც განუზრახავს მოგვეცეს ამ პერიოდის ნამდვილი სურათი, თავისი და თავის ამხანაგების (თანახელმძღვანელთა) ნაწერების კონკრეტულ მასალებზე, გვიჩვენოს ასეთ შეცდომათა და დამახინჯებათა მთელი ჯაჭვი, იგი ცდილობს სიმძიმის ცენტრი ხელმძღვანელობის გარეშე მყოფ კრიტიკოსებზე გადაიტანოს და სხვებს გადააბრალოს თეორიულ დამახინჯებათა მთავარი დანაშაული (ამხ. ამხ. კ. გორდელაძე, ს. ხუნდაძე, გ. თავზარაშვილი და სხვ.). ჩვენ აქ არ ვეხებით საკითხს თუ რამდენად სწორია ამ ამხანაგებისადმი მიმართული კრიტიკა. ბევრ რამეში ამხ. ბუაჩიძე სწორად აკრიტიკებს ზოგიერთ მათგანს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ როდესაც ასოციაციის არსებობის უკანასკნელი პერიოდის თეორიულ-კრიტიკული ფრონტის შესახებ არის ლაპარაკი, აქ უმთავრესად და პირველ რიგში საკითხი შეეხება სწორეთ იმ დამახინჯებებს, რომელსაც ადგილი ქონდა „ხელმძღვანელ კადრების“ მუშაობაში.

ასოციაციის არსებობის უკანასკნელი პერიოდის შესახებ ამხ. ბუაჩიძის შეხედულებას მეტად რელიეფურად გამოხატავს შემდეგი ციტატა:

„ჩვენ ვილაშქრებთ რა ასოციაციის და მისი ხელმძღვანელი კადრის მუშაობის ხაზის გადასმის წინააღმდეგ, ამისთვის ვიხსენიებთ რა დადებით მუშაობის მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ მხარეებს, შემთხვევითად, ეპიზოდურად, გაულრმავებლად, ამით სრულებით არ ელაპარაკობთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, იდეალურად ვმუშაობდით, ჯგუფობრივობის არაერთი ელენენტები არ ყოფილა და ყველაფერი გავაკეთეთ, რის გავტებაც შეგვეძლო“.

ამრიგად ამხ. ბუაჩიძეს ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ უკანასკნელ ეტაპზე დაშვებული შეცდომანი და დამახინჯებანი დაჰყავს იქა-

მდე, რომ, თურმე, „იდეალურად არ მუშაობდენ“, „ყველაფერი რიგზე არ იყო“, „ჯგუფობრივობის ელემენტებიც ყოფილა და მჭიდროდ დაკავთებაც შეეძლოთ, ვიდრე გააკეთეს.

პროკლეტისა

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ აქ საკითხი „იდეალურ მუშაობას“ არ შეეხებოდა. აქ მდგომარეობა უფრო რთული და მწვავე იყო. ასოციაციის ხელმძღვანელმა მთელმა რიგმა მუშაკებმა უკვე საკმაოდ გაიგეს და სათანადო დასკვნები გააკეთეს აქედან. ბევრი მათგანი დღეს აქტიურად მუშაობს ჩვენი კავშირის ყველა რესპუბლიკათა საბჭოთა მწერლობის რიგებში. მაშ რათ ჭირდება ამხ. ბუაჩიძეს ასეთი შემსუბუქების ხერხებით დაფაროს საკითხის ნამდვილი შინაარსი და საქმის ნამდვილი ვითარება?

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამხ. ბუაჩიძისათვის აუცილებელი იყო ჩამოეთვალა ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელობის ყველა შეცდომები. მაგრამ თუ იგი მოინდომებს შეფასება მისცეს ამ პერიოდს, მაშინ იგი ვალდებულია პირდაპირ და მთელი სიმძაფრით გამოააშკარავოს დაშვებული შეცდომები.

ეს აუცილებელია არა მარტო იმისთვის, რომ საერთოდ ჩვენი მწერლობის ყოველი ეტაპი სწორად და ობიექტურად შექცდებოდეს, ეს საჭიროა არა მარტო ისტორიული სიმართლის ნათელსაყოფად, არამედ იმიტომაც, რომ წარსულის საკუთარ შეცდომათა სრული გათვალისწინების გარეშე ძნელია მათი გადალახვა და მომავალ მუშაობაში მათგან განთავისუფლება.

და მართლაც, აჩენს თუ არა საკმაო კვალს ბუაჩიძის ახლანდელ მუშაობას წარსულ შეცდომათა ასეთი შეუფასებლობა?

ამხ. ბუაჩიძემ 1934 წელს გამოსცა წიგნი „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“. ეს წიგნი შეიცავს ამხ. ბუაჩიძის მთელ რიგ ძველ წერილებს (1925 — 31 წ.წ.), რომლებიც დატვირთული არიან მთელი რიგი თეორიული და ლიტერატურულ-პოლიტიკური შეცდომებით. ამ შეცდომების არსებობა ბუაჩიძის ძველ წერილებში სავსებით ბუნებრივია.

რა საჭირო იყო ამ წერილების ხელახალი გაცოცხლება და გამოცემა. რა საჭიროა საერთოდ ერთი და იმავე წერილების ყოველწლიურად ახალ-ახალ წიგნებად გამოცემა ცოტა შეცვლილი თანრიგით ზოგიერთი წერილების დამატებით თუ გამოკლებით. ამხ. ბუაჩიძის უკანასკნელი წიგნის შემადგენელი თითქმის ყველა წერილი შეტანილი იყო მის ადრინდელ წიგნებში. ჩანს ამხ. ბუაჩიძეს ეს წერილები ისეთ „მარადიულ ღირებულებად“ წარმოუდგენია, რომ ცდილობს კიდევ და კიდევ მიაწოდოს ისინი მკითხველ მასებს სულ ახალ და ახალ გამოცემებში, უფრო და უფრო სტელკანიან წიგნებში.

უკანასკნელი წიგნის „თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებაში“ წინასიტყვაობაში ამხ. ბუაჩიძე წერს:

„ამ წიგნში შეტანილია რევოლუციის შემდეგ განვითარებული მწერლობის თითქმის ყველა საფეხურებისათვის დამახასიათებელი წერილები“ და განაგრძობს:

„ავტორს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ წინა პერიოდში დაწერილ წერილების უმრავლესობას უნდა მივუდგეთ პირობითად რომ ვთქვათ — ისტორიულ თვალსაზრისით. ერთი რიგი მწერალთა შეფასება, რომელსაც ჩვენ აქ ვიძლევი; დღევანდელ პერიოდზე არ შეიძლება გავრცელებული იქნას. ამ წიგნში საერთოდ მწერალთა პრაქტიკა აღებულია ზრდის პროცესში, ამიტომაც რომ მაგალითად მ. ჯავახიშვილს ჩვენ 1927 — 30 წლებში სხვაგვარად ვაფასებდით, 1933 წელს კი სხვა შეფასებას ვაძლევეთ. ეს ბუნებრივია და სწორია. ამ მაგალითის განზოგადოება შეიძლება როგ სხვა მწერლებზედაც (ცხადია ეს გამოუქვლებელიც ყველას არ შეეხება). ამდგომად ერთია შეფასება მაგალითად, 1929 წლის მწერლობის მდგომარეობის და მეორეა შეფასება 1933 წლის მწერლობის. ეს გასაგებია იმიტომ, რომ ჩვენი მწერლობა განუწყვეტელი ზრდის პროცესშია. ამიტომაც საჭირო მწერლობის სხვადასხვა პერიოდის განხილვა“.

ამრიგად ამხ. ბუაჩიძე თავის ძველ წერილებში მოცემული ზოგიერთი მწერლების შეფასების მოძველებას — დღევანდელის თვალსაზრისით ხსნის მხოლოდ იმით, რომ მწერლობა განუწყვეტელი ზრდის პროცესში იმყოფება. ე. ი. ბუაჩიძე ყოველთვის სწორ შეფასებას აძლევდა მწერლობის ყოველ მოვლენას. სწორად წყვეტდა მწერლობის ყველა საკითხებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მწერლობა იცვლება და იზრდება, ზოგიერთი შეფასება დღევანდელ მდგომარეობას აღარ შეესაბამება.

გამოდის რომ ბუაჩიძე ყოველთვის შეუმცდარი და უცოდველი იყო. იგი ყოველთვის ურყევად იდგა ერთ და იმავე სწორ პოზიციაზე. მხოლოდ მწერლობა მოძრაობდა მის ირგვლივ, როგორც დედამიწა მზის გარშემო და ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მისი შეფასება დღეს „პირობითად რომ ვთქვათ“ ისტორიულ ღირებულებად იქცა.

ნამდვილად კი ეს ასე არ არის. იცვლებოდა და იზრდებოდა არა მართო მწერლობა, არამედ თვით ამხ. ბუაჩიძეც. ამიტომ მას ყოველთვის ერთნაირი უნარი და ძალა არ ჰქონია — სწორად შეეფასებია არსებული ლიტერატურული ვითარება და სწორად გადაეწყვიტა მწერლობის ესა თუ ის პრობლემა. იგი ხშირად ვარდებოდა შეცდომებში და უკიდურესობებში. ხშირად არასოწრად აფასებდა ლიტერატურულ გარემოცვას, უშვებდა ვულგარიზატორულ შეცდომებს, როგორც ლიტერატორის, ისე ლიტერატურულ პოლიტიკის და მიმდინარე კრიტიკის დარგში.

ამიტომაც მთელი რიგი მისი მოსაზრებანი, დებულებანი, შეესებანი შემცდარია და მიუღებელი არა მარტო მწერლობის დღევანდელი მდგომარეობის მიმართ, არამედ შემცდარი იყო მაშინაც, ~~სადაც~~ ~~მწერი-~~ ~~ლებს~~ ~~წერდა~~ ~~ამხ.~~ ~~ბუაჩიძე,~~ ~~არ~~ ~~იყო~~ ~~სწორი~~ ~~იმდროინდელ~~ ~~ქართულებს~~ ~~მი-~~ ~~მართაც.~~

ამიტომაც ასეთი შეცდომების შემცველი წერილები დღეს ვერ გვახმარებთან განვლილი ეტაპების სწორად გარკვევისა და შესწავლის საქმეში. ამიტომაც ასეთ წერილებს დღეს არავითარი ღირებულება არა აქვს ჩვენი მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით (შეიძლება მათ ჰქონდეთ ღირებულება კერძოდ ამხ. ბუაჩიძის ლიტერატურულ განვითარების შესწავლის თვალსაზრისით, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება მომავალი თაობის საქმეა ალბათ), ეს უნდა გაეგო ამხ. ბუაჩიძეს და ეს წერილები არ უნდა გამოეცა ხელახლა, ყოველ შემთხვევაში სათანადო კომენტარების, შემცდარ დებულებათაგან გამიჯვნის გარეშე.

ხომ შეიძლება, რომ მკითხველმა მასებმა, კერძოდ ჩვენმა პროლეტარულმა ახალგაზრდობამ ამ წერილების მიხედვით მოინდომოს ქართულ საბჭოთა მწერლობის ზრდა-განვითარების პროცესების შესწავლა.

არის თუ არა ამხ. ბუაჩიძის წიგნში ისეთი შეხედულებანი, რომლებიც შეცდომას წარმოადგენენ მათი დაწერის დროსაც და შემცდარია დღესაც. აი ფაქტები:

პირველსავე წერილში, რომლითაც იხსნება ბუაჩიძის წიგნი, ავტორი ეკამათება ვიღაცებს, რომლებიც თურმე ამტკიცებენ: „ქართული ლიტერატურა ყოველდროს რევოლუციონური იყო“. ამ დებულების და მის ავტორთან წინააღმდეგ ლაშქრობაში ბუაჩიძე აყენებს თეზისს: „ქართული ლიტერატურა ვერ უსწორდებოდა თანადროულობის პროგრესიულ ძალებს, რითაც იხსნება მისი რევოლუციონურობის პრეტენზიები“. მეორე ადგილას ბუაჩიძე წერს: „საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან შედარებაში ქართულ სიმბოლიზმს ახასიათებს წინააღმდეგობა, რაც ნიშნულია ქართული ლიტერატურისათვის“. ამრიგად ამხ. ბუაჩიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართული ლიტერატურა ვერ უსწორდებოდა თანადროულობის პროგრესიულ ძალებს, რომ მისთვის დამახასიათებელი „ნიშნული“ იყო წინააღმდეგობა საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან შეთანაბრებაში. ბუაჩიძეს მოხსნილად მიაჩნია ქართული მწერლობის რევოლუციონურობის პრეტენზიები.

ვანა ცხადი არ არის ასეთი მტკიცების უსაფუძვლობა. როგორ შეიძლება მარქსისტმა კრიტიკოსმა აილოს მთლიანად მთელი ქართული მწერლობა და არკვიოს მისი რევოლუციონურობა თუ რეაქციონურობა, მისი თანხმობა თუ წინააღმდეგობა საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან, მის პროგრესიულ ძალებთან. როგორც ყოველი სხვა ხალხის მწერლობაში, ისე ქართულ მწერლობაშიაც მისი განვითარების ყველა საფეხურებზე ადგილი ჰქონდა როგორც რევოლუციონურ,

შედარებით პროგრესიულ და მოწინავე ფენებს, აგრეთვე შედარებით კონსერვატიულ ჩამორჩენილ და რეაქციონურ მიმდინარეობებზე. მეტიმ როგორც კონსერვატიული, ისე პროგრესიული ძალები ლიტერატურულ ეპოქის საზოგადოებრივ განვითარებასთან შეთანხმებაში, წინააღმდეგობას კი არ გამოხატავენ, არამედ პირდაპირ გამომდინარეობენ ამ საზოგადოებრივი განვითარების პროცესებისაგან. როგორც ერთს ისე მეორეს ასაზრდოვებენ არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაპირისპირებული შესაფერი კონსერვატიული თუ პროგრესიული სოციალური დაჯგუფებანი.

ამ მხრივ ქართული მწერლობა არავითარ გამონაკლისს არ შეადგენს ყველა სხვა ერების ლიტერატურისაგან. ამხ. ბუაჩიძე მაინც ცდილობს მონახოს ამ საკითხში ქართული მწერლობისათვის რაიმე განმასხვავებელი სპეციფიკა. იგი წერს:

„იმდენად, რამდენადაც საქართველო პატარა ერია, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი იყო, მასში დაგვიანებულ გამოძახილს პოულობდა დიდ ერთა კულტურის განვითარების გზები. ამ მიზეზების გამო ქართული ლიტერატურის ზოგიერთი, თუნდ უახლოესი ისტორიის ეპიზოდები შეუსაბამო მხარეებს ამჟღავნებს“.

ჯერ ერთი, ერის სიპატარავე არავითარი მიზეზი არ არის ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილობისათვის. ჩვენ ვიცით მრავალი დიდი ერები, რომლებიც ბევრად უფრო ჩამორჩენილი არიან ეკონომიურად და კულტურულად მრავალ პატარა ერთან შედარებით. საიდან აიღო ამხ. ბუაჩიძემ, რომ თითქო საქართველო ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი იყო აღმოსავლეთის და დასავლეთის ყველა დიდ ერებთან შედარებით. მაგრამ კიდევ რომ დაუშვათ, რომ საქართველო მართლაც ასე ჩამორჩენილი იყო და ამიტომ მის ლიტერატურულ განვითარებაში დაგვიანებით პოეეს გამოძახილი უფრო დაწინაურებული ქვეყნების კულტურულმა მიღწევებმა, ამ შემთხვევაში სადღა არის შეუსაბამობა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან შეთანხმებაში წინააღმდეგობა. დაგვიანებით გამოძახილი, ამ შემთხვევაში ხომ უშუალოდ დაკავშირებული ყოფილა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობასთან და მაშასადამე საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებასთან.

ქართული მწერლობის ჩამორჩენილობის დასამტკიცებლად ეპოქის პროგრესიულ ძალებისა და საზოგადოებრივი განვითარების პროცესებისაგან ბუაჩიძეს ასეთი არგუმენტები მოყავს:

„რუსული ლიტერატურის დიდი ნაწილი 1905 წლის პერიოდის მუშათა მოძრაობის რევოლუციონურ ტალღებს გაჰყვა. შეიძლება თავის მლიერი ლიბერალური ტენდენციების გამო... ქართულ ლიტერატურაზე კი 1905 წელს არავითარი განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია. უდი-

დესი ნაწილი გატაცებული გულმოდგინებით აგრძელებდა ბუჩუკის და ვაქას მოტივებს“.

საკვირველია, რა ფაქტებზე ემყარება ამხ. ბუაჩიძე მტკიცება. საიდან გაიგო მან, რომ თითქოს რუსული ლიტერატურის დიდმაწილი ყოველგვარ დიფერენციაციის გარეშე ერთხმად გაყვა რევოლუციის ტალღებს, ან კიდევ რა საბუთია იმისათვის, რომ თითქოს მხატვრულ ლიტერატურაზე 1905 წელს არავითარი განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია: ვინც 1905 წლის პერიოდის პრესას გაეცნობა, მისთვის ცხადი გახდება, რომ იმდროინდელი ქართული მწერლობის გარკვეული ფენა (და არა მთელი ქართული მწერლობა, რასაკვირველია) კიდევ გამოეხმურა 905-ის რევოლუციონურ მოძრაობას და კიდევ ჩაება ამ მოძრაობაში ცნობილია, რომ თვით აკაკიმაც მთელი რიგი აღფრთოვანებული ლექსები უძღვნა ამ პერიოდის მუშურ-გლეხურ აზვირთებას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ შემდეგი პერიოდის ქართულ მწერლობასაც 1905-ის რევოლუციონურმა მოძრაობამ საგრძნობი კვალი დააჩნია. ამ მხრივ რუსულ და ქართულ ლიტერატურას შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს. არც რუსეთში და არც საქართველოში 1905-ის რევ. მოძრაობას არ შეუქმნია განსაკუთრებით ძლიერი და დიდი ლიტერატურა.

საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან ქართული მწერლობის შესაბამისობის მეორე არგუმენტად ამხ. ბუაჩიძე ასახელებს „ციხური ყანწელების“ გამოსვლის დროსა და ხასიათს. იგი გაკვირვებულია, რომ 1916 — 17 წლებში საქართველოში აღმოცენდა ბურჟუაზიულ დეკადენტური სკოლა „ციხური ყანწელი“. ბუაჩიძე სწერს:

„საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო ჩვენ არ გვყავდა ძლიერი, მსხვილი ბურჟუაზიული და არც კაპიტალისტური ინდუსტრიის დალი აჩნდა ჩვენს საწარმოო ძალებს. ეს კი პირობება სიმბოლიზმის ყველა თავის დამახასიათებელ ფსიქოლოგიით გამოვლინებისათვის (სტილი ყველგან ბუაჩიძისაა. რას ნიშნავს სიმბოლიზმის ყველა დამახასიათებელ ფსიქოლოგიით გამოვლინება) და განაგრძობს: „თვითმკვლელობის ორეულელების ფანტასმაგორიის ქალდეას ჩრდილებს პოეზია — არ უთანაბრდება რევოლუციონურ პერიოდს, თუნდ ბურჟუაზიულს, რადგან ბურჟუაზიის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურადაც ხელში ჩაგდების დროს ხასიათდება პრაქტიკული რეალიზმი, მებრძოლობით ეს ნიშანია კლასის აღმავალი პროცესის. სიმბოლიზმის განწყობილება მას იპყრობს კლასობრივი დანიშნულების დასასრულის დროს, მაშინ, როდესაც ის საზოგადოების ხორცმეტი ხდება და რეალური საშიშროება აქვს მდგომარეობის დაკარგვისა“.

აქედან ცხადია, რომ ამხ. ბუაჩიძის აზრით ყანწელების გამოსვლა არ შეეფერებოდა იმდროინდელ ვითარებას, რადგან სიმბოლიზმი ბურჟუაზიის დაცემისა და დეგრადაციის პერიოდის ლიტერატურული მოვლენაა.

საქართველოში კი თურმე 1916 — 17 წლებში ჩვენს საწარმოო ძალებს კაპიტალისტური ინდუსტრიის დაღიც კი არ აჩნდა და აბა საიდან იქნებოდა ბურჟუაზიის დეგრადაციის და დაცემის პროცესი?

ვინ უთხრა ამბ. ბუაჩიძეს, რომ 1916 — 17 წლებში ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალებს კაპიტალისტური ინდუსტრიის დაღი არ აჩნდა.

ასე რომ ყოფილიყო მაშინ ხომ არც სამრეწველო პროლეტარიატი გვეყოლებოდა, არც პროლეტარიატის მებრძოლი ავანგარდი და პროლეტარული რევოლუციისათვის საჭირო სიტუაცია იქნებოდა.

მართალია, ქართული ნაციონალური ბურჟუაზია შედარებით სუსტი იყო, მაგრამ ის მაინც არსებობდა, მეორეს მხრივ უცხოეთის კაპიტალი საქართველოში საკმაოდ განვითარებულ კაპიტალისტურ მეურნეობის დონეს აღწევდა. ყოველივე ეს ქმნიდა საფუძველს იმ სოციალური ფსიქოლოგიისათვის, რომლის საფუძველზეც ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა რუსული და ევროპული დეკადანსის გავლენამ და წარმოშვა ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლა, — ცისფერი ყანწები.

ბუაჩიძეს გონია რომ რაკი 1917 — 20 წლებში საქართველოში ბურჟუაზიამ შესძლო გაბატონებული მდგომარეობის მოპოება, მაშასადამე ამ პერიოდში ბურჟუაზია აღმავალი კლასი ყოფილა და მისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პრაქტიკული რეალიზმი, მებრძოლობაო. ვინ უთხრა ამბ. ბუაჩიძეს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების პოლიტიკურად ხელში ჩაგდებას დროს ბურჟუაზია ყოველთვის პრაქტიკული რეალიზმით ხასიათდება და ასეთ ეპოქებში ბურჟუაზია აღმავალ კლასს წარმოადგენს. მაგალითად, ავიღოთ თანამედროვე ფაშისტური გერმანია. იქ ხომ ბურჟუაზიამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ბარბაროსულ ტირანიით დაეპატრონა. მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზია გერმანიაში სასიკვდილო აგონიის წინაშე არა დგას, რომ მას პრაქტიკული რეალიზმი კი არა უკიდურესი მისტიციზმი, იდეალიზმი და ყოველგვარი პროგრესიის ისტერიული უარყოფა ახასიათებს. ნუთუ საჭიროა ამის მტკიცება, რომ საქართველოში 1916 — 17 წლებში ბურჟუაზია უკვე გადაქცეული იყო საზოგადოების ხორცმეტად და მას უკვე სავსებით რეალური საშიშროება ჰქონდა შექმნილი რევოლუციონური პროლეტარიატის მხრივ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამბ. ბუაჩიძე გაურკვეველობას იჩენს სოციალური ძალების განვითარების საკითხში. მაგალითად, წერილში „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“, ბუაჩიძე წერს: „თავის რომანის (იგულისხმება არსენა მარაბდელი. ბ. ე.) მხატვრულ განზოგადოების ობიექტად, დიდ სოციალურ სახეთა შესაქმნელად ჯავახიშვილმა ამოარჩია მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი. ეს პერიოდი წარმოადგენს მწვერვალს მონური საზოგადოებრივი წყობის (ბატონყმობა) განვითარებაში და დასაწყისს: მეორე ახალი ეპოქა (კაპიტალიზმი)“.

რადგან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მონური წყობილება არ ყოფილა, ცხადია, ამხ. ბუაჩიძეს მხედველობაში აქვს ფეოდალური ინსტიტუტი — ბატონყმობის რეჟიმი, და თუკრძე მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი მწვერვალის ყოფილა ქართველთა წინააღმდეგობისათვის მაშინ, როდესაც ნამდვილად, ისტორიულად, სწორედ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური წყობილება ადგება რღვევისა და დეგრადაციის გზაზე. ან კი როგორ შეიძლება ფეოდალიზმის მწვერვალთან აღმოცენებულიყო მეორე ეპოქა — კაპიტალისტური ურთიერთობა.

წიგნში მოთავსებული მეორე წერილი „ძველი და ახალი“ დაწერილია ავტორის მიერ 1931 წელს.

ამ პერიოდში ამხ. ბუაჩიძე ვერ ამჩნევს მხატვრული ინტელიგენციის მასიური მობრუნების ფაქტს პროლეტარიატის პოზიციებისაკენ. მისი აზრით ამ პერიოდში, ჯერ კიდევ შესამჩნევია ქართულ მწერლობაში შინაემიგრანტული მწერლობის მთელი ფრთა. ის პირდაპირ წერს:

„ამრიგად ჩაეყარა „საფუძველი“ ქართული მწერლობის შინაემიგრანტულ ფრთას, რომელიც დღევანდლამდე შესამჩნევია“. ბუაჩიძისათვის 1931 წელს კიდევ არსებობს რეაქციონური მწერლობის მთელი ფრონტი. იგი სწერს:

„ცხადია, ამ ფრონტს (იგულისხმება რეაქციონური მწერლობის ფრონტი. ბ. ე.) მიუხედავად შესუსტებისა, მარცხებისა, ძალთა დაქაჩვისა — სრული იდეური განიარაღება არ მოუხდენია“.

ცხადია, ამხ. ბუაჩიძე აზვიადებს რეაქციონური მწერლობის როლსა და ძალეებს. ბუაჩიძე რეაქციონურ მწერალთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმად „ცისფერ ყანწებს“ აცხადებს. იგი სწერს:

„არის ერთი ფრთა მწერლებისა, რომელიც ეწინააღმდეგება ძალთა გადაჯგუფებას, ამ ფრთას უკანასკნელ ხანებში „ცისფერი ყანწები“ მეტაურობს“. რამდენად მართალია ეს? რამდენად წარმოადგენდა 1931 წელს „ცისფერი ყანწები“ ძალთა გადაჯგუფების წინააღმდეგ ამხედრებულ ჯგუფს? ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ ამ პერიოდში თვით „ცისფერ ყანწების“ ჯგუფში ადგილი ჰქონდა სწრაფ დიფერენციაციას, ძალთა გადაჯგუფებას და მისი ყველა საუკეთესო და სასიკოცხლო ძალები დამდგარი იყვნენ იდეურ-შემოქმედებითი გადაიარაღების გზაზე.

მაგრამ ამ პერიოდში ლოზუნგით „მოკავშირე ან მტერი“ შეპყრობილი ამხ. ბუაჩიძე უნდობლობით უყურებდა მხატვრული ინტელიგენციის ნაბიჯებს პროლეტარიატის პოზიციებისაკენ. ასეთი უნდობლობით ეპყრობა ამხ. ბუაჩიძე ამ წერილში, მაგალითად, შალვა დადიანს. იგი შალვა დადიანს 1931 წელში აცხადებს აშკარად თავადურ ბურჟუაზიულ მწერლად. ბუაჩიძე სწერს:

„ზოგიერთი აშკარა თავადურ-ბურჟუაზიული მწერალი ცდილობს ერთგვარი ხარკი მისცეს თანამედროვეობას. მაგალითისათვის ავიღოთ შალვა დადიანის შემოქმედებითი მუშაობა“.

ბუაჩიძე ემყარება რა იმ ფაქტს, რომ შალვა დადიანს ერთსა და მთავრად დროს სარეპერტუარო კომიტეტში წარუდგენია ორი პიესა ერთი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, ხოლო მეორე კიათურინ შუშუნის სოც-შეჯიბრის შესახებ, ასკვნის:

„ორივე წარმოდგინა სარეპერტუარო კომიტეტს. ალბათ, ერთს უნდა ეშველა მეორესათვის. ალბათ მწერალი ფიქრობს, რომ ამგვარი მანევრით, ამგვარი გზებით ჩვენთვისაც სასარგებლო საქმეს აკეთებს და თავისთვისაც. მაგრამ მანევრი მანევრად რჩება და მისი ფეოდალური იდეოლოგიის მთლიანობა სრულებითაც არ ირღვევა“.

დღეს ხომ მაინც ცხადია, რომ ბუაჩიძე ამ სტრიქონების წერის დროს სასტიკად ცდებოდა შალვა დადიანის პოზიციების შეფასებაში. დღეს ხომ ნათელია, რომ შალვა დადიანი ამ პერიოდში უკვე გულწრფელად იღგა იდეური და შემოქმედებითი გადაიარაღების გზაზე, რომ იგი რა თქმა უნდა, უდიდესი სიძნელებით, ჩავარდნებით, წინააღმდეგობებით იკაფავდა გზას საბჭოთა მწერლობის პოზიციებისაკენ. დღეს ხომ ცხადია, რომ შალვა დადიანის მუშაობა ამ პერიოდში რაიმე მანევრებით არ იყო შთაგონებული, რომ იგი მთლიანად ფეოდალურ იდეოლოგიის წარმომადგენელი არ ყოფილა ამ პერიოდში. მაშ რად დასჭირდა ბუაჩიძეს მაშინდელი ამგვარად შემცდარი შეფასება ისევ ძალაში დასტოვოს და ხელახლა გამოსცეს ის წერილი, სადაც შალვა დადიანი კრიტიკოსის შემცდარი და ყალბი შეფასების მეოხებით დაყენებულია აშკარად რეაქციონერის და ფაშისტის გრ. რობაქიძის გვერდით.

ამავე წერილში ბუაჩიძე „ურისხდება“ თანამგზავრებს. იგი წერს:

„თანამგზავრობა ძალალ საფეხურზე უნდა გადავიდეს. თანამგზავრი მუდამ თანამგზავრად ვერ დარჩება. რეკონსტრუქციის პერიოდში მან უნდა გაიზიაროს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიება და მონაწილეობა მიიღოს მათ განხორციელებაში“.

ეს სტრიქონები ნამდვილი გამოხატულებაა მემარცხენე ვულგარიზატორული ლოზუნგისა „მოკავშირე — ან მტერი“. გადაჭრით და კატეგორიულად მოითხოვდნ მწერლისაგან აბსოლუტურად, ორგანიულად, დაუყოვნებლივ ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ოდნავი მერყეობის გამო კლასობრივი მტრის ბანაკში გადასროდნ. აქვე ბუაჩიძე ასეთ საკვირველ რეცეპტს იძლევა:

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარტო წარსულის მასალის დამუშავებით თანამგზავრად და მით უმეტეს, მოკავშირედ გახდომა ძნელი არის“.

ეს დებულება აგრეთვე ნათელი გამოხატულებაა იმ „რაპული“ შეცდომისა, როცა მწერლის და ნაწარმოების იდეურ-სოციალური შეფასება ხდებოდა თემატიური კრიტერიუმით.

განა ცხადი არ არის, რომ წარსულის მასალების დამუშავებით შეიძლება ვახდეს მწერალი არა მარტო თანამგზავრად და მოკავშირედ, არამედ პროლეტარულ მწერლადაც. ანა რა მასალებზე მუშაობენ ენტელექტარული მწერალი ამხ. პაეღე საყვარელიძე, რომელიც ~~სამწერლო~~ მწერალია. ბუაჩიძეს თვითონ აღიარებული ყავს სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო განმავორციელებლად მხატვრულ პრაქტიკაში.

შემდეგ წიგნში მოთავსებულია წერილი „ცისფერი ყანწების“ შესახებ. აქ მთელი სიმძაფრით გამოაშკარავებულია ამ სკოლის ბურჟუაზიულ-დეკადენტური ბუნება, მაგრამ წერილი დაწერილია ისეთ პრიმიტიულ ფორმებში, რომ ამ წერილს დღეს არ შეიძლება სერიოზული ღირებულება ჰქონდეს ქართული სიმბოლიზმის წარმოშობისა და მისი ბუნების შესასწავლად. აი, მაგალითად, ავტორი არჩევს კოლაუ ნადირაძის ლექსს, მოყავს ციტატა:

„როდესაც დაღილს აღარსად მაქვს გზა წასასვლელი
და ვეღარ შევძლებ გამოუტნობ შიშის ატანას,
გავრბივარ შენგან, მზევენები ჯალათის მკლაველი
და თრთოლვით ველი, რომ დამარტყამ ქერდულად დანას“.

კრიტიკოსი ასეთ კომენტარიებს აკეთებს:

„ეს დაცემულობის უსაფუძვლო ტყვილეზია და მოწმობს მას, რომ ტენის ნაწილებში ყველაფერი რიგზე არ არის, რაც იწვევს ნერვიულ სისტემის უმიზეზო თრთოლვას და ბადებს ასეთ ვანცდას... ეს კლასიური ავადმყოფობაა და არაეითარი განსაკუთრებული მიზეზობრივი კავშირი არა აქვს საუკუნის გარეგნულ სახესთან“.

ამრიგად დეკადენტური პოეზიის ნიმუში ახსნილია როგორც ტენის ნაწილებში არსებული დეფექტების შედეგი და სხვა.

რას ნიშნავს ეს კლასიური ავადმყოფობის დაუკავშირებლობა საუკუნის გარეგნულ სახესთან?

შეუძლებელია ამ საკმაოდ სქელკანიან წიგნში მოთავსებული ყველა წერილების გარჩევა. მოყვანილი მასალებიც საკმაოდ ამტკიცებენ იმ გარემოებას, რომ ბუაჩიძის მიერ ამ წიგნში შეტანილი ძველი წერილები დატვირთულია უხეში ლიტერატურულ-პოლიტიკური, თეორიული, ისტორიულ-ლიტერატურული შეცდომებითა და დამახინჯებებით. ამ წერილების ხელახალი დაბეჭდვით ბუაჩიძე ფაქტიურად იზიარებს ამ წერილებში გამოთქმულ შეხედულებებს და აწვდის მათ მთელ მკითხველ მასას.

ცხადია, რომ თუ ავტორს შეგნებული არა აქვს წარსულ მუშაობაში დაშვებულ შეცდომათა შინაარსი, იგი დღევანდელ მუშაობაშიაც უნდა ავრძელებდეს ამგვარ შეცდომების ხაზს. და მართლაც, თუ ავიღებთ წიგნში მოთავსებულ მეოთხე წერილს სათაურით „წმინდა ლირიკა“, რომელიც დაწერილია უკვე 23 აპრილის ისტორიულ დადგენილების შემდეგ, და-

ვრწმუნდებით, რომ ბუაჩიძის მიერ კრიტიკულ მუშაობის დატყვევანდელ ეტაპზედაც დაძლეული არ არის „რაპული“ კრიტიკის უარყოფითი მხარეების რეციდივები: მწერლებთან ქედმაღლური დამოკიდებულება. მათი აბუჩად აგდება და გაბიაბრუება, მემარცხენე ვულგარული მსჯელობა და სხვ. კრიტიკოსი სწერს:

„ეს გვაძლევს საშუალებას ამ ჩვენს უწყინარ შენიშვნებში გ. ლეონიძის მთელი რიგი ტაეების გესლი ყოფილ „ცისფერ ყანწელებსაც“ მიუბრუნოთ და ავტორსაც არ დავეწყვიტოთ გული, რადგან ისიც ამ ჯგუფშია“.

ამრიგად ბუაჩიძე მთელი ლიტერატურული ჯგუფის მიმართ თავისი კრიტიკული მუშაობის იარაღად ხმარობს ლეონიძის ზოგიერთ ტაეებიდან ნასესხებ გესლს. კრიტიკოსს ვერ გაუგია, რომ დღევანდელ ეტაპზე საბჭოთა მწერლების მიმართ გესლიანი კრიტიკა ყოვლად დაუშვებელი, მიუღებელი და გაუმართლებელია. მართლაც მთელი წერილი დაწერილია გესლიანი ტონით:

„ამიტომ ვთვლით საჭიროდ დღეს ვილაპარაკოთ „ყანწელების ლირიკაზე“ და არა იმიტომ, რომ იაშვილის, ტ. ტაბიძის და სხვათა პოეზიის უკანასკნელი ნიმუშები რალაც საშიშარ და დიდამნიშვნელოვან რამედ მიგვაჩნდეს. არა, არა. მათ მანებლობის არც დიდი იდეური და არც მხატვრული სიმძიმე არ აწუხებთ. კიდევ მეტი, მათ (ე. ი. ყანწელები უკანასკნელი წლის პოეზიის ნიმუშებს და არა მწერლებს მთლიანად აღებულთ) მერცხლის გულამაყი ზვიადობაც კი არ ახასიათებთ, ისინი უფრო ჩია ბელურებია. ცნობილია, რომ ბელურების წინააღმდეგ ზარბაზნების სროლა ვერაფერი ვაეკაცობაა“.

ამრიგად აშხ. ბუაჩიძეს კრიტიკის ობიექტი ჩია ბელურებად წარმოუდგენია, ხოლო თავისი კრიტიკული საქმიანობა ზარბაზნების გრიალად. ასეთია „რაპული“ ქედმაღლობით დაავადებული კრიტიკოსის პოზა და მუშაობის მეთოდი.

ბუაჩიძე განაგრძობს უნდობლობის პოლიტიკას საბჭოთა მწერლების მიმართ. ის წერს:

„არიან პოეტები, რომელნიც საკუთარი თავის განწყობილებებს შემოინახავენ ხოლმე საჭიროების დროს და გრძელ-გრძელ „რევოლუციონურ“ პოემებს სწერენ. ამიტომ ეს პოემები იდეურადაც და მხატვრულადაც ფშუტი არიან. მათი „რევოლუციონურობა“ მხოლოდ სიყალბესა და ფერ-უმარულშია. არავის არც აღელვება და არც აღფრთოვანება მათ არ შეუძლიათ. წითელი ხალტურის ბუდეც აქ არის. ფერ-უმარული ხანდახან ჩამოირეცხება ხოლმე და ნამდვილი ბუნებაც მაშინ ჩნდება. 23 აპრილის დადგენილების ყალბად გაგებამ ზოგიერთ ყანწელ მწერალს ფერ-უმარული ჩამორეცხა“.

ცხადია, ამ სტრიქონების ავტორი აგრძელებს საბჭოთა მწერლებსადმი იმავე უნდობლობის ზახს, რომელიც აღებული ჰქონდა მას 23 აპ-

რილის დადგენილებამდე. ბუაჩიძეს ყოფილ ყანწელების კლერი ბროლეტარიატის პოზიციებისაკენ გადამუშავებისა — ფერ-უმარულად, ნიღბად, მანევრად მიაჩნია. აქ ბუაჩიძე ლოლიკურად აგრძელებს ექვემდებარეობას, რომლითაც იგი მაგალითად, 31 წელში უდგებოდა მწიფე ქველვად დანიანს.

როგორია ბუაჩიძის კრიტიკული მუშაობის სტილი. პაოლო იაშვილის შესახებ. იგი წერს: „პ. იაშვილი საინტერესო, თვალსაჩინო და თავისებური ფიგურა იყო ქართულ პოეზიაში. უკანასკნელ წლებში იგი ხანგრძლივად სდუმს. გულუბრყვილო კაცი იფიქრებდა, რომ ასეთი პოეტი მუშაობის განახლების დროს რაღაც ახალს იტყოდა. დაუშვათ რომ ახალის მოთხოვნა ბევრია, მაგრამ რაიმეს თქმა ხომ აუცილებელია“.

ნუთუ ამგვარი აბუჩად აგდებით, ამგვარი ქედმაღლური და უბემი დამოკიდებულებით შესძლებს კრიტიკოსი დაეხმაროს საბჭოთა მწერალს. რას ნიშნავს ეს „იყო“. რა უფლებით გადარიცხა ამხ. ბუაჩიძემ პაოლო იაშვილი ყოფილ პოეტებში. ჩასთვალა იგი წარსულის საკუთრებად. აქ ბუაჩიძემ სწორედ ისევე, როგორც აბაშელისა და გრიშაშვილის მიმართ, საბჭოთა მწერალს გზა გადაუჭრა შემდგომ განვითარებისა და შემოქმედებითი გადახალისებისაკენ. საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი შეცდომის საპასუხოდ ასეთი თავდასხმა ნამდვილი გაგრძელებაა „რაპული“ აღმინისტრაციულობის.

იმავე იაშვილის შესახებ ბუაჩიძე წერს:

„პ. იაშვილს არც სხვისი ფილოსოფია არასოდეს არ აწუხებდა, მაგრამ ლირიკულ განწყობილებების ასეთ უფერულობამდე დაყვანა მისთვისაც კი მეტისმეტია“. და განარძობს: „ჩვენმა თანამედროვეობამ, სოციალისტურმა სინამდვილემ პაოლო იაშვილის შემოქმედებითი ბუნება ვერ გაამდიდრა. ამის მიზეზი თანამედროვეობა კი არ არის, არამედ იაშვილის პოეტური ბუნების სიღარიბე, იდეური სიცალიერე“. რა არის ეს? ამხ. ბუაჩიძე აგრძელებს მწერლისადმი მიუღებელი დამოკიდებულების ტრადიციას. ეს მისთვის საფსებით დამახასიათებელია. აი, მაგალითად, როგორ „ეხმარება“ ამხ. ბუაჩიძე პოეტ კარლო კალაძეს შეცდომებისა და სიძნელეების გადალახვაში: კრიტიკოსს მოყავს ადგილი კალაძის ლექსიდან:

„ვრცელია მიწა და რამდენს თვალი გაეხილება
იმდენი გზაა მაშასადამე“.

ბუაჩიძე განმარტავს:

„მიქქარავთ, არქი ანარქიზმის უბადრუცი ფილოსოფიაა“. და განარძობს: „ვიდრე ასეთ რამეს წამოროშავდე და დასაბუქლად გაამზადებდე, პროლეტარული პოეტი ვალდებული ხარ იცოდდე მარქსიზმის ანბანი“.

და ბუაჩიძე „ასწავლის“ პოეტს: „ისტორიულ სინამდვილის გათვალისწინებით მარქსიზმი ამტკიცებს, რომ რამდენს თვალი გაეხილება იმდენი

ერთი გზა ჩნდებაო“. საკვირველია, სად და როდის დაამტკიცა ბუჩქიანმა, რომ ყველასათვის და ყველაფერში მხოლოდ ერთი გზა არსებობს.

ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის საკითხში ^{საქართველოში} ბუჩქიანმა ვერ დასძლია ძველი „ნაპოსტოველური“ „გენერალური“ ^{საქართველოში} ტრადიციები. ცნობილია, რომ „ნაპოსტოველური“ „გენერალური ხაზის“ თვალსაზრისით რომანტიზმი გათანაბრებული იყო იდეალიზმთან, ხოლო რეალიზმი — მატერიალიზმთან. აქედან რომანტიზმის აბსოლუტური უარყოფა. ახლა ზედმეტია ამ ყოველად უსაფუძვლო და მექანიკური დაპირისპირების კრიტიკა, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ამხ. ბუჩქიანე აგრძელებს რომანტიზმის წინააღმდეგ შენიღბულ ლაშქრობას, იგი წერს:

„ჩვენი სინამდვილე იმდენად მდიდარია გმირობით, გმირებით, გრანდიოზული ძალის მქონე მოვლენებით, სიახლით, რომ არავითარი განსაკუთრებული შელამაზება („ლაკიროვკა“) არ არის საჭირო.

ასე რომ წითელი რომანტიზმის შეთხზვა საჭირო არ არის“.

მეორე ადგილას იგი წერს:

„ჩვენ რომ კიდევაც ვიყოთ რევოლუციონერ რომანტიზმის ენტუზიასტები, მაშინაც კი გავილაშქრებდით რომანტიული ამბავის პროგრამულობის, დიდმნიშვნელოვანობის, პრობლემურობის სიახლის წინააღმდეგ“.

აქედან ცხადია, რომ ბუჩქიანის აზრით ჩვენ არ უნდა ვიყოთ რევოლუციონერი რომანტიზმის ენტუზიასტები, რომ რევოლუციონერ რომანტიზმის — წითელ რომანტიზმის შეთხზვა საჭირო არ არის, რადგან ავტორის აზრით იგი მხოლოდ სინამდვილის „ლაკიროვკის“ იარაღია და მეტი არაფერი.

თავისთავად ცხადია, რომ ამხ. ბუჩქიანე ამ საკითხში უპირისპირდება საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის სტალინურ პოზიციას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური რეალიზმი სრულიადაც არ უარყოფს და არ გამორიცხავს რევოლუციონერი რომანტიზმის საჭიროებას და მნიშვნელობას საბჭოთა მწერლობისათვის.

წიგნში ადგილი აქვს ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს — ლოლიკურ წინააღმდეგობებს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამხ. ბუჩქიანე თავის კრიტიკულ მუშაობაში თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს მხატვრული ნაწარმოების სპეციფიურ შემოქმედებითი მომენტებს. მხატვრული ფორმა გამოირიცხულია ბუჩქიანის მხედველობის არედან. მისთვის თითქმის არ არსებობდეს სოციალური და ესთეტიური ანალიზის მთლიანობის ამოცანა, რომლისთვისაც იბრძვის დღეს საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკის ძირითადი კადრები.

საბჭოთა კრიტიკოსისათვის აუცილებელია კომპეტენტური გემოვნება. ბუჩქიანე კი ამ მომენტს სრულიად ანგარიშს არ უწყევს. აი, მაგალითად, ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი ცდილობს გვიჩვენოს თუ როგორი ძვრა და განახლება შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში პროლეტარული

მწერლობის ახალმა თაობამ, თუ როგორ გაამდიდრა მან ჟარტიკოლი-
ტერატურის საგანძური, კრიტიკოსს მოყავს ა. მაშაშვილის დეტალიდან
ასეთი ადგილი:

„ბი ვინ არის მანქანებო თქვენი მეფე ღმერთო.“

ვის უმახიბო რეკრატორს გაჭირების ეამს.

ვინ ჩაგბერათ სული გულში

სული უსვენარი —

დღეს ხინ არის დინამეფე

დღეს ვინ არის გმირი“.

ერკონესული
გინგულირთხეა

სიდან ამოაჩიხა ამხ. ბუაჩიძემ ასეთი უცუდესი და უმახინჯესი ნიმუში
ნიჭიერ და მოწინავე პოეტის ა. მაშაშვილის შემოქმედებიდან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამხ. ბუაჩიძე ერთგვარ დაუდევრობას
იჩენს ენისა და სტილის საკითხებში. თითქოს კრიტიკოსისათვის საეაღ-
დებულო არ იყოს ენის ელემენტარული ნორმები, სინტაქსიური წყობის
ელემენტარული კანონები. აი მაგალითები: „მწერალთა ახალი საფეხუ-
რის საკითხების სწორად გადასაჭრელად“, „ც. კ-ს 23 აპრილის განსა-
ხორციელებლად“, „ილუზია იჩნებ ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ყველა სა-
ბჭოთა ლიტერატურის ფარგლებში მყოფი მწერალი ასპროცენტური იდე-
ოლოგიურია“. „ჯგუფობრივობების რეციდივად გამომაცხადებენ“, „არ შე-
იძლება ჩაითვალოს ძირეულ ბრძოლად სოციალური ჩაგვრის წინააღ-
მდეგ“, „აჩლუნგებდა და ანელებდა კლასობრივი ბრძოლის ხაზებს“
და სხვა.

ჩვენ მხოლოდ პირველი ოთხი წერილი გავარჩიეთ ბუაჩიძის უკანა-
სნელი წიგნიდან. და ვფიქრობთ მოყვანილი მასალები საკმაოდ ამტკიცე-
ბენ იმ დებულებას, რომ ამხ. ბუაჩიძე საკმაოდ თანმიმდევრობით არ გა-
მიჯნავს „რაპული“ კრიტიკის უარყოფით ტრადიციებს. ამით, ცხადია,
ჩვენ არ უარვყოფთ საერთოდ ბუაჩიძის კრიტიკული მუშაობის მნიშვნე-
ლობას, ცხადია, მის წიგნში ბევრია სწორი და მართებული შენიშვნები
და შეფასებანი, მაგრამ ჩვენ მიტომ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურად-
ღება ამხ. ბუაჩიძის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომ ამხ. ბუაჩიძე
აგრძელებს მთელ რიგ საკითხებში თავის ძველ შემცდარ პოზიციებს.

ამხ. ბუაჩიძემ გადაჭრით უნდა დაგმოს ძველ პოზიციებზე გაჯიუტე-
ბის გზა და საბჭოთა მწერლებისა და კრიტიკოსების მთელ კოლექტივთან
ერთად თანმიმდევრულად იბრძოლოს ახალი ეტაპისათვის საბჭოთა მწერ-
ლობასა და კრიტიკაში.



ი. მანსვეტაშვილი

ჩემი წარსულიდან

ნახი და გავიხილი *)

ბოლო მოედო ჩემი ერთი კვირის მოგზაურობას. მივედი პეტერბურგში. მოვესწარ იმ ქალაქის ნახევას, რომლის გამოც ასე ბევრი ლაპარაკი გვექონია. აქ იყო სათავე იმ დიადი მოძრაობისა, რომელმაც ჩვენ ჩაგვიტოვია და სწავლის და ცოდნის სურვილი ღრმად ჩაგვინერგა გულსა და სულში. აქ იყვნენ, აქ შემოქმედებდნენ ჩერნი შევსკი, დობროლი უბოვი, პისარევი, აქ დასტიროდა ნეკრასოვის მუზა რუსეთის მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ბედს. მათი მძლავრი ხმა თავს დასტრიალებდა ამ ქალაქს. იმ წყაროს, რომელიც ჩვენ აქამდის შორიდან გვიკლავდა სულის წყურვილს, ახლა სათავეშივე დავეწაფებო. დიდებული ქალაქია! მთელი რუსეთის კვუა-გონება, ნიჭი და უნარი აქ შეკრებილა. გარეგნობითაც პეტერბურგმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ასეთი სუფთა, მდიდრულად მოკირწყლული ქუჩები, ექვს-შვიდ სართულიანი უზარმაზარი შენობები ტფილისში არ მენახა.

სალამოს ეამი იყო, როდესაც წავედი ბინის მოსანახად. ნევისა და ლიტინის პროსპექტების კუთხეში ვიშოვე ოთახი. მეტუთე სართულში იყო და ეზოში ჰქონდა გადასახედი. გავიხედე და რა ვნახე: ეზო კი არ იყო, როგორც ჩვენში, არამედ ღრმა ქა, ოთხივ კუთხივ მაღალი კედლებით შემოზღუდული.

შინ გული არ მიდგებოდა. მიწოდდა ქალაქი ჩქარა დამეთვალვიერებინა. გამოვედი გარეთ და პირდაპირ ნევის (ახლანდელი 25 ოქტომბრის) პროსპექტზე მოვხვდი. აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა, ფეხს ძლივ ვუჭკევედი. დავიღალე სიარულით და დასასვენებლად იქვე, პროსპექტზე მდებარე, პატარა კოხტა ბაღში შევედი. ირაველივ სულ ვრძელი სკამები იყო ჩამწყრივებული. ბაღის შუაგულში ამართულიყო დიდი ძეგლი, რო-

*) ამ მოგონების პირველი თავი მოთავსებული იყო „ქართულ მწერლობა“-ში. ეს მოგონება ეკუთვნის „იერიის“ თანამშრომელს ი. მანსვეტაშვილს, რომელიც სწერდა დონ-იაკოს ფსევდონიმით.

შელიც ეკატერინე დედოფლის ძეგლი გამოდგა. ბალის მარჯვნივ დიდი მოკრძო შენობა იყო, მოყვითალო ფერით შედებილი. ეს სარკველი ბიბლიოთეკა აღმოჩნდა. მარცხნივ ქუჩა იყო და ქუჩის იქით უკვე მარჯვნივ მარჯვნივ მოზრდილი ბაღი, მაღალი ლამაზი მოაჯირით შემოზღუდული. შიგ დიდი შენობა დავინახე. ეს, ვგრეთწოდებული ანიჩკინის სასახლე იყო თურმე, სადაც იმ ხანად ხელმწიფის შემკვიდრე ცხოვრობდა სახლობით. ამ ორ შენობაში შუა, ეკატერინეს ბალის უკახ, იდგა მაღალ სვეტებზე დაყრდნობილი შენობა, რომლის ზედა პირზე, თითქოს გასაქენებლად გამზადებული, ყალბზე შემდგარი ცხენების ტანდაკებანი დავინახე. ცხენებს უკან მდგომი მძლავრძარღვიანი ვაჟკაცი გაჭიმული ღვედებით მაგრა იჭერდა და წინ არ უშვებდა ცხენებს. აშკარა იყო, რომ ეს ბერძნების ძველ მითოლოგიიდან ნასესხებია და ჩრდილოეთს ვადმოტანილი. მერე შევიტყე, რომ ეს შენობა ალექსანდრეს თეატრი იყო.

არ ვიცი, რამდენს ხანს ვიჯექე იქ და ვერთობოდი ჩემთვის ახალი სახანობით. შევამჩნიე კი, რომ ბაღი თითქმის სრულებით დაცარიელებულიყო. გამიკვირდა, რადგან ჯერ კარგად ნათელი იყო, ისე რომ კითხვა შეიძლებოდა. დავხედე საათს, თერთმეტი იყო. არ დავიჯერე. ვიფიქრე, მგზავრობაში საათი მომშლია მეთქი. ასეთ ყოყმანში ვიყავი, როდესაც დარაჯი მოვიდა ჩემთან და მთხოვა ბაღიდან წასვლა, რადგან ბალის დაკეტვის დროაო.

— როგორ, ასე ადრე?! — გავიკვირე.

— რალა ადრე, თერთმეტი საათია, — მიპასუხა.

— მაშ ასე ნათელი რომ არის? — ვეკითხები კიდევ.

— თუ დაბნელებას უცადეთ, დილამდის აქ მოგიხდებათ ჯდომა, — გაეცინა დარაჯს.

მივხვდი ჩემ გამოშტერებას, — ეს სწორეთ გზაზე დაღლილობის ბრალია. სრულიად გადამავიწყდა, რომ ჯერ კიდევ ივნისია და ამ დროს პეტერბურგში ვგრეთწოდებული „белые ночи“ (თეთრად ნათელი ღამეები) იცის.

სწავლა უნივერსიტეტში სექტემბრამდე არ დაიწყებოდა. ამ უზარმაზარ უცხო ქალაქში, ზაფხულის დახშულ და სულშემშუთველ ჰაერში მარტო ყოფნა ვერაფრად სასიამოვნო იყო.

მივაკითხე და ვავიგე, რომ ჩვენი კავკასიელები, ვინც დარჩენილიყვნენ ზაფხულად პეტერბურგში, აგარაკად ყოფილიყვნენ გასული. უნდა ითქვას, რომ პეტერბურგის მახლობლად ბევრი აგარაკია და არც ურჩვოთ არის მოწყობილი. ჭირაც დიდი არ ედო, ასე რომ სტუდენტების ღარიბი ჯიბისთვისაც კი ხელმისაწვდომი იყო. მე „Черная речка“-ზე (შავი წყალი) მომიხდა დასახლება — პეტერბურგს თითქმის ზედ აკრავს, მისვლა-მოსვლა ადვილი იყო. ეს ის ადგილია, სადაც ამ ასი წლის წინათ პოეტი პუშკინი იქნა დუელში მოკლული.

ერთი ნაკლი ამ აგარაკებისა, როგორც საზოგადოდ თვით პეტერბურგისა, ის არის, რომ დიდი სინესტია. საღამოთი ტყეში რომ წავსულიყავით, იქიდან ისე დასველებულები ებრუნდებოდით, თუცა დღეს წვიმას მოესწროს ჩვენთვის გზაში.

ქართველობა ბლომად იყო ახლო-მახლო აგარაკებში და ხშირად ვიკრიბებოდით, ვბაასობდით, ვკითხულობდით. იქ პირველად მომიხდა წაითხვა ჩერნიშევსკის რომანის „Что делать“.

ავვისტოს მიწურულებში დაებრუნდი პეტერბურგს. ქუჩებში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ბაირალებით დაიარება და მღერის:

Шуми, Марша, окровавленна!

აი მეორე ადგილას გაისმის:

Мы за братьев, за славян
Честною смертью умрем.
Марш, марш, богатыри марш!
Раз, два, три.
Чудо, богатыри!

ამას ჯარისკაცები მღეროდნენ ხმამაღლა. ეს ხმაურობა და განგაში იმით იყო გამოწვეული, რომ რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა ვითომ ბოლგარებისა და სერბიელების გულისათვის. სუეორინის „Новое Время“ გააკიოდა: დაჰკათ თურქებს, ამ მტარვალებს, ჩვენი მოძმე სლავიანების მტანჯველებსო. და თან დასძინდა: თურქები საბოლოოდ უნდა გავდევნოთ ევროპიდან და სტამბოლი ჩვენ უნდა დავიჭიროთ. აი-სოფიაზე ისევ ჯვარი უნდა აღიმართოსო.

სუეორინი გაბედულად და გულახდილად ამბობდა იმას, რასაც რუსეთის თვითმპყრობელი მთაერობა ფარისევლურად ჰმალავდა. რომ ეს ასე იყო, ამას აშკარად მოწმობდა ის, რომ რაწამს რუსებმა ბოლგარია დაიჭირეს, მაშინვე რეტროგრადი ჩერკასოვი გაგზავნეს, რომელმაც თავისი ყაზახებით და პოლიციით მოისურვა ბოლგარეთში რუსეთის წესების შემოღება და ამ ქვეყნის რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადება.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენ, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა, აღტაცებით მივეგებეთ იმ ამბავს, რომ ოსმან-ფაშამ, თურქეთის გენერალმა, მოულოდნელი ხაფანგი დაუგო რუსებს პლეენაში, პატარა ტრიალ მინდორზე მდებარე ქალაქში, და რუსეთის მთელი ჯარი დიდ საშიშროებაში ჩააგდო. ხმა გავრცელდა პეტერბურგში, რომ თვით ხელმწიფე ალექსანდრე მეორე, რომელიც არმიაში იმყოფებოდა, კინალამ ტყვედ ჩაუვარდა თურქებსაო.

დადგა სექტემბერი. ჩქარა უნივერსიტეტში ლექციები დაიწყო. უნივერსიტეტი ეგრეთწოდებულ ვასილევის კუნძულზე იმყოფება. უწინ ძვე-

ლებური ორსართულიანი შენობაა, მდინარე ნევის ნაპირას, საბუნებისმეტყველო აკადემიის გვერდით. მეთვრამეტე საუკუნეში აქ ერთ დროს დედოფალ ეკატერინეს საჯინიბო ყოფილა, მერე ცოტად შეუქცეთქცა და უნივერსიტეტი მოუთავსებიათ. მეცნიერების ტაძარს, რასაკვირველია, მეტრ პატივი ეკადრებოდა, ვიდრე ჯიშინ ცხენებს. ნევის პირად ფასადზე სულ ათიოდე ფანჯარა აქვს, შენობის სიგრძე კი თითქმის ნახევარი ვერსი იქნება. ასე რომ როდესაც ერთ ბოლოში ლექცია გვითავდებოდა, თუ მეორე ლექცია მეორე ბოლოში იყო, სულ იორღა ცხენივით უნდა გვერბინა, რომ დროზე მიგვესწრო.

უნივერსიტეტს იმ დროს განაგებდნენ: სწავლის მხრივ რექტორი, პრორექტორი და დეკანები, ხოლო წესრიგის დამცველად იყვნენ ინსპექტორი, მისი თანაშემწენი, ეგრეთწოდებული სუბინსპექტორები და პედელები. ამ უკანასკნელების მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინათ, რომ უბილეთოდ არაეინ შემოსულიყო, თანაც ზემო ტანისამოსს ყარაულობდნენ. მაგრამ ესენი უფრო პალტოების ჯიბეების სინჯვას უნდებოდნენ, ვიდრე მათ უზრუნველყოფობას. და თუ რომელიმე წინდაუხედავ ან გულმაგიწყ სტუდენტს ჯიბეში ჩარჩებოდა როგორმე პროკლამაცია ან სხვა რაიმე საეჭვო წიგნაკი, ეს ნივთიერი საბუთი არანივთიერ განზრახვებისა, უსათუოდ ქანდარმერიას ჩაუეარდებოდა ხელში. ამ სახით ეს მოხელენი — ინსპექტორი, სუბინსპექტორები და პედელები — უფრო პოლიციის აგენტებად ჩაითვლებოდნენ, ვიდრე უნივერსიტეტის მსახურებად.

როგორც წინათვე გადაწყვეტილი მქონდა, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევედი. სანანურადაც არ დამრჩა: ახლაც ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ მასწავლებლად მყვანდნენ ისეთი პროფესორები, როგორიც იყვნენ: 1) მენდელეევი, გამოჩენილი ქიმიკოსი, რომელსაც მართო რუსეთი კი არა, მთელი განათლებული ქვეყანა იცნობს; 2) სეჩენოვი, ფიზიოლოგი, „Гордость русской мысли и основатель русской физиологии“, როგორც უწოდებს მას დღესაც ცოცხალი და განთქმული ფიზიოლოგი აკადემიკოსი პავლოვი. ეს ის სეჩენოვი იყო, რომელმაც ამ სამოცი წლის წინათ გამოაქვეყნა ერთი პატარა წიგნი, სახელად „Рефлексы головного мозга“, სადაც გატარებული იყო იმ დროისთვის მეტად გაბედული აზრი, რომ თავის ტვინია და არა სხვა რამე, სათავე ყველა იმისა, რასაც ჩვენ ადამიანის სულიერ და გონებრივ თვისებას ეუწოდებთ, როგორც, მაგალითად, აზროვნება, მეხსიერება, წარმოდგენა და სხვა. ეს პატარა წიგნაკი საფუძვლად დაედვა იმ მეცნიერებას, რომელსაც ახლა „Рефлексология“-ს უწოდებენ; 3) ბუტლეროვი, ორგანიული ქიმიის პროფესორი, რომელმაც სრულებით ახალი მიმართულება მისცა მეცნიერების ამ დარგს; 4) ვაგნერი, უმცირესი მიკროსკოპიული ცხოველების ზოოლოგიის პროფესორი და საუცხოვო ზღაპრების მწერალი „Кот-мурлыка“-ს ფსევდონიმით და სპირიტუიზმის მიმდევარი, სპირიტუალური ეურნალის რედაქტორი.

უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ბოტანიკის პროფესორი ბ. ბ. ბ. ი. იმ დროს იგი უნივერსიტეტის რექტორადაც იყო. წარსული სტუდენტის მსამოცე წლებში ბეკეტოვი მასწავლებლად ყოფილიყო ტექნიკის გიმნაზიაში. მას საქართველოს მცენარეობა კარგად ჰქონდა შესწავლილი, ბევრისა ქართული სახელიც იცოდა. როდესაც შემთხვევა მოიტანდა, უსათუოდ ქართულად დასახელებდა, მაგალითად, ქინძს, არ იტყოდა კი „ქინძი“, არამედ რუსული კილოთი — „კინძაო“, თანაც დაატანდა, ქართულები ხმარობენ საკმელებში, როგორც სანელებელს, მაგრამ ვერ ვიტყვი კი, რომ სურნელოვანი სანელებელი იყოსო.

პირველად რომ უნივერსიტეტში მივედი, ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: გამაკვირვა, რომ შესაველთან მწკრივად იდგნენ მდიდრულად მორთული ეტლები, ძვირფასი ჯიშისანი ცხენებით შემბული, კოფოზე გაბლინძული მვეტლებით. ვიფიქრე, თუ აღმინისტრაციასთან ან რექტორთან აქვთ საქმე მეთქი. მაშინ აქ არ უნდა იდგნენ, იმათ სხვა შესაველი აქვთ ნევის მხრიდან. ვუყურებ, უნივერსიტეტიდან გამოდიან ახალგაზრდა ყმაწვილები, სხდებიან ეტლებში და მიაჭროლებენ, ამავე დროს სხვები უნივერსიტეტისაკენ მოაქანებენ გათქვირებულ ჩასუქებულ ცხენებს. შემდეგ გავიგე, რომ ყველა ესენი გენერლების, გუბერნატორების და სხვა დიდი მოხელეების შვილები იყვნენ და საკუთარი ეტლებით მობრძანდებოდნენ უნივერსიტეტში, რჩებოდნენ ერთ-ორ საათს და ისევ მალე მიეჩქარებოდნენ. ლექციების სმენით თავს არ იტკიებდნენ. მეტწილად ისინი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდნენ. მეცნიერებით თავს არ იწუხებდნენ, ან კი რა საქირო იყო: დიპლომს უსათუოდ მიიღებდნენ და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ!

მოუთმენლად ველოდებით პირველ ლექციას, რომელიც მენ დელ ე-ე-ს უნდა წაეკითხა. აუდიტორია, სადაც ჭიმიის ლექციები იკითხებოდა, ოთხას სტუდენტს იტევდა, მაგრამ ხშირად 500 — 600 სტუდენტიც იკრიბებოდა. სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც ბლომად მოდიოდნენ მენდელეევის მოსასმენად. აუდიტორიაში ტევა არ იყო. კათედრა წარმოადგენდა გრძელ ამალღებულ ადგილს, მოაჯირით შემოვლებულს მთელს სიგრძეზე. ასეთი დიდი იყო კათედრა იმ აზრით, რომ იქ იდგა დიდი დაფა ჭიმიური ფორმულების დასაწერად და იქვე ადგილი უნდა ჰქონოდა ლაზორანტს, რომელიც პროფესორს შევლიდა ჭიმიური ცდების დროს. ოთახიდან, საიდანაც პროფესორები გამოდიოდნენ კათედრაზე, რამდენიმე საფეხური იყო ამოსაველი.

აი გაიღო ამ ოთახის კარი და ნელის ნაბიჯებით ამოვიდა მენდელეევი. გაისმა მთელი აუდიტორიის ტაშისცემის ქუხილი. ჩემ თვალწინ იდგა საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი ტანის შუახნის კაცი, ოდნავ წელში მოხრილი, მოჭერო პატარა წვერულვაშით და ხშირი, ოდნავ მოხუქუქო თმით, რომელიც თითქმის მხრებამდე უცემდა. ცოტა მომსბო ტუჩები ჰქონდა, სწორი, თითქოს ჩამოსხმული ცხვირი და მოჭროლო თვალები,

რომელთაც ოდნავ დაღლილობის შეხედულობა ჰქონდა. მისი სახე მკაზნიდ-ველ და კეთილშობილურ შთაბეჭდილებას სტოვებდა პირველ შეხედვა-ზევე. სანამ ტაშისკვრა გრძელდებოდა, მენდელეევი უძარცვად ნუფას არც ერთი ასო მის პირისახეზე არ შენძრეულა. ფიქრში იყო სტრასბურგის დაბათი-თქოს არაფერს გრძნობსო, თუ არ მოსწონსო ასეთი დემონსტრაცია, — ვერ მიხედებოდა კაცი.

დაწყნარდა აუდიტორია. მენდელეევი მაშინვე დაიწყო ლექციის კით-ხვა, ისეთი კილოთი, თითქოს სიტყვა შეაწყვეტინეს და ახლა ხელახლა განაგრძობსო. ხმა ცოტა ბოხი ჰქონდა, მაგრამ არა მკვეთრი, რალაც და-ღლილობა ეტყობოდა. მენდელეევი არ იყო ორატორი, სიტყვები დიდის გაჭირვებით მისდევდა ერთმანეთს, თითქოს მათ მსვლელობას რალაც ელო-ბება წინ, რალაც იჭერსო. მაინც ყველანი სულგანაბული, თვალზეგაცეცე-ბული ვისმენდით მის მძიმედ, ზღაზვნით მომდინარე სიტყვას. რა იყო ამისი მიზეზი? ის, რომ მისი სიტყვა მდიდარი აზრებით იყო შეზავებული. მენდელეევი არ ჰგავდა იმ ორატორებს, რომელნიც სიტყვებს სეტყვასა-ვით გაყრიან. ყურს გიყრუებენ და სულსა და გულს კი არა ჰხედება რა-ხედავდი, ჰგრძნობდი, რომ ამ მაღალ დანაოჯებულ შებლ ქვეშ რალაც საუცხოოვ ლაბორატორიაა მოთავსებული, რომ ამ ლაბორატორიაში შენ თვალწინ რალაც ისახება, იზრდება და ეს ჩანასახი, შემოქმედებითი ძა-ლით ხორცშესხმულ სიტყვად ქცეული, გველინება, სავსებით იპყრობს შენს ყურთასმენას და სულსა და გულში გხვდება. ჰგრძნობ, რომ ყოველი მისი სიტყვა შემოქმედების ნაყოფია, რომ ყოველი მისი სიტყვა აზრით არის ვაჟდენთილი, შინაარსით დატვირთული, ამიტომ არის მძიმე და ძნელი მათი წარმოთქმა. არც ერთი მისი სიტყვა არ იყო ლიტონი. უშინაარსო. ყოველი სიტყვა იგივე აზრი იყო, და აზრი მოსდევდა აზრს შეუწყვეტ-ლად, როგორც მდინარეში ზვირთები მისდევენ ერთი მეორეს.

მენდელეევი კითხულობდა არაორგანიულ ჭიმიას. მისი პირველი ლექ-ციის საგანს შეადგენდა — გაცნო ჩვენთვის ჭიმის მთავარი საგანი, სა-ფუძველი, რომელზედაც დამყარებულია მეცნიერების ეს დარგი.

მენდელეევი გაბედული კაცი იყო და არასოდეს და არავის ერიდე-ბოდა, თავისი აზრი და შეხედულება ხმამაღლა გამოეთქვა. ბევრი ბრალსა სდებდა — პოლიტიკაში რეტროგრადიულ აზრებს მისდევს, სტუდენტების მოძრაობას არ თანაუგრძნობს, განზე დგასო. რამდენადაც ვიცნობ მენდე-ლეევს მისი ლექციებით და ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ნაწე-რებით. ზემოთ ნათქვამ ბრალდებაში მართალი მხოლოდ ის არის, რომ მას მართლაც არ უყვარდა ფუჭავატი, ზენაქვენა და უშინაარსო ლიბე-რალიზება. არ მოსწონდა აგრეთვე სტუდენტების მუღმივი ღელვა და არეუ-ლობა. მერე რატომ? არა იმიტომ, რომ ის მთავრობის მომხრე იყო, რეტ-როგრადი. პირიქით, მაშინდელი წესწყობილება მას ძალზე სძულდა. ცხოვ-რების შეცვლა, მისი წინსვლა მის წმინდათა წმინდას შეადგენდა. მხო-ლოდ სხვა გზას ადგა მენდელეევი ამის მისაღწევად. კაცობრიობის სეე-

ბედს, მისი ცხოვრების უსწორ-მისწორობას მხოლოდ შეცნობილია გადასწვეტსო. მენდელეევის პირიდან ეს უანროდ ამოსროლილი სიტყვა არ იყო. მას სწამდა მეცნიერების ყოვლად შემსუბუქებლად დიდს იმედებს ამყარებდა იგი ქიმიის წარმატებას, როგორც ქიმიის მკოდნე და შორსმჭვრეტელი, მენდელეევი ხედავდა, რა დევგმირული ნაბიჯით მიდის წინ ქიმია. მას ისევე, როგორც გამოჩენილ გერმანელ ქიმიკოს ლიბიხს, ღრმად სწამდა, რომ დადგება დრო და იქნება არც ისე შორს იყოს ეს დრო, როდესაც ქიმია შესძლებს ლაბორატორიაში ხელოვნურად მოამზადოს ყველა ის, რაც საქიროა ადამიანის კუჭის დღიურ საკვებად. საკმარისი იქნება ლაბორატორიაში დამზადებული რამდენიმე აბები მიიღოს ადამიანმა ყოველდღე, რომ კუჭის მოთხოვნილება სრულიად უზრუნველჰყოს. მაშინ კაცობრიობა თავისთავად განთავისუფლდება იმ მძიმე ტვირთისაგან, რომელიც დღეს აუტანელი შრომის სახით კისერზე აწევს ადამიანს ლუკმა პურის საშოვნელად. აი მენდელეევის რწმენა, რომელიც მას ასულდგმულებდა და ამხნევებდა.

მენდელეევის კერძო ცხოვრებიდან არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი მისი უცნაური თავისებურება. მას ძალიან უყვარდა ჩამადნების გაკეთება. დიდ წარმატებასაც მიაღწია თურმე ამ ხელობაში. მრავალგვარ ახალ ფორმას იგონებდა, შიგნით სხვადასხვა მოწყობილებას მართავდა, ახალნაირ საკეტავენს თხზავდა. რაწამს სამეცნიერო მუშაობას თავს და აღწევდა, ვატაცებით შეუდგებოდა ჩამადნების კეთებას. მერე ამ ჩამადნებს საჩუქრად უგზავნიდა თავის მეგობრებს და ნაცნობებს.

ორგანიულ ქიმიას კითხულობდა ბუტლეროვი. ის, სულ სხვა ტემპერამენტის პროფესორი იყო. მენდელეევე კათედრაზე რომ გამოვიდოდა, დადგებოდა ერთ ადგილას, ცოტად წინ წამოხრილი, ხელებს კათედრას დააბჯენდა და ასე კითხულობდა. ბუტლეროვი, პირიქით, სულ მოძრაობაში იყო. ტანში გაკიბული დაიარებოდა წინ და უკან, ხან თითებსაც კი აატკაცუნებდა, და ლაპარაკობდა. მისი ლაპარაკი მჭეფარე შედრევენს მოგაგონებდათ. დიქცია, სიტყვის გამოთქმა საოცრად მკაფიო ჰქონდა და ერთი სიტყვა მეორეს ისე გარკვევით მოსდევდა, გეგონებოდათ — ძაფზე მარგალიტებს აგებსო. დაფაზე რომ ქიმიური ფორმულების წერას დაიწყობდა, ისე ჩამოასხამდა, ისე მიიბამდა ერთ ფორმულას მეორეს, თითქოს ყურძნის ჯაგნები ჩამოუკიდაო. საცადებს ბუტლეროვი თითონ აკეთებდა და უნდა გენახათ, რა შნოიანათ, რა მოხერხებით. გეგონებოდათ, ხელში რალაც ჯადოსნური ჯოხი უჭირავს და იმით მოქმედებსო.

მიუხედავად ყველა ამ ღირსებისა, ბუტლეროვი მაინც ისეთ დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა, ისე არ გვხიბლავდა, როგორც მენდელეევი. რითი უნდა აეხსნათ ეს? მგონია იმით, რომ ბუტლეროვი, ექვს გარეშე, ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ მას აკლდა ის, რაც ასე უხვად ჰქონდა მომადლებული მენდელეევის, ამაში იყო მისი იღუმალი, მომხიბლავი ძალა.

მინც ბუტლეროვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ორგანიზული ჯიშის განვითარებაში. ბუტლეროვი და გამოჩენილი გერმანელი ქიმიკი ულტაჰ უნდა ჩაითვალოს მოთავედ და სულის ჩამდგმელად. ულტაჰ უნდა მომართულებინა მეცნიერების ამ დარგში, რომელმაც საკვირველი სისწრაფით წასწია წინ ორგანიზული ჯიშისა და დიდი ნაყოფიც გამოაღებინა მას.

ორგანიზული ჯიშის წყალობა იყო, მაგალითად, ისეთი საღებავი წამლის მომზადება, რომელსაც წინათ მხოლოდ ბუნება იძლეოდა. გაგვიგონებათ, რა შემოსავლიანი საქმე იყო ჩვენს კავკასიაში ენდროს მოყვანა, რომელიც საუცხოვო საღებავს იძლეოდა. და აი ჯიშის შემწეობით შესაძლებელი გახდა ამ საღებავის ხელოვნურად მომზადება.

ასაფეთქებელი ნივთიერების მომზადებაც, რომელსაც დღეს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ავიაქიმიაში და მრეწველობის ბევრ სხვა დარგში, შესაძლო შეიქნა აგრეთვე ორგანიზული ჯიშის წყალობით.

ბუტლეროვის დასახასიათებლად უნდა მოვიხსენიოთ, რომ იგი საუკეთესო მეფუტკრე იყო. ფუტკრის მოშენების საუკეთესო თეორეტიკოსი, იგი პრაქტიკულადაც მისდევდა ამ საქმეს. თავის მამულში, ყაზანის გუბერნიაში, დიდძალი ფუტკარი ჰყავდა თურმე მოშენებული.

მეტად უცნაური და თავისებური იყო პროფესორი ვაგნერი. დაბალი ტანისა, მოგრძო წინწამოწედილი პირისახით, მელოტი, მხოლოდ კეფაზე ცოტაოდენი დარჩენილი თმით, თითქოს სოროში ჩამძვრალი მუქ-შუშებიანი სათვალეებით დაფარული თვალებით, რომლების ვერც ფერს და ვერც გამომეტყველებას ვერ შეამჩნევდი, ამასთან მუდამ გრძელ და ძველ სერთუქში გამოწყობილი, — წარმოიდგინეთ ეს გარეგანი სურათი და თვალწინ დაგიდგებათ ცოცხალი ვაგნერი, პროფესორი, ლიტერატურაში ცნობილი „Кот-мурлыка“-ს ფსევდონიმით და რედაქტორი ჟურნალ „სპირტუალისტისა“, სადაც მისი ფანტაზიის ზენაფრენას საზღვარი არ ჰქონდა. ვაგნერი კითხულობდა უმცირეს ცხოველთა ზოოლოგიას. წერილი ხმა ჰქონდა, მაგრამ ძალზე მალალი და მწივანა. დაიწყებდა და დაწვრილებით აღგვიწერდა ისეთი ცხოველების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას, როგორც არის გოლოტური, მედუზი და მრავალი სხვა. აქაც ფანტაზიას ფართო ადგილი ექირა და ეს უფრო იტყვევდა ჩვენს ყურადღებას, ვიდრე ამ პაწია შეუშინებელი ცხოველების ანატომია და ფიზიოლოგია. აგერ უცბად შესწყვეტდა კვილს და დაბალის, ჩუმის, თითქოს მოშაკვდავის ხმით მოგვმართავდა: „ბატონებო“... მიჩვეული ვიყავით და ვიცოდით, რას ნიშნავდა ხმის ეს შეცვლა. აქ ზოოლოგია თავდებოდა და იწყებოდა ფილოსოფია, ფილოსოფია თავისებური, ვაგნერისებური...

მოვიყვან ერთს მაგალითს. გვიკითხავდა ლექციას პოლიპებზე, რომელნიც კალონიებად ცხოვრობენ, ერთად მუშაობენ და ამის წყალობით ისეთ აბალშენებს აწყობენ, როგორც არის ხშირად უზარმაზარი კუნძულები. და აი ჩვეულებრივად დაუმდაბლა ხმა. ვაისმა მისი „ბატონებო“ და გააბა ბაასი: ახლა შევადაროთ პოლიპების ცხოვრება კაცობრიობისას. რა გზას

უნდა დაადგეს კაცობრიობა თავისი ცხოვრების გასაძლიერებლად და უკეთ მოსაწყობად? რა სჯობს: ინდივიდუალური თუ კოლექტიური, შეერთებული შრომა, მუშაობა? დიდხანს იმჭერმეტყველა. მაგრამ მალე უკატეების გზას ასცდა, ოცნების ბადეში გაება. ბოლოს მაინც დაასკვნა, რომ კაცობრიობა მიემართება კოლექტივიზაციისაკენ და სოციალიზმი სძლევს ინდივიდუალიზმს. თუმცა, — დაუმატა, — ისიც უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალური გზით მიმავალი ცხოველები, ხშირად დიდ წარმატებას აღწევენ თავიანთი ცხოვრების განვითარებაში, ზოოლოგია ამის შესახებ ბევრს მაგალითს გვაძლევსო. ასე ორჭოფად თავდებოდა მეტწილად მისი „ბატონებო“-ს ფილოსოფია.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ფიზიოლოგიას კითხულობდა პროფესორი სეჩენოვი — რუსული ფიზიოლოგიის მამამთავარი. სეჩენოვი შუათანა, შნონიანი ტანის კაცი იყო. სახე ნამდვილი ტპიური რუსული ჰქონდა. დამჯდარი მშვიდი ჩუმი მსახიათის კაცი იყო. ლექციაზე უბრალო პიჯაკში მოდიოდა. კათედრაზე არ ავიდოდა, დადგებოდა დაფის წინ და იქ კითხულობდა ნელი, დაბალი, ერთფეროვანი ხმით. ამ დროს ნიბლია ჩიტს მოგავიწყდება, ხეზე რომ შემოჯდება და წყნარი ერთნაირი ხმით ვააბამს ვალობას. სეჩენოვს კითხვის დროს ერთგვარი შეყვარებული პოზა ჰქონდა: ერთ ხელს პიჯაკის უბეში ჩაიდებდა, მეორე ხელის ნიდაყვს დაეყრდნობოდა, ცერსა და სალოკ თითს ტუჩებზე მიიდებდა და ასე წყნარ მდინარესავით მოდუღუნებდა მისი სიტყვები. და ამ პოზას შესცვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფაზე მოუხდებოდა რისიმე დაწერა ან ჩვენება. თუ სისხლის ტრიალზე იყო ლაპარაკი, დაფაზე გარკვევით დავიხაზავდა მთელ გზას, რომელიც უნდა გაიაროს სისხლმა ადამიანის სხეულში, დაწყებული გულიდან თითის ფრჩხილებამდე და მისი უკანვე დაბრუნება გულისაკენ. აქვე დამზადებული იყო მიკროსკოპები პრეპარატებით, რომელთა საშუალებით შეგვეძლო საკუთარი თვალით გვენახა სისხლის ტრიალი.

მაგრამ ეს არ კმაროდა, უნდა გამოგვეცადა ყოველივე ეს ცოცხალ არსებაზე. ამისთვის განწირული იყვნენ ბაყაყები და ძაღლები. მოკვლა არ შეიძლებოდა, რადგან მკვდრის ჩხრეკა-ძიება ანატომიის საქმეა, ჩვენ კი ესწავლობდით ფიზიოლოგიას, ე. ი. სიცოცხლის მოვლენათა კანონებს. მაშასადამე, უნდა მიგვემართა ეგრეთწოდებულ ვივისექციისათვის, ე. ი. ცხოველების ცოცხლად დაჭრისათვის. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. ბაყაყი ხომ ყოველად უმწეოა, მაგრამ ისიც არ დაგვენებდებოდა ხოლმე ცოცხლად ჭრას და ტანჯვას, ძაღლზე ხომ ნულარას ვიტყვით. მიზნის მისაღწევად ერთი გზა გვქონდა — ვწამლავდით ცხოველებს. ამისათვის ვხმარობდით ერთგვარ საწამლავს, რომელსაც კურარე ეწოდება. ამ კურარეს საოცარი თვისება აქვს: მოჭმედებს მხოლოდ კუნთებზე, სხეულის დანარჩენ ასოებს უვნებლად სტოვებს. ვჩხვლეტდით, ვჭრიდით. ვგრძნობდით, რომ ტანჯვას ვაყენებდით, მაგრამ საბრალო ვერასგზით თავს ვერ

შველოდა: ყოველგვარი მოძრაობის უნარი დახშული ჰქონდა და მბლად იყო ჩავარდნილი.

მახსოვს ასეთი შემთხვევა: ძალი უნდა გაგვეჭრა მშრალი მკვლელობის, თუ როგორ მუშაობენ ცხოველის და, მაშასადამე, ადამიანის მკვლელი ორგანოები, როგორია გული, კუჭი, თირკმელები და სხვა. მოვწამლეთ საბრალო პირუტყვი კურარეთი. მოძრაობა მოესპო, გაქცევა და კბენა აღარ შეეძლო. მაგრამ ტანჯვისა და ტკივილის გრძნობა არ დაეხშო. საშინელი სანახავი იყო: რა მწუხარებით შემოგვეჭეროდა თავის ქვეიანი თვალებით, თითქოს შემწეობას და შებრალებას გეთხოვდა. პირი მაგრა ჰქონდა აკრული, მაგრამ მისი ღმუილი მაინც გულს გვიგვირავდა.

სეჩენოვი პირადად არასოდეს არ დაესწრობოდა ხოლმე ამ საზარელ ცდებს. აგვისნიდა ლექციაზე ყველაფერს, რაც უნდა გამოგვეცადა, და გვეტყოდა — ჩემი ასისტენი გიხელმძღვანელებთ, მე კი მაგის ყურება არ შემიძლიაო, და წავეიღოდა.

უნივერსიტეტის ცხოვრება ჩემ დროს ზღვის დაუდგრომელ ღელვას ემსგავსებოდა. სტუდენტობაში არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო, ღელავდნენ, მთავრობას ხშირად უკმაყოფილებას უცხადებდნენ. უნივერსიტეტის ასეთი მოძრაობა გამოძახილი იყო იმ მოძრაობისა, რომელიც მაშინ დაიბადა მთელს რუსეთში. სათავეში ამ მოძრაობას „ნაროდოვოლცები“ უდგნენ. მათ ჰქონდათ იქვე, პეტერბურგში, საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „Народная Воля“, აგრეთვე პატარა წიგნაკები და პროკლამაციები. ამ პროკლამაციებში თხოვნა კი არ ისმოდა. არამედ მოთხოვნა. პირდაპირი წინადადება ამა და ამ ცვლილების მოხდენის შესახებ. თანაც მუჭარას უთვლიდნენ, რომ თუ მათი ამხანაგების ღვენაზე, სასტიკ სასჯელზე ხელს არ აიღებენ, ისინიც ამ გზას დაადგებიან და არ მოერიდებიან არც მინისტრების, არც თვით ხელმწიფის მოკვლას. რომ ეს მუჭარა ლატონი და ფუჭი სიტყვები არ იყო, მათ დაამტკიცეს კიდევ.

ყველას ეხსომება ის ამბები, რომლებიც ჩემ დროს მოხდა: 1) საქმე ვ. შ ა ს უ ლ ი ჩ ი ს ა, რომელმაც პეტერბურგის „გრაფონაჩალნიკს“ და მბანა ესროლა და დაჭრა; 2) თანდარბთა შეფის მეზენცევის მოკვლა დღისით, სატანტო ქალაქის ცენტრში; 3) სოლოვიოვის განზრახვა ხელმწიფე ალექსანდრე მეორის მოკვლისა, მისივე სასახლის წინ, მისი აშკარა და იდუმალი ჯაშუშებისა და აგენტების თვალწინ; 4) გაბედული საქციელი ხ ა ლ ტ უ რ ი ნ ი ს ა, რომელმაც აფეთქება მოახდინა საზამთრო სასახლეში, და თუ ხელმწიფე და მთელი მისი ოჯახი გადაარჩა მხოლოდ იმის წყალობით, რომ უცხოელი სტუმრების მოლოდინში სადილმა ნახევარ საათით დაიგვიანა.

„Народная Воля“ არ მალავდა, რომ ყველა ეს მათი პარტიის საქმე იყო და შემდეგში უარესს უნდა მოელოდეთო. სტუდენტობა და საზოგადოების უკეთესი ნაწილი ტაშს უკრავდა ამ გაბედულებას და თავგანწირვას, მთავრობა და მისი დამქაშები კბილებს აკრაქუნებდნენ და რეპრესიებს

უმატებდენ. სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებდენ „*Народная Во-
ля*“-ს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ბევრი თანამშრომლობდა
 ჟურნალში და ზოგიც ტერორისტულ მოქმედებაშიც იფხვდა მუხლწილეო-
 ბას. მახსოვს ასეთი ფაქტი.

გვუშაობდი ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც ანალიტიკური ქიმიის
 შესასწავლად პრაქტიკულად ვეარჯიშობდით. ვაკეთებდი ეგრეთწოდებულ
 სიმპტიურ მელანს, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ ამ მელნით ნაწერი
 ქალაქს სრულიად არ ეტყობა, გეგონებათ უბრალო, სუფთა ქალაქ-
 დიაო. მაგრამ დაიჭირეთ ერთ წუთს სანთლის ალზე და დანაწერი ცხოვ-
 ლად, ნათლად წარმოგიდგებათ თვალწინ. გაივლის ცოტა ხანი და ნაწერი
 ისევ გაქრება, ხელში ცარიელი. ქალაქი შეგრჩებათ. ამ მელნის მოსაშუ-
 დებლად იხმარება ქიმიური ნივთიერება — კობალტის მარილი. მელანი არ
 გამოძლიოდა კარგი, კობალტი ხან ნაკლები მოძლიოდა, ხან მეტი. ჩემს
 ახლოს მუშაობდა ერთი მალაღი ტანის, სასიამოვნო შესახედაობის, ცოტა
 ფერმკრთალი ახალგაზრდა აფიციერი მეზღვაურთა მუნდირში. სიცილით
 შემომძახა: რაო, არ გეპუებათო? მომიახლოვდა, შეზავებაში შემომეშვე-
 ლა, და საუცხოვო მელანი გამოვიდა. შევამჩნიე, რომ ანალიტიკურ ქი-
 მიაში დიდად გამოცდილი და დახელოვნებული იყო. მივიკრდა მხოლოდ,
 ჩვენთან რილასთვის დაიარებოდა. ეგონებ, მის იქ მუშაობას და საზოგა-
 დოდ უნივერსიტეტში სიარულს სულ სხვა მიზანი ჰქონდა. მხოლოდ კარ-
 გა გვიან, როდესაც აღუქსანდრე მეორის მკვლევლები დასაჯეს, გავგე-
 რომ ეს ჩვენი თანამუშაქი სუხანოვი იყო, ის სუხანოვი, რომელიც
 კიბალჩიჩს შეველოდა ასაფეთქებელი ყუმბარების დამზადებაში. რა-
 საკვირველია, მასაც არ ასცდა კიბალჩიჩის ბედი, მხოლოდ იმ განსხვავე-
 ბით, რომ კიბალჩიჩი ჩამოახრჩეს, სუხანოს კი, როგორც აფიციერს, პატივი
 დასდეს და დახრჩობის მაგიერ, დახვრეტით გამოასალმეს წუთისოფელს.

საზღვარგარეთიდანაც ბევრი ჩამოდიოდა იმ დროს რევოლუციის მო-
 მხრე, დროებით უცხო ქვეყნებში განდევნილი ან გაქცეული. რადგან პო-
 ლიციის დევნისა ეფიქრებოდათ, ამიტომ ერთ ბინაზე ღამეობით არ რჩე-
 ბოდენ და სხვადასხვა ადგილას ათევდენ. ერთმა მათგანმა სამი ღამე გა-
 ატარა ჩემთან. საწოლს, როგორც იყო, ვუხერხებდი სახლის პატრონის
 შემწეობით. ამ ჩემ მელამურე სტუმრის გვარი, მგონი, მანუჩაროვი იყო,
 კავკასიელი. მშვენიერი ხმა ჰქონდა და გულითაც მღეროდა. პირველად
 მისგან გავიგონე ფრანგული რევოლუციონური სიმღერა „მარსელიოზა“,
 რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. მერე ცოცხლად დამარ-
 ხულთა შორის ისიც მოჰყვა განთქმულ შლისელბურგის ციხეში, სადაც
 ქლექად ჩავარდა და იქვე ამ ქვეყანას გამოეცალმა.

უნივერსიტეტში სასაძილო იყო, სადაც სტუდენტობა ხშირად იყრიდა
 თავს და კრებებსაც მართავდა. იქვე მოჰქონდათ ყოველგვარი აკრძალული
 წიგნი, გაზეთი და პრაკლამაცია. ხშირად მღეროდენ ისეთ სიმღერას, რო-
 მელიც მთავრობის მიერ აკრძალული იყო. ეს ამბავი, რასაკვირველია,

არ გამოეპარა პედლებების მახვილ ყურს და მათგან ეცნო სუბინსპექტორებს. ესენი დაუყოვნებლივ გაჩნდნენ სასადილოში და რეპეტორს მოწიწებით მიმართეს სტუდენტებს:

— ბატონებო, აქ სიმღერა არ შეიძლება, თქვენ ~~საინსპექტორებში~~ ^{განმარტებულნი} კარგად იცით.

— ჩვენ კი არა ვმღეროდით, ვგალობდით. პობედონოსცევის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა და პანაშვიდი გადავიხადეთ იმის სულის მოსახსენებლად. ბოდიშს ვიხდით, რომ მღვდელი ვერ მოვიწვიეთ.

სუბინსპექტორმა შეურაცყოფად მიიღო ასეთი დაცინვა და მუქარით წავიდა: რეპტორს უნდა მიემართო მთავრობასთან დასასმენადო. მე კარგად ვიცი, რომ თქვენ აქ პროკლამაციებსაც კითხულობთო.

აქ კი სტუდენტებმა უსტვინეს, ყოყინა დასცეს, და კვლამოძუებულმა სუბინსპექტორმა კარებს მიაშურა.

და მართლაც, საქმეს მსვლელობა მისცეს. მხოლოდ რეპტორი ეცადა, რომ უნივერსიტეტის გარეშე არ გამჟღავნებულყო. შესდგა პროფესორების სამართალი, რეპტორის და ინსპექტორის თანდასწრებით. პასუხისმგებაში მიცემული იყო სასადილოს გამგე, მეოთხე კურსის სტუდენტი, გვარად ალექსეევი, რომელიც შემდეგ პროფესორად იყო, მგონი, ხარკოვის უნივერსიტეტში. ალექსეევი ნიჭიერ სტუდენტად ითვლებოდა, კარგი ორატორი იყო და როგორც სტუდენტები, ისე პროფესორები დიდის პატივით ეპყრობოდნენ. აი ამ ალექსეევს გადაუწყვიტეს ერთი კვირით დაპატიმრება. დამწყვედელი იყო უნივერსიტეტის შენობაში.

იმის დასანახავად, თუ რა უღმობელად ექცეოდნენ ეანდარმები სტუდენტებს, მოვიყვანე შემდეგ შემთხვევას. ერთი ღარიბი სტუდენტი, გვარად რუდნევი, რომელსაც ბედმა გაუღიმა და ადგილი იშოვა ერთ პანსიონში, ეანდარმერიამ დაატუსაღა. საბაბად ის მოუდეს, რომ ერთი სტუდენტის წერილში, რომლის საქმეც ამ დაწესებულებაში ირჩეოდა, ამ რუდნევის გვარი იყო ნახსენები, როგორც გამნაზიის ამხანაგისა. ორი თვე საპყრობილეში ჩასვეს, და რადგან მას არაფერი დანაშაული არ აღმოუჩნდა, გაანთავისუფლეს. როდესაც რუდნევიმა პკითხა, რაზე დამტანჯეთ ორ თვეს და რად მომისპეთ ადგილი, რომელიც ლუკმა პურს მაქმეედაო, უტიფრად უპასუხეს: მაღლობა შესწირე ღმერთს, რომ აქედან ცოცხალი მიდიხარ, შენ სტუდენტი ხარ და ეს საქმაოა ჩვენთვის, რომ გაგსროსოთ უპასუხისმგებლოდო. ეს სტუდენტი ჩემი ერთკურსელი იყო და ვიცოდი, რომ ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. თვეში ექვსი მანეთი მოსდიოდა საიდანაც, და ეს იყო მისი საცხოვრებელი. რაკი პანსიონში ადგილი დააკარგვინეს, ერთ სარდაფში კუთხე ექირა, იქ ცხოვრობდა და შეცადინებოდა ნახევრად მშიერ-მწყურვალი.

უნივერსიტეტის სასადილოში ხშირად მოდიოდა ამბები პოეტ ნეკრასოვის ავადმყოფობის შესახებ. ახლანდელი თაობა ვერ წარმოიდგენს, რა იყო იმ დროს ნეკრასოვი ჩვენთვის. მთელი მოზარდი ახალგაზრდობა,

მთელი ინტელიგენცია იმის ლექსებით იყო გატაცებული: მახსოვს, თბუთ-მეტი თუ თექვსმეტი წლისა ვიქნებოდი, რომ მანგლისში აგარაკად კოფ-ნის დროს ხელში ჩამივარდა ჟურნალი „Отечественные Записки“, სადაც დაბეჭდილი იყო პირველი ნაწილი პოემისა: „Кому ж из русских жить хорошо?“ მთელი კვირა ხელიდან არ მომიშორებია ჟურნალი, პოემა რამდენჯერმე გადავიკითხე და ისეთს სიამოვნებას მაგრძნობინებდა, რომ მესხიერებაში ღრმად ჩამებეჭდა და მთელი ნაწყვეტები ზეპირად შემეძლო მეთქვა. ახლაც კი, თუმცა ბევრმა ხანმა გაიარა მას აქეთ, ბევრი ადგილი ამ პოემისა ზეპირად მახსოვს.

სტუდენტობას ხომ პუშკინიც დავიწყებული ჰყავდა და სულ ნეკრასოვი ეკერა პირზე. სტუდენტების ჩვეულებრივ საღამოებზე, სადაც ადგილ-ჰქონდა ეგრეთწოდებულ „მერტვეცკაიას“, ე. ი. სტუდენტების იმ ზომა-მდე დათრობას, რომ მკვდრებივით ეყარნენ ხოლმე, აი ამ საღამოებზე, ტრადიციულ „Gaudeamus igitur“-ს მაგიერ, გაისმოდა ნეკრასოვის ლექსების დაუბოლავებელი სიმღერა. მეტადრე ხშირი და საყვარელი იყო სიმღერად ლექსები პოემიდან: „Размышления у парадного под'езда“. განსაკუთრებით შემდეგ ადგილებს მღეროდნენ გულსაკლავი კილოთი:

Видь на Волгу, чей стон раздается
Над великою русскою рекою!
Этот стон у нас несней зовется...

და კიდევ:

Волга, Волга! весною многоводной
Ты не так заливаешь поля,
Как великою скорбью народной
Переполнилась наша земля —
Где народ, там и стон... эх, сердечный!
Что же значит твой стон безконечный?
Ты проснешься-ль, исполненный сам,
Иль, судеб повинуюсь закону,
Все, что мог, ты уже совершил,
Создал песню подобную стону
И духовно на века почил?

ასეთი ნაღველით დასტიროდა ნეკრასოვი ხალხის შავ ბედს და ასეთივე ნაღველი იყო ჩაჭოვილი სიმღერის პანგში. ტყუილად ხომ არ უწოდებდნენ ნეკრასოვს „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“, „ჩაგრულთა და დევნილთა“ პოეტს. ამათ ბედს თუ დასტიროდა, სამაგიეროდ, შჩაგვრელთა, მუქთა-მჭამელთა, ხალხის სისხლის მწოველთა; ბანაკს დაშხამულ ისრებს სტყორცნიდა, ამიტომაც იყო, რომ მის მუზას ეწოდებოდა: მუზა რისხვისა და მწუხარებისა, მუზა შურისძიებისა და დრტვივნისა.

და აი ეს ნეკრასოვი ისე მძიმე ავადმყოფი შეიქმნა, რომ მისი მორჩენა საეჭვო გახდა. სტუდენტებისაგან თითქმის ყოველდღე დელეგაცია მი-

დიოდა ამბის შესატყობად. ნეკრასოვი დიდად ნასიამოვნები ჩაებოდა ასეთი ყურადღებით სტუდენტების მხრივ. საშინელი სწეულობისაგან დატანჯული და წამებულო, ნეკრასოვი მაინც გულს იმაგრებდა და სტუდენტებს სწერდა საკუთარს ხელით:

„А и в горé жить,
Не кручинну быть“.

ყველა ვატყობდით, რომ ნეკრასოვს სიცოცხლისკენ პირი აღარ ჰქონდა. ეს თვით ნეკრასოვმაც იგრძნო და ხელმეორედ სწერდა სტუდენტებს:

Нет, не поможет мне аптека,
Ни мудрость опытных врачей!
Зачем мне мучить человека?
О, небо, смерть пошли скорей!

ეს ხელნაწერები სასაღილოს კედელზე იყო გამოკიდული და ყველა დიდის ნაღვლით და მწუხარებით კითხულობდა.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ნეკრასოვი გარდაიცვალა. სტუდენტები ემზადებოდნენ მის დიდებულად დამარხვისათვის. ზოგნი ამ აზრსაც გამოსთქვამდა, რომ ესარგებლათ ამ შემთხვევით და სასაფლაოზე დემონსტრაცია მოეზდინათ, მაგრამ უმეტესობამ მოითხოვა, ეს აზრი უკუგდებულიყო ნეკრასოვის ხსენების პატივსაცემად.

დილა აღრიან ბასეინის ქუჩისა და ლიტეინის პროსპექტის კუთხე, სადაც „Отечественные Записки“-ს რედაქცია იყო და სადაც ნეკრასოვი ცხოვრობდა, ხალხით გაივსო. სქარბობდა უფრო სტუდენტობა. ამ ადგილიდან „Новодевичий монастырь“-ამდე, სადაც მიცვალებული უნდა დაესაფლავებინათ, ხუთ ვერსამდე მანძილი იქნებოდა. ამიტომ ადრე უნდა მომზადარიყო გამოსვენება. სტუდენტებს სწაღდათ ხელით წაეღოთ კუბო, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა: დიდი ყინვა იდგა, ნამდვილი დეკემბრის ყინვა. კუბო კატაფალკაზე დაასვენეს. სტუდენტებმა და პროფესორებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს და დიდ მანძილზე გაჭიმული წრე შეაიფინეს. რომ წესი და რიგი დაეცვათ. პოლიცია ახლოს არ მოუშვეს. მხოლოდ შორი-ახლოს მოგვედგა თვალყურის სადევნებლად, რომ სტუდენტობამ რაიმე უწყსოება არ მოახდინოს.

შორ ვხას, წირვის გადახდას ეკლესიაში, ანდერძის აგებას, გრძელ სიტყვას, რომელიც ეკლესიაში წარმოსთქვა მღვდელმა გორჩაკოვმა, ღვთისმეტყველების პროფესორმა უნივერსიტეტში, დიდი დრო მოუნდა. ეკლესიაში პირველად ვნახე კუბოში ნეკრასოვი. მისი ცოტა მოგრძო, მრავალტანჯული სახე დღესაც თვალწინ მიდგა. თითქმის ბინდი იყო ჩამდგარი, როცა მიცვალებული გამოასვენეს ეკლესიიდან. სანამ საფლავში ჩაუშვებდნენ, რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა.

პირველად გამოვიდა გამოჩენილი მწერალი დოსტოვესკი. შედგა ამალღებულ ადგილზე და მიხრწნილი, დასნეულებული ხმით ასე დაიწყო სიტყვა: ჩვენ წინაშე მდებარე განსვენებულმა ნეკრასოვიმ დიდი ადგილი დაიჭირა ჩვენს ცხოვრებაში პუშკინის შემდეგ. დოსტოვესკიმდე მაღალი მიუწოდომელი ადგილი უჭირავსო. აქ დოსტოვესკის სიტყვა შეაწყვეტინეს ყვირილით: არა, ნეკრასოვი უფრო მაღლა დგას, უფრო მაღლა. დოსტოვესკის რაღაც უნდა ეთქვა, თითქოს თავი უნდა ემართლა, მაგრამ ხმა ამოიღო თუ არა, მიიძახეს: უფრო მაღალი, უფრო მაღალი! ისედაც უსისხლო გაცრეცილი, დანაოკებული სახე უფრო გაუფითრდა, დაედრიჯა. დოსტოვესკი საბრალო სანახავი იყო. მერე ველარ შევამჩნიე, როგორ ჩამოვიდა ძირს და მიიმალა ხალხში.

იმის გასაგებად, თუ ასე შეუბრალებლად რად მოეპყრა დოსტოვესკის სტუდენტობა, უნდა ითქვას, რომ დოსტოვესკიმ იმ დროს სახელი გაიტება როგორც სტუდენტობის, ისე მოწინავე ინტელიგენციის თვალში. ამისი მიზეზი იყო, პირველი ის, რომ ამ დროს მისი რედაქტორობით და პოეტური თანამშრომლობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი, სახელიად „Дневник“, სადაც გამოსთქვამდა ისეთ აზრებს, რომლებიც მაშინდელი მთავრობისა და რეტროგრადების შეხედულებას საკვებით ეფერებოდა; მეორე კიდევ ის, რომ ამ ხანებში გამოვიდა მისი ახალი რომანი „Бесы“, სადაც ახალგაზრდობის ახალი მიმართულება, მისი რევოლუციონური მისწრაფება აბუჩად იყო აგდებული და უარყოფითი ნიშნებით დახასიათებული. სტუდენტობამ ეს ვერ აპატია დოსტოვესკის, მით უმეტეს, რომ მის დიდ ნიჭს დატყვევებული ყავდა მკითხველი საზოგადოება.

უკვე ბნელოდა, როცა უქანასკნელი მიწა მიაყარეს ნეკრასოვის საფლავს და ხალხი დაიშალა. მივიხედ-მოვიხედე, ჩვენები აღარავინ იყო, წასულ-წამოსულიყვნენ. დაეღონდი, ძალიან დაღლილად ვგრძნობდი თავს. ვფიქრობდი, „კონკაში“ ჩავჯდები და ცოტას შევისვენებ მეთქი. კარგად მახსოვდა, რომ ჯიბეში ხუთ კაპეიკზე მეტი არ მქონდა. თავი ვინუგეშე: ტექნოლოგიურ ინსტიტუტამდე როგორმე მივალ ფეხით, იქიდან კი ჩემ ბინამდე მისვლა ღირდა შაური, ე. ი. სწორედ იმდენი, რამდენიც ჯიბეში მეგულებოდა. მივჩანჩალდი ტექნოლოგიურ ინსტიტუტამდე. ამ „კონკის“ მოლოდინში ჩემი თანხების კვლევა-ძიებას შევუდექი. წარმოიდგინეთ ჩემი სასოწარკვეთილება, როდესაც ჩემი შეთხლებული ჯიბეები გადავატრიალ-გადმოვატრიალე და ორ კაპეიკზე მეტი ვერ აღმოვაჩინე. შაურზე ფიქრს თავი მივანებე. ახლა მთელი ჩემი ფიქრი და ზრუნვა იქითკენ იყო მიმართული, რომ ერთი კაპეიკი როგორმე აღმომეჩინა. ეს დიდი ბედნიერება იქნებოდა, რადგან სამ კაპეიკადაც შემემლო შინ მისვლა. უნდა გითხრათ, რომ მაშინ „კონკები“ ორსართულიანი იყო: ქვემოთ, დახურულში, შაური ღირდა, ხოლო ზემოთ, ღია უსახურავო ბანზე — სამი კაპეიკი. მართალია, ყინვა იყო დიდი, მაგრამ ამას ვინ დაგიდედა, ოღონდ დაღლილ-

დაწყებული ფეხებისთვის ცოტაოდენი შესვენება მიმეცა. ერთხელ კიდევ გულმოდგინეთ შევეუდექი ბედ-იბღლის გადაწყვეტი კაპიტან ტენისას, მაგრამ რას ეძებ, რაც არ შეგინახავს. დავემორჩილე ბედს, უფრო უფრო ვეუდექი ვხას.

ლამის ათი სათი იქნებოდა, რომ რის ვაი-ვაგლახით დაწყებული ფეხები შინ მივათრიე. ამხანაგებმა ბევრი მიკიფინეს: როგორ მოვივიდა, რომ უფულოდ წახვედი შინიდან მთელი დღითო.

უნივერსიტეტში ყოველწლივ იმართებოდა ეგრეთწოდებული წლიური აქტი, ე. ი. უნივერსიტეტის მთავრობა ანგარიშს იძლეოდა უნივერსიტეტის ცხოვრებისა და თავისი მოქმედების შესახებ წლის განმავლობაში. აი ერთი ასეთი აქტი გაიმართა 1879 თუ 1880 წელს, კარგად აღარ მახსოვს. აქტი ჩვეულებრივ იმართებოდა უნივერსიტეტის ეგრეთწოდებულ „სააქტო ხალაში“. ეს ხალა წარმოადგენდა დიდს ორსართულიან დარბაზს. ზემო სანათურებთან დარბაზს შემოვლებული პქონდა ირგვლივ ფართო აივანი მოაჯირით. აქტს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა, რომელთა შორის, სტუდენტთა და პროფესორთა გარდა, გარეშე ხალხიც ბლომად იყო. ამ აქტს სხვათა შორის ეწვივნენ საპატიო წევრები, მათ შორის გამორჩენილი მოგზაური პრეფერენსი და განათლების მინისტრი საბუროვი, რომელსაც თან ახლდნენ სამინისტროს დიდი მოხელეები.

დარბაზში ტევა არ იყო. შესავალ-გასავალი გზაც კი ესტრადამდე, სადაც პროფესორები და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენელი იყვნენ, სტუდენტებით იყო გაჭედილი. რაღაც არაჩვეულებრივი მოძრაობა ემჩნეოდა სტუდენტობას, რაღაც ჩუმი ლაპარაკი, ჩურჩული ისმოდა. ყური მოგვკარი — აივანზე ეელიაბოვი და პეროვსკაია არიანო. დიდად მინდოდა მათი ნახვა, მაგრამ როგორ ავიდოდი ზევით, კიბე ისე იყო გაჭედილი, რომ ხელის განძრევაც კი უჭირდათ იქ მდგომთ. შემდეგ მომხნდა მაინც ეელიაბოვისა და პეროვსკაიას ნახვა, მხოლოდ სხვა ადგილას და სხვა გარემოებაში, რაზედაც ქვემოთ მექნება ლაპარაკი.

დავრჩი ისევ დარბაზში. პრორექტორი წლიურ ანგარიშს კითხულობდა ერთხმაზე. სიჩუმე იდგა. უეცრად რაღაც ტყაცუნე გაისმა, გვეგონებოდათ ვიღაცამ სახანავე მაგრად მაგიდას დაარტყაო. შეიქმნა ჩოჩქოლი, ხალხი აირ-დაირია. ზოგმა გასაველ კარებს მიაშურა, ზოგი ესტრადის ახლოს აღმოჩნდა, იმ ადგილას, სადაც სილა ნაკრავი მინისტრი იჯდა. საბუროვი ადგილიდან არ იძროდა. საბრალო სანახავე იყო: ყბა აწითლებული, გაშტერებული, გაჭვავებული იჯდა უძრავად თავის სავარძელში. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს თავბრუ აქვს დასხმული და ვერა გრძნობს, რა ხდება მის ვარშემო.

სილის გარტყმის უმაღლესი აი რა მოხდა დარბაზში; აივანიდან ვიღაცა ლაპარაკობდა სმამალა და იმავე დროს ზემოდან წვიმასავით წამოვიდა ქალაქის ფურცლები, სადაც მუქარით სწორდნენ: დღეს მინისტრს საბუ-

როეს სილას ვარტყამთ, ხვალ სხვები უარესს მოელოდნენ. თქვენი მიზნი და ტყვია ჩვენ ვერ შეგვაშინებს, ჩვენ დაწყებულ საქმეზე ხელს არ ავიღებთ, ვიდრე ჩვენსას არ გავიტანთ. თქვენი ძალადობით, შესწრაფებით ვერას გახვალთ, სიკვდილის შიშით ვერ შეგვაყენებთო. შიშ-სიკვდილი

და რომ ეს უსაფუძვლო ტრაბახი, ლიტონი სიტყვების რაბა-რუხი არ იყო, ამის მოწმენიკ მალე გავხდით. ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი.

დარბაზი თითქმის დაცლილი იყო, როდესაც პოლიცია და ენდარმენი გაჩნდნენ. დაიწყო ჩვეულებრივი ჩხრეკა-ძიება. ვინ იყო სილის გამარტყმელი, ვერა ვაუიგეთ რა. ბევრი კი დაიჭირეს. ბევრი სტუდენტი გამოაკლდა ამხანაგობას და უნივერსიტეტში აღარ დაბრუნებულა. რა ბედი ეწვია მათ, ეს ჩვენთვის, გადაარჩენილთათვის, საიდუმლო შეიქმნა. და ეს საიდუმლო იცოდა მხოლოდ პეტრე-ბაველეს ციხის ნესტიანმა კედლებმა და ცივი ციმბირის შორეულმა, გადაეარდნილმა ადგილებმა.

ბრძოლა გამწვავდა. მთავრობა მეტ სისასტიკეს იჩენდა, ძალადობას აძლიერებდა. მეტადრე დიდა იერიში მოიტანა უნივერსიტეტში და საზოგადოდ უმაღლეს სასწავლებლებზე, რადგან კარგად იცოდა, რომ რაზმები „კრამოლნიკებისა“, როგორც მაშინ უწოდებდნენ მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერებს, იქიდან გამოდიოდა და დანაკლისიც იქიდანვე შეივსებოდა ხოლმე. საქმე იჭამდის მივიდა, რომ განიზრახეს უნივერსიტეტის დახურვა, სრულიად გაუქმება. მაგრამ ეს განიზრახვა სისრულეში არ მოიყვანეს, ამისი ჭკუა კიდევ შერჩათ. მიხვდნენ, რომ აჭამდის პატარა რაზმები იკრიბებოდა, უნივერსიტეტში, ამის შემდეგ კი, როდესაც უნივერსიტეტი დაიხურებოდა, თუნდაც დროებით, უსაქმოდ დარჩენილი სტუდენტობა რევოლუციონერთა მთელ არმიად გადაიქცეოდა.

მთავრობის ძალადობაზე რევოლუციონერებმა ასეთივე ძალადობით უპასუხეს. თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ — გადაწყვიტეს მათ და საქმესაც შეუდგნენ. ჯერ იყო და მინისტრებს, პოლიციისა და ენდარმის უფროსებს დაუწყეს დევნა: ზოგი მოკლეს, ზოგიც დაასახიჩრეს. მათ გმირულ, ვაბედულ მოქმედებას განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა. გამოდიოდნენ არა ლაჩრულად, არა ფარულად, არა პოლიციელებისა და ჯარისკაცების ზურგს უკან, არამედ პირდაპირ, სათითაოდ, დღისით და ისეთ წუთებზე, სადაც განუწყვეტელი მოძრაობა იყო ხალხისა.

ამ ამბების ვაგონებაზე მტრები გულზე მოდიოდნენ და კბილებს აკრატუნებდნენ, თანამგრძობნი და მოყვარენი კი ხმამალლა თუ არა, ვულში მაინც ვაშას უძახდნენ.

მალე ამ წვრილფეხობას თავი მიანებეს. მოიკრიბეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ და იერიში თვით ხელმწიფე ალექსანდრე მესამეზე მიიტანეს.

ხელმწიფის მოკვლის საქმე მინდობილი ჰქონდა ტერორისტების ერთ ჯგუფს. სათავეში მათ უდგნენ ე ლ ი ა ბ რ ვ ი, პ ე რ ო ვ ს კ ა ი ა, კ ი ბ ა ლ ჩ ი ჩ ი და სხვები. მათ ჰქონდათ საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდე-

ბოდა წიგნაკები და პროკლამაციები საზოგადოების მოსამზადებლად და იმის გასაცნობად, თუ რა მიზანი აქვს მათ ტერორისტულ მოქმედებას. ჰქონდათ აგრეთვე ქიმიური ლაბორატორია, სადაც ამზადდებოდა საფეთქებელ ყუმბარებს.

დაუწყეს ხელმწიფეს დევნა და ისეთი წესით, გვეგონებოდათ საომარი ალყა აქვს შემორტყმულიო, რომ მტერი არსად არ ვაეპაროთ. ჯერ კიდევ ყირიმში დაუპირეს მოკვლა. რაწამს გაიგეს ეს, ხელმწიფემ მაშინვე მიანება თავი ყირიმს და პეტერბურგს მიაშურა. მაგრამ ორ ადგილას ვზავთ იაყ ხაფანგი ჰქონდა დაგებული. ალექსანდროვსკში, ეკატერინოსლავის ვუბერნიაში, რკინისგზის ხიდი იყო მომზადებული ასაფეთქებლად, მოსკოვში კიდევ რკინისგზის ლიანდაგს ნაღმი ჰქონდა ჩადებული. და მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა ხელმწიფე ორსავე ადგილას ხიფათს. მერე იყო და ხალტუჩინმა სასახლე აუფეთქა, სწორეთ სადილობის დროს, და ხელმწიფე მთელი ოჯახით ვერ გადაურჩებოდა დაღუპვას, რომ უბრალო შემთხვევის გამო სადილი არ დაგვიანებულყო. შემოთ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ სწორეთ ამ დღეს უცხოეთიდან მოელოდნენ დიდ სტუმრებს, მაგრამ მატარებელმა დაიგვიანა ნახევარი საათით და ამ გარემოებას ხელმწიფე და მისი „უავეგუსტოესი“ სტუმრები სიკვდილს გადაარჩინა.

ახლა აქ პეტერბურგში, შეუდგნენ დევნას. ამ გამუდმებითი დევნით ისე იყო თურმე ხელმწიფე ნერვებ-აშლილი, დაშინებული, რომ სასახლეში, ღამ-ღამობით ველარ რჩებოდა და ხან მემკვიდრესთან ათედა ღამეს, ხან სხვა თავის ნათესაებთან. მაგრამ მაინც მოკლეს.

ეს მოხდა ნაშუადღევის პირველ თუ ორ საათზე. ეს ამბავი ელვასავით მოედო პეტერბურგს, ასე რომ ოთხ საათზე უკვე ვიცოდით საქმე დაწერილებით. თუმცა წინა დღეებში, როდესაც ყოველ ხმები დადიოდა, რომ დიდი რაღაცა მზადდებოდა, უნივერსიტეტის გულკეთილმა რექტორმა ბეკეტოვმა შეგვეკრიბა სტუდენტები და გვიჩვენა დღეს შინ დავრჩენილიყავით და ქუჩაში სიარულს მოვრიდებოდით, მაგრამ ვინ იყო გამგონი. მართლაც და პოლიციამ, რომელიც არა სისამაგლეს არ ერიდებოდა, აამოძრავა ამ ხანებში პეტერბურგის ნაძირალები და ხულაგნები. მათი შემწეობით სურდა სტუდენტების, საზოგადოდ, ინტელიგენციისა და ებრაელების რბევაცლება. კეთილგონიერება მოითხოვდა ქუჩაში სიარულს მოვრიდებოდით. მაგრამ ხელმწიფის მოკვლის არაჩვეულებრივმა ამბავმა ისე ვაგვიტაცა, რომ შინ ვული აღარ გვიდგებოდა, გვინდოდა მეტი რამ ვაგვეყო. მეტად რე ზულსა ვეძლედა და გვიზიდავდა სურვილი, გვენახა ის ადგილი, სადაც ხელმწიფე იყო მოკლული.

იქნებოდა ასე ზუთი საათი, როცა სახლიდან გამოვედით. დიდხანს არ ვაუვლია, რომ მკვლელობის ადგილას ვიყავით. კარგა ბლომა ხალხი შეყრილიყო. ხმამალალი ლაპარაკი არ ისმოდა. მხოლოდ გაფაციცებით რა



ლასაც ეძებდნენ. თურმე ეტლის ნამტვრევებს, ტანისაშოსის ნაგლეჯებს კრებდნენ „სახსოვრად“.

ერკუნეული

მალე დააპატიმრეს ამ საქმის ყველა მონაწილე მკვლელებისგანგებო სასამართლოს გადაეცა გასარჩევად. სამართალი იყო „სწრაფი“, მხოლოდ არა „მოწყალე“: ეჭვს კაცს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ამათგან დაისაჯა მხოლოდ ხუთი, სახელდობრ: ეელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი, მიხაილოვი და რისაკოვი. მეექვსე კი, ქალი, გესია გელფმანი, მშობიარე იყო, ამიტომ მისი დასჯა დროებით გადადეს და ციხეში დატოვეს, ვიდრე მოიმშობიარებდა.

მკვლელობა მარტში მოხდა, ხოლო აპრილში სასჯელი უკვე სისრულეში მოიყვანეს. ჩამოახრჩეს საჯაროდ, სემიონოვის მოედანზე, ეს მოედანი ეზოა სემიონოვის პოლკის ყაზარმებისა, ამასთან იმდენად ფართო და დიდი, რომ მაშინაც და შემდეგშიაც, ბოლო ხანამდე, იქ დოლი იმართებოდა. გასამართლებულნი დილით ადრე უნდა გამოეყვანათ იმ სახლიდან, სადაც ისინი უკანასკნელად იყვნენ დაწყვედიული. ეს სახლი კარგა შორს იყო ჩემი ბინიდან, ოთხ ვერსამდე იქნებოდა. და თუმცა ადრე გამოვედი შინიდან, სატუსალო სახლიდან გამოყვანას მაინც ვერ მიეუსწარი. ნადეჟდინის ქუჩაზე ძლივს დავეწიე. შემადრწუნებელი სურათი წარმომიდგა თვალწინ. წარმოიდგინეთ დიდი ღია ეტლი, ზედ იდგა სამ რიგზე გაწყობილი ხუთი სკამი. სკამებზე ისხდნენ უკანასკნელად მიმომგზავრნი ამა ქვეყნად. ისხდნენ პირუტყულმა, ე. ი. ზურგი ცხენებისაკენ ჰქონდათ შექცეული. პირი კი ხალხისაკენ. ეტლს ყოველშორივ შემორტყმული ჰყვანდა დიდძალი ჯარი. წინ და უკან ეტლს მისდევდნენ ჯარისკაცები, რომელნიც განუწყვეტლივ აბრაგუნებდნენ დოლს და აჰყვიტინებდნენ სტვირებს რაღაც მაღალი მწივანა ხმით. არც წინათ მენახა და არც შემდეგ მინახავს ასეთი უსიამოვნო ხმის სტვირები. იქნებ მხოლოდ ამგვარ საგანგებო შემთხვევისათვის ხმარობდნენ ასეთ სტვირებს? ამ საკრავებისა და ქუჩებში თავმოყრილი დიდძალი ხალხის ხმაურისაგან ისეთი ყრიაპული იდგა, რომ ყურთა სმენა არ იყო, თავსბრუ მესხმოდა.

პირველ რიგში ისხდნენ: ეელიაბოვი და პეროვსკაია. ეელიაბოვი, ნასტუდენტარი, გლეხის შვილი, შუა ტანის კაცად მოჩანდა, მოკლე წვერულევიშით. თავჩალუნული იჯდა, წელში მოხრილი შეწუხებული გამოიყურებოდა. როგორც ეელიაბოვს, ისე სხვებს სატუსალო ტანისაშოსი ეცვათ.

ეელიაბოვის გვერდით იჯდა პეროვსკაია, დიდი არისტოკრატიული ოჯახიდან გამოსული. მისი მამა პეტერბურგის გუბერნატორი იყო, ხოლო პაპა — მინისტრი. პეროვსკაია შავებში იყო ჩაცმული. ტანთ ესხა შავი მანტოს მაგვარი სამოსელი. თავს ეხურა შავი მანდილი, ყაბალახის მაგვარი, მხოლოდ ცოტად ზემოთ აწოწილი. მანდილი ცოტა უკან გადავარდნილი ჰქონდა და მოქერო თმა ჩამოშლოდა მაღალ თეთრ შებლზე. დაწვებზე მუქი წითელი ლაქები გადაჰკრავდა და, რაც უნებლიედ ყურადღე-

ბას იტყვებდა, ეს ლაქები ხან მიკრთებოდა და ხან უფრო მეტად მიკრებებოდა. ტანგაშლილი იჯდა და სახეზე სრული სიმშვილე იტყუებოდა, როგორც ველიაბოვის, ისე პეროვესკიას ერთხელაც არ განდობილი ხალხისათვის. თითქოს ამ ქვეყნისანი აღარ იყვნენ და ხალხის ყრიაბული მათ ყურს აღარ სწევდებოდა.

ველიაბოვის უკან იჯდა მიხაილოვი, ქარხნის მუშა. თუმცა ყველას ხელები გაბაწრული ჰქონდა და ზურგს უკან სკამზე მაგრა მიკრული, მიხაილოვი მაინც ახერხებდა ტანის ვადმოხრას ხალხისაკენ. ეტყობოდა მაღალი ტანისა იყო. სახე ძალიან აღვზნებული ჰქონდა და თვალებს ისე ატრიალებდა, გეგონებოდათ ცოტა შერყეულიაო. გაცხარებული ხალხს რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვები არ შესმოდა, რადგან ცოტა მოშორებით ვიყავი. ესეც რომ არ ყოფილიყო, ისეთი ხმაურობა და განგაში იდგა, რომ ყურთა სმენა არ იყო.

მიხაილოვის გვერდით, მეორე რიგში იჯდა კიბალჩიჩი, შუათანა ტანის კაცი, შავგვრემანი, მოგროო წვერით. სახე მშვიდი და წყნარი ჰქონდა, თვალები თითქოს ერთ რაღაც უხილავ წერტილს მისჩერებოდა გაშტურებით და საღდაც შორს, შორს გაიციქრებოდა. ეს ქვეყანა მისთვის აღარ არსებობდა, ხალხის ყრიაბული, მღელვარება მასზე არ მოქმედობდა, ყველა ეს მისთვის შორეული, დაეწყებული ამბავი იყო.

მესამე რიგში მარტოდ იჯდა მეხუთე განწირული — რისაკოვი. შორიდან სულ ყმაწვილს ჰგავდა. მეექვსე-მეშვიდე კლასის მოწაფეს მოგავონებდათ. ნუ დაივიწყებთ, რომ იგი სულ ცხრამეტი წლისა იყო, სამთო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი. პირტიტველა, მრგვალი სახე ჰქონდა, მოკლე, ოდნავ ზემოთ აწეული ცხვირით, იჯდა უძრავად თითქოს გაქვავებულაო.

აგერ გამოჩნდა სემიონოვის მოედანიც. შუაგულში ხუთი სახრჩობელა დგას. მარტო დანახვა ადამიანს ფრუანტელსა ჰვერის ტანში. იქვე ამართული იყო ფიკრის ამალღებული ესტრადა, სადაც თავი მოეყარათ სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ. დაიწყეს დაუსრულდებელი კითხვა რაღაცა ქაღალდებისა. ნეტავი ვისთვის არის ეს საქირო? — ვეკითხები ჩემს თავს. ჩვენ, დამსწრეთ, შორიდან სულერთია, არაფერი გვესმოდა. მომაკვდავთათვის? მათ წინაღვე იცოდენ, რა ბედიც მოელოდათ და ან განა მათთვის სულერთი არ იყო, რომელი კანონის მუხლის ძალით მოუსპობდენ სიცოცხლეს? განდარმებს, პოლიციელებს და სასამართლოს მოხელეებს, რომელნიც ამ წესს ასრულდებდენ, ზომ ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ. მაშ რა იყო მთელი ეს ცერემონია? ფარისევლობა, თვალთმაქცობა, ოინბაზობა, სხვა არაფერი, მოგონილი უწმინდური სინდისის დასამშვიდებლად, თავისი მზაკვრული საქციელის ვასამართლებლად.

პირველად ჩამოსახრობად მოამზადეს ელიაბოვი და პეროვსკაია. ისინი უკანასკნელად ეამბორნენ ერთმანეთს, გულითადად გაშლეთხოვნენ მიხაილოვს და კიბალჩიჩს, რისაკოვს კი პირი უბრუნეს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ძალიან გამაკვირვა. შერე გავიგე მიზეზი. თურმე რისაკოვმა გასცა ზოგი ამ საქმეში მონაწილე. რისაკოვი ძალიან ახალგაზრდა იყო, თითქმის ყმაწვილი. ცხოვრებაში ახლად ჰქონდა ფეხი შედგმული, ახალგაზრდულმა აღფრთოვანებამ გაიტაცა და მძიმე მოვალეობა იღო კისრად. პატიოსნადაც შეასრულა. მაგრამ ციხეში, მარტოდ-მარტო დარჩენილი, რომ ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, სიკვდილი რომ ახლო იგრძნო, შეკრთა, სულმოკლეობას მიეცა.

ელიაბოვი და პეროვსკაია, სახლობელაზე ჩამოკიდებულნი რომ დავინახე, შეგვკრთი. არ მეგონა, თუ ასეთი საზარელი სანახავი იქნებოდა. გულმა რაღაც საშინელი ტკივილი იგრძნო. მეტი ვეღარ შევძელი. თვალი ავარიდე. წყველა-კრულვა შევეუთვალე, ვინც ამის ღირსი იყო. პირი ვიბრუნე და წამოვედი. უკან აღარ მომიხედნია. ისეთს გრძნობას განვიცდიდი, თითქოს მეც რაღაც მონაწილეობა მიმეღოს ამ საშინელ უსამართლოებასა და მიუტყეველ ბოროტმოქმედებაში.

პეტერბურგს ჩვენს დროში დიდი მიმზიდველობითი ძალა ჰქონდა ახალგაზრდობისათვის, ვინც სწავლისა და განვითარების წყურვილსა გრძნობდა. ამის მიზეზი მრავალი იყო. ჯერ ერთი, იქ იყო ყოველგვარი უმაღლესი სასწავლებელი: უნივერსიტეტი, საუკეთესოდ მოწყობილი საექიმო აკადემია, ინსტიტუტები: ფილოლოგიური, ტექნოლოგიური, საგზაო, სამთო და მრავალი სხვა, სადაც ათიათასობით ითვლებოდა სტუდენტობა. მეორე — აქაური პროფესორები ითვლებოდნენ საუკეთესო მეცნიერებად მთელს რუსეთში. და, ბოლოს, პეტერბურგს უმეტესად ამშვენებდა ის, რომ აქ ჰქონდათ თავი მოყრილი საუკეთესო საზოგადოებრივ მოღვაწეთ, აქ შეკრებილიყვნენ საუკეთესო მწერლები და პუბლიცისტები, აქ იბეჭდებოდა საუკეთესო ჟურნალები და გაზეთები. პეტერბურგის დახასიათება ამ მხრივ მოკლედ რომ შეიძლებოდეს, ასე ვიტყვოდი: ეს ამოდენა გონებრივ ძალას, ნიჭს, ცოდნას, შეკრებილს ერთ ალაგას, უხილველად გაუფლენთია მთელი აქაური ჰაერი. სუნთქავ ამ ჰაერს და მასთან ერთად ამ დიდ საუნჯესაც. შენდაუნებურად მდიდრდება შენი ქკუა და გონება, გეცვლება მსოფლმხედველობა, იზრდება შენი სულიერი მოთხოვნილება, გრძნობ შეუშინველად ყველა ამის ზეგავლენას და სცდილობ სხვას არ ჩამორჩე, მეტად განვითარდე, მეტი გონებრივი სიმდიდრე შეიძინო. ამით აიხსნება ის, რომ მაშინდელი მოსწავლე ახალგაზრდობა ასე ეწაფებოდა ყოველგვარ წყაროს, საიდანაც მოელოდა ცოდნის წყურვილის მოკვლას. ამიტომაც იყო, რომ, გარდა სავალდებულო ცოდნისა, რომელსაც იძლეოდნენ უმაღლესი სასწავლებლები, დიდის ხალისით და გა-

ტაცებით თვალყურს ვადევნებდით ყველაფერს, რაც კი თვალისაღწეა გამოჩნდებოდა მეცნიერებაში თუ ლიტერატურაში.

ფილოსოფიაში იმ დროს დიდი ადგილი ეკირა ოგანქსტუჟანტს და ინგლისელ ფილოსოფოსს სპენსერს. სპენსერი შეეცდებოდა მეტყველებაზე დაემყარებინა თავისი ფილოსოფია, აქედან გამოეყვანა მისი არსებითი დედააზრი, მაგრამ, ვგონებ, ვერ შეძლო, ვერ ჩასწვდა მის სიღრმეს, ვერ სძლია მისი უსაზღვრო სიგრძე-სიგანე.

მეტის-მეტე ვულგოდგინებით ვადევნებდით თვალყურს ლიტერატურას სოციალიზმის და სოციალური მოძრაობის შესახებ. სენსიმონის, ფურიეს, ოუენის, პრუდონის, ლასალის და სხვათა ნაწერები ჩვენთვის საუკეთესო წიგნები იყო, რომლებსაც ვატაცებდით კეთილ-ხულობით. მეტადრე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე ლასალს. მისი ახალი გაბედული აზრები იმის შესახებ, თუ რა გვარი დამოკიდებულება და განწყობილება უნდა იყოს სახელმწიფოსა და მუშა ხალხს შორის, როგორ უნდა მოეწყოს ახალი წესით საზოგადოება, — ყოველივე ეს ალტაცებას იწვევდა ჩვენში. ასევე დიდი მწუხარება ვიგრძენით, როდესაც შევიტყუეთ ლასალის მოულოდნელი, უდროვო და ტრაგიკული სიკვდილის ამბავი.

ოუენის კეთილშობილური წადილი, ფურიეს რწმენა, რომ მისი „ფალანსტერები“ ღარიბ, შშიერ ხალხს გააბედნიერებდა, დიდ სიხარულს გვიღვიძებდა გულში, თუმცა თან ეჭვიც გვებადებოდა, რომ ამ გზით შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნად „მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების“ დამყარება. ერთიც და მეორეც უტოპისტები იყვნენ.

პუბლიცისტიკაში აღარ ისმოდა მძლავრი და ცხოველი სიტყვა ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და პისარევის: ორი უკანასკნელი ცოცხლები აღარ იყო, ჩერნიშევსკი კი, თუმცა ცოცხლებში ითვლებოდა, მაგრამ, ჩვენში რომ იტყვიან — გინდა მკვდარი, გინდა შინ მოუსვლელიო, — სწორედ ასე იყო მისი საქმე. ჩერნიშევსკის შინ დაბრუნების იმედი აღარავის ჰქონდა: მთავრობამ სამუდამოდ განაძევა შორს, ციხე ციმბირში, სადღაც გადავარდნილ, მივიწყებულ, ჯურღმულ ალაგას, ქალაქ ვილუისკში.

პუბლიცისტიკაში ამათი ადგილი ჩვენს დროს ეკირა მიხაილოვისკის. ეს იყო კანონმდებელი რუსეთის კრიტიკული აზროვნებისა, მიმართულებისა. მისი შეხედულება მისი აზრი გამეფებული იყო. ახალგაზრდობა და მოწინავე საზოგადოება ამ აზრებით იკვებებოდა. მიხაილოვისკის დიდი ცოდნა ჰქონდა, დიდი გონებრივი ძალა და უნარიც შესწევდა ცხოვრების მოვლენათა ღრმად გამოკვლევისა, მათი გაშუქებისა, სახელმძღვანელო დასკვნის გამოყვანისა. მაგრამ მე ჩემად მაინც ვიტყვი, რომ მიხაილოვისკი უფრო მეცნიერი იყო, თუ გნებავთ, ფილოსოფოსი, ვიდრე პუბლიცისტი. მისი ნაწერები ჰკუთას ვასწავლიდა, ცოდნას გძენდა, მაგრამ არ გიტაცებდა, ვინათებდა, მაგრამ არ ვაბობდა. ერთის სიტყვით, მიხაილოვისკის აკლდა ის, რასაც ტოლსტოი „ნიჟუმინკას“ უწოდებდა, ის

„იზიუმინკა“, რომელიც მწერლის ქმნილებას სიცოცხლის მთავრობას აძლევს, მკითხველს აღფრთოვანების ბადეში ახვევს, ხიბლავს, იზიდავს და იტაცებს იქით, იმ მიზნისაკენ, რომელიც მწერალს დასახელო ბევს.

მიხაილოვსკის პირადად გაცნობის შემთხვევა მომენტურად ასე შეხვდა: ბილეთი მომცეს ერთ სალიტერატურო საღამოსათვის, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც წამკითხველებს, სხვათა შორის, დოსტოევსკის და მიხაილოვსკის. დოსტოევსკი ვერ მოვიდა რალაც მიზეზის გამო. მიხაილოვსკიმ წაიკითხა, მაგრამ ვერაფერი მკითხველი გამოდგა, ცოტა მორცხვობდა კიდევ, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ ქცეული მუდამ კაბინეტში მომუშავეთ.

ცეკვა-ლხენის დროს მიხაილოვსკი დარბაზში დარჩა, მუსაიფობდა ნაცნობ სტუდენტებთან, რომელთა შორის ჩვენი თანამემამულე ხელთუფლიშვილის ქალიც იყო. და იმ ამ უკანასკნელმა ჩვენც გაგვაცნო მიხაილოვსკი. გარეგნობით მიმზიდველი შეხედულებისა იყო: შუათანა ტანისა, სუსტი აგებულობისა. გრძელი ოქროსფერი, უკან გადავარცხნილი ხშირი თმა, ასეთივე უღვაშები და გრძელი მოხუტუქო წვერი, მაღალი, ცოტა წინ წამოწეული შუბლი და სწორი ცხვირი ამშვენებდა მის სუფთა კანის პირისახეს. თვალებიდან ოქროს პენსნეს არ იშორებდა, თვით თვალები ცოტა მშრალად მეჩვენა, თუმცა ჰკვიანურად კი გამოიყურებოდნენ. თავი ძალიან მდაბლად ეკირა, ლაპარაკით ძალიან ცოტას ლაპარაკობდა.

იქვე გავიცანი ანტონოვიჩი. ეს საბელი ახლა იქნებ ბევრმა პირველად გაიგონოს, თავის დროზე კი ის კარვად ცნობილი იყო. ის იყო ერთი მთავარი თანამშრომელი ჟურ. „Современник“-ისა, სადაც ღირსეულად მზარს უმშვენებდა ჩერნიშევსკის. ანტონოვიჩი უღმობელი და დაუდგრომელი მოკამათე და მოქიშვე იყო პისარევისა. ეს უკანასკნელი თუ ცხარე იყო კამათში, არც ანტონოვიჩი ჩამოუვარდებოდა სიტყარეში. ამის საპოლემიკო ნაწერებს რომ კითხულობდით, ასე გეგონებოდათ, ანტონოვიჩი რალაც კაცობა ადამიანი უნდა იყოსო. გოროზი შეხედულობისა, მრისხანე თვალებით, რომელიც ლაპარაკის დროს პირიდან სულ ცეცხლს აფრქვევს. წარმოიდგინეთ ჩემი უსაზღვრო განცვიფრება, როდესაც საკლუთარი თვალთ ვიხილე ეს კაცი. გარეგანი შეხედულებით სწორეთ დასაკლავ ბატკანს მოგაგონებდათ. მსავეით მშვიდი, წყნარი, უწყინარი. იფიქრებდი, ყელში დანა რომ დაპკრა, მაშინაც ხმას ვერ ამოაღებინებო. პირზე თავილი ჩამოსდიოდა, მისი სიცილი უმანკო ბაეშვის ღიმილს მოგაგონებდათ. არა მეგეროდა, რომ ჩემ წინ იდგა ანტონოვიჩი, მკაცრი, სასტიკი, უღმობელი მწერალი პოლემისტი, როგორადაც მას ვიცნობდი, ისეთი მოულოდნელი, დაუგერებელი განსხვავება იყო ჩემ წინასწარ წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის.

ჩემს დროს ქართველ სტუდენტობას საკლუთარი წრე პქონდა შედგენილი. ვიკრიბებოდით დროგამოშვებით ვასო მაჩაბლის ბინაზე, ლიტეინის პროსპექტზე. ვისო მაჩაბელი, ნაფიცი ვეკილი, უფროსი ძმა

იყო ვანო მაჩაბლიძე, ცნობილ ქართველ მოღვაწისა. კრებებზე ხშირად ოცდაათ კაცამდე მოიყრიდა ხოლმე თავს და, როგორც ახალგაზრდობას შეეფერებოდა, ცხარე სჯა-ბაასი იმართებოდა. უფროსნი სავანი სჯა-ბაასისა იყო ჩვენი სამშობლოს მომავალი სპეციფიკური კრებებით, საქართველოში დაბრუნებისას რა საქმეს დაედგომოდით, მუშაობისათვის რა ასპარეზი ამოგვეჩია, რა გზით მივშველებოდით მუშა ხალხს, გლეხობას, რომ მათი ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდეს. და კიდევ ბევრი სხვაგვარი საჭირობოროტო საკითხი აღიძვრებოდა ხოლმე ჩვენ კრებებზე და ცხარე მსჯელობას, აზრთა ვაცვლა-გამოცვლას იწვევდა.

ჩვენი მომავალი მოქმედების გეგმის შედგენასაც ვეცადეთ, მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოვიდა. გეგმა ქალაქზე დარჩა: მეტად ფართო იყო და მტკიცე ნიადაგს მოკლებული გამოდგა.

ჩვენი წრის კრებებს ესწრებოდნენ აკაკი, ნიკოლაძე, როდესაც კი პეტერბურგში ყოფნა მოუხდებოდათ. ერთხელ დიმიტრი ყიფიანიც გვეწვია. ჩვენს ცხარე ბაასში ჩაერია და ასეთი სიტყვა ჩაურთო: ჯერჯერობით დიდ საქმეს ნუ შეეჭიდებით; კარგი პატრონი სახლის შენობას რომ დააპირებს, ჯერ მასალის მოშაღებას შეუდგება და მერე შენობას დაიწყებს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მომუშავე ძალები ცოტა ჰყავს, სიფრთხილით უნდა მოიქცეთ. დიდ საქმეს ნუ ჰკიდებთ ერთბაშად ხელს, რომ არ დაიძალნეთ და ჩვენ სამშობლოს არ მოაკლდეთო. ჭკვიანი, ცხოვრებაში გამოცდილი კაცი იყო ყიფიანი, მაგრამ ახალგაზრდობას ალლო ვერ აუღო, მისი ივაგებით ნათქვამი სიტყვები ვერ მოხვდა ჩვენს გულს, მისმა სიტყვებმა უარყოფითი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზე. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ეს იგარძნო ჭკვიანმა ყიფიანმა, მაშინვე ადგა და ზრდილობიანად გამოგვემშვიდობა.

რამდენსამე ჩვენს კრებას დაესწრო აგრეთვე ღრმად მოხუცი, დამახურებული პროფესორი ქართული ენისა ჩუბინაშვილი, შემდგენელი ყველა ქართველისთვის ცნობილი ლექსიკონისა. რამდენიმე ლექსიაც წაგვიკითხა საქართველოს წარსულზე.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩუბინაშვილი ღრმა მოხუცი იყო იმ დროს, 80 წელს იქნებოდა გადასული, და, როგორც მოხუცს, ლაპარაკი უყვარდა. კარგი ტკბილი მოლაპარაკეც იყო. სალაპარაკო მასალად მაშინ ჰქონდა „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელიც იმ ხანებში სთარგმნა და გამოსცა რუსულად პროფესორმა ცაგარელმა, ჩუბინაშვილის მოადგილემ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრაზე. რუსულად ასე იყო ნათარგმნი: „Книга мудрости лжи“. ჩუბინაშვილს ეს არ მოსწონდა, უკეთესი იქნებოდა ასეთი თარგმანი: „Книга мудрости во лжи“. ამას მალე თავს მიანებებდა და სხვაზე გადავიდოდა: ჰო, აი ამ წიგნში ერთი კარგი ზღაპარია იმის თაობაზე, თუ როგორ დამეგობრდნენ მელია და მამალი და იერუსალიმში ვაემგზავრნენ სულის საცხონებლად. მელია

ქვეიანი იყო, მამალი კი სულელი... აქ შედგებოდა და მერე სხვა საგანზე გადავიდოდა, ისევ ცაგარელს დაუბრუნდებოდა.

ვაპატიოთ ასეთი ლაპარაკი ჩუბინაშვილს. მინც ვაქცევილი და ტკბილი კაცი იყო. ახლაც თვალწინ მიდგა ეს პატარა ტანის, მრგვალი კაცი ვაუჭრობელი პაპიროსით პირში და ტკბილად, მამაშვილურად მოსაუბრე. პროფესორი ცაგარელი სრულიად არ დასწრებია ჩვენს კრებებს. საზოგადოდ ქართველ სტუდენტებს არ იკარებდა თავისთან და სტუდენტებმაც არ იცოდნენ მისი სახლის კარი.

ჩვენმა წრემ განიზრახა ქართული წარმოდგენის გამართვა. დადგმულ იქნა „მზის დაბნელება“, მხატვართა კლუბში, გაგარინის ქუჩაზე. ბევრი დაბრკოლება გადაგველობა წინ. მეტადრე გავვიძინელდა ტანისამოსის შოვნა. მაგრამ ყველა სიმძნელე დავსძლიეთ და საქმე მოვაწყეთ. სასიძოს როლს თამაშობდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საზღვარგარეთიდან იყო დაბრუნებული და დროებით პეტერბურგში ცხოვრობდა. თამაში, მიხვრა-მოხვრა მეტად ეშხიანი ჰქონდა, მხოლოდ ხელს უშლიდა მისი მუდმივ ჩვეულებად ქცეული ნაკლი: აჩქარებული, სხაპა-სხუპით ლაპარაკი. ყარაჩოღელ ძმა-ბიჭების როლს თამაშობდნენ კეზელი, გ. ანდრონიკაშვილი (ახლა ინჟინერი) და მ. ალიბეგაშვილი (ტიქნოლოგი). საუცხოვონი იყვნენ, მეტადრე ანდრონიკაშვილი თავისი ლეკვრით და ალიბეგაშვილი თავისებური კინტოურით. კინტოს როლს, ხილის გამყიდველს, თამაშობდა ნამდვილი კინტო, რომელიც პეტერბურგში რაღაც შემთხვევით აღმოჩნდა იმ დროს. მერე კი ბევრი ვინანეთ, რომ უხეში კაცი სცენაზე გამოვუშვიოთ: ისეთი ხმით გაჰკიოდა, ისეთი ყიჟინა ასტეხა, სასწორს ისე აბრაგუნებდა, რომ გვეგონებოდათ — ტფილისში „თათრების შეიდანხვა“ და მუშტარს უძახისო. რის ვაი-ვაგლახით მოვაშორეთ სცენას. იმერლის ბიჭის როლს თამაშობდა სილოვან ხუნდაძე (პედაგოგი და ლიტერატორი). მისი ბუნებრივი თამაში, მისი მოხდენილი ოხუნჯობა საუცხოვო იყო. ბევრი გვაცინა, რასაკვირველია, ვისაც ქართული ესმოდა, წარმოდგენაზე კი სხვა ეროვნების ხალხიც ბლომად იყო. წარმოდგენის შემდეგ ნაღიმი გაიმართა.

ასე ვათავდა პეტერბურგის ხანა ჩემის ცხოვრებისა, ჩემის ცხოვრების გაზაფხული. დღეს ეს დრო შორს არის, ძალიან შორს!

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო. ლორთქიფანიძე: თხზულებანი, ტომი I, ბ-ბა „მედიკანი“, 1935 წ.

ნიკო ლორთქიფანიძემ, რომელიც დღეს ქართული პროზის საქმოდ ძლიერი ფიგურაა, სამწეოლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღეებიდანვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

მწერალი თავიდანვე ისცდა ჩვენი მწერლობის შაბლონურ გზას და მან, როგორც ნაწარმოების კომპოზიციური მშენებლობით, ისე თემატიკით, ერთგვარი სიახლე შეიტანა ჩვენს მწერლობაში. სიყვარული, სისხლი და ლეინო-დუდუკი, — აი ის სამკუთხედი, რომელიც შეადგენდა ჩვენი მწერლობის საგრძნობი ნაწილის თემატიკას მაშინ.

ნიკო ლორთქიფანიძემ დაიწყო ძალიან მოკლე და პატარა უსიუფეტო მინიატურა-სურათებით, ხელი მოჰკიდა პროზულმატიურ და მარადიულ თემებს; სიყვარული გმირობისა და რაინდობის საქმედ გახადა და მის შესახებ მთელი ლეგენდები შექმნა; წარსულის სიმკაცრე ქველობის, კეთილშობილებისა და ეთეკაცობას შარავანდდით შორთო-მოკაშა.

ამაში იყო ავტორის სიძლიერეც და სისუსტეც. სიტყვის კარგ ოსტატობასთან ერთად მან მოგვცა მსოფლმხედველობის უფრო კონსერვატიული დონე. ზოგიერთი საგნის და მოვლენის ასახვაში მას არ აღმოაჩნდა ის რადიკალიზმიც კი, რაც მის წინამორბედ მწერლებს ჰქონდათ.

ნიკო ლორთქიფანიძე თავისი მხატვრული შემოქმედების პირველ ეტაპზე, რომელიც წარმოდგენილია ამჟამად ჩვენს წინ მდებარე სარეცენზოო წიგნით, იდეალისტ-რომანტიკოსი იყო. გარდასულ დროში ეძებდა იდეალიზირებულ რაინდთა სახეებს, შარავანდდით მოსაედა მათ. მის სოციალურ ბიოგრაფიას და მსოფლმხედველობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ იგი ასეთ სულოთ რაინდებს უმთავრესად თავადაზნაურთა წრეში და მუდგის სასახლეში პოულობდა.

ამასთანავე მასში თავიდანვე იბრძოდა ორი საწყისი: თავისი წოდების არისტოკრატიული სული და წვრილბურჟუაზიული ბუნება. სარეცენზოო წიგნში წარმოდგენილ ყოველ ნაწარმოებს ატყვია ამ გაორებული სულის დაღი. მისი გატაცება გარდასულ დროებისადმი რომანტიზმით და იმყოში წელმავარი გლეხით ამის საუკეთესო მაგონებელია.

ჩვენ ამჟამად არ ვეხებით მთლიანად მის მხატვრულ შემოქმედებას. ჩვენ გვინდა გაკვრით შევეხვით მხოლოდ სარეცენზოო წიგნში წარმოდგენილ მხატვრულ პროდუქციას. მართალია, მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში ეს განვლილი ეტაპი და მწერალი დღეს სულ სხვა პოზიციებზე დგას, სულ სხვა ტილოებზე მეშაობს, მაგრამ ზოგჯერ განვლილი ეტაპის შედასებაც ხდება, მეტადრე მაშინ, როდესაც ამ განვლილი ეტაპის პროდუქცია ავტორისაგან ყოველგვარი კომენტარების გარეშე გამოდის.

გაგაჩიოთ განსაკუთრებით ტაპირი და ავტორის მსოფლმხედველობის მაგონებელი ნაწარმოები. ამ მხრავ საყურადღებოა მოხდენილად დაწერილი სურათი „გლეხის მოსახლეობა იმერეთში“. აქ ავტორი შესტრფის წელმავარ გლეხს, რომლის ოჯახიც თანდათან ივსება დოვლათით. ასეთია გლეხი პეტრია, რომელიც, ჭალაქიდან ჩამოსული, ბიჭების ლაზლანდარობას აღმაცრხად უყურებს. ის რძლების მიზეზით თავის მძებს გამოეყო და ახლა „განმარტობით მოსახლე იმერელი გლეხი ერთი ებრძვის

მტერს, ეხმარება მოყვარეს, განიცდის სიმარტოვის სიდუხჭირეს" მაგრამ ეს რაა შედარებით იმასთან, რაც მას აქვს; მან, მართალია, დეკარტა გაყოფით ზოგი რამ, მაგრამ ის რად ღირს, რომ „ყლაპავს დამოუკიდებლობის გამამხნეველქვეყნებელს“.

გასაკვირველი არ არის, რომ მწერალმა მოგვცა იმერულზე გულმტყუქმწესებულობის სურათი და არ მოგვცა მისი სხეებისაგან გაყვლიფა, შეწუხება, დაზავება. მან ის დაინახა გლენში, რაც თითონ მოსწონდა.

ნაწარმოების გმირები და რაინდები, რომლებიც ამავე დროს ავტორის გმირებიც და რაინდებიც არიან და რომლების ენითაც ზოგჯერ ლაპარაკობს თვით ავტორი, ხშირად ამეტყველებულნი არიან მეტად კლერიკალურად. მაგალითად, ზოგიერთ მათგანს შახერნი ადამიანებად არ მიაჩნია („სადღევრძელო“), ზოგს ეშინია ბრბოს ხმისა (ბრბოდ მტრწილად ხალხი იგულისხმება) და ღარიბთა სიბრძნისა („სიონის მტრედი“), ზოგიც მუდამ მზის სხივებით შემკულ მალა მთაზე მდგომ ეკლესიას ხედავს, „საინაყ ზეისკენ მიაქვს წმინდა კელემტარს ცოდვილთა ედებება და წმინდა მამათა შენდობა“; ხოლო ეს ეკლესია „ღმობიერად დაჰყურებს მთელ ქალაქს“. ამიტომაც გაისმის ავტორის მოწოდების ხმა: „აქ მოდით ყველა ტერომშიმენო, თითქოს მეტყველებს ყოველი ქვა ეკლესიის შენობისა. აქ სხივია მზის, აქ ჩრდილია დაბურულ ხეთა, აქ სიო ქრის და ანკარა წყარო გულს მოგიბრუნებთ, მაშეკალნო“ („მომღერალი“). მონას თავისუფლების საყვარული ხელში მისცემს თურმე მხოლოდ მოსტს კვერთხს და დაეითის შერდულს („მონა“). „ჭვეუნის ახალგაზრდას“ სკოლის დაარსება უნდა იმისათვის, რომ ამით უწამლებს სიღარიბეს და ხალხს ღმერთსაც შეაგნებებს („დაგვიანებული ყვაილები“).

სარეცენზიო წიგნში ძალიან მოჭარბებულად არის მოცემული რელიგიური სახეები. ლექსიკონიც საესეა რელიგიური სიტყვებით. ბევრი მინიატურა ძალიან მკლე აზრებს შეიცავს. ისეთია მტკიცება იმისა, რომ ყველას რაღაც იმედი აქვს („წისტილი“), რომ ბედნიერია, ვინც სასარგებლოსა და სასიამოვნოს შორის ზღვარის დადებამ მოახერხებს („რათ მინდა პატივისცემა“).

მაგრამ, ვიმეორებთ, მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში ყოველივე ეს განვლილი ეტაპია. მწერალი დღეს ფართო ტილოებზე და აქტუალურ თემებზე მუშაობს და საჭირო იყო თავისი ძველი პროდუქტია მეტი კრიტიკული შერჩევით და საჭირო კომენტარებით გამოეცა.

მკითხველი.





მენატე ნინოშვილი: „ჯანყი გურიაში“. გამომცემა სახელგამის, 1935 წ.

მენატე ნინოშვილი მე-19 საუკუნის ჩვენს მწერლებს შორის ერთი იშვიათ მწერალითაა. ის არ გაედა ამ საუკუნის სხვა მწერლებს, რომლებიც ხეების იქით ტყეს ვერ ხედავდნენ და ბატონისა და ყმის კლასობრივ ინტერესებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ.

მენატე გარკვევით ხედავდა და არჩევდა, რომ საქართველოში მუდამ იყო ქონებრივი უთანასწორობა, მუდამ იყო მდიდარი და ღარიბი, მდიდარი ბატონი, ღარიბი ყმა, დაჩაგრული. საზოგადოების ასეთი დანაწილება მენატეს ნაწერებში კლასობრივი ჩამოყალიბების სახეს იღებს. მენატესათვის ცხადია, რომ მდიდარი ღარიბს ჩაგრავენ, რომ ღარიბის ნაშრომი მდიდარს მიაქვს და მათ შორის ინტერესთა დაუსრულებელი ჭიდილია.

მენატეს სწამდა და ის ვეოჩენებს კიდევ თავის მხატვრულ ნაწერებში, რომ ინტერესთა ეს ჭიდილი საფუძვლად ედგა ძველ ფეოდალურ საქართველოსაც. მენატეს ასახული აქვს ბატონყმობის დროინდელ საქართველოს სინამდვილეში კლასობრივი ბრძოლის მომენტები. ეს ბრძოლა მაშინ თავისებური, განსაკუთრებული ფორმებით ხდებოდა. გლეხობის ურჩობა ბატონისადმი ზოგჯერ მასიურ ხასიათს იღებდა და აჯანყებამდის ვითარდებოდა, ზოგჯერაც მემამულეთა ამოხოცვა-გაყვებით გამოიხატებოდა.

მენატე ნინოშვილის ნაწერებს შორის „ჯანყი გურიაში“-ს თავისებური ადგილი უკავია. რომანში მეტად ფართო ტილოა ბატონყმობის ფონზე გაშლილი. მოქმედ პირთა პიროვნული ინტერესები რომანის მსვლელობაში ვითარდება კლასობრივ ინტერესებამდის. გურიის გლეხობას, ერთნაირ მძიმე მდგომარეობაში მყოფს, პირადი ხასიათის უკმაყოფილება თავისი ბატონების წინააღმდეგ გადააქვს მთელი ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ უკმაყოფილებაზე. ხალხი საშინლად დაჩაგრული და შეწუხებულია. ბატონყმობის უღელი მეტად დაუშვამდა. უკმაყოფილების ცეცხლი ღვივის. ასეთ მდგომარეობაში ხალხი იოლად გამონახავს ზოლზე საერთო ენას.

გურიის აჯანყება 1841 წლის თარიღით ისტორიული ფაქტია. ეს აჯანყება დაიწყო აზნაურებმა და გლეხებმა ქობულეთელ ხასან ბეგის ხელის შეწყობითა და წაქეზებით. აჯანყების თავდაპირველი მიზანი თითქოს რუსების მმართველობის გარეცვა იყო. ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა ამ აზრით იქნა დაწყებული. ხასან ბეგს აწინებდა რუსების მეზობლად ყოფნა. ვაი თუ გურიიდან აქეთაც გადმოვიდნენ და ჩვენს ბატონობასაც ბოლო მოუღონო. ხასან ბეგს მხოლოდ და მხოლოდ ეს მუცლისგერება ჰქონდა. თავდაცვის მოსაზრებით ის თავდასხმაზე გადავიდა და შონდომა რუსების გურიიდან გარეცვა.

ამ ბრძოლაში ყველას თავისი საკუთარი ინტერესები ამოქმედებდა და ამოძრავებდა. თავადები და აზნაურები ილტვოდნენ დაკარგული უფლებების დასაბრუნებლად. გლეხებს კი ბრძოლა სწყუროდათ თავიანთი ალტანელი მდგომარეობიდან თავდასაღწევად.

ბრძოლა დაიწყო, აჯანყების დროში აფრიალდა, მიგრამ პირველ დღეებიდანვე დაიწყო მებრძოლებს შორის შიგნით ბრძოლაც. ბრძოლის დაწყებისთანავე თავი იჩინა კლასობრივმა ინტერესებმა. გლეხებმა ბრძოლას ის მისცეს შინაარსად, რაც მათ

იწყებდა. კლასობრივი საქმე, კლასობრივი ინტერესები პირველ დღეებში პირველ რიგში დადგა. რუსთა მართველობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა მჭრავლ გადიოდა ბატონყმობის საწინააღმდეგო ბრძოლად.

უთანხმოებამ თავიდანვე კლასობრივი ხასიათი მიიღო. ახლანდელი რევოლუციური ქვეყანა არ უკლებდა ბატონყმობის მოსპობაზე ლაპარაკს. მას არც ის მოსწონს, რომ მოძრაობას გლეხები ჩაუდგენ სათავეში. ის თავის ერთგულ ყმას გულდაწოვიანი ეუბნება — ზედმეტი კოზია, შებრუნდა დრო, აზნაურები ყაზახების ქვეაზე ვითარებითო. ივანე პირდაპირ მოთმინების ჰყარავს, როდესაც გიორგის მსჯელობა ესმის ბატონყმობის წინააღმდეგ.

გლეხი ბესია ბატონყმობის წინააღმდეგ ლაპარაკს სულითა და გულით შეჭარბის. ის აჯანყებულ გლეხთა მოწინავეა. ის აჯანყების აქტიური მონაწილეა. მას კარგად ესმის აჯანყებულთა სულიერი განწყობილება. იცის მისი სატიკიერი, მისი წუხილი. მთავრობას — ბატონიყ უნდა მიყვას.

შეშლილია თავადანაურთა ბანაკი. ისინი მჭრავლ გაემიჯნენ მოძრაობას. მათ ბატონყმობის წინააღმდეგ დალაპარაკება მგორედ მოსვლად მოეჩვენათ. როგორ, ვინ სთქვა, ვინ რომა, რომ ბატონი და ყმა სულ ერთიაო. როგორ შეიძლება მოჯალაბის ქალიშვილმა გულოს უთხრას — შენ და მე ერთი სისხლი გვაქვსო. ეს ხომ ქვეყნის დაქცევას, მიწის გასქვამას, ცის ჩამოვიარდნას უდრის.

ბესია და ივანეს სახით აეტრის მოცემული აქვს გლეხისა და აზნაურის იდეოლოგია. აზნაური ივანე აჯანყების მონაწილეებს ერთ-ერთ საიდუმლო კრებაზე ასე მიმართავს:

„ძებნო, ბესია მოტყევილებულია იმ ურჯულო ტრიკი გიორგისაგან (გიორგი თავადიშვილის ბუშია, მოახლე ქალის შვილი, უნივერსიტეტის ლიბერალურ წრეებში გაზრდილი). ბატონის წინააღმდეგობა არაეინ იფიჭროს, თორემ დაიღუპებით. დიდი სისხლი მოყობა ბატონის უარყოფას. იგი აზრი იმაზე დათვსა იმ ურჯულო გიორგიმ, რომ უნდა რამენაირად ჩვენში განხეთქილება მოახდინოს. ჩვენ ერთმანეთს შეგვატაკოს და ამით ჩვენს შტერს გაამარჯვებოს. არ შეცდეთ, ბატონის უარყოფა ირ იფიჭროთ. ჩვენ შტერს უნდა ვადინოთ სისხლი და არა ძმას“.

მაგრამ ხალხი ივანეს ქადაგს ყურს არ ათხოვენს. ტყვილად ირჯება ივანე. გათავდა დღეს ბატონობაო, იმახობა ხალხი. ივანეს გაფრთხილებაზე — სისხლი მოყვება ამასო, ხალხი უპასუხებდა: მოყვეს, ჩვენც ეს გეწუტრიაო. ივანე შედრკა, როდესაც დაინახა გლეხთა ასეთი ერთსულოვნება. მან, ცოტა არ იყოს, კები იბრუნა და ახლა დაუყვავა, კილო შეანელა. ბატონყმობა არც ყაზახების, არც თავადანაურობის დაწესებული არ არის, იგი ღვთის ბრძანებით უხსოვარ დროიდან მომდინარეობს და ახლა მისი უარყოფა ხომ ღვთის გმობა იქნებაო. ზეცის დაწერილი რომ არ ყოფილიყო, მას აქამდეც მოედებოდა ბოლოო. ამდენი კაცი ხარო და აბა მითხარო, ვის გინახავთ ყაზახი უბატონოთო. ივანემ საკითხის სიმძიმე უკვე სააწმუნობაზე გადაიტანა. ამ შემთხვევაში ის მოხერხებულად მოიქცა. მაგრამ მაინც ეტრადფერს გახდა. ვერ უშველა ვერც ყმის კოზიას აყოლამ. თუმცა კოზიას სიტყვამ ხალხში ჩოჩქოლი გამოიწვია და გლეხთა ზოგიერთ ჩამორჩენილ ფენაში მართლაც გაისმა: ჩვენ ბატონს არ ეუბრით, შტერის სისხლი გეწუტრიაო, მაგრამ ტრბუნაზე ივანე სიმონი და მან ხალხს ჩააჯანა — პირველ აზრს ნუ მოშლით, ბატონყმობის მოსპობა ღვთის საამუროც იქნება და ქვეყნის სასარგებლოც.

გლეხებმა და აზნაურებმა შორის ინტერესთა ეს წინააღმდეგობა წითელი ძაღვით არის გატარებული მთელი რომანის მსვლელობაში. ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ აჯანყების მონაწილე აზნაურები აჯანყებას სცოდნებიან და რუსთა მართველობის მხარეს იკვებენ. თავადანაურობის დედეგაცაა აჯანყებისავე პირველ დღეებში ეახლებოდა მთავრობის ოზურგეთში და თავის უქვეშევრდომილეს ერთგულებას განუცხადებდა. გლეხთა მოძრაობა მათ ორივეს თანაბრად ემუქრება და ისინიც დავიწყებას აძლევენ

ურთიერთ შორის მდურვას და საერთო ფრონტით უტყვენ აჯანყებულ გლეხებს. თავდაზნაურობა, გლეხთა მოძრაობით დაწინებული, არა თუ რუსების ჯარის გარეკაზე ფიქრობს, არამედ ოხუტრგეთში მდგომ ჯარის უფროსს თხოვს რუსებს შეეძლებინა ბევრი ჯარი მოიყვანეთ ოხუტრგეთში. გლეხებს კი შეუპარას უგზავნიან ბრძანებებს მათ რახით მოგდენიან ჩვენთან და მაშინ სულ ტყავს დაგაძრობთ ურჩობისათვის.

წინოშვილს დიდი მხატვრული სისწორით აქვს ასახული გლეხობის ფენებად დაყოფა. გლეხობა ერთ მთლიან ორგანიზმს არც ბატონყმობის დროს წარმოადგენდა. ყველა გლეხი ერთნაირი აზრისა და ერთნაირი შეგნების როლია, ისევე, როგორც ერთნაირი შეძლებისა და დოვლათის პატრონი არ არის. მათ შორის არიან მოღალატეებიც, მფრთხალებიც, სუსტებიც. ზოგი ძალზე გამწარებულია, ზოგი შეგუებულია არსებულ მდგომარეობას. გლეხი კოზია ზურგიდან მახვილს ჩასცემს აჯანყებულთ და აჯანყების მეთაურს ჭრადულად უყანიდან კლავს. გლეხი ძნელაძე, მაზრის უფროსის მიერ მოსყიდული, ყოველ დღე აწუხდის ცნობებს აჯანყების შესახებ. გლეხი ეინჭარაძეც გაშუშობს და საიდუმლო დავალებებს უსრულებს მტერს. თვით მასებსაც ზოგჯერ ეჭვი ეპარებათ და რწმენა ერყვიათ.

მაგრამ გლეხობას თავისი გმირებიც ჰყავს. ერთი მათგანი ბესია არის. დაჭრილი ბესია ბატონისას მიიყვანეს სატყეოში. მას ბატონი უსაყვედურებს, როგორ გაბედე ბატონის წინააღმდეგობაო. რას ქვია, როგორ გაბედე! დიდი საქმეა, თუ რა... ღმერთი რომ იარებოდეს ფეხდაფეხ, თუ არ დამიჯდა ტყეაში, იმასაც კი გაველებდებო. ბესიას არც საციდლისა ეშინია. თუ მოკვდება, ჯანი გავარდეს. ერთ დღეს დაბადებულა, ერთ დღეს მოკვდება, მერე რა?

ბესია გლეხთა შორის გამორჩეული პიროვნებაა. ის ბატონის ურჩი და შეუპოვარია. მასთან ვერც ბატონი გახდა ვერაფერს. ბესიამ შინაყმობა არ გაუწია თავის ბატონს. ბატონმა უჩივლა, მთავრობას სთხოვა — მომირჯულეთ გლეხთო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბესია ბატონთან წინაყმად შეივლიდა კი არა, საციდლის უჭადდა. რაც თავის თავს მოესწრო, არ ახსოვს, რომ ბატონს მისი ოჯახიდან შინაყმა გაეყვანოს. გლახა ხომ არ ვიყავი, რომ სხვის მოსამახტრედ დამემდგარიათო, ვარჯს სხვა ვერ იმსახურებო. ბესია მებრძოლი და აჯანყებულის გლეხების გენერალია, ის გლეხთა ინტერესების შეგნებულად გამომხატველია. ბრძოლაში ნამდვილი ცეცხლია, უდრეტა შეუპოვარი. შიში, უკან დახევა, რყევა მან არ იცის. ის ნატრობს დიდ ცეცხლს, რათა მოუდრეკელად გადაეშვას მისში.

რომანში დიდად საყურადღებოა აგრეთვე ერთი ტიპი. ეს არის თავადიშვილის კარზე მცხოვრები გიორგი. ის თავადის და გლეხი ქალის უკანონო შვილია. უმაღლესი სწივლა რუსეთში აქვს მიღებული. ახლაც ბევრ წიფს კითხულობს. ზოგჯერ ავტორი გიორგის პირით ლაპარაკობს.

განსაკუთრებით ეს ჩანს რუსთა საკითხში. გიორგი არ თანაუგრძობს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას. მას ასეთი აჯანყება წინასწარ განწირულად მიიჩნია. ამ აჯანყებაში ერთი პროცენტიც კი არ არის გამარჯვების შანსი. აჯანყება მაინც დაიწყო და გიორგი იმის მოსურნეა, რომ აჯანყების ცენტრი ბატონების წინააღმდეგ იქნას გადატანილი. გიორგი ეთანხმება გლეხს ზალიკის იმაში, რომ რუსების მოხელამდის უკეთესი არ იყო ყაზახების მდგომარეობა. პირიქით, ეხლა გლეხების მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე წინათ, მეფეების დროს ყოფილა. გლეხების მდგომარეობის ნამდვილი გაუმჯობესება მაშინ მოხდება, როდესაც ბატონყმობა მოისპობა, ხოლო ამ მოსპობაზე თვით გლეხობამ უნდა იზრუნოს.

გიორგი აჯანყების ერთ მეთაურთან საუბარში უფრო უკეთ აშკარაებს თავის რადიკალურ მიმართულებას. ის მსჯელობს იმაზე, თუ რა იქნება გამარჯვების მეორე დღეს. რა ექნათ, როგორ მოვიქცეთ, თუ გავიმარჯვებთო. ის რუსთა მმართველობის და თავდაზნაურობის გარეკის შემდეგ საჭიროად სცნობს რესპუბლიკანური მმართველობის

დაარსებას, ამოვიჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წელი მივინდოთ ზალხის მართვას.

ერთი გლეხის შეკითხვაზე — ვინმე რომ მთავრად დავიყენოთ, *კუჟუკუჟუკუბებსო*, ის უპასუხებს: ეს ხომ სასაცილო ამბავი იქნება, დღეს სისხლს ვეფუძლი ყჩუჩუ გულისათვის და ხელახლად ბატონი დავისვითო. ხომ იცით, მთავარი ისევ მოაბოუნებს ბატონების წესებსაო. მთავრებს სიკეთე არასდროს არ უქნიათ ჭვეყნისათვის და ან რა სიკეთის ქნა შეუძლიათო! გიორგი რუსეთის მშრომელ გლეხკაცობასთან ერთობის, მათთან კავშირის მომზრდა. ვინიკობაა რუსეთში გლეხკაცობა აჯანყდეს, მაშინ ჩვენც გლეხკაცობაც ვერ იქნება გულზე ხელდაკრეფილი.

„ჯანყი გურიაში“ იმ მხრივდაც საყურადღებო ნაწარმოებია, რომ აქ კლასობრივი შეგნება, კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა ეთნოგრაფიულ საზღვრებს ლახავს და უფრო შორსაც მიდის. გურიის თავადაზნაურობას უშალვე მოეშველა სამეგრელოს თავადაზნაურობა. სამეგრელოს თავადაზნაურობა შეშფოთდა გურიის გლეხობის აჯანყებით, შეაგროვა ჯარი და დაიძრა გურიისაკენ, რათა აჯანყებული გლეხები სასტიკად დაესაჯა და თავისი ძმებისათვის სასახური გაეწია. მაგრამ კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა არც გლეხობას აკლდა. გურული და მეგრელი გლეხებიც გამონახებენ საერთო ენას. გურული და მეგრელი გლეხები სამეგრელოს თავადაზნაურთა დამარცხების შემდეგ დამოზბილდნ და საერთო ენით დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ ერთმანეთში საჩხუბარი და სადავო არადერი გვაქვსო.

რომანი „ჯანყი გურიაში“ ეპოქალური ნაწარმოებია. მისი მასობრივი ტირაჟით გამოცემით სახელგამმა კარგი საქმე გააკეთა.



შინაარსი
მხატვრული ლიტერატურა



ვ. რუხაძე — საუბარი (ლექსი)	33-3
დემნა შენგელაია — სტელლა (გაგრძელება. რომანი)	5
გიორგი კაჭახიძე — ევკალიპტები (ლექსი)	14
ვიქტორ შიუგო — ორი ლექსი	16
გრიგოლ ცეცხლაძე — მრისხანე ჭარი (პოემის შესავალი)	20
რაქდენ გვეტაძე — ლაშაური საღამოები (გაგრძელება. რომანი)	22
ვლადიმერ კოვალსკი — ალლა (თარგ. მ. პატარიძის)	38
მიკოლა ზვედროვიჩი — ესკადრონის უფროსის გუსაროვის და- ლუპვა (თარგ. ვ. გაფრინდაშვილის)	39
ა. ალექსანდროვიჩი — ფიჭვი (თარგ. ბელორუსულიდან დავ. გა- ჩეჩილაძის)	42
ი. დიომედი — თანამედროვე ქრონიკები (მოთხრობა)	45
ხანდრო ეული — ბოლშევიკი-პარტია (გმირული ეპოპეის ქრო- ნიკები)	70
იოსებ ტატიშვილი — დები (რომანი)	85
ა. ადამია — კოლხიდის ქრონიკები (ლექსები)	111

რუსეთის ლიტერატურა

მ. მენაბდე — ვიქტორ ჰიუგო	115
-------------------------------------	-----

ლიტერატურის ისტორია

მიხ. ზანდუკელი — ნიკო ლომოურის შემოქმედების სოციალური საფუძვლები	131
---	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. ლუარსაბიძე — „ნაბიჯები“	161
ბეს. ჟღენტაძე — ნამდვილი და თანამიმდევრული გარდაქმნისათვის	169

მ ო ზ ო ნ ე ბ ა ნ ი

ი. მანსვეტაშვილი — ჩემი წარსულიდან	188
--	-----

ბ ი ზ ლ ი ო ზ კ ა ო ნ ი ა

მკითხველი — ნიკო ლორთქიფანიძე. თხზულებანი, ტ. I	213
მ. გ. — ეგნატე ნინოშვილი. „ჯანყი გურიაში“	216





ახალი წიგნები ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მნათობი“-ს რედაქციის მიერ მიღებული
სახელგამის ახალი გამოცემანი

მხატვრული ლიტერატურა:

- ა. პ უ შ კ ი ნ ი — ევგენი ონეგინი (თარგმ.
ვრ. ცეცხლადის).
- ა. პ ა ვ ლ ე ნ კ ო — ბარიკადები (თარგმ.
ი. მაჭავარიანის).
- ფ ე შ ა ნ გ ი — შაჰნავაზიანი (გ. ლეონიძის
და ს. იორდანიშვილის რედაქციით).
- გ. წ ე რ ე თ ე ლ ი — პირველი ნაბიჯი (რო-
მანი).
- გ. წ ე რ ე თ ე ლ ი — გულქან (რომანი).
- ლ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი — სოლომონ ისაკიჩ მე-
ჯღანუაშვილი (რომანი).
- გ უ ი დ ე მ ო პ ა ს ა ნ ი — ფუნთუშა
(მოთხრობები. თარგ. თ. სახოციას).

კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა

- შ. რ ა დ ი ა ნ ი — ლიტერატურული პორტ-
რეტები (წიგნი მეორე).

მოგზაურობა და მემუარები

- შ ა რ ც ე ნ ი — მოგზაურობა საქართველოში
(თარგმ. ვ. ბარნოვის).

